



N38 (589)

22/IX-28/IX-2011

ფასი 1 ლარი

ჩვენი ჩრეული

ოზია იოსელიანი

ექვსტოვეული

ტომი II

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
6 ლარი ღირს

წიგნის ფასი 5 ლარი
შემდეგ

ოზია იოსელიანი

ტომი III

**კასი, რომელმაც ყოფილი
სოლავი სარფიანად გაათხოვა**



**„თავრიკო მისმა
შვილიშვილმა გააპირიბა“...**

**მანუჩარ
მარკოიშვილის
პირადი
ცხოვრება**

**რატომ ჩამოართვეს
ნათო გავნიძეს
მართვის მოწმობა**

**იღბლიანი
და უიღბლო
მოთამაშეები**


**„ბოტალიზაცორმა დაღას ქმარ-შვილი დააკარგვინა“
„მეზავუფიკოვით“ გაგდიდრებული სვანის თავგადასავალი**

**ნიკა წულუკიძე
სტუდენტებმა განანაწყინეს**



**„უმუშევარი
თუ დავრჩები,
ქროხას ვიყიდი
და მოვწველი“**

**განკის
გაქარცხვის
საოცარი
ამბავი**



**როგორ დაინახა
ქართველი გერორისტი**

**რისთვის
გააპირიბიკეს
ღიანე
ღურწყაიანი
რუსებმა**



**„უნიეტლო გავუვებს
სიურპრიზს ვუმზადებ“**

ISSN 1987 - 5029



უნივერსალური რეცეპტები ძაღვის აღსადგენად



მისამართი:

1. ერისთავის ქ. №2, მე-2 სართული (მეტრო დიდუბის ზემოთა ამოსასვლელთან), ტელ: 2 66 41 90
2. ერისთავის ქ. №5 (სავაჭრო ცენტრი „საბა“), მე-2 სართული, ტელ: 2 69 29 20
3. ოფისი 2 245-105





PHYTO



ფიტო მცენარეულ ბაზაზე დაფუძნებული პროდუქციაა. ის თმისა და თავის კანის მოვლის საშუალებების ფართო ასორტიმენტს გვთავაზობს. ფიტო დაარსებულია 1956 წელს, პატრიკ ალეს მიერ. 1969 წელს კი გაიხსნა PHYTOSOLBA ლაბორატორია, სადაც ფიტოს პროდუქცია იქმნება. ფიტოს თითოეული პროდუქტი 40-მდე მცენარეულ ინგრედიენტს შეიცავს, მათ შორის, ყველა სახის ეთერზეთებსა და მცენარეულ ექსტრაქტს. ფიტოს პროდუქტები ჯანმრთელ და ლამაზ თმას უზრუნველყოფს.

ფიტოს პროდუქტები ნორმალური, ცხიმიანი, მშრალი, ძალიან მშრალი, ხვეული და ასაკოვანი თმისა და თავის კანის მოვლისთვის გამოიყენება. ფიტოს პროდუქტებში არსებული აქტიური მცენარეული ინგრედიენტები დაბიანებულ თმას აღადგენს, ტენს უნარჩუნებს და ღრმად კვებავს მას. ეს კომპონენტები ცხიმიან თმაზე გამოყენებისას სებომარეგულირებელ თვისებას ამჟღავნებს, რაც ცხიმოვანი ჭირკვლებიდან ცხიმის გამოყოფის რეგულირებას გულისხმობს.



საინფორმაციო ცენტრი

სმოკერ ხელტი

ბანისადმი სიამოვნება. იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ სსოვრებაზე!



კბილის პასტა 55 გ

სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!



Nabros
Pharma Pvt. Ltd.

შარპროვალი: „ნაბროს ფარმა“
ოფისიალური წარმოებულ საპროდუქტო
შ.პ.ს „ქონა ფარმა“
თბილისი № 56
ბაღ: 223 63 25

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

ჰილ კრემი

ბანთაინსუფლდით კანის პრობლემებისაგან!

ჰილ კრემი

წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ, ისე მის ღრმა მზრებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წულულების სწრაფ შეხორცებას.

ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრეებას.



გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა სადამოს.



Nabros
Pharma Pvt. Ltd.

შარპროვალი: „ნაბროს ფარმა“
ოფისიალური წარმოებულ საპროდუქტო
შ.პ.ს „ქონა ფარმა“
თბილისი № 56
ბაღ: 223 63 25

გამოყენების წინ გაცანით ინსტრუქციას გვერდითი მოკლებების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

მსოფოდ სავა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით



თბილისი ბანკი
TBC BANK დაფინანსებით

ჩაბარება
2012 წლის დეკემბერი

მხანაგლოვის პროექტის
ონლაინ კონსტრუქცი


გურამიშვილის 78

მთავარი ოფისი:
თბილისი,
გუდაშვილის 7

238 44 33
577 777 077
579 770 110

www.saba-group.ge

ქვეყანა



„დაპაპილი“ დასავლეთ საქართველო

ვისაც წელს დასავლეთ საქართველოში მოუწია ყოფნამ, „ამერიკული პეპლისგან“ გადაპენტილი და დაქსელილი ხეები შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ადგილობრივების აზრით, ზაფხულის დასაწყისში, მცენარეების შენამვლამ „ამერიკულ პეპლებს“ ვერაფერი დააკლო...“

12

სახე



ნატო გაგნიძე „ურემს“ მართავს


„თეთრი მანქანა ჩემში მაცივრის ასოციაციას იწვევს, ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ ამ ფერის ავტომობილს არასდროს შევიძენ, სხვა ფერი კი არ მაღიზიანებს...“

24



ცხოვრება

მეძალთანე არასდროს ვყოფილვარ...




„როგორც კი სიტუაცია იძაბებოდა და რალაც რიგზე ვერ იყო, დაშორებას ვამჯობინებდი. მტკივნეული არ იყო, რადგან არ შემიძლია, ვინმესთან მხოლოდ ვალდებულების გამო ვიცხოვრო...“

28

№38 (589)
22 - 28 სექტემბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი



- **მიწიატიურები** 5
ალბერტას ჭაჭა მოსწონებია...
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **თარიღი** 8
- **პოლიტიკა** 10
- **ეკრანს მიღმა** 11
- **პრობლემა** 12
„დაპეპილი“ დასავლეთ საქართველო...
- **კონტაქტები** 14
იაპონელების საჩუქრები ქართველი ბავშვებისათვის
- **კრიმინალი** 16
სამი ოჯახური კონფლიქტი მკვლელობით დასრულდა
- **ქართველები საზღვარგარეთ** 18
დიანა ლურნკაიას წარმატების ფორმულა
- **მოუბიზენი** 20
ნინო ჩხეიძის ექსპერიმენტი
- **პირადი ცხოვრება** 21
ბათუმში დაწყებული საკალათბურთო კარიერა და უკრაინაში ნაპოვნი სიყვარული
- **სხანის მიღმა** 23
ანსამბლ „გორდელას“ ვირტუოზები
- **ქალი საქანთან** 24
ნატო გაგნიძე „ურემს“ მართავს



საზაფხულო აგებები



„საბოლოოდ კი ეს ჩვენი ბიჭი „აინკაპნა“ და გასული ზაფხულივით გაქრა მისი ცხოვრებიდან. სალო კი დღემდე ვერ ივინყებს. ამ ყველაფერს ერთი კარგი მხარე მაინც აქვს — სალომემ ჭკუა ისწავლა და სხვების გრძნობებზე თამაშს გადაეჩვია.“

64

■ ოჯახი	26
ჭოხონელიძეების ბედის ირონია...	
■ კოლორიტი	28
„მართალია, მეექვსე ცოლი მყავს, მაგრამ მექალთანე არასდროს ვყოფილვარ“	
■ ამელა	30
„ხვალ უმუშევარი რომ დავრჩე, ნავალ, ძროხას ვიყიდი, მოვწველი და კარტოფილს დავთესავ“	
■ აქივების საქმე	32
სასიკვდილო მკურნალობა	
■ პროფესია	34
რაზე ოცნებობს ქობულეთელი მაშველი	
■ ოსტატი	35
საძინებელში დაქოქილი ავტომობილი და ინჟინერ-მუსიკოსის ამბავი	
■ თინეიჯერული პონტები	37
იღბლიანი და უიღბლო მოთამაშეები	
■ ისტორიის ლაბირინთები	40
ნოვოროსიისკის ბანკის გაძარცვის საოცარი ამბავი	
■ ასკარები	43
ნიკა ძალამიძე — „ვიძევის“ ვარსკვლავი, რომელსაც დისკოთეკები არ იზიდავს	
■ ანტიდუარესანტი	44
■ საკითხავი ქალბისათვის	44
■ ერულიტი	46
„თამაში მიყვარს“	
■ ბაქარი	48
ჯვარი, რომელზეც მაცხოვარმა კაცობრიობის ცოდვები აღბოცა	
■ ჯანმრთელობა	50
ვპასუხობთ მკითხველთა შეკითხვებს	
■ ნათი პოეზია	52
■ რჩეული	53
„ოტია საქმის კაცი იყო, არც თავად გიღალატებდა საქმეში და არც შენ გაპატიებდა ლალატს“	
■ ქართული ღებავები	56
რუსუდან ბერიძე. ურჯუკი (დასასრული)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
საზაფხულო არდადეგები	
■ ყველა ერთისათვის	68
■ მოგილი-ზასია	70
■ ეს საყვარელი	76
■ განსართობი	78
■ ანტროპოგია	80
■ სქანოვანი	81
■ ფოტოფაქტი	82

საყვარელი



უნივერსალური რეცეპტები კალბის აღსაღებნად

„არასდროს დაიძინოთ ვინმეზე ნანყენმა ან ნაჩხუბარმა. თუ დამნაშავე ხართ, ყოველთვის დროულად მოიხადეთ ბოდიში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ მშვიდად დაძინებას.“

44

ბიბლუსი



ქრტიკი

— შეიძლება, თვითონ არ გახსოვდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მამიდაშენს ახსოვს ყველაფერი.

— რა ყველაფერი?

— თუნდაც ის, ნ წლისა დედამ და მამიდამ ზღვაზე როგორ წაგიყვანეს დასასვენებლად...

56

ბაიმ-აუტი



ამერიკის პრეზიდენტთა უსწაურობანი

- ბილ კლინტონის მოთხოვნით, მისი კატა — სოქსის პერსონალი ინტერნეტსაიტი შეიქმნა.

- ჯორჯ ბუში (უმცროსი) ლორაზე (ლორა ლეინ უელჩი ბუში) გაცნობიდან სამ თვეში დაქორწინდა.

76

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
 გამომცემი კვირაში ერთხელ, სუთუბათოვით
 გაზეთი „კვირის პალიტრის“ დამატება
 ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
 რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
 მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**
 დიზაინი: **ანა უთურგაძე**
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი,**
რეზო თხილიშვილი
 მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
 რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

აღბერცს ჭაჭა მოხონებია...



შესავლის ნაცვლად წინა „პროვოკაცია“, როგორც ყველა სხვა დან არჩენი, ჩვენი მედიასახლის ერთერთ ინტერნეტგვერდზე (ambebi.ge) დაიდო და ტრადიციულად მკითხველთა კომენტარებიც მოჰყვა. გარდა ამისა, ჩემს ელფოსტაზეც მომწერა რამდენიმე და გამომონაძიეს ბოლიანი, „ნაციონალთმობილენ“ და „ოპოზიციის მაჩაღკა“ მიწოდეს.

ცუდ გუნებაზე დადევტა და წერის ხალისიც გამიქრა... იცით, რატომ? დღეს სწორედ ოპოზიციის სასაცილო სისულელეებზე ვაპირებდი საუბარს და ვიფიქრე, ეს მაკრიტიკებელ-მაკირკიტებლები (ჟო, მართლა, კირკიტაქე რატომ არ ჩანს ამ ბოლო დროს?) იფიქრებენ, ჩვენი „შეეშინდაო“ და გადავწყვიტე, ისევ „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ვახსენო „ტკბილად“.

ეჰ, არადა, 27 სექტემბერს „დიდი გუბაზი“ დიდ აქციას აპირებს, დავითაშვილმა კიდეც, — „რვიანი“ რომ „ექვსიანი“ გახდა, ეგეც ბევრია, ახლა „ხუთიანი“ დაფრჩებითო (ეგრე გააგრძელებენ ეგენი და საარჩევნოდ „მთხლემდე ჩამოვლენ“).

მოკლედ, გაგვრახი და, ამასობაში, „კაკ რაზ“ მონაკოს პრინცი ალბერტი არ ჩამოვიდა საქართველოში?!

მოდი, სანამ საპატიო სტუმრის ვიზიტის დეტალებს შევხებოდეთ, „რუსთავი 2“-ს ახალი „მარგალიტი“ გავიხსენოთ: თურმე, ნუ იტყვიტ და, „იბიარდის“ ახალი კვლევის შედეგების მიხედვით ძაააალიან წინ წაიწინეთ ყველა სფეროში და ევროპაში მხოლოდ ესტონეთს ჩამოვრჩებით რაღაც-რაღაცებში... ჰოოო... არა, ყველაფერში თუ არა, თითქმის ყველაფერში მაინც — აი, სასამართლოსადმი ნდობის რეიტინგი ისე, მორიდებულად და სულ ბოლოს ახსენა ჟურნალისტიკა — 38 პროცენტით! ისე, პირადად მე, ვერაფრით გავიგე ეგ ამბავი — პოლიციას ენდობა 75%, სასამართლოს — 38%! ანუ დაახლოებით ნახევარი! ე.ი. რა გამოდის?! უფრო სწორად, ის მეორე ნახევარი, რომელიც პოლიციას ენდობა და სასამართლოს არა, რას ფიქრობს? — იმას, რომ პოლიცია იჭერს, ვინც დასაჭერია და მერე სასამართლო უსამართლოდ უშვებს სახლში? კი, მაგრამ ჩვენი სასამართლოს გამოშვებული რომ ბევრი არავინ გვინახავს (ცხადია, საპროცესო გარეგების გარეშე)?.. არა, რაღაც არ გამოდის... ისე, ალბათ უბრალოდ „დაემთხვა“: ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ განაცხადა, 26 სექტემბრიდან ადვოკატები აქციებს ვინყებთ და მანამ გავაგრძელებთ, ვიდრე სამართლიან სასამართლოს არ მივიღებთო! ვაი, თქვენ მოგიკვდეთ ჩემი თავი — უვადო აქციების მოწყობას აპირებთ?!



ჰო, კიდეც ერთი: როდესაც ჟურნალისტი ამ რეიტინგებზე ლაპარაკობდა, მის უკან მთელ ეკრანზე დიდად ეწერა: „კორუპციასთან ბრძოლის რეიტინგი“. რა უჭირს მერე, ერთი ასო შეეშალათო, მეტყვიტო, მაგრამ მაგათი უნიგურობა უკვე ყელში ამოვიდა. მით უმეტეს, რომ იმავე გადაცემაში (აი, უკვე მონაკოს პრინცის ვიზიტზე

გადავდივართ), სხვა სიუჟეტში, სხვა ჟურნალისტიკა თქვა: „თურმე პრინცი ალბერტი გვეწვია“ (ჰმ, ალბერტი არა, სეროჟა), კარგი, ჯანდაბას; მერე განაგრძო: პრინცი იმყოფებოდა მუზეუმში, სადაც „ჩვენს ნელთალრიცხვამდელი“ ნივთები დაათვალიერა, ხოლო შემდეგ მას აგრეთვე „ჩვენს ნელთალრიცხვამდელი“ ნივთები აჩუქესო! ამას „ჩვენს ნელთალრიცხვამდელი“ დაახლოებით ის ჰგონია, რაც — „უხსოვარ დროინდელი“...

მომისმინე, უნიგურო (ან გადაეცით ვინმემ): ეგ „ჩვენს ნელთალრიცხვამდელი“ ნივთები მილიონ რვაასი ათასი წლისაა და მაგას „კაკ მინიმუმ“ „ისტორიამდელი“ ჰქვია. ისე, პრინციში, იმ პატარა გოგოს რას ვერჩი, პირდაპირ ეთერში საუბრობდა, სტუდიიდან რომ წამყვანები რედაქტირებულ-დავარცხნილ ტექსტებს გვიკითხავენ, იქაც კი ისეთ „მარგალიტებს“ ამბობენ, ყურში არ შეიშვება...

მოკლედ, ეს ჩვენი „ალბერტა“ ჩამოვიდა და მოატარეს მთელი საქართველო ორ დღეში — ბათუმით დანყებუ-

ლი, სვანეთით გაგრძელებული და კახეთით დამთავრებული, ყველაფერი აჩვენეს, ოღონდ დარწმუნებული ვარ, ორი რამ არ უთხრეს: ის „ცქრილა გოგონა“, გვერდიდან რომ არ მოშორებია მთელი ვიზიტის განმავლობაში, ციხეების მინისტრად რომ იყო (მართლა, გულწრფელად მაინტერესებს, ეგ ქალი რა შუაში იყო?) და კახეთში რომ „ბედნიერი გლეხები“ დახვდნენ განკრიხლებული „ბოტეებით“, გლეხები კი არა, „ნაც-მოძრაობის“ თბილისელი აქტივისტები იყვნენ, მათ შორის

თბილისის ერთ-ერთი რაიონის ვიცე-გამგებელი!.. ევეჰ — „პოტიომკინის სოფელიო“! სად იყო პოტიომკინი, მიშა რომ მსოფლიოს აცუცურავენბა?!

P.S.

იმ ალბერტამ ბოლოს „დაგლიჯა“: აღფრთოვანებული ვარ ყველაფრით, დედა, ეს რა ქვეყანა ვნახე, დედა ეს რა ხალხი ყოფილხართ; ეს გოგოც, სულ გვერდით რომ დამყვებოდა, კარგი გოგოაო (სხვათა შორის, მხოლოდ მას და საფრანგეთში ჩვენს ელჩს აჩუქა რაღაცები), მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება ჭაჭის არაყმა დატოვაო!

გგონიათ, ვსუმრობ? „რუსთავი 2“-ის ზემოთ ხსენებულ სიუჟეტში აშკარად ისმის (და ჩანს) კულტურის(!) მინისტრ გულუასა და მისი თანამგონის საუბარი, როდესაც საპატიო სტუმარი ლიმუზინში ჯდება და აეროპორტისკენ უნდა წააბრძანონ: „შენა, სადმე გააჩერეთ და მაგას ჭაჭა უყიდეთ...“

პროვოკატორი



ქვეყანა

ბრიტანელმა მეცნიერებმა ადამიანი და ცხოველი საიდუმლოდ შეაჯვარეს

სხვადასხვა სახეობის ცხოველის ან ერთი და იმავე სახეობის ცხოველის სხვადასხვა ჯიშების შეჯვარება XXI საუკუნეში გასაკვირი აღარაა. მეცნიერებმა შეაჯვარეს ლომი და ვეფხვი, ვეშაპი და დელფინი და რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, თევზი და თუთიყუშიც კი.


ადამიანი მუდამ სიახლის ან რაიმე საინტერესოს ძიებაშია; ზოგი საკუთარ ეზოში წინაპრების მიერ დამარხულ ფულს ეძებს, ზოგი უცხოპლანეტელებთან კონტაქტს ამყარებს, ზოგიერთი მეცნიერი კი ადამიანსა და ცხოველს აჯვარებს.

დიდი ბრიტანეთის პარლამენტის ლორდთა პალატის წევრმა, ლორდმა ელტონმა მეცნიერების საიდუმლო ექსპერიმენტი გაამჟღავნა, რომელიც ადამიანისა და ცხოველების ემბრიონების შეჯვარებას ითვალისწინებდა.



— 3 წლის განმავლობაში მკვლევრები საიდუმლოდ ატარებდნენ ამ ექსპერიმენტს, — იუწყება Daily Mail. 2008 წლიდან ბიოლოგებმა 155 ემბრიონი გამოზარდეს. ჰიბრიდები შეიცავს როგორც ადამიანის, ასევე ცხოველის გენეტიკურ მასალას. გასაკვირია, მაგრამ მეცნიერები კანონიერად მოქმედებდნენ — 2008 წელს, დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც ადამიანისა და ცხოველების შეჯვარება ნებადართულია! მკვლევრები აცხადებენ, რომ ამგვარი ქიმერების შექმ-

ნით, მათ ისეთი ლეროვანი უჯრედები მიიღეს, რომლებიც ბევრ უკურნებელ სენტან ბრძოლაში დაეხმარება. ლორდი ელტონი მეცნიერებს აკრიტიკებს. მისი თქმით, მათ მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები ეთიკური თვალსაზრისით გაუმართლებელია და მთელი ბრიტანეთის სირცხვილია. პოლიტიკოსს არ სჯერა მეცნიერების განცხადების, რომ ეს ექსპერიმენტი დაავადებათა აღმოსაფხვრელად ჩატარდა. ლორდი ელტონი ასეთ გამართლებას ემოციურ შანტაჟს უწოდებს. უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ადამიანისა და ცხოველის გენების შეჯვარებაზე მუშაობა შეჩერებულია, მაგრამ არა — აკრძალვების გამო. მეცნიერებს არა აქვთ საკმარისი თანხები ექსპერიმენტების გასაგრძელებლად!



2 მილიონად დააზღვია

ბრიტანელმა დეგუსტატორმა, დევი რობერტსმა საკუთარი ცხვირი 2 მლნ გირვანქა სტერლინგად დააზღვია. რობერტსის ცხვირს ასეთი მაღალი ფასი უნიკალური ყნოსვის უნარის გამო დაადეს. სურნელის მიხედვით რობერტსს ყავის ჯიშების დადგენა შეუძლია და იმასაც კი იგებს, მსოფლიოს რომელ კუთხეშია მოყვანილი ყავის მარცვლები. რობერტსი კონცერნ Nestle-ს ყავის წარმოების მთავარი ექსპერტია. როგორც თავად იხსენებს, ბავშვობაში ბებიის მოდულეზული ყავის სურნელმა გადააწყვეტინა, კვების ტექნოლოგიები შეესწავლა. ყავის წარმოებაში დეგუსტატორის როლი მნიშვნელოვანია. ამიტომ ცხვირი რობერტსისთვის შემოსავლის წყაროა.

წარმატებული ადამიანები ხშირად აზღვევენ სხეულის იმ ნაწილებს, რომლებიც მათი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია. გიტარისტმა კიტ რიჩარდსმა ხელები 1,6 მლნ გირვანქა სტერლინგად, ფეხბურთელმა დევიდ ბექჰემმა კი სხეული 100 მლნ გირვანქა სტერლინგად დაიზღვია.

იტალიაში მუღლავებს დაჯარიმებენ

იტალიაში მოლაღატე მეუღლეებს დაჯარიმებენ — ასეთი განაჩენის პრეცედენტი იტალიის საკასაციო სასამართლომ უკვე დაუშვა. მამაკაცს მეუღლის ღალატისთვის ჯარიმა დააკისრეს. შესაბამისად, მეუღლის ღალატი სამოქალაქო სამართალდარღვევად ჩაითვა და მოლაღატე მხარეს ჯარიმა დაეკისრა. მოსამართლეების აზრით, მოლაღატეს მეუღლისთვის სერიოზული ზიანის მოტანა შეუძლია: მაგალითად, ნერვული სისტემის დაზიანება. იურისტები საჩივრებს უკვე ელიან. მათი აზრით, ამ პრეცედენტის საფუძველზე უამრავი დაზარალებული იტალიელი შეეცდება, კომპენსაცია მიიღოს.



რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavispleba.ge



„რუსეთ-საქართველოს ომი ისეთივე მითოლოგიზებულია, როგორც ტროას ომი“

თომას დე ვალი: რუსეთ-საქართველოს ომი სამაჩაბლოში სულ რაღაც სამი წლის წინ მოხდა, მაგრამ ის უკვე ისეთივე მითოლოგიზებულია, როგორც ტროას ომი.

რუსეთის მხრიდან ბოლო ომის შემდგომი ზალბი სახელმწიფო კინოფონდიდან გაისმა, რომელმაც განაცხადა, რომ 250 მილიონ რუბლს (დაახლოებით 9 მილიონი დოლარი) ხარჯავს ახალი მძაფრსიუჟეტის ფილმის — „ავისტო 08“-ის გადაღებაზე. ეს აშკარა პასუხია იმ ჰოლივუდურ კინო-ვერსიაზე, რომელიც ამ კონფლიქტზე რენი ჰარლინმა გადაიღო და რომლის პრემიერაც გასულ თვეში ვაშინგტონში, ძალიან პატარა აუდიტორიის წინაშე გაიმართა. ქართული ფულით გადაღებული ჰარლინის ფილმის ვერსია ასეთია: რუსეთი საქართველოში შეიჭრა, დასავლეთში კი ეს ვერავინ შეამჩნია. მამაცი ჟურნალისტი და ლამაზი ქართველი

გოგონა მთელი ფილმის განმავლობაში ცდილობენ რუსი მკვლელებისგან თავის დაღწევას, რათა როგორმე მიანოდონ მსოფლიოს ის ძვირფასი კადრები, რომლებზეც ქორნილზე მოწყობილი ხოცვა-ჟლეტაა ასახული. ყველაზე თავხედური გზავნილი აქ ის არის, რომ დასავლური პრესა თითქოს დაინტერესებული იყო მოვლენების მხოლოდ რუსული ვერსიის გაშუქებით. ჩვენ ვხედავთ, რომ კონფლიქტის მიმდინარეობას მხოლოდ ხუთი დასავლელი ჟურნალისტი ამუშებს, ხოლო როდესაც ამ აურზაურისგან შეღავათი ჩვენი გმირი, ბოლოს და ბოლოს, თავის პროდიუსერთან დარეკვას ახერხებს, ეს უკანასკნელი მას ეუბნება, რომ მასალა საინტერესო არ არის (ამ ფონზე ისმის პუტინის ხმა, რომელიც CNN-ს ინტერვიუს აძლევს). არც ერთი სიტყვა ჯონ მაქკეინსა და მის ცნობილ ფრაზაზე — ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და დასავლური მედიის უმრავლესობაში ქართველების მასობრივ მხარდაჭერაზე.

უცნაურია, რომ ამ თემაზე გადაღებული რუსული ფილმის სიუჟეტი „ავისტოს ხუთი დღის“ ანალოგიურია, ოღონდ — სარკისებურად ასახული: ამერიკელი ენტომოლოგი (მტრისი, რომელიც შედარებით ორიგინალურია) სამხრეთ ოსეთში მიემგზავრება, სადაც იშვიათი ჯიშის პეპელა უნდა გადაიღოს, მაგრამ ამის ნაცვლად მისი კამერა აღბეჭდავს ამერიკელების მხარდაჭერით ქართველების ცხინვალში შეჭრის კადრებს. არადა, მთელი მსოფლიო დარწმუნებულია, რომ ომი რუსეთმა დაიწყო! მას და მის ამერიკელ მეგობარ გოგონას, ჟურნალისტს, მსოფლიოსთვის სიმართლის თქმა უნდათ. ისინი მთელი ფილმის განმავლობაში გაუბრბან ველურ ქართველ ჯარისკაცებს, რომლებიც მშვიდობიან



ოსებს ხოცავენ და ჩანანერის გადარჩენას ცდილობენ.

მსგავსება გამაოგნებელია, ბოროტების პერსონიფიკაციის ჩათვლით, რომელიც ერთგან სადისტი რუსი, მეორეგან კი ქართველი ჯარისკაცია. საინტერესოა, რომ რუსულ ფილმშიც მსოფლიოს სიმართლეს ამერიკელი აგებინებს, იმ ფონზეც კი, რომ მთლიანობაში ამერიკელები წარმოჩენილი არიან იმ ერად, რომელიც რუსეთთან ომს გეგმავს.

არც ერთი ფილმი ოდნავადაც კი არ გადმოსცემს იმ რთულ ნიუანსებს, რომლისგანაც ეს კონფლიქტი შედგება, რომლის დროსაც, ჩვენ როგორც უკვე ვიცით, შეტევა პირველად ქართველებმა დაიწყეს, რასაც რუსეთის სასტიკი საპასუხო დარტყმა მოჰყვა.

რეალობის ამსახველი კონკურენტი კინოვერსიები უდავოდ კარგი მასალა გახდებოდა ასპირანტი კულტუროლოგისთვის. ჩვენ კი ძველებურად ველოდებით, თუ როდის გაჩნდება 2008 წლის აგვისტოს მოვლენების ისეთი ვერსია, რომელიც ობიექტურად შეაფასებს პოლიტიკურ რეალიტებს, თუ რა მოხდა სინამდვილეში და პატივს მიაგებს კონფლიქტის ორივე მხარის მსხვერპლთა სსოვნას.

ავსტრალიის მოქალაქეების პასპორტში მისაღებ სქემის აღნიშნული გრაფა განიკადა

ავსტრალიის მოქალაქეებს უფლება აქვთ, თავი მესამე სქემის წარმომადგენლად მიიჩნიონ და ამის შესახებ მონაცემი პასპორტშიც შეიტანონ. მთავრობის გადაწყვეტილებით, მოქალაქეს პასპორტში მდებარეობითი ან მამრობითი სქემის გარდა, შეუძლია მესამე ვარიანტი — „გამოუცნობი“ ჩაწეროს, რომელიც დოკუმენტში ასო X-ით აღინიშნება. ამ გრაფის შესავსებად საკმარისია პიროვნების სურვილი და ექიმის ცნობა, რომ ამ ადამიანს სქესობრივი გადახრები აქვს. აღნიშნული ცვლილება ცხოვრებას გაუიოლებს იმ ადამიანებს, რომელთა გარეგნული ნიშნები და სურათი მის სქესს არ შეესაბამება. ავსტრალიის მოქალაქე ნორი მეი-უელბი პირველი იყო, ვის პასპორტშიც 2010 წელს სქესი — „გამოუცნობი“ ჩაიწერა. იგი ვაჟად დაიბადა, მოგვიანებით სქესის შესაცვლელად ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ბოლოს ექიმებმა, რომლებიც მეი-უელბის სქესზე ვერაფრით „შეთანხმდნენ“, მასზე „გამოუცნობის“ ცნობა გასცეს.



თალიზი

თმის გადანერგვის კლინიკა

თბილისი ქ. 27 ტელ: 214-15-15
www.talizi.ge

რუბრიკა მოამზადა ხათუნა პახტურიძემ გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები



კრემლის სასიფათო თაგაზი და მბრედად გადაქცეული ორთაჰიანი არწივი

რუსი ხალხის დიდი ნაწილი რუსეთის ფედერაციიდან კავკასიის ჩამოშორების მომხრეა. ინტერნეტგამოცემა — „ნოვი რეგიონის“ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების 73%-ისათვის, რუსეთის ფედერაციიდან ჩეჩნეთისა და დაღესტნის გასვლა მისაღებია, 2,38% ამას უკიდურეს ზომად მიიჩნევს, ხოლო 7,34% აზრით, დამოუკიდებელი კავკასია უფრო მეტ პრობლემას შექმნის; 14,11% დაღესტნისა და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის კატეგორიული წინააღმდეგია; მხოლოდ 3,1% ფიქრობს, რომ კავკასიელები რუსების ძმები არიან და მათ ერთად უნდა იცხოვრონ. რუსი ანალიტიკოსების აზრით, „ნოვი რეგიონის“ კვლევა რეალურ სურათს ასახავს — რუსები ჩივიან, რომ თავად შიმშილით კვდებიან და სამხრეთკავკასიურ პროექტებზე რუსეთის ბიუჯეტის ხარჯვას დანაშაულად მიიჩნევენ. რატომ გახდა ბოლო დროს რუსეთისგან კავკასიის ჩამოშორების იდეა აქტუალური და რამდენად იზიარებენ რუსი ხალხის პოზიციას კრემლში — ამის გარკვევას ექსპერტთან საერთაშორისო საკითხებში, სოსო ცინცაძესთან საუბრისას შევეცადე.

საიუნა პახტურიძე

— ბატონო სოსო, რით ახსნით რუსი ხალხის სურვილს — რუსეთის ფედერაციიდან კავკასია ჩამოშორებას?

— იმით, რომ ჩრდილო კავკასია რუსეთის კისერზე ჩამოკიდებული ნისკვილის მძიმე ქვაა. ჩრდილო კავკასიის შვიდივე სუბიექტი დოტაციური, საკუთარი თავის რჩენა არც ერთ მათგანს არ შეუძლია. რუსეთი ფიქრობს, რომ ჩეჩნებთან ომმა საკმაოდ ბევრი რუსის სიცოცხლე შეინირა; ახლა კიდევ ჩეჩნები მოდიან და თავად რუსეთში აწყობენ ტერორისტულ აქტებს. ამ ყველაფრის მიუხედავად, ისინი რუსეთის ბიუჯეტიდან ფინანსდებიან. ე.ი. რუსი ხალხის ფული კადროვის ჯიბეში მიდის, რომელიც საუდის არაბეთის მეფეზე მდიდრულად ცხოვრობს.

— ჩეჩნებს რატომ არ შეუძლიათ საკუთარი თავის რჩენა, მათ ხომ ნავთობი აქვთ?



კრემლი ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამოუკიდებლობას რამდენიმე მარტის გამო მიიჩნევს დაუშვებლად, ერთ-ერთი მიზეზი რელიგიაც გახლავთ

— კი, მაგრამ ეს იმდენად მცირეა, რომ რამზათ კადროვის ორი მანქანის საყიდლადაც არ იქნება საკმარისი. ასეა თუ ისე, ჩრდილოკავკასიელები რუსების ხარჯზე ცხოვრობენ, მაგრამ პრობლემებს გაუთავებლად ქმნიან. ერთადერთი რეგიონი, რომელიც რუსეთზე ჭიბითაა მიბმული და არანაირ პრობლემას არ ქმნის, ჩრდილო ოსეთია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რუს ხალხს, ბოლოს და ბოლოს, აღარ უნდა ეს პრობლემური კავკასია, მაგრამ ხელისუფლება სხვაგვარად ფიქრობს. კრემლი ჩეჩნეთისა და დაღესტნის დამოუკიდებლობას რამდენიმე მიზეზის გამო მიიჩნევს დაუშვებლად, ერთ-ერთი მიზეზი რელიგიაც გახლავთ. რეგიონში რადიკალური ისლამის საფრთხე მართლაც დიდია; იმის საშიშროებაც არსებობს, რომ რადიკალებმა თავად რუსეთში გადაინაცვლონ. შეგახსენებთ, რომ ამ ქვეყანაში 50 მილიონამდე მუსლიმანი ცხოვრობს. ასევე, ადვილი შესაძლებელია, რომ რადიკალურმა ისლამმა უზბეკეთსა და ტაჯიკეთშიც იმძლავროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ გარკვეულა სიტუაცია ავღანეთში. თალიბები საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არიან დამარცხებული. ხომ ნახეთ, რამხელა ტერორისტული აქტი მოაწვევს სულ რამდენიმე დღის წინ, ქაბულთან? ჩეჩნეთსა

და დაღესტანს რუსეთისგან გამოყოფის შემთხვევაში აუცილებლად დასჭირდებათ დონორები, XXI საუკუნეშიც ყაჩაღობით ხომ ვერ გაიტანენ თავს (შეგახსენებთ, რომ ეს ხალხი, XIX საუკუნემდე საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში ყაჩაღობით შოულობდნენ სარჩოს)? თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩეჩენ და დაღესტნელ მებრძოლებს ძირითადად საუდის არაბეთი აფინანსებს, ადვილი წარმოსადგენია, ვინ იქნება ჩეჩნეთისა და დაღესტნის დონორი, ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის შემთხვევაში.

— პუტინმა ჩეჩნეთისა და ზოგადად სამხრეთ კავკასიის რუსეთისგან დამოუკიდებლობის იდეა საჯაროდ მართლაც გააკრიტიკა და მისი არგუმენტაცია — რადიკალური ისლამთან დაკავშირებით საკმაოდ დამაჯერებელია, მაგრამ მაშინ რას მივანეროთ ის ფაქტი, რომ ანტიკავკასიური რიტორიკა და კავკასიელებისგან ჩაგრული რუსების თემა სწორედ ხელისუფლების სატელიტმა პოლიტიკოსებმა წამოიწიეს?

— ვის გულიცხმობთ?
— თუნდაც ჟირინოვსკის.
— ჟირინოვსკი ხომ სერიოზული გიჟია?!

— კი, მაგრამ ყველამ იცის, რომ რეალურად ის ხელისუფლების იდეების გამმზოვანებელია.

— ჟირინოვსკის 6 მილიონი თავისნაირი გიჟი (ამომრჩეველი) ჰყავს, რომლებსაც სხვა რუსების მსგავსად, კავკასიელები გულზე არ ეხატებათ. მათი მხარდაჭერის შესანარჩუნებლად, საჯაროდ რასაც გინდათ, იმას იტყვიან, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგეს და დუმაში კავკასიის საკითხთან დაკავშირებით კენჭისყრა მოენწყოს, ამ რეგიონის რუსეთის ფედერაციიდან ჩამოშორებას ხმას ნამდვილად არ მისცემს. ბოლო დროს, უამრავი პრობლემისაგან ყურადღების გადატანის მიზნით და ხალხის გულის მოსაგებად, რუსეთის ხელისუფლებამ საშინო თემით სპეკულაცია დაიწყო — შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ვითომ ხმამაღლა არ აღიარებს, თორემ ხალხის პოზიციას თავადაც იზიარებს. სინამდვილეში კრემლის ბინადართ ხალხის აზრი და პოზიცია არ აინტერესებს და არც კავკასიის გაშვებას აპირებს. მოსკოვმა კავკასიისადმი თავისი პოზიცია რომ შეცვალოს, მაშინ დღეს არ-



ქართული გეოგრაფიის მოგონებები

„სოხუმი 27 სექტემბერს ჰი არა, 16 სექტემბერს დაეცა“

სათუნა პასტურიძე

სოხუმის დაცემის დღიდან 18 წელი გავიდა. 1993 წლის 16 სექტემბერს აფხაზურმა მხარემ 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულება დაარღვია და სოხუმზე შტურმი განახორციელა. 11 დღიანი ბრძოლის შემდეგ აფხაზურ რუსულმა შენაერთებმა და ჩრდილოკავკასიელმა ბოევიკებმა სოხუმი აიღეს. 27 სექტემბერს აფხაზებმა აფხაზეთის მთავრობის 27 წევრი და მისი თავმჯდომარე — ყოფილი შარტავა მძევლად აიყვანეს და იმავე დღეს დახვრიტეს. შეგახსენებთ, აფხაზეთში საომარი მოქმედებები 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და 13 თვის და 13 დღის განმავლობაში გაგრძელდა. ქართველთა მხრიდან ამ ომში 10 ათასამდე მოქალაქე და ჯარისკაცი დაიღუპა, 300 ათასამდე ადამიანი კი დევნილად იქცა. შინაგანი ჯარის რეგითი მებრძოლი, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო ანონიმად დარჩენა არჩია, სოხუმის დაცემის საბედისწერო დღეს იხსენებს. ის ერთერთი მათგანია, ვინც ქალაქ 27 სექტემბერს დატოვა.

— სოხუმი 27 სექტემბერს კი არა, მე თუ მკითხავთ, 16 სექტემბერს დაეცა. როგორც კი შევარდნაძემ სოჭის ხელშეკრულების თანახმად, ქართულ არმიას შეიარაღება, მძიმე ტექნიკა ჩამოართვა და ფოთში გადაიყვანა, რუსეთის არმიის 345-ე საჰაერო-სადესანტო ბატალიონმა სოხუმზე შტურმი განახორციელა. ჰაერიდან, ზღვიდან, მიწიდან — ყველა მხრიდან გვიტყვედნენ. ჩემს ბატალიონს პოზიციები კოდორთან ჰქონდა გამაგრებული. 27 სექტემბერს ჩვენთან გენერალ გია გულუას ხალხი მოვიდა. მათ გვითხრეს,

— ჩვენთან ერთად უნდა წამოხვიდეთ, სოხუმის სატრანსპორტო პოლიციის დახმარება სჭირდებათ. 30 კაცი წაგვიყვანეს. მივედით თუ არა, სატრანსპორტო პოლიციის 100-კაციანი შემადგენლობა პოზიციიდან მოხსნეს და მართო დაგვტოვეს. ქუჩის ერთ მხარეს რუსები და აფხაზები იყვნენ, მეორე მხარეს — ჩვენ. 30 კაცი, აბა, რამდენ ხანს შევძლებდით პოზიციის გამაგრებას, მით უმეტეს, რომ შტაბთან კომუნიკაცია არ გვექონდა. ჰოდა, იქაურობა დავტოვეთ და პარალელურ ქუჩაზე გადავინაცვლეთ — იქაურობაც დაცლილი დაგვხვდა. მთელი უბანი ისე გავიარეთ, კაციშვილი არ დავგინახავს. ცოტა ხანს გენო ადამიას დაცარიელებულ შტაბში შევჩერდით, შემდეგ კი ისევ გზას დავადექით. ქალაქის გასასვლელში უამრავი ხალხი იყო, მხედრიონს გზა ჩაკეტილი ჰქონდა. ჩვენებს სოხუმიდან ვითომ იმ მოტივ-

სებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის კურსიდან რადიკალურად უნდა გადაუხვიოს — ხელი აიღოს პოსტ-საბჭოური სივრცის ექსპანსიზმზე (გერბს კი ბრჭყალებიანი და ორთავიანი არწივის ნაცვლად ერთთავიანი მტრედი უნდა დაახატოს). ეს კი უბრალოდ წარმოუდგენელია. რუსეთი პოლიტიკური კურსიდან გადახვევას რომ არ აპირებს, ამაზე 16 სექტემბერს სოჭში ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ კომპანიასა და „გაზპრომს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებაც მოწმობს.

რას გულისხმობთ?

— იმას, რომ ხელშეკრულების თანახმად, „სამხრეთის ნაკადს“ ახალი გაზსადენი შავი ზღვის ფსკერზე გაივლის და უკრაინის გვერდის ავლით, ევროპას 2015 წლისთვის, დამატებით 33 მილიარდ კუბმეტრ გაზს მიანავდის (რატომღაც „რუსთაფი 2“-მა და „იმედმა“ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა არ გააშუქეს). პუტინმა ამ ნაბიჯით ევროპაზე ზეწოლის ბერკეტი კიდევ უფრო გააძლიერა. 15 სექტემბერს (ხელშეკრულების გაფორმების წინაღობა) გამართულ საერთაშორისო ფორუმზე, ევროკავშირის კომისარმა ენერგეტიკის საკითხებში — ეტიენგერმა „ლაფი დაასხა“ „სამხრეთ ნაკადის“ პროექტს: პირდაპირ თქვა, რომ პროექტის ამოქმედების შემთხვევაში, რუსეთი მონოპოლისტი გახდებოდა და ხელს შეუშლიდა „ნაბუკოს“. ამის მიუხედავად, ფრანგულმა, გერმანულმა და იტალიურმა კომპანიებმა „გაზპრომს“ მაინც გაუფორმეს ხელშეკრულება. როგორ წარმოგიდგენიათ, რუსეთი, რომელიც ყველაფერს აკეთებს საკუთარი გავლენის გასაძლიერებლად, ჩრდილო კავკასიას შეეღვება?

თქვენი აზრით, შეძლებს რუსეთის ხელისუფლება კავკასიის თემით მანიპულირებისა და საკუთარ ხალხთან თამაშის შემდეგ წყლიდან მშრალად ამოსვლას?

— ვერ შეძლებს, ჩრდილო კავკასია დენთის კასრია, რომელიც კრემლის სულელური პოლიტიკის შედეგად, ადრე თუ გვიან, აუცილებლად აფეთქდება!

ასეთ შემთხვევაში საქართველო რა საფრთხის წინაშე აღმოჩნდება?

— ძნელი სათქმელია. შესაძლოა, მებრძოლების სატრანსპორტო დერეფნადაც გადავიქცეთ. საფრთხეებისგან არც ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანია დაზღვეული, თუმცა ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებული შევხვდებით ამ აფეთქებას.

▲ ცხრათმთიანი კუჩხის აბიტუშიონტაბისათვის
▲ ორჭლიანი კუჩხის მეთამთმეტიამასეაქაბისათვის

▲ ეროვნულ და საატესტატო გამოცდებზე მაქსიმალური შედეგი;
▲ სასწავლო დროის ოპტიმალურად განაწილება;
▲ პროფესიონალ პედაგოგთა გუნდი;
▲ მოტივირების ეფექტური სისტემა;
▲ კეთილგანწყობილი გარემო;

ჩვენი მიზანია აბიტურიენტი ჩაირიცხოს მისთვის სასურველ ფაკულტეტზე და მოიპოვოს სახელმწიფო დაფინანსება.

აიბეც აბიტუშიონტა ინტანსიური მოზაზაბის ცენტრი

აბიტურიენტებისათვის თითოეულ საგანში მეცადინეობები ტარდება კვირაში სამჯერ და მისი საფასური შეადგენს თვეში 110 ლარს. ორი. სამი და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლების სისტემა.

მეთერთმეტეკლასელებისათვის თითოეულ საგანში მეცადინეობები ტარდება კვირაში ორჯერ და მისი საფასური შეადგენს თვეში 90 ლარს. ორი. სამი და მეტი საგნის არჩევის შემთხვევაში მოქმედებს ფასდაკლების სისტემა.

სწავლა იწყება 29 სექტემბერს.

მისამართი: მარჯანიშვილის ფილიალი: ზ. ჭავჭავაძის 9 (ყოფილი შეროზიას ქ); ტელ: 251 43 80
საბურთალოს ფილიალი: ს. ჩიქოვანის 2 (ყოფილი ხილიანის ქ); ტელ: 8790 725 000
მობ: 599 725 000

www.center.ge



ით არ უშვებდნენ, — სამშობლო განსაცდელშია და სად გარბიხართო? თუ სამშობლოს დარდი ჰქონდათ, თავად რატომ იდგნენ იქ? შესულიყვნენ სოხუმში და ებრძოლათ... შევარდნაძის ჩამოსვლის ფაქტმა ძალიან გამაკვირვა, რადგანაც ყველა ის თვითმფრინავი, რომელიც სოხუმში მის ჩამოფრენამდე ცოტა ადრე ან გვიან გამოჩნდა, რუსებმა და აფხაზებმა ჩამოაგდეს; მხოლოდ პრეზიდენტი დაფრინავდა არხეინად. იმის მომსწრეც გახვდი, როგორ გაიწია ჯაბამ შევარდნაძისკენ...

რატომ გაიწია?

— იმიტომ, რომ მან ქართული არმია განაიარაღა. ვიდრე ეს მოხდებოდა, რუსების ზურგს ამოფარებული აფხაზები ერთი წელი გვებრძოდნენ, მაგრამ ვერაფერი დაგვკლეს... შევარდნაძის დანახვამ ქართველი მეომრები აღაშფოთა და ალბათ, ჩაქოლავდნენ კიდევ, ისევ ჯაბას რომ არ ემარჯვა და სამშვიდობოს არ გაუყვანა: ჩასვა თვითმფრინავში და თბილისში გამოუშვა...

გადარჩენილ ოთხ თანამებრძოლთან ერთად აგუძერაში გადავედი და დაჭრილების დასახმარებლად შემოსულ უკრაინელების სამხედრო გემს ფოთამდე გავყვე, იქიდან კი ადგილობრივმა მთავრობამ თბილისისკენ გამოგვამგზავრა. სენაკში ლოთი ქობალიას ხალხი დაგვხვდა. ვისაც ძვირად ღირებული ნივთი ან იარაღი ჰქონდა, დააყაჩაღებდნენ და არაფერი გაგვანაღდა, გვცემეს და ისე გამოგვიშვეს.

რატომ გცემეს?

— სოხუმი რატომ დატოვეთო... მხედარიონელების არ იყოს, თავდადებას სხვებისგან მოითხოვდნენ, თავად კი სოხუმის დასაცავად თითოც არ გაუნძრევიათ; უფრო მეტიც — დახმარების ნაცვლად, ხელს გვიშლიდნენ. მაგალითად, როდესაც გაირკვა, რომ რუსულ-აფხაზურმა მხარემ სოჭის ხელშეკრულება დაარღვია და შეტევა დაიწყო, ქართველებმა ფოთიდან მძიმე ტექნიკის გამოყვანა მოინდომეს, მაგრამ ქობალიამ გზა გადაკეტა. ერთ საგულისხმო ამბავსაც გავისვენებ: სოხუმი ჯერ კიდევ ჩვენ გვეკუთვნოდა, როდესაც შინაგანი ჯარის ადგილობრივ ხელმძღვანელს — კვარაცხელიას (მგონი, შოთა ერქვა) იარაღი ვთხოვეთ, მაგრამ არ მოგვცა; გვითხრა, — არ მაქვსო. არადა, ზუსტად ვიცოდით, იარაღიც ჰქონდა, ორი „ბემპეც“ ჰყავდა და რამდენიმე მანქანაც. სოხუმის დაცემის დღეს „ბემპეცები“ და მანქანები საკვები პროდუქტით დატვირთა და სვანეთისკენ წავიდა, ბაზა კი ჩვენს ანაბარად დატოვა. ცნობისათვის, როცა ეს კაცი თბილისში ჩამოვიდა, საბადრაგო პოლიციის მეთაურად დანიშნეს, მე და ჩემი მეგობრები კი, რომლებმაც მართლაც ბოლომდე ვებრძოლეთ, არავინ დაგვავსა...

სოხუმის დაცემის დღეს იხსენებს სამხედრო ექსპერტი, **გიორგი თავდგირიძე**, რომელიც ომში პირველი საარმიო კორპუსის დაზვერვის ბატალიონის მეთაური გახლდათ.

— სოხუმის დაცემამდე ჩემი სამხედრო ნაწილი ფოთში იდგა და იმ სამხედრო ტექნიკას კურირებდა, რომელიც სოჭის ხელშეკრულების თანახმად, აფხაზეთიდან გამოიყვანეს. როდესაც რუსებმა და აფხაზებმა ხელშეკრულება დაარღვიეს და სოხუმზე შეტევა დაიწყეს, ჩვენ სოხუმის დასაცავად წასვლა გვიბრძანეს; თვითმფრინავიც გამოგვიყვეს, მაგრამ როდესაც სენაკის აეროპორტში მივედით, იქ გაირკვა, რომ ქობალიას ხალხი ჩვენზე თავდასხმას გეგმავდა. შესაბამისი ზომები მივიღეთ და თვითმფრინავში მინც ჩავსხედით, მაგრამ გაფრენის ნებართვა აღარ მოგვცეს — გვითხრეს, რომ ადგილზე ზღვით უნდა ჩავსულიყავით. ტრანსპორტის ძებნაში ერთი დღე დავკარგეთ, შემდეგ კი სამოქალაქო კატარღით დავადექით გზას. ცოტა ხანში გაირკვა, რომ სოხუმის პორტი ვერ მიგვიღებდა და იმ დაჯგუფებას უნდა დაეხმარებოდით, რომელიც ოჩამჩირიდან ცდილობდა სოხუმისკენ გზის გახსნას. ვინაიდან ოჩამჩირეში საზღვაო ფლოტი არ იყო, იქ მოსახვედრად საკმაოდ ბევრი ვინაღვალეთ. ჩვენ რომ მივედით, ჭუმბურიძე, დათუაშვილი და კიდევ რამდენიმე გენერალი ახ-

ალდაბის ასაღებად ოპერაციას გეგმავდნენ. აფხაზებმა ახალდაბაში თავიანთი ძალების სრული კონცენტრაცია მოახდინეს და შესაბამისად, ჩვენმა დაჯგუფებამ სოხუმში განლაგებულ ქართულ ძალებთან დაკავშირება ვერ მოახერხა.

ოპერაციის წარუმატებლობის მიზეზი რა იყო?

— შეტევის წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ქართველი გენერალ-ტეტის უუნარობა გახლდათ. მათ ვერ შეძლეს ერთიანი ოპერატიული გეგმის განხორციელება, თორემ ბიჭებმა სამი დღის განმავლობაში, სამაგალითოდ იბრძოლეს. ყველა სამხედრო მოქმედება ზეპირი ბრძანების საფუძველზე, ცალკეული გენერლის ან მალაჩჩინოსანი სამხედროს პირადი გადაწყვეტილებით ხორციელდებოდა.

როგორ ფიქრობთ, არძინბამ და ელცინმა შევარდნაძე მართლა მოატყუეს?

— შევარდნაძეს თავისი პოლიტიკური მიზნები ჰქონდა და შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი იპოვა. მან იმდენი მოახერხა, რომ წაგებული ომიდან გაძლიერებული გამოვიდა — პოლიტიკური მოწინააღმდეგეებიც დაამარცხა და ძალაუფლებაც განიმტკიცა. გამორიცხულია, ასეთ პოლიტიკოსს არ ცუდნოდა, რომ რუსეთი შეთანხმებას დაარღვევდა... მაგრამ მთავარი დამნაშავე სამხედრო გენერალ-ტეტია, რომელმაც ფაქტობრივად, საბოლოო განახორციელა და არ იომა, ბრძოლის წარმოების ერთიანი სტრატეგია არ განსაზღვრა. საბრძოლო ოპერაციები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა. ის წარმატებები, რასაც ქართველები მთელი წლის განმავლობაში აღწევდნენ, რიგითი მეომრების ვაჟკაცობით იყო განპირობებული. ქართული გენერალ-ტეტი შედგებოდა ოფიცრებისგან, რომლებიც რუსულ არმიამ იყვნენ ნამსახურები და ვერ ვიტყვი, რომ ქვედანაყოფების მართვა ან ოპერაციების დაგეგმვა არ იცოდნენ, უბრალოდ — ამის სურვილი არ ჰქონდათ. შევარდნაძეს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ამ გენერლების ხელში ომის მოგებას მინც ვერ მოახერხებდა.

როგორ ფიქრობთ, კონკრეტული დამნაშავეების სახელებს როდის დაასახელებენ?

— მართალია, ამის გამოძიება ძალიან რთული იქნება, მაგრამ აუცილებელია, მარცხის მიზეზები დაადგინონ და დამნაშავეები დაასახელონ. ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ რა გააკეთა საკუთარი ქვეყნისთვის.



შევარდნაძის დანახვამ ქართველი მეომრები აღაშფოთა და ალბათ, ჩაქოლავდნენ კიდევ, ისევ ჯაბას რომ არ ემარჯვა



რას გადაურჩენ ფაქო და ამიკო



ნათია შივიძე

— როგორც ვიცი, საკმაოდ აქტიური ზაფხული გქონდათ. ჯერ ამერიკაში იმოგზაურეთ, მოგვიანებით კი — ერევანში...

— ნიუ-იორკში წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია გაიხსნა. ამის აღსანიშნავად კონცერტი ჩატარდა, რომელშიც „კომედი შოუ“ და ჯგუფი „შინი“ მონაწილეობდნენ. ამ გასტროლისთვის განსაკუთრებით მოვემზადეთ, რამდენიმე ახალი ხუმრობა მოვიფიქრეთ, ბევრი ძველი ხუმრობა ცოტა გადავაკეთეთ, იქაური მაცურებლისთვის უფრო საინტერესო რომ ყოფილიყო. სანახაობამ მართლაც წარმატებით ჩაიარა, რადგან კონცერტი სრული ანშლაგით ჩატარდა, მაცურებელმა კარგად მიგვიღო. რაც შეეხება ერევანს, „არმენია ტივიში“ არსებობს ასეთი სატელევიზიო პროექტი — „მიმინო“. სწორედ ამ გადაცემაში მიგვინვიეს. ერევანის 12-კაციანი გუნდს ვეჯიბრებოდით. იუმორისტებიდან მე, მიშა ანდლულაძე, ამიკო ჩოხარაძე, ფაქო და ვანო ჯავახიშვილი ვიყავით. ჩვენს მოწინააღმდეგე ერევნელებსაც საკმაოდ ცნობილი იუმორისტები ჰყავდათ. საბოლოო ჯამში მეგობრობამ გაიმარჯვა, რადგან 6 გადაცემა ჩვენ მოვიგეთ და 6 — მათ. ჯერ მუსიკალური შეჯიბრება იყო. ანრი ჯოხაძე და დუეტის „ჯორ-

ახალი სატელევიზიო სეზონი უკვე დაიწყო და მაცურებელიც მოუთმენლად ელოდება თავისი საყვარელი გადაცემისა და თუ სერიალის ხილვას. რასაკვირველია, ახალ სეზონზე განსაკუთრებულ ინტერესს იუმორისტთა გუნდი იწვევს. გადაწყვიტეთ, ერთმანეთის კონკურენტ ტელევიზიებს დაგვაუშვებოდა და გამეჩვენებოდა, თუ როდის დაიწყებდნენ ახალ სეზონს და რა სიხალეს შემოგვთავაზებდნენ. პირველ რიგში „ლამის შოუს სტუდიის“ მთავარ პროდიუსერს, ირაკლი კაკაბაძეს დავუკავშირდით. ის თურმე ახალ ფილმზე მუშაობს და გადაღებებზე კახეთში იმყოფება: დათო გოგიჩაიშვილს დაურეკე და ყველა შეკითხვაზე პასუხს ის გაგცემსო, — მითხრა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გოგიჩაიშვილის გუნდის წევრები სეზონის დაწყებამდე ჯერც ერთ ჩემს შეკითხვას ვერ უპასუხებენ; სეზონი კი თურმე ოქტომბრის პირველ რიცხვებში იწყება. ასე რომ, „იმედის“ იუმორისტულ გადაცემებზე ვერანაირი ინფორმაცია ვერ მოვიპოვე. სამაგიეროდ, „რუსთავი 2“-ის იუმორისტები მათზე ყოჩაღები აღმოჩნდნენ და უკვე ყველა გადაცემა გაუშვეს ეთერში. სწორედ ამიტომ, სასაუბროდ ჩემს ძველ მეგობარსა და „რუსთავის 2“-ის იუმორისტების „ბოსს“ — **ალექს მალაზიშვილს** სამსახურში ვენვიე და მიუხედავად მისი გამოუძინებელი და დაღლილი სახისა, რამდენიმე შეკითხვა მაინც დაუფსვი.

ჯია“ იქაურ „ანრი ჯოხაძესა“ და დუეტ „ჯორჯიას“ ეჯიბრებოდნენ, მერე სამზარეულოში მოსინჯეს ძალები. ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ის იყო, რომ ექვსი იუმორისტული ნომერი გექონდა წაღებული და თითქმის ექვსივე მოვიგეთ; თითქმის — იმიტომ, რომ ბოლოს ჩვენმა იქაურმა მეგობრებმა გვთხოვეს, იქნებ ერთი ქულით მაინც მოგვაგებინოთ, თორემ საქმე გვიფუჭდებოდა. რასაკვირველია, დავთანხმდით და პატივი ვეცით.

— თუნდაც ამერიკაში და თუნდაც ერევანში, რა კრიტიკიუმებით შეგარჩიეს მაინცდამაინც „კომედი შოუს“ ბიჭები, როცა საქართველოში სხვა კიდევ არაერთი იუმორისტია?

— პროდიუსერები ერევნიდანაც და ამერიკიდანაც თავად დამიკავშირდნენ და ამ ორივე პროექტში მონაწილეობა მთხოვეს. არ მივიტხავს, ჩვენზე რატომ გააკეთეთ არჩევანი, საქართველოში სხვა იუმორისტებიც ხომ არიან-მეთქი? ამისთვის ბოდიშს ვისხდი. მომავალში აუცილებლად ვკითხავ (იცინის).

— მიუხედავად ასეთი „ცხელი“ ზაფხულისა, ახალი სეზონი მაინც მალევე დაიწყო...

— მაინცდამაინც დატვირთული ზაფხული ნამდვილად არ გექონია, რადგან 20 დღე მაინც გამოგნახეთ დასასვენებლად. ახალი სეზონიც დასვენებულეზმა, ახალი შემართებით, მოლიმარი სახეებით დავიწყეთ. თქვენი ჟურნალის გამოსვლის დღეს, ჩვენი ყველა პროექტის პირველი გადაცემა უკვე გასული იქნება ეთერში, მაგრამ ვინც უკვე ნახავს, მათ გასაგონად ვიტყვი, თუ რა სიხალეები გვაქვს ახალ სეზონზე.

— საუბარი „ვანოს შოუთი“ დავიწყეთ.

— კი, ბატონო. ახლა მოდაშია სიტყვა „რებრედინგი“ და ამას მეც აქტიურად გამოვიყენებ. „ვანოს შოუში“ სწორედ რებრედინგი მოხდა — ახალი დეკორაცია გვაქვს, ახალი ქუდი, ახალი კოსტიუმები, ახალი მუსიკა და რა თქმა უნდა, ახალი ხუმრობები.

— ახალ რუბრიკებზე არ გიმუშავიათ?

— ახალი რუბრიკები გვაქვს, მა-

ქოლესტერინის საწოში ააპარატი **გლუკომეტრები**

54 ლარი **25-99 ლარი**

EasyTouch GC **175** **5.6**

CHOL **GLUCO-ADO X-PRO**

8:15 1:05 M.S.

შპს „კონტრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55



„დაჯექლილი“ დასავლეთ საქართველო და მწერებით დაზარალებული უხვოელი ტურისტები

ლალი პაპასკირი

უკვე სამ ათეულ წელზე მეტია, დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, გურია და იმერეთის მაღალმთიანი რაიონები) მავნე მწერი — „ამერიკული პეპელა“ (*Hyphantria cunea*) შეესია. ამერიკული ყველაფერი კარგია, პეპლის გარდაო, — ადგილობრივები ხუმრობენ და მწერს საკუთარი ძალებით გააფთრებით ებრძვიან. აღნიშნული პეპელა ბინადრობს ხეებზე, სახლებში — გამოსაზამთრებლად თბილ და საიმედო ადგილებს ეძებს... ის დათუნელების ოჯახს მიეკუთვნება და 200-ზე მეტი სახეობის მცენარეს აზიანებს, მთლიანად ჭამს ფოთოლს, ტოტებზე კი აბლაბუდის ქსელს აბამს. თითო მწერი სეზონზე 2 მილიონამდე კვერცხს დებს... ვისაც წელს დასავლეთ საქართველოში მოუწია ყოფნამ, „ამერიკული პეპლისგან“ გადააპნეტილი და დაქსელილი ხეები შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ადგილობრივების აზრით, ზაფხულის დასაწყისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში უცხოური აპარატურით, მცენარეების შენამავლად „ამერიკულ პეპლებს“ ვერაფერი დააკლო. აგვისტოს ბოლოს, მწერი სიმინდის ყანებსა და ბალახსაც შეესია და მოსახლეობა შემოსავლის გარეშე დარჩა.

ნანა ტანტაშია, ქალაქ ზუგდიდის მკვიდრი:

— შესანამლი აპარატით ჩვენთანაც მოვიდნენ; მისგან წარმოქმნილმა ნისლმა, ბოსტნამდეც ვერ მიაღწია (ჭიშკრიდან ბოსტნამდე 20 მეტრია), რადგანაც ძალიან ბევრია პეპელა. იმ აპარატისა და შესანამლის შესაძენად დახარჯული ფული მოსახლეობისთვის რომ დაერიგებინათ, უფრო ხარისხიანად შევებრძოლებოდით მავნებელს. ყველა თავის ეზოში არსებულ მცენარეებს შენამავდა. ამათ კი, უბრალოდ, მოვალეობა მოიხადეს.

— როგორც მითხრეს, შესანამლი ნვითიერება ავთიაქმიც იყიდება და მოსახლეობას საკარმიდამო ნაკვეთის შენამავლაც თვითონ შეუძლია.

— „ინსექტიცილ დეცისი“ ზუგდიდის ავთიაქებში მართლა იყიდება, ოღონდ, 1 ლიტრი 12 დოლარი ღირს. ამიტომაც მოსახლეობის უმეტესობამ მისი შექენა და მოსახეურების საფა-



სურის გადახდა ვერ შეძლო. **ჟორა ჭაბაძე, სოფელ განმუხურის მკვიდრი:**

— დამსვენებლებმა მავნებლის მატლები საძინებელშიც რომ ნახეს, მეორე დღესვე უკანმოუხედავად გაიქცნენ... სოფლის მოსახლეობა მზად არის, მომსახურების ფული გადაიხადოს, მაგრამ შესანამლი სამუშაოები ჯერაც არ ჩატარებულა... ტურისტებს ვინ ჩივის, მავნებელმა მოსახლეობას ჭირნახული გაუხადგურა. წელს ხეზე ხილი არ მოგვიკრეფია, ივნისის დასაწყისში ხეხილი მწერებმა გააფუჭეს და ნაყოფი დამნიფთამდე ჩამოცვივდა. განსაკუთრებული ზიანი სიმინდის ყანებსა და თხილის პლანტაციებს მიაღება...

მიხარისა წარწვიბა, ზუგდიდის მკვიდრი:

— სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოში ჩამოტანილი ნაქები აგრეგატი მალე მწყობრიდან გამოვიდა, რამაც შენამავლის პროცესი შეაჩერა. ისევ შიშველი ხელებით ვებრძვიტ „ამერიკულ პეპელას“, რაც ხეების დაავადებული ტოტების ჭრითა და დიზელით გაჯერებული ცეცხლმოკიდებული ტილოებით მავნებლების საბუდრების მოწვით გამოიხატება. სხვა საშუალება არ გვაქვს. პეპელა ისეთი ტემპით მრავლდება, რომ დამოუკიდებელი ძალებით ვერ ვუმკლავდებით.

ნელი ჯუჯაძე, სოფელ რუხის მკვიდრი:

— ჩვენი ხალხი ზარმაცობს, ყველაფერზე სახელმწიფოს შესცქერის ხელებში; საშუალება არ გვაქვს, მთავრობა დაგვეხმაროსო, — ამბობენ. აბა, პლაჟზე გადით და ნახეთ, რა ხდება — ყველა უცხოური მარკის ავტომანქანით არის ჩამოსული და ერთმანეთის ჯიბრზე, არაფერს იკლებს. ერთ დღეში შეიძლება, 100 ლარი დახარჯონ,

გრამ პირველ გადაცემაში არ გამოგვიყენებია, რადგან ეს იყო საიუბილეო გადაცემა — „ვანოს შოუ“ ნ წლის გახდა. აქედან გამომდინარე, მთლიანად საიუბილეო გადაცემა გამოვიდა. მომავალში კი ახალ-ახალ რუბრიკებს ნამდვილად დავამატებთ. ამაზე წინასწარ ნამდვილად ვერ ვილაპარაკებ.

— „ეთამაშე ვარსკვლავს“ თქვენი ერთ-ერთი ბოლო, მაგრამ უკვე პოპულარული გადაცემაა. როგორც ვიცი, ძალიან ბევრი ხალხი მოდის კასტინგზე.

— მართალი ხარ, წინა სეზონებთან შედარებით, თამაშის მსურველი სამეგრე და ოთხჯერ მეტია. ეს გადაცემა ჯერ კიდევ ახალია, ამიტომ თითქმის არაფერი შეგვიცვლია. ერთადერთი, ბოლო თამაში (ლუდის კატხების ბარზე გაცურება) „ფხრინებით“ ჩავანაცვლეთ. თუ გახსოვთ, ასეთი თამაში პირველ სეზონზე გვექონდა — ბატუტზე რომ ხტებიან და კედელს ეწებებიან... ვიდრე მკითხავ, ბარემ თვითონვე გეტყვი „თქვენს შოუზე“: ეს ისედაც ახალი გადაცემაა, მხოლოდ ორი თვის განმავლობაში გადიოდა ეთერში, ამიტომ აქ მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეგვიტანია. ისევე ის მონაწილეები იქნებიან. ამიკო და ფაქო გადარჩნენ, არ დაიმტვრნენ და მუშაობას ჩვეულებრივად განაგრძობდნენ.

— „კომედი შოუში“ ახალი მსახიობები ხომ არ მიგილიათ?

— არა, ისევე იმ შემადგენლობით გავა ეთერში. „კომედი შოუს“ ყველა გადაცემა ახალია, რადგან მუდმივად იცვლება დეკორაციები, პერსონაჟები და ა.შ. თითოეული გადაცემა მუსიკალურად უფრო დატივრთული იქნება. ახლაც ხომ ნახეთ, პირველი გადაცემა მუსიკალური კლიპით — „მე მიყვარს კომედი“ გაეხსენით.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, ფილმის გადაღებასაც გეგმავდით. ამ მხრივ ხომ არ არის რაიმე ცვლილება?

— ვგეგმავდით და კიდევაც ვგეგმავთ. ამ ყველაფერს კარგად უნდა მოვკიდოთ ხელი. წინსვლა, რასაკვირველია არის, მაგრამ იმ ეტაპზე ჯერ არ ვართ, რომ გადაღება დავიწყეთ. ჩვენთვის ჯერ ტელევიზიაა და მერე — სხვა დანარჩენი. ფილმის გადაღებას დიდი დრო სჭირდება, ჩვენ კი კვირაში ერთი დღე გვაქვს თავისუფალი, ისიც — ყველას არა.



მაგრამ მათთან 10 ლარზე რომ მივიდეს ვინმე, შესაძლებელი ნივთიერება უნდა ვიყიდოთ და ფულს ვაგროვებთო, ტირილს დაინყებენ, — სად გვაქვს მაგის ფული, სახელმწიფო რას გვიკეთებსო?.. დიახ, ხელისუფლება ვალდებულია, მაგრამ ცოტა ჩვენც უნდა გავანდრიოთ ხელი, შენამვლა კი არა, ზოგს ხის ტოტის მოჭრა და დანვა ეზარება.

ჯონი მიხველია, სოფელ განმუხურის გამგებელი:

— სურსათის უვნებლობის სამსახურმა, სანვაგზე მომუშავე აგრეგატი და წამალი დაგვიტოვა. გვითხრა, თუ მომსახურების ხარჯებს გაწვევით, აგინაზღაურებთო. მოსახლეობამ სოფელში საჭირო თანხის შეგროვება დაიწყო და ვისაც რამდენი შეეძლო, იმდენი დადო. როგორც აგვისსნეს, ადგილობრივ ბიუჯეტში ამისთვის თანხა არ იყო გამოყოფილი, ამიტომ არც თანხის ანაზღაურება მომხდარა და ვერც „ამერიკული პუბლიკა“ გავანადგურეთ.

ზურაბ ლიპარტი, სურსათის უვნებლობის სააგენტოს ხელმძღვანელი:

— „ამერიკული პუბლიკა“ შენამვლის

1-ელი ეტაპი, იენისში განხორციელდა და დაახლოებით, 7 ათას ჰექტარზე მეტი დავამუშავეთ — დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტი — ზუგდიდი (1680 ჰექტარი), ფოთი (400), სენაკი (280), აბაშა (1130), ხობი (1250) და მარტვილი (400). იმ პერიოდშივე შეინამლა აჭარაც.

— როგორ მოხდა შენამვლა ვერტმფრენით თუ მანქანებით?

— გვაქვს ამერიკული და იტალიური წარმოების „თერმული ნისლის“ აგრეგატები და ბიოლოგიური პრეპარატის გამოსაყენებლად აიროზოლური, ცივი შესასხურებლები. შენამვლის 1-ელი ეტაპი იენისში განხორციელდა, მაგრამ ეს თვე უზუნაღველიანი აღმოჩნდა და წვიმების გამო, შენამვლა არაეფექტიანი იყო. თან, ცივი ამინდები დაერთო და მწერების 1-ელი თაობის გამოჩეკა გახანგრძლივდა (ერთ სეზონზე ეს მავნებელი 5 თაობას იძლევა).

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (მაგენ ორგანიზმებსა და მცენარეთა დაცვის შესახებ), ფიზიკური

პირი ვალდებულია, თავის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებში საგარანტიო ღონისძიებები გაატაროს, მწერი რომ მეზობლად არ გავრცელდეს. ადრიან გაზაფხულზე, როგორც კი, ხეხილზე აბლაბუდებს შენიშნავს, ტოტები უნდა მოჭრას და ფოთლები გაანადგუროს, მაგრამ ამას არავინ აკეთებს. ჰგონიათ, რომ მათი ნაკვეთი სახელმწიფომ უნდა შენამვლოს. არადა, სახელმწიფოს მსოლოდ პარკების, სკვერების, სკოლების, გზების შენამვლა ევალება. შესაძლებელი ნივთიერება ყველასთვის ხელმისაწვდომია, ნებისმიერ რაიონში არსებობს პესტიციდების მაღაზიები. 2010 წელს, „საზოგადოებრივ მაუნციტებზე“ მთელი წლის განმავლობაში სარეკლამო კლიპები გადიოდა, სადაც ნაჩვენები იყო, როგორ უნდა ებრძოლონ ამ მავნებელს. დაგუქდეთ და 15000 ბუკლეტი დაფურცელეთ მოსახლეობას, სადაც ყველაფერი ზედმიწევნით იყო მითითებული. მავნე მწერებთან საბრძოლველად ბიუჯეტიდან 750 ათასი ლარი იყო გამოყოფილი.

— არადა, მოსახლეობა აცხადებს, რომ „ამერიკული პუბლიკა“ გასანადგურებლად, ადგილობრივი გამგებები მათ თანხის შეგროვებას სთხოვდნენ.

— რომელ რაიონში მოხდა მსგავსი შემთხვევა, დაგვიკავშირდნენ და გვითხრან. შესაძლოა, რომელიმე კერძო ორგანიზაციამ მიმართა ასეთი წინადადება. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ პროგრამა უსასყიდლოა... ჩვენ მოლაპარაკებას ვანარმოებთ ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიასთან, რომელიც შეგვირდა, გაისად საქართველოში, მეცნიერების მიერ სპეციალურად „ამერიკული პუბლიკა“ გასანადგურებლად გამოყვანილ ლემიჭამიას (მწერი) შემოვიყვანთო. ეს ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება.

— ალბათ ეს მწერიც თავისებური „უკუჩვენებით“ სასიამოვნოა.

— არა. ამაზე მეცნიერები მუშაობენ და ის მწვანე ფოთოლს არ ანადგურებს, მსოლოდ „ამერიკული პუბლიკა“ იკვებება.

პ.ს. გასულ წელს მავნებელმა სერიოზული ზიანი მიაყენა დასავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობას. გარემოსთან სწრაფი ადაპტაციისა და გავრცელების ტემპის მიხედვით, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ის აღმოსავლეთ საქართველოშიც გადმოინაცვლებს; ამიტომაც, მის წინააღმდეგ კომპლექსური ღონისძიებების გატარება აუცილებელია, რაც აგროტექნიკურ და მეცნიერულ, ბიოლოგიურ და ქიმიურ შენამვლას ითვალისწინებს. ■

**ინგლისური და რუსული ენების
შემსწავლელი ცენტრი
FutureWorld ბოთაპოტო:**

- ▶ ენების შესწავლა ჯგუფურად და ინდივიდუალურად!
- ▶ მოსამზადებელი ენები PET, FCE, CAE, CPE, IELTS, TOEFL.
- ▶ საბავშვო საერთაშორისო Helen O'Grady ინტენსიური ენის ცენტრი.
- ▶ საზაფხულო საერთაშორისო ბანაკები ეხიოვანში.
- ▶ აბიჯიანიანების მომზადება ეხიოვანში ბაზრებისათვის.
- ▶ სტუდენტური სტაჟის ბავშვებისათვის
- ▶ ენისდაცვა-ბავშვებისათვის ბაიკაბა შესაბამისი საერთაშორისო.

ჩვენი მისამართი:
თბილისი, საბურთალო,
მისაქვიჩის ქ. 17, ბ. 10
☎ 238-22-96, 599-53-61-96
www.futureworld.ge





საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციამ იაპონიიდან საჩუქრად სახელმძღვანელოები მიიღო, რომლებიც ქართველ მოსწავლეებს დაურიგდა. ამ კეთილი საქმის სულისჩამდგმელი იაპონია-ევრაზიის საზოგადოების პრეზიდენტი — ქალბატონი ეიკო არაკი გახლავთ...

ეთერ ჯორჯანაშვილი

კარლო ძველამძე, საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტი:

— უკვე 4 წელია, რაც ჩვენი ასოციაცია იაპონია-ევრაზიის ქვეყნების საზოგადოების წევრია. იაპონელებსა და ქართველებს ბევრ სფეროში (ძირითადად — კულტურას, ხელოვნებასა და განათლებაში) ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი გვაქვს. აგვისტოს მინურულს იაპონიიდან დელეგაცია ჩამოვიდა. სტუმრებს შორის კიოტოს ფედერაციის პრეზიდენტი და ოსაკას ფედერაციის პრეზიდენტის მოადგილე იყვნენ. საქართველოში მათი მოსალოდნელი ვიზიტის შესახებ რამდენიმე თვით ადრე მაცნობეს. ჯერ კიდევ 2 წლის წინ, იაპონია-ევრაზიის საზოგადოების ოსაკას ფედერაციის პრეზიდენტმა — ქალბატონმა ეიკო არაკიმ იაპონელი ბავშვების მიერ შესრულებული 90 ნახატი გამოგვიგზავნა, ჩვენ კი ქართველი ბავშვების ნამუშევრები გავუგზავნეთ. იაპონელი ბავშვების ნახატების გამოფენა თბილისსა და ბათუმში მოვანწყვეთ, ქართველი ბავშვების ნამუშევრები კი იაპონიის თითქმის ყველა პრეფექტურაში გამოფინეს; ბოლოს გადაწყვიტეს,

იაპონელის სარუქვაბი ქართველი ბავშვებისათვის



იაპონელებსა და ქართველებს ბევრ სფეროში ერთმანეთთან ხშირი კონტაქტი გვაქვს

არულოა, რომ ახალ-ახალ წიგნებს მიიღებენ. ცხადია, იაპონელებთან თანამშრომლობა ამით არ სრულდება — მუშაობას ვაგრძელებთ. დავწერე წიგნი საქართველო-იაპონიის ურთიერთობის შესახებ, რომელსაც მას მერე, რაც იაპონიიდან საჩუქრები მივიღეთ, მივანერე: „მამ, თუ მეგობრობაა, მეგობრობა იყოს!..“ ცოტა ხნის წინ საქართველო-იაპონიის ურთიერთობათა ასოციაციის ფილიალი ბათუმში გაცხსენით. ამ საქმეში ბატონი ელჩი — მასაიოში კამოჰარა დაგვეხმარა. გადავწყვიტეთ, აჭარის ფოლკლორული ანსამბლი გასტროლებზე გავგზავნოთ და იაპონელებს საქართველოს ამ კუთხის ხელოვნება, ტრადიციები გავაცნოთ... გვინდოდა, შარშან აჭარაში „ქართული სასწავლებლის“ ფილიალიც გახსნილიყო, სადაც ბავშვები იაპონურ და ჩეხურ ენებს ისწავლიდნენ (მოგესვენებათ, 40 წელიწადია, საქართველო-ჩეხეთის ურთიერთობათა ასოციაციის პრეზიდენტიც ვარ), მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა. ამ საქმეს უახლოეს მომავალში განვახორციელებთ...

ეთერ ჯორჯანაშვილი, „ქართული სასწავლებლის“ დამფუძნებელი და დირექტორი:

— სკოლაში დაახლოებით, 750 მოსწავლეა, მაგრამ იაპონურ ენას 100 ბავშვი სწავლობს. ამ ენის შესწავლას მეექვსე კლასიდან იწყებენ. მანამდე იაპონიის კულტურას, ხელოვნებას, ეთნოგრაფიას, გეოგრაფიას ეცნობიან — ანუ ენის შესასწავლად ემზადებიან. სწავლის ამ მეთოდის შედეგად, ბავშვები ისეთი მონდომებულები არიან, რომ თავად გვეკითხებიან ხოლმე, — ენის შესწავლას როდიდან დავიწყებთ?

— იაპონურ ენას როგორ ითვისებენ?

— ყველა ენა თავისებურად რთულია (სკოლაში დასავლეთევროპული ენებიც ისწავლება), მაგრამ იაპონური სულ სხვა ტიპისაა. იეროგლიფების დამახსოვრება იოლია იმ შემთხვევაში, თუ სწავლა ნამდვილად გასურს და მონდომებული ხარ...

რამდენიმე ნახატი ორგანიზაციის ოფისში გამოეფინათ და 2012 წლის დასაწყისამდე იქ დაეტოვებინათ — გვსურს, ნამუშევრების ცქერით ყოველდღე დავტკბეთო. ეიკო არაკიმ გადაწყვიტა, იმ ქართველი ბავშვებისთვის, ვინც იაპონური ენის შესწავლას ახლა იწყებს, სახელმძღვანელოები გამოეგზავნა. სკოლა — „ქართული სასწავლებელი“ საქართველოში პირველია, სადაც იაპონური ენა ისწავლება (უკვე 15 წელია). როცა შევიტყვე, რომ აქ მხოლოდ ენას კი არა, ხელოვნებას, კულტურასაც ასწავლიან, ეს სკოლა ჩვენი საზოგადოების კოლექტიური წევრი გახდა და მას შემდეგ ვთანამშრომლობთ, იაპონურ სკოლებთან ვკონტაქტობთ... გადავწყვიტე, იაპონელების მიერ საჩუქრად გამოგზავნილი წიგნები სწორედ „ქართული სასწავლებლისთვის“ გადავცა. იქ საოცარი გარემოა: თითქოს იაპონიაში ხართ, მოსწავლეები იაპონურენოვან სპექტაკლებს დგამენ... რამდენიმე ბავშვი იაპონიაში 3 თვით, ენის შესასწავლადაც გავგზავნე.

— ალბათ იაპონელების მიერ გამოგზავნილ სახელმძღვანელოებს უკვე გადახედეთ. როგორ შეფასებთ?

— როგორც ყოველთვის, საუკეთესოა იაპონიაში არც ერთ სფეროში, უხარისხო ნივთი არ არსებობს! როგორც წესი, სამუშაოს დაწყებამდე, მუშები ჩარხების წინ დგებიან და ფიცს დებენ: ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ უნაკლო პროდუქცია გამოუშვათო...

ქართველი ბავშვებისთვის სასიხ-



ქართველი ბავშვებისთვის სასიხარულოა, რომ ახალ-ახალ წიგნებს მიიღებენ



„პოპული“ 10 წლისაა

საზეიმო ღონისძიება, ტორტი და ფიერვერკი

45 მაღალია მთლი საკრთვლო მასბაბით, მოსახარების სხვალსხვა ფორმები, უაღლასი ხარისხის პროლაქსის ფართო არჩავანი, აქსალუნიარი ბრანდები, საუთარი სავალო ნიბანი და წარმოება – ეს „პოპული“, თქვანი, ჩვანი და ყვალას სავალო აქალი. „პოპული“ ლოგოს საკრთვლო ნებისმიარ ოჯახი ცნოან, რაც არსაბოხის 10 წლის ანავალობაში ალბათ ყვალახა დიდი მიღწავა.

16 სექტემბერს, ყველაზე მსხვილი სავაჭრო ქსელი საქარტველოში 10 წლის გახდა და საიუბილეო თარიღი კომპანიამ საზეიმოდ აღნიშნა. ღონისძიების სტუმრებმა კომპანიის სათავო ოფისში მოიყარეს თავი. „პოპული“ დაბადების დღეზე მონვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კომპანიის პარტნიორები, მასმედიის წარმომადგენლები და სავაჭრო ქსელის თანამშრომლები.

„პოპულის“ 10-წლიანი მუშაობის შედეგები კომპანიის გენერალურმა დირექტორმა თეოდორა ტიჩერიჩმა



ნური რესურსების მართვის დეპარტამენტის დირექტორი ნინო ადამაშვილი უძღვებოდა. სწორედ მან წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას კომპანიის საუკეთესო თანამშრომლები და დიპლომებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრებიც გადასცა. საღამოს მსვლელობისას „ჯეოსტარის“ მომღერლებმა რამდენიმე ცნობილი ჰიტი შეასრულეს, „პოპულის“ მალაზიათა ქსელის კონსულტანტებმა კი მოდების ჩვენება მოაწყვეს. ღონისძიების მიწურულს სტუმრებს „პოპულის“ 10 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საფირმო ტორტით გაუმასპინძლდნენ. დაბადების დღე გრანდიოზული ფიერვერკით დასრულდა.

„პოპულის“ პირველი მალაზია 2001 წელს გაიხსნა. ეს იყო პირველი სასურსათო და საყოფაცხოვრებო მალაზიათა ქსელი თბილისში. ამ ეტაპზე კი თბილისის გარდა, „პოპულის“ ქსელის სუპერმარკეტები ქუთაისში, სიღნაღსა და ბათუმში ემსახურება მომხმარებელს. ზოგადად, საქარტველოს მასშტაბით კი „პოპული“ 100000-მდე ოჯახს ემსახურება.

როგორც ამბობენ, „პოპული“ თქვენი ყოველდღიური არჩევანია, სადაც მომხმარებელს 24 საათის განმავლობაში ელიან!

R



შეაჯამა და სავაჭრო ქსელის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა.

„კომპანია „პოპული“ შედის გარდაქმნის პროცესში, სადაც სწორედ მომხმარებელი იქნება ყურადღების ცენტრში. ჩვენ ვაფართოვებთ ჩვენს ასორტიმენტს და განვიხილავთ ახალი ფასების პოლიტიკას. „პოპულის“ მენეჯმენტი უკვე ახორციელებს რიგ სიახლეებს, რომლის შედეგიც იქნება მომხმარებლის კმაყოფილების და გაყიდვების ზრდა. ოქტომბრისთვის იგეგმება არსებული მალაზიების კიდევ უფრო გადახალისება და განახლება, შოპინგი რომ უფრო სასიამოვნო პროცესი გახდეს ჩვენი მომხმარებლისთვის.

ამ 10 წლის განმავლობაში „პოპულის“ ბევრი ისეთი მიღწევა აქვს, რითაც შეუძლია, იამაყოს. მათ შორის ჩვენი სანარმო, რაც ზოგადად, დიდი იშვიათობაა საცალო ვაჭრობის სექტორში. ჩვენ უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ჩვენი მომხმარებლის წინაშე, ამიტომაც ყველა აუცილებელი პირობის დაცვით, მრავალი სახეობისა და ასორტიმენტის პროდუქციას ადგილობრივად, „პოპულის“ სანარმოში ვანარმოებთ. შემიძლია გითხრათ, რომ „პოპული“ დიდი გამარჯვებაა საქარტველოს ბაზარზე“, — აღნიშნა თეოდორა ტიჩერიჩმა.

„პოპულის“ საიუბილეო საღამოს, კომპანიის ადამია-





სამი ოჯახური კონფლიქტი მკვლევარობით დასრულდა

სამწუხაროდ, ოჯახის წევრებს შორის დანაშაული კამათი და უთანხმოება ხშირად მკვლევარობით სრულდება. არაერთი განსასჯელი წარმდგარა მართლმსაჯულების წინაშე უმძიმესი ბრალდებით. ასეთ სასამართლო სსდომებზე, როგორც წესი, მონაშენ დაკითხულ ახლობლებს ჩვენების მიცემა უჭირთ; ისინი დეტალებზე ლაპარაკს ყურნალისტიტთანაც გაურბიან, რადგან ორივე მხარეს მათი ოჯახის წევრი დგას. ალბათ, განსასჯელებისთვის გამოტანილ სასჯელზე მიმე მამის, ცოლის, ქმრის, შვილის ან ძმის მკვლელის სახელის ტარება იქნება.

ცოტა ხნის წინ სამი ოჯახური კონფლიქტი მკვლევარობით დასრულდა.

თაბ ხარსილავა

მამის მკვლელობა

ვარკეთილში მცხოვრებმა 33 წლის ზურაბ ცირეკიძემ საკუთარი მამა — არტემ ცირეკიძე მოკლა. მეზობლები ამბობენ, რომ მამა-შვილს შორის კამათს არასდროს შესწრებთან და არც იმ ლამით გაუგონიანთ ხმაური. ისინი მოკლულსაც და განსასჯელსაც დადებითად ახასიათებენ. მკვლევარობაში ბრალდებული ზურაბ ცირეკიძე დანაშაულს აღიარებს. ამბობს, რომ მამის მკვლევარობა წინასწარ დაგეგმა და იგი შურისძიების მოტივით, ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა.

ბრალდებულ ზურაბ ცირეკიძის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„მამა ეჭვიანობის ნიადაგზე მოკვალა. 100 პროცენტით ვიცოდი, რომ ჩემს პირველ მეუღლესთან დადიოდა და კავშირი ჰქონდა. არაერთხელ გავაფრთხილე, მაგრამ ისევ განაგრძობდა მასთან სიარულს. ხმები ისევ მომდიოდა, ამიტომ გადავწყვიტე

მომეკლა და მამაჩემზე შური ასე მეძია. ამაში ალექსანდრე გიგოლაშვილი უნდა დამხმარებოდა. წინასწარ, სამზარეულოდან ნაჯახი ავიღე და მისაღებ ოთახში, ტელევიზორის უკან შევიწახე. ვიცოდი, რომ ოთახში ყოველთვის იყო ელექტროკაბელი. იმ საღამოს მე და ალექსანდრე სახლში ავედი. კარი ღია იყო, პირველი მე შევედი. მამაჩემი ოთახში იჯდა და ტელევიზორს უყურებდა. ხმაზე იგი მისაღებ ოთახში გამოვიდა, უცებ „შური“ კისერზე შემოვასვი, ნავუჭირე, რომ დამეხრჩო, მაგრამ ასე ვერ დავახრჩვე, რადგან ვერ მოვერჩიე. ამის შემდეგ წინასწარ გამზადებული ნაჯახი ავიღე და მას თავში ორჯერ ჩავარტყი. როცა მამაჩემი ძირს დავარდა, ოთახიდან ცული და ყველაფერი ავიღე, ერთად შევახვიე და ბინიდან გავედი. მერე ის ნივთები მტკვარში გადავყარეთ“.

ზურაბ ცირეკიძესთან ერთად, მისი მეგობარი, 31 წლის ალბანელი ბიოლაშვილიც დააკავეს. იგი მკვლევარობის თვითმხილველია და დანაშაულის დაფარვაში ედება ბრალი.

გიგოლაშვილმა გამოძიებას ჩვენება უკვე მისცა (სტილი დაცულია):

„ლოტკინიდან მოვედი, მანქანა სადარბაზოსთან გავაჩერეთ. ზურაბ მითხრა, წამოდი, სახლში ამომყვით. სადარბაზოში რომ ავდიოდით, მაშინ მითხრა, მამაჩემი უნდა მოვკლაო. მამამისი ოთახში იჯდა; როცა შევედი, ლოჯიაში გავიდა, მგონი, წყლის დასალევადა. იმ ოთახში თეთრი კაბელი იდო. ზურაბ ცირეკიძემ ეს კაბელი აიღო, მამამისს მიუახლოვდა, სცადა კისერზე შემოეხვია და ისე დაეხრჩო. ეს არ გამოუვიდა, რადგან მამამისმა ხელი ჰკრა. მერე ზურაბ ნაჯახი აიღო და

რამდენჯერმე მამამისს თავში ჩაარტყა. ის ძირს რომ დავარდა, მივუახლოვდი და ზურას ვუთხარი, მე გავედი-მეთქი და გამოვედი ბინიდან. ზურამ მომაძახა, დამელოდე, მალე ჩამოვალო. აკრიბა ცული და ხელთათმანები და ისიც დაბლა ჩამოვიდა. მანქანაში ჩავვეცი და ნავედით რესტორან „კრწანისის“ მიმდებარე ტერიტორიაზე. იქ, მტკვარში გადავადო პარკი“.

შემთხვევის ადგილზე მისულ ძალოვნებს 58 წლის არტემ ცირეკიძე გარდაცვლილი დახვდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლევარობის მუხლით აღიძრა. დაკავებულებს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდათ. ექსპერტიზა ჩაუტარდა დასახიჩრებულ არტემ ცირეკიძის ცხედარს. უცნობია, რა ჩვენება მისცა გამოძიებას ბრალდებულის ყოფილმა ცოლმა, რომელიც დიდი ხანია, ცირეკიძესთან გაყრილი გახლდათ. მათ ერთი შვილი ჰყავთ. გავრცელებული ინფორმაციით, ყოფილ მამამთილთან სექსობრივ კავშირს ზურაბის პირველი ცოლი კატეგორიულად უარყოფს და ბრალდებულს ცილისწამებაში ადანაშაულებს. მხოლოდ იმას ადასტურებს, რომ არტემ ცირეკიძე მის ბინაში დადიოდა, ოღონდ — არა რძლის, არამედ შვილიშვილის სანახავად და ყოფილ რძალს მატერიალურად ეხმარებოდა, ბავშვის აღზრდაში საკუთარი წვლილი შეჰქონდა.

ალბათ, ბევრი რამ გამოძიებით გაირკვევა და სასამართლოზე გამოჩნდება, სინამდვილეში რა და რატომ მოხდა. ვნახოთ, რა ჩვენებას მისცემენ მხარეები პროცესზე.

მამა შვილი მოკლა

ეს დანაშაული ასპინძაში მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, მამა-შვილი მელიქიძეები ხშირად ჩხუბობდნენ, ერთ-ერთი ასეთი ჩხუბი კი მკვლევარობით დასრულდა. იმ დღეს ორივე მთვრალი იყო. მამამ 35 წლის შვილს, ვასილ მელიქიძეს დანით ჭრილობა მიაყენა. მართალია, მეზობლებმა სახლიდან კამათის ხმა გაიგონეს, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ, რადგან მათი ბინიდან ასეთი ხმაური ხშირად ესმოდათ.

მოგვიანებით, ქუჩაში დაჭრილი ვასილი შენიშნეს, რომელმაც დაჭრის რეალური მიზეზი დამალა და „სასწრაფო დახმარების“ გამოძახებაზეც უარი თქვა. ბიჭი სისხლისგან



მკვლევარობაში ბრალდებული ზურაბ ცირეკიძე დანაშაულს აღიარებს



ფირანგიზ ალიევა

იცლებოდა. ის საავადმყოფოში შემთხვევიდან 3 საათის შემდეგ მიიყვანეს. მან ექიმებსაც გაუწია წინააღმდეგობა და გადაუდებელი ოპერაციის გაკეთებაზე უარი უთხრა; ამბობდა, — სასიკვდილო არაფერი მჭირსო. ბოლოს, როგორც იქნა, დაითანხმეს, მაგრამ მდგომარეობა გართულდა და დაჭრილის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა — ვასილ მელიქიძეს გულის წინა და უკანა კედელი ჰქონდა დაზიანებული.

მართალია, შვილმა დამნაშავეს ვინაობა დამალა, მაგრამ ძალოვნებს ამ საქმის გახსნა არ გასჭირვებიათ — იური მელიქიძე მალევე დააკავეს და განზრახ მკვლელობის ბრალდება წაუყენეს. შვილის მკვლელობაში ბრალდებულს წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა. ჯერჯერობით უცნობია, რა ჩვენება მისცა მან გამოძიებას და მოტივად რა დაასახელა. გამოძიება გრძელდება.

სოლმა ქაჩი საყვარლის დახმარებით მოკლა

მარნეულში მცხოვრები რაფიკ ალიევი პირუტყვის სადგომში, თოვზე ჩამოკიდებული შვილმა და ახლობლებმა ნახეს. ამ დროს სახლში იყო მისი ცოლი, რომელიც მოვლენების განვითარებას თვალყურს შორიდან ადევნებდა; ალბათ ფიქრობდა, რომ დანაშაული შერჩებოდა და მისი წინასწარ შემუშავებული გეგმა გაამართლებდა, მაგრამ რაფიკის ცოლს მეუღლის თვითმკვლელობის იმიტაცია არ გამოუვიდა და ძალოვნებმა დამნაშავე მალევე ამხილეს. დაკავებულმა ფირანგიზ ალიევამ დანაშაული აღიარა და მკვლელობაში თანამონაწილედ მისივე საყვარელი, მეზობლად მცხოვრები ეკიბარ გოჯაევი დაასახელა. გამოძიებამ დაკავებულების ალიარებითი ჩვენებები გააყრცელა. ისინი ამბობენ, რომ ერთმანეთი ძალიან უყვარდათ და რაფიკ ალიევი ამიტომაც მოიშორეს თავიდან.

იმ დღეს რაფიკი სამსახურიდან დაღლილი დაბრუნდა, თავი საშინლად სტიკოდა და ცოლს ტყვიელ-

გამაყურებელი წამალი სთხოვა. ქალმა სიტუაციით ისარგებლა და ქმარს საძილე მედიკამენტები დააღვინა. როცა დარწმუნდა, რომ კაცს ღრმად ჩაეძინა, დამატებით ნემსიც გაუკეთა, მერე კი საყვარელს დაურევა და წინასწარ მოფიჭრებული გეგმის განხორციელებას შეუდგინა.

36 წლის ფირანგიზ ალიევას ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„მე და ეკიბარს ერთმანეთი შეგვიყვარდა და ხშირად ვხვდებოდით. ერთხელ ეკიბარმა მითხრა, რომ ჩემთან ერთად მშვიდად ცხოვრება სურდა და ქმრის თავიდან მოშორება შემომთავაზა. ვკითხე, როგორმეთქი? მითხრა, წამლები დააღვინეო. ამის შემდეგ აფთიაქში ძილის წამლები შევიძინე. პირველად ოპტიმალური დავაღვინე, მერე დამედროლი გაუფუკეთე და დაეძინა. ეკიბარმა დამირეკა, — მზად არისო? კი-მეთქი. ისიც მოვიდა. ხელში აიყვანა და ფანჯრიდან გადააგდო, მერე შევიყვანეთ პირუტყვის სადგომში, მისი ფეხები მე მეჭირა, ეკიბარმა კი თოვზე ჩამოკიდა.“

ცოტა განსხვავებულია ფირანგიზის საყვარლის ჩვენება. ის ამბობს, რომ მკვლელობის ინიციატორი მოკლულის ცოლი იყო და რომ სწორედ ქალმა შესთავაზა ქმრის მკვლელობაში დახმარება.

36 წლის ეკიბარ გოჯაევის ჩვენებიდან (სტილი დაცულია):

„2009 წელს გავიცანი ნარგიზი (იგივე ფირანგიზი. — ავტ.) ალიევა. ეს გოგო მომეწონა, ავუსხენი სიყვარული და ერთმანეთი შეგვიყვარდა. რამდენიმე ხანი ერთმანეთს ვხვდებოდით. თვეში 3-ჯერ, ხანდახან 5-ჯერ. ასე გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა. ბოლოს ნარგიზმა მითხრა, ჩემმა ქმარმა უკვე იცის ყველაფერი, ის ხელს გვიშლის და იქნებ მოვიშოროთ; მე ძილის წამალს მივცემ,

დაიძინებს და მერე შენ დამეხმარე, რომ ჩამოვკიდდეთო... იმ ღამით დამირეკა, წამალი უკვე მივეცი, მოდი, დამეხმარეო. მივედი, უკანა ფანჯრიდან გავიყვანეთ ბოსელში, იქ რომ შევიყვანეთ, თოვზე ჩამოვკიდეთ, მაგრამ თოკი გაწყდა და რაფიკი ძირს ჩამოვარდა. მეორედ ისევ ჩამოვკიდეთ და ვნახეთ, რომ გარდაიცვალა. ამის შემდეგ მე სახლში წავედი, ნარგიზი იქ დარჩა“.

ფირანგიზმა მოკლული ბოსელში დატოვა, თავად კი შინ შევიდა. როგორც მისი შვილი ამბობს, მოგვიანებით, ქალმა დედამთილს ჰკითხა, — ხომ არ იცი, ჩემი ქმარი სად არისო? ამის შემდეგ ყველანი ერთად ეძებდნენ რაფიკ ალიევს, ბოლოს კი ჩამომხრჩვალა იპოვეს. მოკლულს ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტის დასკვნით, რაფიკ ალიევის სისხლში დიდი რაოდენობით საძილე საშუალებები აღმოჩნდა.

ვაქტზე სისხლის სამართლის საქმე 109-ე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. მიმდინარეობს გამოძიება.

ც ვ ე კ ა ტ ი ბ ი

თბილისის მერიის, ეროვნული სპრინგ სენტრის და კოპანის კოფაან ლა როპის ხელშეწყობით მიმდინარეობს სპრინგის პროგრამა, რომლის მიზანს ისახავს C კვაპატის ვირუსით ინფიცირებული პაციენტების გამოვლენას სწრაფი ტესტის მეშვეობით.

გამოკვლევა უფასოა და ტარდება ეროვნულ სპრინგ სენტრში
მის: თბილისი, ნარატის გამზირი 69, ტელ: 2140093

ტესტის ჩატარება შეუძლია 20-55 წლის ასაკის ყველა მსურველს. C კვაპატის ბაღსავე ხდება ინფიცირებულ სისხლთან ან სხვა ბიოლოგიურ სითხეებთან კონტაქტის დროს.

ვირუსით ინფიცირების შეასაქლო გზები:

- ინფიცირებული სისხლის ან მისი პროდუქტების ბალსება;
- სულად გასტარილებული ინსტრუმენტების (როგორც სამედიცინო, ასევე არა სამედიცინო) გამოყენება, მათ შორის ინტრავენური ნარკოტიკების მოხმარებისას;
- სამედიცინო ნაწილის შემთხვევითი ჩხვლა;
- სტომატოლოგიური მანიპულაციები;
- სააბაჯანო აქსესუარების საზიარო გამოყენება;
- მრავალ შემთხვევაში ბალსების გზა უსწობია;

დროულად ჩიბარათ გამოკვლევა და დაისავით ღვიძლი მძიმე ვირუსული დაზიანებისაგან!



გამოკვლევის შედეგი კოფიდენსიალურია.





სახე

ნათია ჰივიძე

— როგორ გაატარე ზაფხული და სად დაისვენე?

— სამწუხაროდ, გასულ ზაფხულს დასვენება ვერ მოვახერხე, რადგან ახალ ალბომზე ვმუშაობდი, რომელიც თითქმის დასრულებულია. სიმართლე გითხრათ, ამ საქმემ სულაც არ დამალა, პირიქით — მიხარია, რომ ჩემი მსმენელისთვის ვმუშაობ. ნებისმიერი ხელოვანისთვის მთავარია ის აკეთოს, რაც უყვარს, მე კი სიმღერაზე მეტად მერწმუნეთ, არაფერი მიყვარს. რაც შეეხება ჩემს ახალ სიმღერებს, ერთ-ერთი მათგანი თინათინ ჯაფარიძემ დამინერა. გარდა ამისა, აქტიურად ვთანამშრომლობ გიგა კვენეტაძესთან. ის შესანიშნავი კომპოზიტორია და ჩემთვის ძალიან კარგი სიმღერა შექმნა...

— ეს სიმღერა ალბათ, ძალიან სევდიანაა გიგას საქართველოში „მტრალა მომღერალს“ ეძახდნენ.

— ამაში ვერ დაგეთანხმებით. ჯერ ერთი, სევდა ყველა ადამიანს აქვს და თან, სევდა სიმღერასა თუ ლექსსაც

დიანა ღურწკაიას წარმატების ფორმულა

„ჩემი სამოთხეო და ხალხი მინებრება“

სამწუხაროდ, არაერთი ნიჭიერი ქართველი ხელოვანი საკუთარი ქვეყნიდან მიდის და კარიერის აწყობას უცხო ქვეყანაში ცდილობს. ბევრი მათგანი დიდ წარმატებასაც აღწევს და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს. მხოლოდ რუსეთში ბევრი ისეთი ქართველი მომღერალია, რომლებსაც იქაური შოუბიზნესის წარმომადგენლებიცა და მაყურებელიც დიდ პატივს სცემს. გადავწყვიტეთ, ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულე, დიანა ღურწკაია მოგვეკითხა, რომელიც ამჟამად საკმაოდ საპასუხისმგებლო და საინტერესო ფესტივალისთვის ემზადება. დიანას მოსკოვში ტელეფონით დავუკავშირდით.

უხდება, მეორეც — გიგამ ძალიან რიტმული და საცეკვაო სიმღერა დამინერა. მგონია, რომ მსმენელს მოეწონება. ქართველებმა კახა ზუბუკელაშვილის სიმღერა უკვე მოისმინეს. ახლახან მაიკო კაჭკაჭიშვილმაც გამომიგზავნა არაჩვეულებრივი კომპოზიცია, რომლის ჩანერა ჯერჯერობით, ვერ მოვახერხე... საერთოდ, ქართულ სიმღერას განსაკუთრებული სასოებით ვეკიდები. ვიდრე ახალ სიმღერაზე ვმუშაობას დავიწყებ, ძალიან ბევრს ვფიქრობ ხოლმე...

— ალბათ სწორედ ეს არის შენი წარმატების ფორმულაც.

— ვერ ვიტყვი, რომ ძალიან წარმატებული და პოპულარული ვარ — ეს უხერხულიც იქნება. სათქმელს ალბათ, მაყურებელი იტყვის — თუ ჩემი რეპერტუარი მოეწონებათ, ამას დიდი სიყვარულით, სიტბოთი გამოხატავენ... ჩემი ოცნებაა, ქართველ ხალხს ვუმღერო და სამშობლოში სოლო კონცერტი გავმართო, რომლის შემდეგობითაც თანამემამ-

ულეებს მივეფერები. საქართველოში გასულ წელს ვიყავი და ერთ-ერთ კონცერტში ვმონაწილეობდი. ამ კონცერტმა დაუვინყარი ემოციები დამიტოვა. მაშინ მაყურებელს ვუთხარი: მე დავბრუნდი და თქვენთან ვარ! მინდა, ჩემს ხალხს ეს სიტყვები კიდევ ერთხელ გავუთქორო.

— დიანა, რუსეთ-საქართველოს შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის გამო, რომელიმე კონცერტზე ვინმეს ხომ არ დაუბლოკისარ? რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, რამდენიმე რუსმა ჟურნალისტმა გაგაკრიტიკა...

— კრიტიკის უფლება აბსოლუტურად ყველას აქვს. შესაძლოა, ზოგმა ეს პოლიტიკური შეხედულებების გამო გააკეთოს, ზოგს კი უბრალოდ, ჩემი შემოქმედება არ მოსწონდა. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების გამო დიდ ბარიერს წამდვილად არ წავწყდომივარ, მაგრამ პატარა-პატარა პრობლემები მეც შემექმნა. რას ვიზამთ, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია...

— მიუხედავად შენი ეროვნებისა, რუს ხალხს უყვარხარ.

— რასაკვირველია, ვუყვარვარ და ამით ბედნიერი ვარ. მიხარია ისიც, რომ ჩემს კონცერტს აბსოლუტურად ყველა ასაკის მაყურებელი ესწრება. პატარა ბავშვები მშობლებთან ან



ნებისმიერი ხელოვანისთვის მთავარია ის აკეთოს, რაც უყვარს, მე კი სიმღერაზე მეტად მერწმუნეთ, არაფერი მიყვარს



ბებია-ბაბუებთან ერთად მსტუმრობენ ხოლმე. საერთოდ, ვცდილობ, რომ როგორც ქართველი ქალი და დედა, ცოტა თავდაჭერილი, სუფთა ვიყო. ვერაფრით წარმომიდგენია, სცენაზე გახდილი რომ გავვარდე და იქ საშინელებები ვაკეთო...

— გიგა კვენეტაძეთან საქმიანი ურთიერთობის გარდა, მეგობრობაც ხომ არ გაკავშირებს? და კიდევ, მოსკოვში მცხოვრებ სხვა რომელ ქართველთან გაქვს კონტაქტი?

— გიგა კვენეტაძე მართლა კარგი ბიჭია და მასთან ვმეგობრობ კიდევ. ამდენი წელია, ორივე მოსკოვში ვართ და ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ აქამდე მისი სიმღერა არ მიმღერია. ერთხელაც, როცა ახალ სიმღერაზე ვმუშაობდით, მითხრა, — ჩემი კომპოზიცია უნდა მოგასმენინოო. ის სიმღერა ისე მომეწონა, რომ მისი ჩანერა მაშინვე გადავწყვიტე. არაჩვეულებრივი ურთიერთობა მაქვს დათო ხუჯაძესთან, სოსო პავლიაშვილთან, თამარ გვერდნითელთან.

— შენს პატარა ბიჭუნაზეც ვისაუბროთ. კონსტანტინე რამდენი წლისაა?

— უკვე 4 წლისაა. მადლობა უფალს, ბავშვი აბსოლუტურად ჯანმრთელია. აქამდე კონსტანტინეს ძიძა ჰყავდა, რომელიც ოჯახური პირობების გამო, ჩვენგან წავიდა. ახალი ძიძის მოყვანას ვარჩიე, საბავშვო ბაღში გამეშვა.

— კონსტანტინეც ხომ არ მღერის?

— „ვარსკვლავებიჭუნას“ ნამდვილად არ ვზრდი. მინდა, პირველ რიგში, კარგი ადამიანი იყოს. მნიშვნელობა არა აქვს, ის მომღერალი იქნება თუ — იურისტი. მამაჩემს ძალიან უნდოდა, ფილოლოგი გამოვსულიყავი, ამაზე ოცნებობდა, მაგრამ მე მსურდა, თავი სიმღერისთვის მიმეძღვნა და ასეც მოვიქეცი. ჰოდა, ახლა კონსტანტინეს არაფერს ვაძალებ... სამაგიეროდ, ჩემი ძმის, რობერტის შვილი — სანდრო მღერის არაჩვეულებრივად. ის და კონსტანტინე თანატოლები არიან... დიდი სურვილი მაქვს, შვილი ქართულ ცეკვებზე ვატარო და ამ ოცნებას მომავალ წელს, აუცილებლად ავიხდენ.

— კონსტანტინე ქართული ენა იცის?

— რასაკვირველია. მას მამა რუსი ჰყავს, ძიძაც რუსი ჰყავდა და ბაღშიც ამ ენაზე უხდება ლაპარაკი, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, ქართულად მე ველაპარაკო.



„ვარსკვლავებიჭუნას“ ნამდვილად არ ვზრდი. მინდა, პირველ რიგში, კარგი ადამიანი იყოს

— უახლოეს გეგმებზე რას გეგმავ?

— 17 ოქტომბერს გაიმართება ფესტივალი „თეთრი ჯოხი“, რომელიც უსინათლო ბავშვებს მიეძღვნებათ. ეს ფესტივალი წელს უკვე მეორედ ჩატარდება. ვცდილობ, უსინათლო, დამწყებ მომღერალ ბავშვებს წინსვლაში შევეწყო ხელი. როცა სიმღერა დავინწყე, არავის სჯეროდა, რომ რაიმე გამოვივიდოდა, რაშეს თუ მივალწევდი, მხოლოდ ჩემი ძმა დამიდგა გვერდით. რასაკვირველია, ქალბატონი ირმა სოხაძის სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ და ყოველთვის ხმამაღლა ვიტყვი, რომ პირველმა მან გამიყვანა სცენაზე. ირმას მერე კი ჩემს შესაძლებლობებში მხოლოდ რობერტი იყო დარწმუნებული. მოგვიანებით კი დახმარების ხელი არაჩვეულებრივმა კომპოზიტორმა, იგორ ნიკოლაევამაც გამომიწოდა. მაშინ გული მწყდებოდა, რომ ჩემი არავის სჯეროდა, მაგრამ ახლა ასე აღარ ვფიქრობ — არ არის გასაკვირი, რომ უსინათლო პატარა გოგონას წარმატება არავინ დაიჯეროს. ჰოდა, სწორედ ამის გამო მინდა, პატარებს დავეხმარო. ჩვენს ფესტივალს სხვადასხვა ეროვნების ბავშვები სტუმრობენ. რასაკვირველია, მათ შორის, ქართველი დებიუტანტებიც არიან. შარშან აქ იყვნენ თამუნა ცალქალამანიძე, გიორგი ბასილაშვილი და ბაჩო (სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს), რომლებმაც თეონა ქუმსიაშვილის სიმღერა სამ ხმაში ისეთ დონეზე შეასრულეს, რომ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ისე უკრავდა ტაშს. სამწუხაროდ, შარშანდელი ფესტივალი ისეთი მასშტაბური არ ყოფილა. წელს უფრო მობილიზებული ვართ, ტელ-

ეგადალება იქნება. წლეწადელ ფესტივალზე ბავშვები ცნობილ მომღერლებთან ერთად, დუეტს შეასრულებენ. ვიცი, რომ ეს თითოეული მათგანის ოცნებაა და მე მათ ამ ოცნებას ავუხდენ. მათზე რომ ვფიქრობ, საკუთარი თავი მახსენდება — ირმა სოხაძის გვერდით რომ ვიდევნი და ვმღეროდი, თავი სიზმარში მეგონა... ქართველების გარდა, ფესტივალს გერმანელი, უკრაინელი, ბელორუსი და მოლდაველი ბავშვებიც ეწვევიან. მოკლედ, 17 ოქტომბრისთვის ვეშადები და დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წარმატებით დასრულდება.

— ეს ყველაფერი მართლა ძალიან კარგია, მაგრამ მაინტერესებს, საქართველოში ჩამოსვლას თუ გეგმავ?

— როცა დამიძახებენ, მაშინ ჩამოვალ. თითქმის ყოველ ზაფხულს საქართველოში ვისვენებ. ძალიან მიყვარს ქობულეთი და მას ყოველ წელს ვსტუმრობ. გული დამწყდა, წელს რომ ვერ ჩავედი, მაგრამ ამ ფესტივალისა და ახალი სიმღერების გამო, საკუთარ სიამოვნებაზე უარის თქმა ნამდვილად ღირდა... თუმცა, ახლა რაღაც მაკლია, ჩემი სამშობლო და ხალხი მენატრება, მაგრამ არა უშავს, მომავალ ზაფხულს საქართველოს აუცილებლად ვწვევი... შენ და ჟურნალ „გზის“ რედაქციას კი დიდ მადლობას გიხდით, რომ გახსოვართ და მიკავშირდებით ხოლმე... ■



თითქმის ყოველ ზაფხულს საქართველოში ვისვენებ. ძალიან მიყვარს ქობულეთი და მას ყოველ წელს ვსტუმრობ



ნინო ჩხეიძის ექსპერიმენტი

„ვარ ვიბან, როცა უმოქმედოდ ვარ“

„მუშაობით დასვენებული“ ნინო ჩხეიძე კაბუსთან ერთად ჩანერილ სიმღერაზე — „ტანგო“ — მალე ახალ კლიპს შემოგვთავაზებს. აღნიშნავს, რომ რეპერთან ეს დუეტიც მისი მოუსვენარი ბუნების ბრალია, მაგრამ ჩვეული სტილის სიმღერებს არ უღალატებს...

ათო ყორღანაშვილი

— რეპერებთან უკვე მესამე დუეტი ჩანერე. ეს მუსიკალური მიმართულება მოგწონს?

— მომწონს, როცა ახალ ამბულაში ვარ. ექსპერიმენტები მიყვარს! ვფიქრობ, ლექს-სენთან ჩემი დუეტი წარმატებული იყო, რადგან ხალხმა შეიყვარა. რაც შეეხება კაბუს, ეს ადამიანი ბავშვობიდან მიყვარს, რადგან ძალიან ნიჭიერია. მისი ხმის ტემბრი მომწონს — „დამჯდარი“, ხავერდოვანია... მიმაჩნია, რომ კაბუ ტექსტს მხატვრულად კითხულობს. როცა კლიპის კადრები ვნახე, მის ნიჭიერებაში უფრო მეტად დავრწმუნდი. ნამდვილად კარგი არჩე-

ვანი გავაკეთე.

— ანუ დუეტის ჩანერა შენი ინიციატივა იყო?

— კი, სიმღერაში თბილი „რეჩიტატივი“ მჭირდებოდა.

— თქვენი სიმღერა რეპის ჟანრს მიეკუთვნება?

— არა, მთლად რეპიც არაა.

— აბა, რა ჟანრია?

— ვერ გეტყვი (იცინის).

— ის მაინც გვითხარი, რა თემაზე მღერით?

— რა თქმა უნდა, სიყვარულზე.

— ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში აღნიშნეს, — ამ კლიპში მაყურებელი ნინო ჩხეიძის ქორეოგრაფიულ შესაძლებლობებს პირველად იხილავს.

— რატომ — პირველად? ახალი წლის დღესასწაულებზე სცენაზე ცეკვა ხშირად მიხდებოდა... კლიპის გადაღებამდე ტანგოს ილეთები ვისწავლე. შემეძლო, უკეთესადაც მოვმზადებულყავი, მაგრამ ამისთვის დრო არ მქონდა. ჩემი ქორეოგრაფი უნიჭიერესი ადამიანი — გიორგი ტორიაშვილი გახლავთ. ის „ვერნისაჟის“ მოცეკვავეა (სოლისტია).

— შენთან ერთად კაბუ რატომ არ ემზადებოდა? ცეკვის ხელოვნებას კარგად ფლობს?

— კლიპში ჩემი პარტნიორი მოცეკვავე ბიჭია, კაბუ კი ჩემზე შეყვარებული მეორე მამაკაცი გახლავთ.

— ერთხელ აღნიშნე: როცა სხვა ჟანრში მუშაობა დაიწყე, ვგრძნობდი, ჩემს სახეს, მსმენელებს ვკარგავდიო. თითქოს ახლა ისევ ჩვეული სტილისგან თავის დაღწევას ცდილობ...
— არა, ამას არ ცვდილობ და ეს არც არასოდეს



ჩემი პარტნიორი მოცეკვავე ბიჭია, კაბუ კი ჩემზე შეყვარებული მეორე მამაკაცი გახლავთ

მიცდია. შეიძლება ადამიანმა მთელი ცხოვრების მანძილზე სიმღერები წეროს, მაგრამ თავისი „ნიშა“ არ ჰქონდეს — გამუდმებით ვილაცას ჰბაძავდეს. ეს საშინელებაა. ვფიქრობ, მე საკუთარი „მე“ მაქვს და ამით ძალიან ბედნიერი ვარ. ჩვეულ სტილს არასოდეს უღალატებ! სხვადასხვა ჟანრის სიმღერას რომ ვწერ, ეს ჩემი მოუსვენრობის ბრალია. ვცდილობ, მრავალფეროვანი რეპერტუარი მქონდეს. ახლა დავასრულე მეშვიდე ალბომზე მუშაობა. მასში ყველა სტილის სიმღერაა შესული. ერთი დუეტი აფროამერიკელთანაც მაქვს შესრულებული. ის ბიჭი მოსკოვში მოღვაწეობს და ერთ-ერთ ჩემს სიმღერაში ინგლისურად რეპავს.

— მოკლედ, ზაფხულში აქტიურად გიმუშავია.

— წელიწადის ამ დროს მუშაობა მიყვარს — ბევრი დრო მაქვს: ახალი ტელეგადაცემები არაა, ინტერვიუები არ მაქვს, მეგობრები ქალაქგარეთ არიან... ივლისის დასაწყისში 3 დღით იტალიაში ვიყავი, მერე ცოტა ხნით — პარიზში. ფაქტობრივად, მთელი ივლი-



სი და აგვისტო მუშაობაში გავატარე.

— დასვენებას არ აპირებ?

— სიმართლე გითხრა, დასვენება არ მიყვარს: ვერ ვიტან, როცა უმოქმედოდ ვარ. მაშინ ვისვენებ, როცა ვმუშაობ...

— ამბობენ, — ეკრანს ნამზეური უხდებაო, შენ კი გარუჯული არ ხარ...

— ნამზეური არ მიყვარს, თან — კანს აბერებს. მზისგულზე წოლას, სოლარიუმს ვერიდები. როცა კლიპისთვის გარუჯული სხეულია საჭირო, ძირითადად, ავტორუჯს ვიყენებ...

— ხშირად გაკრიტიკებენ, — ცნობილი ბრენდების სამოსის ტარების მიუხედავად, ნინო ჩხეიძე ბომონდური საზოგადოების წევრი ვერ გახდებაო...

— არც მაქვს პრეტენზია, რომ ბომონდური საზოგადოების წევრი ვიყო. უბრალოდ, ჩემს საქმეს ვაკეთებ — ვისაც მოსწონს, ძალიან კარგი... ხალხისთვის ვმუშაობ და არა იმისთვის, რომ ბომონდმა მიმიღოს.

— ვინც გაკრიტიკებს, იმ ადამიანებს თუ მიიჩნევ ბომონდური საზოგადოების წევრებად?

— ჩემთან დაკავშირებით ბევრი კრიტიკა მსმენია, მაგრამ მე ვერავის შევაფასებ.

— ახლო მომავალში მსმენელებს კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ შესთავაზებ?

— ფრანგულ სიმღერებთან დაკავშირებით, პროექტის განხორციელებას ვაპირებ. პრეზენტაციებზე აუცილებლად დაგვატიფებთ.

— შენი, როგორც რადიონამყვანის ცხოვრებაში რა ხდება?

— ახალი სეზონიდან ჩემი გადაცემა „აფხაზეთის ხმის“ ნაცვლად, რადიო „დარდიმანდის“ ეთერში გავა, სადაც სულ ქართული, დარდიმანდული სიმღერები იქნება. ჩვენთან „კომედი შოუს“ ბიჭები თანამშრომლობენ — ასე რომ, დიდი დოზით იუმორს გთავაზობთ. გადაცემაში სტუმარი მეყოლება, პრემიერებს შემოგთავაზებთ, მუსიკალურ თხოვნებს შევასრულებ...

— ე. ი. შენს პირველ პროფესიას — ჟურნალისტიკას უბრუნებ?

— კი. „მოძრავი“ გადაცემა მიყვარს: შეიძლება, პირდაპირ ეთერში ხარვეზები იყოს, მაგრამ წინასწარ ჩანერილს მაინც მირჩევნია — მსმენელებთან კონტაქტი მსიამოვნებს.

ბათუმში დაწყებული საკალათბურთო კარიერა და უკრაინაში ნაოპნი სიყვარული

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების წევრი მანუჩარ მარაქიშვილი დიდი ხანია, რაც წარმატებულ და ძლიერ მოთამაშედ მიიჩნევა. მან საკალათბურთო კარიერა თავიდანვე კარგად ააწყო და ბევრ ცნობილ კლუბშიც ითამაშა, ამჟამად კი იტალიური „კანტუს“ რიგებში ირიცხება. სპორტული საქმიანობის გარდა, მანუჩარი პირად ცხოვრებაზეც გვესაუბრება.

თამაშა დადგაული


— ჩემი პროფესიული კარიერა ბათუმის „ბასკოში“ დაიწყო. მაშინ 13-14 წლის ვიყავი და ჯერ კიდევ მოზარდს, უკვე ხელფასიც მქონდა. პარალელურად, ახალგაზრდულ ნაკრებშიც ვთამაშობდი. „ბასკოდან“ საკმაოდ სერიოზულ გუნდ „ბენეტონში“ გადავედი, სადაც ნელინად-ნახევარი დავეყავი, შემდეგ გერმანიაში გავემგზავრე; ამის მერე — ლუბლიანაში, სლოვენიაში, კიევში, ბოლოს კი იტალიაში, გუნდ „კანტუსში“ ამოვიყავი თავი. სხვათა შორის, ამ გუნდში ახლაც მიმიწვიეს და მათთან ერთწლიანი კონტრაქტი გავფორმე.

— კარიერული თვალსაზრისით, რომელ გუნდში თამაში იყო თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი?

— ყველა მათგანი მნიშვნელოვანი იყო, ვერც ერთს ვერ გამოვიყოფ. მასხოვს, როდესაც ბათუმში წამიყვანეს, პირველად სწორედ მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს ოცნების ახდენა, რადგან ისეთ გუნდში მოვხვდი, რომელშიც იმ პერიოდისთვის საუკეთესო პირობები იყო. როცა „ბენეტონში“ გადამიყვანეს, მაშინ ისიც საოცრად წარმატებული გუნდი გახლდათ მთელ ევროპაში. მოგვიანებით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გერმანიაში წავედი. მართალია, გერმანული გუნდი, „ბენეტონთან“ შედარებით, დაბალი დონის იყო, მაგრამ იქ ჩემთვის იდეალური პირობები დამხვდა — თამაშისას მოედანზე დაახლოებით 25 წუთი ვიყავი ხოლმე, რაც ტექნიკის გაუმჯობესების საშუალებას მაძლევდა...

— უკრაინის გუნდში როგორ მოხვდით?

— ჩემი მწვრთნელი, რომელიც მანამდე „ოლიმპიაში“ მყავდა, უკრაინაში გადავიდა და მეც თან წამიყვანა. კიევში კარგი გუნდი ჩამოაყალიბეს, მაგრამ დასახული მიზნების მიღწევა ვერ შევძელით — ფინანსური თვალსაზრისით გაუჭირდათ. თუმცა იქ



რაჭაში დასვენებას რა სჯობია, მაგრამ დროს სიმყინის გამო, იქ წასვლას ხშირად ვერ ვახერხებ

დარჩენა მაინც გადავწყვიტე, ვარჯიში ჩვეულებრივად განვაგრძეთ და ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავვადით, მე კი საუკეთესო მოთამაშის ტიტული მომიანიჭეს. სწორედ ამის შემდეგ, „კანტუსიდან“ ისევ შემომიხმინენ და მათ შემოთავაზებას პირველ რიგში, იმიტომ დავთანხმდი, რომ არაჩვეულებრივი მწვრთნელი ჰყავთ და მეორეც — სტაბილური გუნდია.

— კალათბურთის გარდა, კიდევ რითი ხართ დაკავებული?

— კალათბურთს იმდენად ბევრი დრო მაქვს, რომ სხვა რაღაცებისთვის ვერ ვიცილი. კვირაში ერთი დღე მაქვს თავისუფალი, ამ დღეს კი ვცდილობ, მაქსიმალურად დავისვენო.

— გასართობად სად დადიხართ ხოლმე?

— მეგობრებთან ერთად ხან სად მივდივარ და ხან — სად. ლამის ცხოვრება არ მიზიდავს, რადგან ვფიქრობ, რომ ეს ადამიანის ჯანმრთელობაზე ცუდად აისახება. მიყვარს მოგზაურობა, ლამაზი და საინტერესო ადგილების დათვალიერება...

— წლევანდელ ზაფხულს დასვენება თუ მოახერხებ?

— ადრე ვერ ვახერხებდი, მა-



გრამ ბოლო 2-3 წელია, ვცდილობ, ყოველ წელს დავისვენო. ძირითადად, თურქეთში მივდივარ ხოლმე. ისე, მთაც მიყვარს — აბა, რაჭაში დასვენებას რა სჯობია, მაგრამ დროის სიმცირის გამო, იქ წასვლას ხშირად ვერ ვახერხებ.

— თქვენს პირად ცხოვრებაში რა ხდება? ვიცი, რომ უკრაინელი შეყვარებული გყავთ — ანეელა ნიკიტინა.

— დიახ, ასეა, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენ შორის განსაკუთრებული არაფერი ხდება. ერთად თავს კარგად ვგრძობთ, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

— მის ნახვას რამდენად ხშირად ახერხებთ? სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრების გამო ალბათ, ერთმანეთი გამოუდგებით გენატრებათ.

— შესვენებას ხშირად ვახერხებთ ხოლმე — ხან ის ჩამოდის ჩემთან, ხან მე ვაკითხავ. ანუელა 20 წლისაა, სწავლობს; მომავალი ეკონომისტი.

— ქართველმა გოგონებმა ვერ მიიტყვის თქვენი ყურადღება?

— ასე ვერ ვიტყოდი... იცით, 10-12 წელია, საქართველოში არ მიცხოვრია, ინტერნეტით გაცნობილ ამიანთან კი სერიოზულ ურთიერთო-

ბას ვერ ავანყობ. ქართველი გოგონები ძალიან ლამაზები არიან, მაგრამ როცა ადამიანი მხოლოდ ზაფხულობით, სულ რაღაც 2 კვირით ჩამოდის, ვინმეს შეყვარებას მგონი, ვერ მოახერხებს.

— ქალში ყველაზე მეტად რას აფასებთ?

— შავგვრემანი იქნება თუ ქერა — ამას მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ლამაზი კი უნდა იყოს, თვალი უნდა მომტაცოს. თუმცა პირველ რიგში წესიერებას, ქალის შინაგან სამყაროს ვაფასებ.

— ანუელამ რით მოგნობლათ?

— თავიდან — გარეგნული სილამაზით. მასთან ურთიერთობა გამიჭირდა იმ მიზეზის გამო, რომ რუსული ენა კარგად არ ვიცოდი.

დროთა განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ძალიან წესიერი, თავმდაბალი, მოკრძალებული პიროვნებაა, მასთან ურთიერთობა მსიამოვნებს. ზედმეტად თავისუფალი, მომაბეზრებელი ადამიანები არ მიყვარს, ის კი ასეთი ნამდვილად არ არის.

— რამდენად მნიშვნელოვანია მანდილოსნის ჩაცმულობა, როცა ის თქვენ გვერდითაა?


— ძირითადად, ვათანხმებთ, რას ჩაიცვამს — ანუ რჩევას მეკითხება ხოლმე. ერთადერთი, ვულგარულობა არ მომწონს. ისე, ზედმეტად გამომწვევი სამოსი თავადაც არ უყვარს...

— ეჭვიანი ხართ?

— როდესაც ადამიანი გიყვარს, გარკვეული დოზით ეჭვიანიც ხარ, მაგრამ როცა გრძნობ, რომ უყვარხარ, ეჭვიანობა სისულელეა. თვალდახუჭული „დურაკი“ არ უნდა იყო, მაგრამ არც ზედმეტობა ვარგა. ორი ადამიანის ურთიერთობაში მთავარი ნდობაა.

— საკუთარ თავს როგორ დაახასიათებთ? რამ შეიძლება გამოგიყვანოს წონასწორობიდან?

— ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ალბათ ბევრი დადებითიც მაქვს და ბევრი — უარყოფითიც, მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით



როდესაც ადამიანი გიყვარს, გარკვეული დოზით ეჭვიანიც ხარ

შემიძლია გითხრათ: ძალიან მშვიდი და მომთმენი ვარ.

— რომანტიკული თუ ხართ? საყვარელი ქალბატონის გამო „სიგიჟები“ ჩაგიდენიათ?

— ვერ ვიტყვი, რომ რომანტიკული ვარ. სიურპრიზების კეთების ნიჭი არ მაქვს, საჩუქრებს კი შეძლებისდაგვარად, ხშირად ვუკეთებ არა მარტო შეყვარებულს, არამედ ოჯახის წევრებსაც და ახლობლებსაც.

— ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორია თქვენი ჩაცმის სტილი — ისევ და ისევ სპორტული თუ ზოგჯერ, კლასიკურ სამოსშიც კომფორტულად გრძნობთ თავს?

— კლასიკური სამოსი ჩემი ცხოვრების სტილს არ შეეფერება და მეც, ყოველთვის სპორტულად ჩაცმული დავდივარ. ტანსაცმელს ძირითადად, საზღვარგარეთ, ევროპაში ვყიდულობ. რაც შეეხება აქსესუარებს, მხოლოდ ხის ჯვარი და ფსალმუნიათი სამაჯური მიყვითია.

— საზღვარგარეთ ყოფნისას ქართული კერძები არ გენატრებათ?

— რა თქმა უნდა, მენატრება და ვცდილობ, ქართული კერძები თავადვე მოვამზადო.

— რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?

— კონკრეტულ სიტუაციას რაც მოუხდება — იმას. კლუბში კოქტეილია კარგი, ვახშამზე კი ნითელ ლვინოს რა სჯობს!

— კლუბში ყოფნისას არ ცეკვავთ ხოლმე?

— არა, არ მეხერხება.

— კეთილი წარმატებებს გისურვებთ!

— დიდი მადლობა.

16 სექტემბრიდან შურნალ „არსენალთან“ ერთად რჩევები წვავადალავს ვარისკასთა უფლებები და მოვალეობები ბრძოლაში

არსენალი
16-23 სექტემბერი, 2011 წ. საზღვარ-გარეშე მხარე. ღირს 15 ლარი.

კახიანი
67-27-3311
არსენალში
გაგონებენ

არსენალი
ქართული
შეუქმებენ
ჩვენთან
საქართველოში...

არსენალის
მთავარი
რედაქტორი
და წარმომადგენელი

თუ ჯარში
გაბიჭვიან...

შემაჯავრობის უფლებები

რა თქმა უნდა, 18-დან 27 წლამდე
მასობრივ სამხედრო სამსახურში
სამხედრო სამსახურში

2011



ანსამბლ „გორდელას“ პირბუობები

გოგონათა მუსიკალური ანსამბლი „თსუ — გორდელა“ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს. გოგონები თითქმის ყველა ფესტივალში მონაწილეობენ. მათთვის გასული ზაფხულიც შემოქმედებითად აქტიური იყო. „გორდელას“ ხელმძღვანელს — ბატონ თამაზ მამალაძეს ამჟამად ანსამბლის 8 ნიჭიერი წევრის „გაძიება“ უნევს და როგორც ორმა მათგანმა — ქეთი კვიციანი და ანა გულუდაძემ — აღიარა, ისინი თურმე, ქართულ ხალხურ მუსიკალურ ინსტრუმენტებთან ერთად, ხელმძღვანელის ნერვებზეც ბრწყინვალედ „უკრავენ“...

თსუ უკრავს

თამაზ მამალაძე, ანსამბლ „გორდელას“ ხელმძღვანელი:

— ანსამბლი თსუ-ის ბაზაზეა შექმნილი. მუშაობაში უნივერსიტეტი ყველანაირად გვიწყობს ხელს. ადრე ვაჟთა ანსამბლი — „გორდელა“ არსებობდა, რომლის წევრები ცოცხალი ლეგენდები — ანზორ ერქომაიშვილი, ომარ სიხარულიძე, კუკური ჭოსონელიძე, თამაზ ანდელუაძე, ბადრი თოიძე — იყვნენ... ბოლო დროს რატომღაც, „გორდელას“ არავინ ახსენებდა და გოგონათა ანსამბლს სახელი სწორედ ამ ნაკლის გამოსასწორებლად შევუჩიე. ვფიქრობ, მცირე წვლილი ჩვენც მიგვიძღვის იმაში, რომ ხალხს ის ლეგენდარული „გორდელა“ გაახსენდა.

— ბატონო თამაზ, ასეთი კარგი გოგონები როგორ შეკრებთ?

— 2007 წელს მეორე სამუსიკო სასწავლებელში ვმუშაობდი. უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, ახლანდელი „გორდელას“ წევრების ნაწილი იქ დადიოდა. მათ საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაში, სპეციალურ საგანს — ხალხურ საკრავებზე დაკვრას ვასწავლიდი. ჩვენი ურთიერთობაც აქედან დაიწყო, მერე კი სხვა გოგონებიც შემოგვიერთდნენ.

ანა გულუდაძე:

— მე საგუნდო-სადირიჟოროზე ვსწავლობდი. ხალხური საკრავებიდან ეგრევე, ბანის ფანდურზე დაკვრა

მომიხდა. ეს ინსტრუმენტი ძალიან მიყვარს!

— ქეთი, შენ რა ინსტრუმენტზე უკრავ?

თამაზი:

— ეს გოგონა „ნერვებზე დაკვრის“ ვირტუოზია!

ქეთი:

— გურიაში, პატარა ანსამბლში სალამურზე უკრავდი, სხვა მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრა კი ბატონმა თამაზმა მასწავლა. ჯგუფი ნ თვის შეკრებილი იყო, როცა „გორდელას“ წევრი გახვდი. მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა თამაზმა ანსამბლიდან ორჯერ გამაგდო და მესამე — უკვე ძალიან სერიოზული გაფრთხილებაც მივიღე, ჯერჯერობით მაინც ერთად ვართ.

— ბატონო თამაზ, „ნერვებზე დაკვრის“ ვირტუოზმა ისე რით მოგხიბლათ, რომ ანსამბლშიც მიგილიათ?

— თავდაპირველად, ანელოზად მოგვაჩვენა თავი! თავისი შესაძლებლობებით მოგვხიბლა: დავინახეთ, რომ მუსიკალურ ინსტრუმენტზე კარგად დაკვრა შეუძლია, მაგრამ შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნერვებზეც ბრწყინვალედ უკრავს!

ანა:

— ისევე, როგორც „გორდელას“ დანარჩენი გოგონები...

ქეთი:

— ჩემი არ იყოს, ბატონი თამაზიც გურული გახლავთ. ალბათ მიზეზიც ამაშია — 2 დადებითი ელემენ-

ტი ერთმანეთს ვერ ეგუება (იციინის).

— ბატონო თამაზ, ქეთი „გორდელას“ ყველაზე უჩი გოგონაა?

— არა. მას ეს თვისება ბუნებით თან სდევს: გურულია, მაგრამ ნამკურნალევი...

— ანა როგორი სვანია?

— „ლაითი“.

ანა:

— ფიცხი და აგრესიული ვარ, მაგრამ ვცდილობ, არ გამოვამყლავნო. ხანდახან ეს არ გამომდის და ბატონ თამაზს ძალიან ვაბრაზებ. რაც ცალარა აქვს, სულ ჩემი დამსახურებაა...

— ბატონო თამაზ, ძალიან მკაცრი ხელმძღვანელი ხართ? ვიდრე მოხვიდოდით, ქეთი ფრჩხილებიდან ლაქს მოსაშორებელი საშუალების ძებნა დაიწყო — ხელმძღვანელს ასე ვერ დავენახებო.

— ეგ ნამეტანი მოსვლია! ასე თქვენ წინაშე მოიქცა, — არიქა, ხელმძღვანელი დესპოტიაო! უბრალოდ, ლაქის მოშორება უნდოდა და მე დამაბრალა!

ანა:

— გრძელი ფრჩხილები არ უნდა გვქონდეს, თორემ ბატონი თამაზი მკარატლით და დანით დადის და ფრჩხილებს გვაჭრის (იციინის).

— თავდაპირველად ანსამბლში 13 გოგონა იყავით. — თამაზი:

— ერთი გოგონა — ნინო ალადაშვილი გათხოვდა. ახლა შვილი ჰყავს, თან — მუშაობს, ამიტომ რეპეტიციებზე სიარული ვეღარ შეძლო. დანარჩენებმა კი ალბათ, დაძაბული ცხოვრების რიტმს ვერ გაუძლეს და მიგვატოვეს, მაგრამ ყველაფერს თავისი დადებითი მხარე აქვს: საბოლოოდ ჯგუფი იმ სახით ჩამოყალიბდა, როგორც ჩაფიქრებული მქონდა.

— „გორდელას“ გოგონები რომელ მუსიკალურ ინსტრუმენტებს იყენებენ?

— ჩონგურს, ფანდურს, სალამურს, ჭიბონს, ჭუნირს, ლარჭემს... ლარჭემის გამოყენება რომ მოვისურვეთ, ინსტრუმენტის შოვნა გაგვიჭირდა; ვერც ისეთი ხელოსანი ვიპოვეთ, ვინც დაამზადებდა, ამიტომ ავდექი და ნიგნის მიხედვით, თავად დავამზადე...

— როგორც ვიცი, ჭიბონზე დაკვრა იოლი არაა.

ქეთი:

— პირველად რომ დაფუკარი, ცოტათი წნევა დამივარდა — თავბრუსხვევა ვიგრძენი, მაგრამ ნელ-ნელა მივჩვიე.

ანა:

— თავდაპირველად, ქეთის და სოფოს გარდა, ინსტრუმენტებზე დაკვრა



„ნერვებზე დაკვრის“ ვირტუოზები



არავინ ვიცოდით. ბატონი თამაზის დამსახურებაა, რომ ვისწავლეთ.

— „კომედი შოუს“ კონცერტებზე და „თქვენს შოუსი“ ორიგინალური მუსიკალური ნომრის შექმნის იდეა საიდან გაჩნდა?

თამაზი:

— „რუსთავი 2“-დან დაგვიკავშირდნენ და განსაკუთრებული ნომრის მომზადება შემოგვთავაზეს. მათი წინადადება მივიღეთ.

— საქართველოს სხვადასხვა კუთხეში კონცერტებს ხშირად მართავთ. გოგონების თაყვანისმცემლებს როგორ უმკლავდებით?

— ვუძლებთ, ვუძლებთ... ბოლო დროს დაცვა დაგვყავს (იციან).

ქათი:

— თაყვანისმცემლებთან დაკავშირებით პრობლემები გვექონია, მაგრამ ვცდილობთ, ყველაფერი უკონფლიქტოდ მოვაგვაროთ.

ანა:

— კონტრაბასი რომ ვინმეს თავში მოხვდეს, მტრისას!..

ქათი:

— თაყვანისმცემლებს ლამაზ-ლამაზი სიურპრიზებიც მოუწყვიათ. ჯგუფის ერთ-ერთი წევრი „გორდელას“ სოლო კონცერტზე, სცენაზე დანიშნეს. მათ უკვე შვილი — პატარა თამარიც ჰყავთ.

— გათხოვების შემდეგ ანსამბლი მანაც დატოვა?

თამაზი:

— არა, მაგრამ შვილი „დეიდას“ ექახის (იციან).

ქათი:

— ანსამბლის წევრები ვმეგობრობთ, თუმცა მე და ანას ერთმანეთთან განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს. ანამ იცის, რომ ჩემს ცხოვრებაში ერთი სიმპათიური ბიჭი არსებობს, მაგრამ მან ტესტირება ბატონ თამაზთან უნდა გაიაროს.

ანა:

— ხშირია შემთხვევა, როცა თაყვანისმცემლები ჩვენს დაძაბულ რიტმს ვერ ეგუებიან. ამ ეტაპზე ჩვენთვის „გორდელა“ მთავარია.

— ბატონო თამაზ, ახალი წევრის მიღებას სომ არ აპირებთ?

— არა, მაგრამ ვინაიდან ძალიან ბევრი მსურველია, უნივერსიტეტში გოგონების მეორე ანსამბლი (25 წევრით) ჩამოვაყალიბეთ. 6 თვის მუშაობის შემდეგ, ისინი კონცერტზე ანსამბლ „უნივერსიტეტის“ სახელით, 3-4 ნომრით წარდგინენ. შედეგით მსმენელებიც და ანსამბლის წევრებიც კმაყოფილები არიან.

— „უნივერსიტეტი“ „გორდელასგან“ რით განსხვავდება?

— რაოდენობით და ჯერჯერობით — ხარისხითაც. ■

ნაბო გაბნიძე „ურემს“ მართავს

„ჯივი მაგარია – როცა მასში ზიხარ, ყველას ზემოდან უყურებ“

მსახიობ ნატო გაბნიძისთვის მანქანა გადაადგილების ისეთ აუცილებელ საშუალებას წარმოადგენს, რომ ამჟამად მას მართვის მოწმობის გარეშეც კი მართავს. მითხრა: ვიცი, ეს თაღლითობაა, მაგრამ მანქანით რომ არ ვიმოძრაო, ვერაფერს გავაკეთებო.



მარჯვნივ

— მანქანის მართვა ვინ გასწავლათ?

— მანქანის მიმართ ინტერესი 14 წლის ასაკში გამიჩნდა და მამას ვთხოვე, — მართვა მასწავლე-მეთქი. იმ პერიოდში ლურჯი „მ3“ გვყავდა. სხვათა შორის, მშობლის ყველა მითითებას ზუსტად და შეუცდომლად ვასრულებდი, ყველაფერი იოლად ავიტოვებ.

— თუ გახსოვთ, როგორი შეგრძნება დაგეუფლათ, როცა საჭეს მართო მიუჯექით?

— როცა ოჯახის წევრებთან ერთად სადმე მივდიოდი და ტრასაზე დიდი მოძრაობა არ იყო, მამა საჭესთან მსვამდა ხოლმე. მასხოვს, ამ დროს ძალიან ბედნიერი ვიყავი. მერე, როცა საკუთარი მანქანა შევიძინე, მისი დამოუკიდებლად მართვა ვერ გავბედე და თავიდან გვერდით სიძე მეჯდა ხოლმე ანუ მის იმედად ვიყავი და ცხადია, დაძაბული გახლდით. ერთ დღეს ვუთხარი: მორჩა, მართო უნდა ვიარო-მეთქი და წყნეთში წავედი, სადაც ჩემი შვილი ისვენებდა. ეს „კამიკაძეობის“ ტოლფასი იყო. წყნეთში რომ ავედი, ველარც საჭეს ვუშვებდი ხელს და ველარც გასაღებს; ისეთი დაძაბული ვიჯექი, თითქოს კრუნჩხვა მქონდა გადატანილი.

— მართვის მოწმობა რა ასაკში აიღეთ?

— მართვის მოწმობა საკმაოდ გვიან, 6 წლის წინ ავიღე.

— გაგჭირდებოდა გამოცდის ჩაბარება?

— თეორიაც და პრაქტიკაც პირველსავე გასვლაზე ჩავაბარე. სხვათა შორის, გამოცდაზე რომ მივდიოდი, ეს არაჩვეულებრივად და თავი არ შემერცხვინა. მართვის მოწმობა რომ ავიღე, მანქანაც იმ დღესვე შევიძინე.

— რა მანქანა გყავთ?

— „პაჯერო მინი“, რომელსაც „პაჯერო ურემს“ ვეძახი. მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, ეს მანქანა დღემდე ვერ გამოვცვალე. რამდენიმე დღეში საბერძნეთში მივდივარ და როგორც კი უკან დავბრუნდები, პირველ რიგში, ახალ ავტომობილს შევიძინე.

— რა მანქანის შექმნას აპირებთ?

— სამწუხაროდ, ჩემი მატერიალური მდგომარეობა და სურვილი ერთმანეთს არ ემთხვევა.

— მატერიალური მდგომარეობა რომ გინკობდეთ ხელს, რომელ ავტომობილს შეიძენდით?

— ძალიან მიყვარს ჯიპები და „გრანდ ვიტარას“ ან „პაჯეროს“ ორკარიან ჯიპს სიამოვნებით შევიძენდი. საერთოდ, ისეთი პატარა მანქანები მიყვარს, როგორიც ჩემია. ასეთი ავტომობილი პარკინგის, ქალაქში საცობების დროს უფრო მოსახერხებელია.

— მანქანის შექმნას მის ფერს თუ გაითვალისწინებთ?

— თეთრი მანქანა ჩემში მაცივრის ასოციაციას იწვევს, ამიტომ ზუსტად ვიცი, რომ ამ ფერის ავტომობილს არასდროს შევიძენ, სხვა ფერი კი არ მაღიზიანებს... ისე, ჯიპი მაგარი მანქანაა — როცა მასში ზიხ-



არ, ყველას ზემოდან უყურებ და ეს ძალიან მომწონს (იციინის).

— ავტომანქანის მოვლა თუ გიყვარო?

— მანქანას მამაკაცები უფრო უვლიან და ასუფთავებენ, ვიდრე — ქალები. ვამბობ ხოლმე, — სანამ მანქანას ხავსი არ მოედება, მანამდე ყურადღებას არ ვაქცევ-მეთქი. დროის სიმცირის გამო ვერ ვახერხებ, ავტომობილს დიდი ყურადღება დავუთმო. ჩემთვის მთავარია, მანქანა მწყობრში იყოს, რადგანაც ის ჩემთვის გადაადგილების აუცილებელი საშუალებაა. დღის განმავლობაში იმდენ ადგილას მიწევს მისვლა, მანქანა რომ არ მყავდეს, ამდენს ნამდვილად ვერ მოვახსნებდი.

— ავტომანქანის შეკეთება თუ შეგიძლია?

— სულ ვცდილობ, მანქანა წესრიგში მყავდეს, რათა გზაში არაფერი გაუფუჭდეს, თორემ თავად ვერაფრის შეკეთებას ვერ შევძლებ.

— რომ გაგაფუჭდეთ, რას მოიქმედებთ? დახმარებისთვის ვის დაურეკავთ?

— რამდენჯერმე გამიფუჭდა და სიძეს ანუ დის ქმარს დავურეკე. მან იცის, რომ პროფილაქტიკაში სიარული არ მიყვარს და ამ საქმეს მიგვარებს.

— ავტოსაგზაო შემთხვევა თუ გქონია?

— მანქანის შეძენიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, როცა გმირთა მოედანზე, ჟიგულის მარკის ავტომობილს შევეჯახე. ჩემს მანქანას ფარები გაუტყდა, მას კი არაფერი მოსვლია. ეს ჩემი ბრალი არ იყო — ჟიგულის მძღოლს ციმციმა შეცდომით ჰქონდა ანთებული. მადლობა ღმერთს, ამის გარდა მსგავსი შემთხვევა არ მქონია, სერიოზული ავარია არ მომსვლია.

— სისწრაფე გიყვარო?

— მიყვარს, მაგრამ ძალიანაც რომ გინდოდეს, ქალაქში სისწრაფეს ვერ განავითარებ, ამის საშუალებას საცობებიც არ მოგცემს.

— საკუთარი ავტომობილით ყველაზე დიდ მანძილზე სად ყოფილხარ?

— ვინაიდან ჩემი მანქანა „ურემია“, შორ მანძილზე წასვლას ვერიდები. ყველაზე შორს სიონის ტბაზე ვყოფილვარ. აი, როცა ახალ მანქანას შევიძენ, იმედია, ყველგან წავალ.

— მოძრაობის წესებს ყოველთვის იცავთ?

— თბილისში ყველას ინდივიდუალური მოძრაობის წესები აქვს და

ამიტომაც, მძღოლი ათმაგად ყურადღებიანი უნდა იყოს, რადგან ვინ საიდან გამოხტება, ვერ გაიგებ.

— პატრულს თუ დაუფარიმებინხართ?

— კი და უნდა გითხრათ, ეს ჯარიმა ჩემთვის სავალალო აღმოჩნდა. „ლიშენიე“ მომცეს და ამჟამად მართვის მოწმობის გარეშე დავდივარ. ვიცი, ეს თაღლითობაა, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი არ მაქვს. მანქანის გარეშე ვერაფერს გავაკეთებ... ყველაფერი შარშან ზაფხულს, 14 აგვისტოს დაიწყო: მიუხედავად იმისა, რომ პატრული უკან მომყვებოდა, ლერძულა ხაზი გადავკვეთე და ცხადია, დამაჯარიმეს. მალე დასასვენებლად წავიდი. 14 სექტემბერს დავბრუნდი და პირველი, რაც გავაკეთე, ბანკში ჯარიმის გადასახდელად მივედი. თან ბანკის თანამშრომელს ვკითხე: — გადახდა დაგვიანებული ხომ არაა-მეთქი? — არაო. — მიპასუხა, მაგრამ თურმე, დაგვიანებული ყოფილა: ჯარიმა 30 დღის განმავლობაში უნდა გადაიხდებოდა, მე კი 31-ე დღეს მივედი. ეს ყველაფერი ახლა ვიცი, მაგრამ სამწუხაროდ, მაშინ ვადებში ვერ ვერკეოდი. ჯარიმის გადახდის შემდეგ მშვიდად და უდარდელად გავაგრძელე ცხოვრება, მაგრამ 5 თებერვალს, მოძრაობის წესის დარღვევის გამო, პატრულმა ისევ გამაჩერა. თანამშრომელს ვთხოვე, — გამიშვი, წესებს აღარ დავარღვევ-მეთქი, მან კი მიპასუხა: შენ უფრო დიდი პრობლემა გაქვს, ვიდრე მოძრაობის წესების დარღვევა. ჯარიმის დაგვიანებით გადახდისა და საურავის გადაუხდელობის გამო „ლიშენია“ უნდა მოგცეთო. ვუთხარი, ფული ერთ თვეში შევიტანე და და არც საურავის შესახებ ვიცოდი რამემეთქი, მაგრამ არ დამიჯერა...

— ახლა მართვის მოწმობის გარეშე რომ დადიხართ, არ გეშინიათ, ისევ რომ გააჩერონ?

— ერთადერთი, რასაც ვერიდები, ღამით მოძრაობაა. თუმცა ამ ცოტა ხნის წინ მეგობართან სტუმრად მივედი და იქიდან გვიან მომიწია წამოსვლა. ჰოდა, გზაზე პატ-

რულმა გამაჩერა და 200-ლარიანი ჯარიმა გამომიწერა... 10 ოქტომბრისთვის მართვის უფლებას ისევ მივიღებ, რაც ძალიან მახარებს.

— საჭესთან მჯდომს სარკვეში თუ ჩაგხედავთ იმისთვის, რომ მავიუი შეგესწორებინათ?

— მანქანა რომ ვიყიდე, სიძემ მითხრა: გაითვალისწინე, ეს სარკვეები მავიუის გასაკუთებლად არააო. ვუპასუხე: ნუ გეშინია, მათი დანიშნულების შესახებ კარგად ვიცი-მეთქი...

— მამაკაცები ამბობენ, — ქალი საჭესთან, ეს უკვე საფრთხეაო. ამ მოსაზრებას თუ ეთანხმებით?

— ვიცი, რომ კაცები საჭესთან უფრო მობილიზებულიები არიან, ვიდრე — ქალები და აქედან გამომდინარე, ამ მოსაზრებას ვეთანხმები. ახლა, ვიდრე ინტერვიუს ჩასაწერად მოვიდოდი, ერთმა ქალბატონმა ნერვები მეც მომიშალა — ძალიან ნელა მოდიოდა და სწრაფად სიარულის საშუალებას არც მე მაძლევდა.

— როგორ ფიქრობთ, როგორი მძღოლი ხართ?

— ძალიან მონესრიგებული მძღოლი ვარ და მეგობარი მამაკაცებიც მეუბნებიან, რომ მანქანას კარგად ვმართავ; მაქვთენ იმისთვის, რომ საავარიო სიტუაციებს არ ვქმნი.



„ლიშენიე“ მომცეს და ამჟამად მართვის მოწმობის გარეშე დავდივარ. ვიცი, ეს თაღლითობაა, მაგრამ რა ვქნა, სხვა გამოსავალი არ მაქვს



ჭოხონელიძეების ბედის ირონია...

დებმა ჭოხონელიძეებმა ზაფხულის ცხელი თვეები თავიანთ ოჯახ-
ებთან ერთად, საგურამოში გაატარეს და როგორც მითხრეს,
საკმაოდ მხიარულადაც. მათი სიმღერით რომ ყველა იხიბლება, ეს
არახალია, მაგრამ სოფო და თინკო სასიამოვნო მოსაუბრენიც
აღმოჩნდნენ.

ინო პაპახიშვილი

თინკო:

— დროს ძალიან მხიარულად ვა-
ტარებთ — ცეკვა, სიმღერა, იუმორი...
ზოგს რომელი სიმღერა და ცეკვა უნდა,
ზოგს — რომელი. თუმცა ამ ბოლო
დროს ყველანი ელენეს (მარიამ როინიშ-
ვილის შვილი — ავტ.) დაკრულზე ვცეკვავთ,
პატარა ქალბატონს სიმღერით ვართობთ.

სოფო:

— თინკოს ქმარს ისეთი იუმორი
აქვს, ლაპარაკს რომ დაინწყებს, სიცილის-
გან სუნთქვა მეკვრება. მოსალხენად რაიმე
კონკრეტული მიზეზი არც გვჭირდება.
გუშინ მაგალითად, ცოტა აცივდა და
ბუხარის დანთება მოგვიჩვენა. ბუხარი რომ
დავანთეთ, კარტოფილები შევყარეთ —
შესანვაგად; ამას ცოტა ალკოჰოლი, ბე-
რი სიმღერა და გართობაც მოჰყვა. ჰოდა,
კარგი განწყობილების შესაქმნელად სხვა
რა არის საჭირო?! დათო და ზაზა —
ქვისლები ერთმანეთთან ძალიან შეხუ-
მრებულები არიან და სხვათა შორის,
ჩვენს ყოფილ სიძესთან — გიასთანაც
კარგი ურთიერთობა აქვთ.

— გაიხსენეთ, როგორ გზრდიდნენ
შშ-ოლები, რას გასწავლიდნენ?

თინკო:

— ახლა, როდესაც ბავშვობის
წლებს ვისხენებთ, სამივე ვალიარებთ,
რომ საოცრად სწორად გვზრდიდნენ.
ხშირად გვახსენდება, როგორ გვსჯი-
დნენ, როდესაც რამეს დავაშავებდით
და როგორ გვაქებდნენ, როდესაც კარ-
გად ვიქცევოდით.

სოფო:

— მაშინ ვფიქრობდით, რომ ძალიან
მკაცრები იყვნენ, მაგრამ დღევანდელი
გადასახედიდან ვხვდებით, რომ ეს მზრუნ-
ველობა უფრო იყო, ვიდრე — სიმკა-
ცრე. ისინი ყოველთვის გვაძლევდნენ
საკუთარი აზრის გამოთქმის უფლებას.
ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ
ვხედავდით მშობლების საოცარ დამოკ-
იდებულებას ერთმანეთის მიმართ...

სოფო:

— თამრიკო ზედმეტად მორჩილი
შვილი იყო. როდესაც „მზიურთან“ ერ-
თად გასტროლზე მიდიოდა, ეს მისთვის
ტრაგედიის ტოლფასი გახლდათ, რაც მათ
ცხებდა — როგორ შეიძლება ამის გამო
ნერვიულობდეს, ნეტავ, სადმე მეც წამი-
ვანა-მეთქი. ყოველთვის მქონდა სადმე
დამოუკიდებლად წასვლის სურვილი, მა-
გრამ მშობლები მენინაღმდეგებოდნენ —
არ უნდოდათ, სადმე მარტო წაესულიყავი
ან ვინმესთან დაგრწენილიყავი. ჩვენს ოჯახში
არ თქმულა სიტყვა — „მინდა!“ რაც
აუცილებელი იყო, ის გვექონდა და ზედ-
მეტს არაფერს ვითხოვდით. პლუხანოზზე,
იტალიურ ეზოში ვცხოვრობდით. ის პე-
რიოლი ძალიან თბილად მახსენდება.

თინკო:

— ყოველი სუფრა, რომელიც კი
ჩვენს ოჯახში გაშლილა, დასამახსოვრე-
ბელი იყო. იკრიბებოდნენ მამას და
დედას მეგობრები, მოგვიანებით —
თამრიკოს მეგობრებიც. ეს არ იყო
ღრეობა და შეჯიბრება ღვინის სმამი.
იქ მოისმენდი კარგ საუბარს, სადღეგრ-
ძელოს, სიმღერას, იუმორს.

სოფო:

— სუფრას ყოველთვის არაჩვეუ-
ლებრივად უძღვებოდნენ ზეზვა ლუ-
ლუნიშვილი, გივი მარგველაშვილი, რეზო
ტაკიძე, გომარ სიხარულიძე. ისინი
შესანიშნავად მღეროდნენ, ლექსებს კითხ-
ულობდნენ, საუბრობდნენ — მათგან
ბევრი რამის სწავლა შეიძლებოდა. თამ-
რიკოსა და გიას ქორწილში თემიკო
ჩირგაძე თამაშობდა. ის თავისი იუ-
მორით, სადღეგრძელოებითა და ინ-
ტელექტით სუფრას ისე წარმართავდა,
გეგონებოდა, რომელიმე სპექტაკლის
მონაწილე იყავი. ახლა ხშირად ამბობენ,
რომ თაობათა შორის კავშირი განყდა
და ძველი ღირებულებები, ტრადიციები
დაიკარგა. მე ბედნიერი ვარ, რომ მყავს
ისეთი მეგობრები და ახლობლები, რომ-
ლებისთვისაც ეს ტრადიციები კვლავ-
ც ღირებულია.

თინკო:

— ჩემი შვილისა და დისშვილების
მეგობრებს რომ ვუყურებ, მიხარია —
არაჩვეულებრივი თაობა მოდის,
მოკრძალებულები და მორიდებულები
არიან. უბრალოდ, ვისურვებდი, რომ
თავიანთი სამშობლოს მიმართ მათი
სიყვარული კიდევ უფრო ძლიერი და
მძაფრი ყოფილიყო.

სოფო:

— განსხვავებული ინტერესები აქვთ
და ალბათ, ასეც უნდა იყოს. მხოლოდ ის
არ მომწონს, რომ ვირტუალურ ურთ-
იერთობაზე არიან გადასულნი. ვფიქრობ,
ოჯახმა უნდა ასწავლოს ბავშვს ის, რასაც
ინტერნეტი და ქუჩა ვერ მისცემს...

— რა მოხდა მაშინ, როდესაც
თითქმის ერთდროულად დებმა გათ-
ოფა გადწყვილთ?

— მამაჩემის ერთადერთი სურვილი
იყო, მსახიობს არც ერთი გაცელოდით.
მას თამრიკოს იმედი უფრო ჰქონდა, —
ეს დამიჯერებო, მაგრამ მისმა იმედმა
25 წლის ასაკში, სწორედ მსახიობთან
ერთად შექმნა ოჯახი. ერთ წელიწადში
მეც გავეთხოვე და მეც იგივე პრო-
ფესიის ადამიანს გავეყვი, 6 თვეში კი
თინკოც დაოჯახდა — მისი რჩეულიც
მსახიობი აღმოჩნდა. ეს იყო ჭოხონელ-
იძეების ბედის ირონია. თუმცა, მეც და
ჩემმა მეუღლემაც მსახიობობა დაოჯახ-
ებისთანავე „დავთმეთ“.

თინკო:

— ვაიმედებდი, — მამა, შენ ჩემი
იმედი გქონდეს, მსახიობს სახლში რა
ამატანინებს-მეთქი! — მაგრამ მეც თე-
ატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე და მე-
ორე კურსზე ვიყავი, როდესაც ჯგუფულს
— ზაზა კაპანაძეს გავეყვი ცოლად.



დროს ძალიან მხიარულად ვატარებთ — ცეკვა, სიმღერა, იუმორი...
თუმცა ამ ბოლო დროს ყველანი ელენეს დაკრულზე ვცეკვავთ



სოფო:

— თინიკოს გათხოვება იყო შოკი, რადგან გაიპარა... მიუხედავად იმისა, რომ სიძე ძალიან მომწონდა, მაინც ვერაზობდი, — ეს როგორ გახდა? რა ეჭვარებოდა? ჯერ რაღაც ენახა ცხოვრებაში, გამოცდილება მიელო, კარიერისთვის მიიხედა და ამაზე მერე ეფიქრა-მეთქი... მამას ამის „გადახარშვა“ ძალიან გაუჭირდებოდა და მოვატყუეთ, რომ თინიკო მეგობართან დარჩა. მეორე დღეს კი ვუთხარით, — მას ვილაც იტაცებდა, ამიტომ საყვარელ ადამიანთან საჩქაროდ დაინერა ჯვარი და რაკი ასე მოხდა, აღარ ინერვიულო-თქო. ეწყინა: ეს რატომ არ მითხარით, იმ ბიჭს მე ვერ ვასწავლიდი ქუჩასო?! იმ პერიოდში თამრიკო ფეხმძიმედ იყო და მისი დაწინარებაც მოგვის-და: ზაზას ნათესავები ბათუმში ჰყავდა და ნერვიულობდა, — ნამდვილად იქ წავიდოდნენ; ახელა გზაზე ან როგორ ჩავლენ, ან როგორ ჩამოვლენო.

თინიკო:

— ალბათ ეს ნაბიჯი დიდმა სიყვარულმა გადაამადგმევინა, თორემ მშობლების წინააღმდეგ ვერ წავიდოდი. დედ-მამასთან შეხვედრა ძალიან მძიმე იყო. მამისთვის თვალეში შეხედვა იმდენად გამიჭირდა, რომ ცრემლები ჩემდა უნებურად გადმოცვივდა. მას ჩემთვის არც შემოუხედავს, — სიძე გადაკოცნა, მერე კი გიას და დათოს მიუბრუნდა: რას ვიზამთ, რადგან ასე გადაწყვიტეს, ახლავე სუფრა გაშალეთო.

სოფო:

— მათაც უცებ აიფარეს წინსაფრები და ახალ სიძეს ისე დახვდნენ, ვითომ მართლა თავად ტრიალებდნენ სამზარეულოში.

თინიკო:

— მე და ზაზა 19 წლისანი ვიყავით, მშობლები რომ გაგხდით და რა თქმა უნდა, ამას თავისი სირთულეები ჰქონდა. თუმცა ყოველთვის ვერძნობდი, რომ გვერდით ნამდვილი მამაკაცი მედგა. გავიარეთ გაჭირვების წლები და ამან კიდევ უფრო გაგვადლიერა, უფრო გაგვაერთიანა. სამი შვილი გვყავს: უფროსი — დათა 20 წლისაა და არქიტექტორი გახლავთ, ნიკალა — 14-ისაა, ლიზა კი 7-ის.

— თქვენც დანებეთ თავი მსაზიზიზობას?

— ასეა, და ახლა ვფიქრობ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამუხაბედ სტუდიაში ვასწავლი, მუშაობ კი ბავშვების აღზრდაში მესმარება. ის ძალიან კარგი მამა და მუშაა. ჩემი საქმე ვიპოვე და ამით ბედნიერი ვარ. ურთიერთობა მაქვს პატარა ბავშვებთან — ანუ მათთან, ვინც ყველაზე სუფთები არიან. მათი სიხარული და წარმატება ჩემთვის ყველაფერია. არაფერს თქვას, რომ

კარიერა და ოჯახი ერთმანეთთან შეუსაბამოა — თუ ქალი მობილიზებულია, ორივე საქმეს გაართმევს თავს.

— სოფო, თქვენი მუშაობა გაცანთა.

სოფო:

— ჩემი მუშაობა დათო ჯავარიძეა. ერთმანეთი თეატრალურ ინსტიტუტში გავიცანით. 4 წელი ვიყავით შეყვარებულები. ყველა მუშაობდა, — არაჩვეულებრივი ბიჭიაო, მაგრამ პირველად რომ ვნახე, მისი სულაც არ აღფრთოვანებულვარ. 11 სექტემბერს საერთო მეგობარმა ცინიკალის თეატრში დაგვაპტივა. იქ დავრჩით, ვიქიფეთ და უკან რომ ვბრუნდებოდით, სწორედ მაშინ, გზაში „ალმოვანინე“ რომ საინტერესო პიროვნება იყო. მოკლედ, ისე შემიყვარდა, რომ მის გარდა აღარაფერი მაინტერესებდა და ამიტომაც იყო, რომ პირველი კურსი წარმატებით ვერ დავესრულე. ამან ცოტა არ იყოს, გული გამიტეხა და სწავლის გაგრძელებას აღარ ვაპირებდი, მაგრამ ჯგუფებმა გადაამფიქრებინეს. შემდეგ იყო საკურსო ნამუშევარი: მიხეილ ჯავახიშვილის პიესაში — „მუსუსი“ შევასრულე მოხუცი ქალის როლი.

თინიკო:

— იმდენად წარმატებული იყო, რომ სოფოზე ამბობდნენ, მომავალი სუსილიაო, მაგრამ როგორც გითხარით, არტისტობა არ ისურვა.

სოფო:

— დღემდე ვერ ვხვდები, ჩემ მიერ შესრულებული როლით რატომ აღფრთოვანდნენ... თბილისში არეულობა რომ დაიწყო, იმ პერიოდში მე და დათო ერთი წლით ისრაელში წავიდით. ეს იყო ძალიან ბედნიერი წელიწადი, რადგან დამოუკიდებლად ვცხოვრობდით და მივხვდით, რისი გავითება შეგვეძლო. მასსოვს, ჩვენ გვერდით ერთი ოჯახი ცხოვრობდა, ქართველები იყვნენ. დისასხლსმა მითხრა: ჩემი შვილის თანატოლები ხართ და ახელა ქალი სიყვარულს და თანადგომას თქვენგან ვსწავლობ; ხომ ვხედავდი, როგორ გიჭირდათ, მაგრამ ერთმანეთთან კარგად იყავით; აი, მე და ჩემს ქმარს, როცა გაგვიჭირდებოდა, ურთიერთობა გვეძაბებოდაო. ამან უფრო ამაყი გამხადა, ვიდრე ჩემმა შესრულებულმა როლმა. გვყავს 17 წლის გოგო — კატო და 9 წლის ანდრო.

— თქვენს სტუდიაზეც მითხარით რამე, როგორც ვიცო, ნელს იუბილარები ხართ.

თინიკო:

— ნელს დაარსებიდან 10 წელი გვისრულდება. მიხარია, რომ ნიჭიერი თაობა მოდის. მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სტუდია არ მუშაობს ბიზნესისთვის. ეს არის სტუდია, რომელიც დიდ ქველმოქმედებას ეწევა. ჩვენი მთავარი მიზანი მომავალი თაობის გემოვნებისა და



ბევრს ვმრომობთ, მაგრამ არ ვყვირით და არ ვტრაბახობთ. თუ ბავშვებს წუთით მაინც მივანიჭებთ სიხარულს, ამაზე დიდი ანაზღაურება და ბედნიერება რა უნდა იყოს?!

სწორი მუსიკალური აზროვნების ჩამოყალიბებაა. თუ დამიჯერებთ, ჩვენთან 150 ბავშვი უფასოდ სწავლობს — ლტოლვილები, უსინათლოები, მზრუნველობას მოკლებულები. მართალია, ყველა ბავშვი მომღერალი ვერ გახდება, მაგრამ კარგი მსმენელი მაინც იქნება, კარგისა და ცუდის ერთმანეთისგან გარჩევას ისწავლის.

სოფო:

— ბევრს ვმრომობთ, მაგრამ არ ვყვირით და არ ვტრაბახობთ. თუ ბავშვებს წუთით მაინც მივანიჭებთ სიხარულს, ამაზე დიდი ანაზღაურება და ბედნიერება რა უნდა იყოს?!

თინიკო:

— საესტრადო სიმღერის შემსწავლელ სტუდიაში პირველებმა დავერგეთ ფოლკლორი, როგორც დისციპლინა.

სოფო:

— ამას ხაზს იმიტომ ვუსვამთ, რომ აქ მხოლოდ ხალხურ სიმღერას კი არ სწავლობენ, არამედ თეორიულ ცოდნასაც იძენენ და ამით ეზიარებიან ჩვენი ერის დიდ საგანძურს. ჩვენი მოსწავლეები არაერთ კონკურსში (არა მარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც) მონაწილეობენ და უმეტეს შემთხვევაში, იმარჯვებენ. მაგალითად, „ანაბანას“ ბევრი გამარჯვებული ჩვენი მოსწავლეა. დაბოლოს, გვინდა, ყველას ვუსურვოთ იმ საქართველოში ცხოვრება, რომელშიც მუდამ ემღერებათ.



ცხოვრება

„მართალია, მამასა სოლი მყავს, მაგრამ მამალთან არასდროს ვყოფილვარ...“



მამე სულხანიშვილი პროფესიით მებაღე-მევენახეა, მაგრამ ამ სფეროსთან არანაირი ურთიერება არ ჰქონია. აი, ქალების ამბავში კი ნამდვილად „პროფესიონალია“ — 60 წლის იყო, მეექვსედ და ალბათ უკანასკნელად რომ დაქორწინდა. უკანასკნელად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ არაჩვეულებრივი მეუღლე ჰყავს და ამბობს, — ეს ის ქალბატონია, ვისაც ვეძებდიო... ენამოსწრებულობასთან ერთად, მისთვის ღმერთმა სხვა ბევრი სიკეთეც გაიმეტა — მღერის, უკრავს, ცეკვავს და კარგი იუმორი აქვს...

მოფერებით გივიკოს მეძახდა. ვერ ვიტანდი ამ სახელს, მაგრამ მისი ხატრით არაფერს ვამბობდი. 14 წლის ვიყავი, ჩემი სიმალის გამო თბილისში კალათბურთის სათამაშოდ რომ წამომიყვანეს და ასე გავხდი თბილისელი, თუმცა სულითა და გულით დღემდე თელაველი ვარ. მამა და დედა თელავის კოლორიტები იყვნენ. ისინი ყველას ძალიან უყვარდა. დედა ვაჩნაძის ქალი იყო და ხელოვნება უყვარდა, განსაკუთრებით — თეატრი და არც ერთ სპექტაკლს არ აკლდებოდა... ერთხელ მამაჩემმა მთხოვა, მალაზიაში ჩადი და პური ამოიტანეო. ეს რომ დედამ გაიგო, უთხრა: გეგე (მამასაც გეგეს ეძახდნენ) რამდენჯერაც შვილი მალაზიაში პურის საყიდლად გავგზავნე, იმდენჯერ ცოლი მოიყვანა და ჯობს, ისევე მე წავიდეო. ენამოსწრებული ქალი იყო, ოღონდ — უეშმაკო. ხშირად მიწვევდა ქეიფი და დროს ტარება და ცოლთან თავის გასამართლებლად, ტყუილებს ვიგონებდი ხოლმე. ცოლმა ერთხელ მთხოვა, მალაზიაში კარგი საკაბე ქსოვილები მოუტანიათ და მეგობრებს შევპირდი, რომ შენი მანქანით წაგვიყვანო. ვერც უარს ვუბნებდი, ვერც — წაყვანას ვპირდებდი. ჩემი მეგობრები გარეთ სამწვადითა და ღვინით მელოდებოდნენ. ტყუილიც უცებ მოვიფიქრე — ეჰ, რაღა დღეს მთხოვე, მე და დედა მამაჩემის საფლავზე ვაპირებდით-მეთქი წასვლას (მეგონა,

დედა სამსახურიდან გვიანობამდე არ დაბრუნდებოდა). ჩემს ცოლს კი ეწყინა, მაგრამ რაღას იტყოდა? უცებ სახლში დედაჩემი არ მოვიდა?! ცოლმა მაშინვე ჰკითხა: — სასაფლაოზე მიდიხართო? მის ზურგს უკან ვიდექი და დედაჩემს რამდენჯერმე თვალი ჩავუკარი — მეგონა, მიხვდებოდა. მან კი განზე გასწია ჩემი ცოლი, მომიახლოვდა და შემოვთებით მკითხა, — ვაიმე, შვილო, რა იყო, რა გჭირს, თვალებს რატომ აფახულებ, ცუდად ხარო? მოკლედ, შავ დღეში ჩამაგდო... გეჟმეფი ახალგაზრდა არ ვყოფილვარ. ჩვენს თაობას ზრდილობა და სიტყვა-პასუხი არ გვემუღებოდა. მოლხენა და ქეიფი გვიყვარდა, ქუჩაში ოთხ ხმაში ვმღეროდით... ბოლო წლებში, ვერც კი ვისხენებ, ქუჩაში კარგი ნამღერი მომესმინოს. ალბათ ვინმეს ამის სურვილი რომც გაუჩნდეს, დასცინებენ და ჩხუბსაც დაუნყებენ — რატომ არ გვაძინებო! სხვანაირი ცხოვრება მოვიდა, ღირებულებები გადაფასდა.

— როგორი მსმელი და თამადა იყავით?

— ტრაბახი არ მიყვარს, მაგრამ სმა კარგად შემეძლო — არ ვთვრებოდი, ქეიფი კი თითქმის ყოველდღე მიწვედა. სუფრასთან ღვინის დაღვევაზე მეტად მოლხენა მსიამოვნებს. იმისთვის, რომ საქეიფოდ განვეწყო, გრადუსი მჭირდება. ნასვამს გოწება მენსება. თამადობაც ხშირად მიწვევს, სიმღერა და იუმორიც ჩემი მთავარი „იარაღი“. ერთი ეგ

ნირო ჯაპახიშვილი

— 10 წელი იქნება, რაც ჩოხოსანი ვარ. თავიდან ცოტანი (12-13 კაცი) ვიყავით, მერე და მერე შემოგვემატა ხალხი. ძველი ტრადიციების აღდგენა კარგია, ქართული სულიკვებების გაღვივებას უწყობს ხელს. როდესაც ვიკრიბებით (წესდებაში გვინერია), სუფრასთან ჩოხით უნდა ვიყოთ... ჩოხა პირველად რომ ჩავიცვი, თითქოს რაღაც შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში, რაღაც უფრო კარგი გეგე გავხდი. ბოლო დროს, ბევრი ახალგაზრდა გახდა ჩოხოსანი და ეს ძალიან მახარებს. კარგი თაობა მოდის. მოკრძალებულები არიან და რიდიტ უსმენენ უფროსი თაობის ადამიანებს... ჩემთვის ბევრს ნიშნავს ქართული სუფრა და მისი ტრადიციები. არ მიყვარს, როდესაც თამადას ან სიმღერას სუფრის წევრები არ უსმენენ...

— ბატონო გეგე, თქვენი ახალგაზრდობა გაიხსენეთ.

— თელავში დავიბადე. გეგეს მეძახიან, მაგრამ გიორგი მქვია, დედა კი



არის, რომ ლექსებს ვერ ვიმახსოვრებ, მაშინ, როცა უამრავი ანეკდოტი ვიცი. ლექსის ნაკითხვაც რომ შემეძლოს, ერთ-ერთი საუკეთესო თამადა ვიქნებოდი. გამორჩეულად მიყვარს ილია ჭავჭავაძის სადღეგრძელოს თქმა და კიდევ — დედამამიშვილების დღეგრძელობა, რადგან თვითონ დედისერთა ვარ და ყოველთვის მაკლია მათი სიყვარული. მეგობარი რომ ასე მიყვარს, ჩემი და-ძმა ხომ უფრო მეტად მეყვარებოდა? ვცდილობ, სუფრასთან ასობგერა — „პ“ არ ვახსენო, რომ ვინმეს პოლიტიკა არ გაახსენდეს და ამაზე საუბარი არ ჩამოვარდეს. როდესაც ვქეიფობ, პოლიტიკა არ მინტერესებს...

— ბატონო გეგე, ძველი თაობის კოლორიტიდან ვინმეს ხომ არ გაიხსენებდით?

— თელავი კოლორიტების ქალაქია... ბედნიერი კაცი ვარ, რომ 60-იანი წლების თბილისში ვცხოვრობდი და მახსოვს ისეთი კოლორიტები, როგორც, თუნდაც, ნიაზ დიასამიძე იყო — ჩია, გამხდარი კაცი იყო, უცნაურად ეცვა და სიარულის მანერით იქცევდა ყველას ყურადღებას...

— ახლა ის მითხარო, სულ რამდენი ცოლი გყავდა?

— პირველად რომ დავქორწინდი, 25 წლის ვიყავი. უკრაინელი ქალი შევირთე. კალათურთს რომ ვთამაშობდი, უკრაინაში ხშირად მიწევდა ჩასვლა. ახალგაზრდები ვიყავით და ვერთობოდით... მოკლედ, ის ქალბატონი დაორსულდა და დამირეკა, ორსულად ვარ და შენთან უნდა ჩამოვიდეთ. ცოტა ხანს ერთად ვიცხოვრეთ, მაგრამ აქ ვერ გაძლო და წავიდა. მასთან ერთი ვაჟი მყავს. 20 წლის იყო, აქ პირველად რომ ჩამოვიდა. შვილი 19 წლის უნახავი მყავდა... ერთხანს, ჩემთან, თელავში ცხოვრობდა და მუშაობდა. მუსიკოსია და ანსამბლი შექმნა, მაგრამ აქედან მალე წავიდა. 1991 წელს ოდესაში ვნახე და მაშინ მითხრა, რომ თავის ანსამბლთან ერთად, ბრაზილიაში მიდიოდა. იმის შემდეგ აღარ მინახავს... ამჟამად როსტოვში ცხოვრობს. მასაც ჩემსავით აერია ცხოვრება, მესამე ცოლი ჰყავს და სამივე ცოლთან — თითო-თითო შვილი. ის ჩემსავით კარგად მღერის და როგორც ამბობენ, გარეგნობითაც ძალიან მგავს... მართალია, ახლა უკვე მეექვსე ცოლი მყავს, მაგრამ მექალთანე არასდროს ვყოფილვარ...

უბრალოდ, ვერ ავანყვე ცხოვრება და ეგ არის! ქალი რომ მომეწონებოდა, მისთვის თვალბეჭდში შეხედვასაც კი ვერ ვბედავდი. ვცდილობდი, ის ჩემი იუმორით, სიმღერით, საქციელით მომეხიბლა. უკრაინელის შემდეგ კიდევ ერთი მოვიყვანე, ერთად 15 წელი ვიცხოვრეთ და დავმორდი. ის ჩემი მეორე, მაგრამ პირველი ოფიციალური ცოლი იყო. მერე იყვნენ: მესამე (მეორე ვაჟი მესამე ცოლთან შემეძინა), მეოთხე, მეხუთე და აგერ მეექვსე ვარ გაჩერებული...

— გული არ გწყდებოდათ, ოჯახი რომ გნგრეოდათ?

— როგორც კი სიტუაცია იძაბებოდა და რალაც რიგზე ვერ იყო, დამორებს ვამჯობინებდი. მტკივნეული არ იყო, რადგან არ შემიძლია, ვინმესთან მხოლოდ ვალდებულების გამო ვიცხოვრო...
— მითხარო, რომ ქალებს მამაკაცებისგან, პირველ რიგში, ყურადღება, სიბო და ალერსი სჭირდებათ... ამჟამინდელი მეუღლეც ამით მოხიბლეთ?

— თამარიკო ბახტაძე, მეექვსე ცოლი:
— მახსოვს, წლების წინ სუფრასთან შევხვდით ერთმანეთს. მაშინ გეგე ცოლიანი იყო. მას მერე წლები გავიდა. მე ერევანში ვმუშაობდი და როდესაც საქართველოში დავბრუნდი, შვილიშვილმა (გეგეს მეზობლად, ნათესავებს ხშირად სტუმრობდა) მითხრა: ბებო, ერთი კარგი კაცი უნდა გაგაცნო. თურმე გეგესაც ჰპირდებოდა, — ბებიჩემი რომ ჩამოვა, შეგახვედრებო. მოკლედ, მაჭანკალი თათული იყო. მას ორივენი ვუყვარვართ და ამიტომაც იზრუნა ჩვენზე...

— ბატონო გეგე, დანახვისთანავე მოგეწონათ თათულის ბებია?

— რომ არ მომწონებოდა, ცოლად ხომ არ მოვიყვანდი?
— თამარიკო:
— გაცნობიდან მალევე, ორ თვეში, უკვე ერთად ვიყავით. უკვე 5

წელი გავიდა მას შემდეგ. ამ ასაკში რომ ქმნი ოჯახს, ალბათ ყველაფერი გააზრებული უნდა გქონდეს. გეგე კარგი ადამიანია. 15 წლით უფროსია ჩემზე, მაგრამ მისი სიხალასის ფონზე, ზოგჯერ ჩემი თავი მგონია ბებერი (იცინის)... ძალიანაც კარგი, რომ მეექვსე ცოლი ვარ და არა პირველი, ასე არ ჯობს? ადრე რომ შევხვედროდით ერთმანეთს, ალბათ უკვე კარგა ხნის გაყრილებიც ვიქნებოდით. ახლა უფრო კარგად ვუგებთ ერთმანეთს. მიშო — გეგეს შვილი, ამბობს, ყველაზე კეთილი დედინაცვალი ხარო. გეგესაც ძალიან უყვარს ჩემი შვილები და შვილიშვილები. ორივეს ერთად 5 შვილიშვილი გყავს: მე — 2 და გეგეს — 3.

— თქვენზე ამბობენ, ყოფილ ცოლებს კარგად ათხოვებსო...

ბაბა:

— ერთის გარდა, ყველა გათხოვდა და ყველა კარგ ბედში ჩავარდა. ამასთან დაკავშირებით ერთ ამბავს გაიბობო, ოღონდ, სითამამისთვის მოვიბოდიშებ. თელავში მკითხეს: გეგე, რა უცნაური ბედი გაქვს, შენი ერთი ყოფილი ცოლი პროფესორზე გათხოვდა, მეორე — აკადემიკოსზე და რაშია საქმე, საქმეებს უწყობო? იუმორი ხომ წამში იბადება და მეც უცებ ვუპასუხე: რა ვიცი, ხომ არსებობს ადამიანი, რომელიც არის ფეხბედნიერი, ხელბედნიერი, მე — ასობედნიერი ვარ-მეთქი...

თამარიკო:

— მეკითხებიან, მაინც როგორ გარისკე, მეექვსე ცოლად რომ გაჰყევით? პრინციპში, რატომ გავრისკე? გაყრის შემთხვევაში, სარფიანად გათხოვება მაინც ხომ მექნება გარანტირებული და რატომ მენერვიულა? ერთ პროფესორს ან აკადემიკოსს ჩემთვისაც გამოძებნიდა... თელავში მეგობრის მეუღლემ უთხრა: გეგე, დღეს თამრო რა ლამაზიაო! — რა ვიცი, კი ზის ეგრე, ჯერ ვერ გავათხოვო და... ერთი მეგობარი ჰყავს — თემური ლომინაძე. რომ მომიყვანა, გეგეს იმ პერიოდში ძალიან ჰყავდა — ბაბილინა, მაგრამ მალევე დაავადმყოფდა და გაუშვა. ერთხელაც, თემური გვესტუმრა და ბაბილინა მოიკითხა — სად არისო? — ავად გახდა და გაუშვიო, — უთხრა გეგემ. მან შეიცხადა: რას ამბობ, ბიჭო, ხომ არ გაგიყვდი, ბაბილინა როგორ გაიმეტე, როგორ გაუშვიო?! გეგემ უპასუხა, — შე კი



გაცნობიდან ორ თვეში უკვე ერთად ვიყავით...



კაცო, 5 ცოლი გავუშვი და ხმა არ ამოგიღია, ბაბილინა ძალღი იყო, ბოლოს და ბოლოსო...

— ბატონო გეგე ვირს რომ სცემდნენ კახეთში, იქნებ ეგ ამბავიც გაიხსენოთ...

— კახეთში სტუმრები მიმყავდა და გზაზე დავინახე, რომ თეთრხალათიანი კაცები ვირს გამეტებით ურტყამდნენ. არ მომეწონა ეგ ამბავი. არ მინდოდა, სხვებსაც შეემჩნიათ, მაგრამ მაინც დავინახე და მკითხეს: გეგე, რომ ამბობთ, კახელებს ვირები უყვართო... მეც დამაინტერესა, თუ რატომ სცემდნენ სახედავს. მანქანა უკან დავენიე და სასადილოს თანამშრომლებს ვკითხე: რა იყო, განა ვირმა ისეთი რა დაგიშვათ, ასე რომ ურტყამთ-მეთქი? — რას ამბობთ, ამან ისეთი რამე გააკეთა, უნდა მოვკლათ; ნისიების რვეული შეგვიჭამაო. თურმე მთელი ქვეყნის ვალები იქ ჰქონიათ ჩამოწერილი...

— ანეკდოტი ბაყაყებსა და მათ დირიჟორზეც თქვენი მოგონილია?

— ერთხელაც, კახეთში ვიყავით საქეიფოდ და ბაყაყებმა ისეთი ამბავი ატყეს, აღარც სიმღერის ხმა ისმოდა და აღარც — თამაღის. ხან ვინ ისროლა ქვა, ხან — ვინ, ეგებ გაჩერდნენო, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს გაბრაზებულმა, მეც გავისროლე ქვა და უცებ შეწყდა ყიყინიც. გაუკვირდათ, — როგორ მოახერხებ ბაყაყების გაჩერებას? — რა ვიცი, ალბათ, დირიჟორს მოვარტყი-მეთქი. ბევრ ჩემს მოყოლილ ამბავს მერე ანეკდოტებად ჰყვებიან.

— ზღვაზე რომ იყავით დასასვენებლად ცოლ-შვილთან ერთად, იქნებ ისიც გაიხსენოთ.

— ჩემი შვილი ალბათ 10 წლის იქნებოდა, ბიჭვინთაში რომ წავედი მასთან და დედამისთან ერთად. დილ-

ით გამოვეწყვეთ — დავიხურეთ შლაპები, გავიკეთეთ სათვალეები, რალაც ჭრელაჭრულა საზღვაო სამოსში გამოვეწყვეთ და ზღვაზე გავედით. ყველა ჩვენ გვიყურებდა, უცხოელებს ვგავდით. მოკლედ, მესიამოვნა კახელ კაცს ხალხის ყურადღება. ჩემს შვილს ერთი სული ჰქონდა, ზღვას როდის ნახავდა. უეცრად სიჩუმეში მისი ბოხი ხმა, თანაც, თელავური კილოთი ნათქვამი რამდენიმე სიტყვა გაისმა: „მამი, ალაზანია, მამი?..“ ვერ წარმოიდგენ, იქ რა მოხდა, ყველა სიცილით იხოცებოდა, მე რა გამაცინებდა?..

— იქნებ ანეკდოტებიც მოგვიყვებოდნენ?

— გურულს ჰკითხეს: ამდენ აბდლობას როგორ ასწრებო? ადრე ვდებდით... რამდენი წელია, ქალთან არ ყოფილხარო? — ეკითხება ერთი ხანში შესული კაცი მეორეს. რამდენი და 5 წელიო. მეორემ ხეზე დააკაუნა: ფუ, ფუ, ფუ, თვალი არ მეცეს, მე — სამი წელიო...

— ბატონო გეგე გული არაფერზე გწყდება?

— ესე იგი, ცხოვრება თავიდან რომ დავიწყო, რას შევცვლიდი, არა? — ორ რამეს: გიტარაზე კარგად დაკვრას და კიდევ რომელიმე უცხო ენას ვისწავლიდი.

— ექვს ცოლს დატოვებით ისევ ისე უცვლელად ხომ?

— რა თქმა უნდა, ეს ტრაგედია არ არის. ასეთია ცხოვრება. ჩემი აზრით, განქორწინება არ არის მარცხი. სიყვარული რომ დასრულდება, განა, მერე აქვს აზრი ერთად ცხოვრებას? წინასწარ ხომ არ ვიცოდი, რომ ამდენჯერ დამეგერეოდა ოჯახი?! „ოქროს ქორწილი“ ჰქონდა ერთ ჩემს ნაცნობს და დამცინოდა, — ალუმიწის ქორწილსაც ვერ მოესწრებო, მაგრამ შეცდა: მე და თამარიკოს 5 წლისთავი უკვე შეგვისრულდა. ჩემს მრავალცოლიანობაზე მერ-

აბ ბერაძემ კაფია დამიწერა: „კოლექციონერ ყოფილხარ, კალათბურთელი კი არა/ სუყველა ცოლად დაისვი, ვინც ახლო ჩამოგიარა/ ექვსი სხვადასხვა ქალი და ექვსი სხვადასხვა სურნელი/ შენ გენიოსი ყოფილხარ, მე გამოვდექი სულელი“.

„ზაფხულში ლონდონში ვიყავი. ასევე — ოქსფორდში, დანიაში, თურქეთში, კაპადოკიასა და ბათუმში... მოკლედ, წელს საფუძვლიანად დავისვენე; იმასაც ვიტყვი, რომ ძალიან მომეწონა ინგლისი; გენიალური ქვეყანაა“, — მითხრა მრავალმხრივი ნიჭის მქონე ნიკა წულუპიძემ, რომელიც ერთდროულად თეატრის კრიტიკოსი, სცენარისტი, ლექტორი, მეიგავე და რადიონამყვანია. ის ისეთი აქტიური, მოძრავი ადამიანია, რომ ეჭვი გვაქვს, სამომავლოდ მარტო ამ პროფესიებს არ დასჯერდება და სავარაუდოდ, კიდევ რამდენიმე ახალ პროფესიას დაეუფლება. თუმცა თავიდან ყველაფერი იმით დაიწყო, რომ სამსახიობო ფაკულტეტზე ჩაუბარებია...

ელენე ბასილიძე

— სახასიათო ჟანრის მსახიობი მინდოდა, ცოფილიყავი, მაგრამ ლმერთი გაახარებს ჩემს პედაგოგ გოგი მარგველაშვილს, რომელმაც მიმიხვედრა, რომ არტისტობა ჩემი საქმე არ იყო. არ შემიძლია, მთელი ცხოვრება ვიჯდე და რალაცას ველოდო... აგერ, ცოტა ხნის წინ, ბავშვობის ოცნება ავისრულე და სერიალში ვითამაშე... მთელი ჩემი ცხოვრება თეატრთანაა დაკავშირებული. თეატრი ჩემთვის ზემი და საოცრებაა!

— აღნიშნე, სერიალის საშუალებით ოცნება ავისრულეო.

— დიხს, ტელესერიალში მსახიობობა რალაც ახალი იყო ჩემთვის. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, როცა ამ პროექტში მიმიწვიეს. ნოდარის როლი ჩემს დაბადების დღეზე მომცეს და კარგი სიურპრიზიც გამოუვიდათ. გადასაღებ მოედანზე ყველა ჩემი მეგობარი მონაწილეობდა და თამაშიც არ გამჭირვებია, მაგრამ არ ვიცი, რამდენად გამომივიდა. ქუჩაში ხალხი რომ მხედება, მეხვევა, მეფერება, მკოცნის, ტაქსისტი ფულს არ მართმევს... სხვათა შორის, ბევრმა დიდმა მსახიობმა და რეჟისორმაც შემაქო, რითაც უბედნიერესი ადამიანი ვარ.

— ამ როლის შემდეგ ხომ არ განანია, რომ თავის დროზე, მსახიობობაზე უარი თქვი?

— არა, ჩემი არც ერთი გადწყვეტილება არასდროს მინანია. ნეტავ, თავიდანვე თეატრის კრიტიკოსობა ამერჩია-მეთქი, ვამბობ, მაგრამ თეატრმცოდნე უნდა იცოდეს, თუ როგორ „წვალობს“ მსახიობი. მსახიობობა ურთულესი პროფესიაა.



ჩოხოსნებთან ერთად. (მარცხნიდან პირველი გეგე სულხანიშვილი)



„ხვალ უმუშევარი რომ დავრჩე, წავალ, ძროხას ვიყიდი, მოვწვლი და კარტოფილს დავთესავ“

— სულ რამდენიმე წლის წინ, პირველი ახალგაზრდა მეიგავის ტიტული მოიპოვე...

— ყოველთვის აღვნიშნავ, მეიგავე კი არა, იგავ-არაკების ავტორი გახლავართ-მეთქი. მეიგავე სულხან-საბა ორბელიანია... მე თითო-ორიოლა იგავი დამინერია, ვილაცებს ნაუკითხავთ და ეს მეიგავეობას ხომ არ ნიშნავს? ბედნიერი ვარ იმით, რომ ჩემს იგავ-არაკებს თეატრალურ უნივერსიტეტში, მისაღებ გამოცდებზე, აბიტურიენტები სშირად კითხულობენ.

— და ჯერ კიდევ მაშინ კითხულობდნენ შენს იგავ-არაკებს, როცა წიგნდაც კი არ იყო გამოშვებული, არა?

— ფურცელ-ფურცელ ვრცელდებოდა, ფანქრით წერდნენ, აქსეროქსებდნენ... იცით, რა სასიხარულო იყო...

— ნიკა, თეატრზე ყოველთვის ისეთი აღფრთოვანებით ლაპარაკობ, შეუძლებელია, გულგრილად გასმინოს ადამიანი...

— განა, შეიძლება, ვინმეს თეატრი არ უყვარდეს?! თუ არ უყვარს, ე.ი. მას სულიერება არ გააჩნია. თეატრს დიდი მოფრთხილება სჭირდება, თუ გვინდა, რომ სულიერების დიდი ნაწილი გადავარჩინოთ... რამდენიმე დღის წინ, უძვირფასესი და უსაყვარლესი ქალბატონი — ზინა კვერცხილაძე გარდაიცვალა. ის უდიდესი მსახიობი და ჩემთვის ძალიან ახლობელი ადამიანი გახლდათ. მას თავისი პატარა „ავტონომია“ ჰქონდა, სადაც ცოტას თუ უშვებდა... უკვე ძალიან დაბაკვდა.

— დღეს რამდენიმე ადგილზე მუშაობ, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სერიალისთვის — „გოგონა გარეუბნიდან“ სცენარს წერ. ბევრს საჩქეს ასწრებ, არ იღლები?

— შრომისმოყვარე უნდა იყო. ათჯერ თუ სცადე, მეთერთმეტედაც უნდა სცადო. ჩემი მეგობრების, ნიჭიერი და პატივსაცემი ადამიანების 80% უმუშევარია. მე არც ტონინო გუერა დამსიზმრებია და უთქვამს, სცენარები წერეო და არც სულხან-საბას უკარნახია, იგავები უნდა შეთხზაო. თვითონ ვცადე ბედი ყველგან და რაც გამომივიდა, აგერ ყველანი კი ხედავთ... მართალია, არაერთგან ვმუშაობ, მაგრამ თეატრის გარდა, ჩემთვის ყველა სამსახურია, თეატრი კი ჩემთვის სულიერებაა! ამ ნათქვამს, ალბათ, ისინი ვერ გაშიგებენ, ვისაც თეატრის

დანიშნულება არ ესმით.

— რამდენად იოლი ამდენი საქმის ერთდროულად კეთება?

— სიმართლე გითხრა, ბევრი საქმის კეთება უფრო ადვილია, ვიდრე — არაფრის არასოდეს მქონია უმოქმედობის პერიოდი. ღმერთმა დამიფაროს და, ხვალ თუ უმუშევარი დავრჩი, მაშინვე ძროხას ვიყიდი, მოვწვლი, კარტოფილს დავთესავ. უსაქმურად ყოფნა როგორ შეიძლება?! მაქვს თუ არა საქმე, მაინც სისხამ დილით ვიღვიძებ. ცხოვრების წუთები როგორ უნდა მოვიკლო და ძილში როგორ გაგაბარო?! ამის გარდა, ადამიანს იმდენი რამე აქვს მოსასწრები, რომ... თუ არ იცხოვრე იმ შეგრძნებით, რომ ყველაფერი უნდა მოასწრო, არაფერი გამოვა. ყველაფერი მინდა, ერთად მოვასწრო. ღმერთმა ნუ მანახვოს ისეთი ნიკა ნულუკიძე, დილა რომ გათენდება და წასასვლელი არსად ექნება.

— მოდი, სტუდენტებზეც მომიყვი, როგორ თაობა მოდის?

— მათზე ცოტათი ნაწყენი კი ვარ, მაგრამ არ მინდა ახლა ამაზე ლაპარაკი. ვიტყვი, რომ ძალიან ნიჭიერი თაობა მოდის! რომ დავსდეთ და თავში ხელები წავიშინოთ, — ყველა კარგი მსახიობი წავიდა-თქო, ასე არ გვაქვს საქმე. აკაკი ხორავამ რომ ითანამაო ოტელოს როლი, სპექტაკლზე უფროსი თაობის წარმომადგენლები არ მივიდნენ, — ალექსანდრე იმედაშვილის ნათამაშევი ოტელო გვახსოვს... ყველა თაობას თავისი ვასაქე, ხორავა, მეღვინეთუხუცესი, პიპინაშვილი და ყიფშიძე ჰყავს... ქართველები ისეთი არტისტული ერი ვართ, როგორ შეიძლება, კარგი მსახიობები არ გვყავდეს?!

— ტელეერიალის — „გოგონა გარეუბნიდან“ ნახვისას, ის ადამიანები, რომლებიც გიცნობენ, იოლად გამოარჩევენ შენს ფრაზებს...

— რასაც აკეთებ, ყველაფერს შენი ინდივიდუალობა ოდნავ მაინც უნდა დაატყო. ამ სერიალზე თავისი საქმის უზადო პროფესიონალები მუშაობენ. „ლამის შოუს“ გუნდთან მუშაობისას, მათნაირი თუ არ ხარ, ცდილობ, მაგალითი მათგან მაინც აიღო. ვგიჟდები პროფესიონალ ადამიანებზე.

— რა გაძლევს შემოქმედებით მუხტს?

— გუშინდელი დღის მონატრება,



მაქვს თუ არა საქმე, მაინც სისხამ დილით ვიღვიძებ

ხვალინდელი დღის ლოდინის დაუოკებელი სურვილი. ყველა კი ელოდება დღის გათენებას, მაგრამ მათგან უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს, გათენებულზე რა უნდა გააკეთოს. სიზარმაცით წინ არავინ წასულა... ქართველი დედის მოგონილია გენიალური ფრაზა: „ნიჭიერია, მაგრამ ზარმაცი“, — ხომ გაგიგონიათ? რას ნიშნავს ზარმაცია? ასეთი რამ არ არსებობს. ზარმაცი კი არა, ე.ი. უნიჭია! მუდმივად გაფაციცებული დაუდვიარ და ვაკვირდები იმას, ვინ რას იტყვის, რას გააკეთებს... ასე ვარჩევ ჩემს „საკუბილოებს“.

— იუმორისტული სერიალის სცნარისტს ალბათ იუმორის გრძობაც მოეთხოვება.

— არა, ბატონო... პერსონაჟის ხასიათის ცოდნაა საჭირო. თუ მის ხასიათს მიჰყევი, შეუძლებელია, იუმორისტული დიალოგი არ დაიბადოს. ყოველკვირა 170 თაბახი გვაქვს დასაწერი და სიცილისა და ტკბობის დრო აღარ გვრჩება.

— სერიალის („გოგონა გარეუბნიდან“) შემოქმედებითი ჯგუფი, ვიცი, რომ ფილმის გადაღებასაც აპირებდა. ეს პროექტი შეჩერდა?

— ეს პროექტი იდეის დონეზე დარჩა და იმედია, მალე შეძლებს გადაღებას ჯგუფი, რომ ეს ფილმი გადაიღოს... რაც შეეხება სერიალს, სცენარის წერა უკვე დაწყებული გვაქვს და მაყურებლებს ვპირდებით, რომ წინ ბევრი საინტერესო ამბავი ელით... ■



სასიკვდილო მკურნალობა

XX საუკუნის 50-იან წლებში ბრიტანეთის უმდიდრეს ექიმად აღიარებულმა ჯონ ბოდკინ ადამსმა გარდაცვალების შემდეგ 403.000 გირვანქა სტერლინგი დატოვა. 1956 წელს მისი რეპუტაცია ძალზე შეილახა. ბრიტანელთა უმრავლესობა დარწმუნებული იყო, რომ ადამსი პაციენტს თავის სასარგებლოდ ანდერძის დაწერას აიძულებდა და შემდეგ კლავდა. არავინ იცის, სინამდვილეში რამდენი მსგავსი ამბავი მოხდა...

დასაწყისი იხ. „გზა“ №37

ქვიში-მეხაჰიდრე

ექიმ ჯონ ბოდკინის მიმართ აღძრული სასამართლო საუკუნის პროცესად შერაცხეს, რადგან მას 163 ადამიანის მკვლელობაში ედებოდა ბრალი... ჯონ ადამსი 1899 წელს ირლანდიის პოპულარულ და შეძლებულ „პლიმუტის ძმების“ მოძღვრის ოჯახში დაიბადა. სამედიცინო განათლება მიიღო, მაგრამ სწავლითა და ნიჭით არ გამოირჩეოდა. „პლიმუტის ძმების“ სექტის წევრმა, ცნობილმა ექიმმა სამუშაოდ კლინიკაში მოაწყო, მაგრამ ჯონ

ადამსის მონაცემები მის თანამდებობას არ შეეფერებოდა. ამიტომ, როდესაც 1922 წელს ლა-მანშის სანაპიროზე მდებარე ქალაქ ისტბორნში ოჯახის ექიმის ვაკანსია გამოჩნდა, ჯონ ადამსმა შანსი ხელიდან არ გაუშვა, ისტბორნში დასახლდა და კარიერული აღმასვლა დაიწყო. იმ პერიოდში ისტბორნი პრესტიჟული კურორტი იყო, სადაც ბევრი მდიდარი მოხუცი ცხოვრობდა. ადამსმა კარგად უწყობდა, როგორ უნდა მოეგო მათი გულები. პაციენტები გულუხვად აჯილდოებდნენ ექიმს, რომელიც მათ ლაყბობას თავაზიანად ისმენდა. ზოგიერთმა მისი სახელი ანდერძშიც კი მოიხსენია. მოხუცები იხოცებოდნენ, ჯონ ადამსის ქონება კი სწრაფად იზრდებოდა. ასე მაგალითად, 1935 წელს ვინმე მათილდა უიტონმა 7385 გირვანქა სტერლინგი დაუტოვა. ქალაქში ექიმი ადამსი ბევრს არ მოსწონდა; მიაჩნდათ, რომ თავხედურად ითხოვდა საჩუქრებს და ნებისმიერ, იაფფასიან ნივთსაც კი ხარბად ეუფლებოდა... 1956 წლისთვის ჯონ ადამსი დიდი ბრიტანეთის უმდიდრესი ექიმი იყო. იმ პერიოდისთვის მისი სახელი 132 ანდერძში იყო შეტანილი. ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, საქმეში მსახიობი — ლესლი ჰენსონი რომ არ ჩარეულიყო, რომელმაც თავისი მეგობრისა და ადამსის პაციენტის, 50 წლის ჰერტრუდა ჰიულეტის გარდაცვალების ამბავი შეიტყო. ჰენსონმა იცოდა, რომ მისის ჰიულეტის 4 თვის წინ გარდაცვლილი მეუღლეც ადამსის პაციენტი იყო. მას ბევრი რამ სმენოდა ისტბორნელი ექიმის შესახებ, რომელიც გარდაცვლილი პაციენტების რაოდენობის ზრდის პროპორციულად მდიდრდებოდა და პოლიციას მიმართა. საქმეში „სკოტლანდ იარდი“ ჩაერთო. პოლიციამ ადამსის ყველა გარდაცვლილი პაციენტის საქმე შეისწავლა და დაასკვნა, რომ გარდაცვალების 163 ფაქტი საეჭვო ვითარებაში მოხდა. ზოგ შემთხვევაში ექიმს მაროდორობაში ედებოდა ბრალი, მაგრამ უმრავ-

ლეს შემთხვევაში, საქმე მეტად სერიოზული ჩანდა. მაგალითად, როდესაც 1950 წელს 76 წლის ემი ვარი კვდებოდა, ჯონ ადამსმა ნათესავებს მისი ნახვის ნება არ დართო, გარდაცვალების შემდეგ კი ცხედარს სასწრაფოდ კრემაცია გაუკეთა; თანაც ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმადაც, თვითონ, მემკვიდრეობის გაყოფით დაინტერესებული პირი არ იყო. სინამდვილეში, ადამსმა მისის ვარისგან ფასიანი ქალაქები მიიღო, რომლებიც მოგვიანებით 1.900 გირვანქა სტერლინგად გაყიდა. 1956 წლის 19 დეკემბერს, როდესაც პოლიცია მის დასაბამებლად მივიდა, ადამსმა ჩაილაპარაკა: „მკვლელობა, მკვლელობა... არა მგონია, რომ მკვლელობა დამიმტკიცოთ, ის ისედაც მოკვდებოდა“. 50-ზე მეტი საეჭვო სიკვდილიდან პროკურატურამ 4 ყველაზე უცნაური ეპიზოდი შეარჩია, ბრალდება კი ორ მათგანზე წაუყენა. ექიმი ადამსი ჰერტრუდა ჰიულეტისა და 1950 წელს გარდაცვლილი 81 წლის მდიდარი ქალის — ედიტ მორელის მკვლელობაში დაადანაშაულეს. ნაწილობრივ პარალიზებული მისის მორელი კრუნჩხვებითა და უძილობით იტანჯებოდა, ადამსი კი მორფინისა და ჰეროინის ინიექციებით მკურნალობდა და დოზას სულ უფრო და უფრო ზრდიდა. პაციენტის გარდაცვალების შემდეგ, ექიმმა, ჩვეულებისამებრ კრემაცია სწრაფად ჩაატარა და ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის თანახმად, მემკვიდრეობით არაფერი ერგებოდა, სინამდვილეში კი 1.500 გირვანქა სტერლინგად ღირებული „როლს-როისი“, ძველებური კარადა, ანტიკვარული სკივრი და სუფრის ვერცხლეული მიიღო. მაროდორობასაც არ მიყვრიდა, გარდაცვლილის სახლიდან 60 გირვანქა სტერლინგად ღირებული მაგიდის სანათური მოიპარა და ნათესავებს 1100 ვიზიტის ანგარიში წარუდგინა, თუმცა ავადმყოფთან მხოლოდ 321-ჯერ იყო მისული. ჰერტრუდა ჰიულეტის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ქალბატონი ღრმა დეპრესიაში ჩავარდა, ექიმმა კი ბარბიტურატებით მკურნალობა



მონუხაბი სიკვდილთან მგვილად მასახვადრად ისტბორნში ჩაღიოდნა, ქვიში ადამსი აი მათ ამ მონის სწრავალ მიღწავაში ახმარაბოდა



ბრიტანელმა იარისტიბამ ანვიანტაბის მავალთა ქვიშის გამართულის პრეზენტაციის შემდეგ

დაინყო და მანამდე უმკურნალა, ვიდრე პიულეტი კომაში არ ჩავარდა და არ გარდაიცვალა. გაკვეთამ აჩვენა, რომ ორგანიზმში ბარბიტალნატრიუმის შემცველობა სასიკვდილო დოზას ორჯერ აღემატებოდა. ექიმმა მემკვიდრეობით კვლავ „როლს-როისი“ მიიღო, რომელიც 2.900 გირვანქა სტერლინგად გაყიდა. თავდაპირველად ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ჯონ ადამსის საქმე წასული იყო; ყველას ეგონა, მკვლეელი ექიმი სიცოცხლეს სახრჩობელაზე დაასრულებდა. დავის საგანი მსხვერპლთა რაოდენობა გახლდათ. ერთი 200 მსხვერპლს ასახელებდნენ, მეორე 400 მოკლულის შესახებ ლაპარაკობდნენ, მაგრამ მოულოდნელად, ბრალდება სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდა: სამხილებს შორის მედების დღიურებიც იყო, სადაც ექთანებს პაციენტებისთვის გაკეთებული ყველა ინიექციის შესახებ მონაცემები შეჰქონდათ. პროცესის დასაწყისში დღიურები მანამდე გაქრა, ვიდრე ბრალდება ჩანაწერების გაცნობას შეძლებდა, შემდეგ კი უკვე დაცვის ხელთ აღმოჩნდა. ადვოკატებმა მედებს თავგზა აუბნიეს, მათ მოგონებებს ჩანაწერებს ადარებდნენ და დღიურის მეშვეობით უზუსტობას ამხელდნენ. აღმოჩნდა, რომ ექთანების ჩვენებები — სადაც ისინი ამტკიცებდნენ, რომ პრეპარატების დოზა თანდათან იზრდებოდა — სანდო არ იყო. დაცვის მხარე ირწმუნებოდა, რომ ჯონ ადამსის წინააღმდეგ ისტორიის მოსახლეობის მიერ მიცემული

ჩვენებები პრესაში გაჩაღებული ისტერიის შედეგი იყო. ამასთან, ბრალდების უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა ასლები ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის ხელში აღმოჩნდა, რომელთაც ასოციაციის მნიშვნელოვანი წევრის გასამართლება სულაც არ სურდათ, რადგან მათი რეპუტაცია ილახებოდა. ამიტომ, მასალა ადვოკატებს გადასცეს, რამაც დაცვის პოზიცია გააძლიერა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ გენერალურმა პროკურორმა — მენინგემ-ბულერმა ამ გარემოებას ყურადღება არ მიაქცია. დაცვამ ედიტ მორელის მკვლელობის საქმის ჩაგდება მოახერხა, გენერალურმა პროკურორმა კი ჰერტრუდა ჰიულეტის ეპიზოდის გამო საქმის აღძვრაზე უარი თქვა, რადგან ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკა ერთ-ერთი ბრალდების გამოორციხვის საშუალებას იძლევა. ასე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქცევიან, როდესაც ბრალდებული მძიმე ავადმყოფია, ექიმი — ჯონ ადამსი კი ხარივით ჯანმრთელი იყო, მაგრამ პროკურორმა მის მიმართ უცნაური შემწყნარებლობა გამოიჩინა... ჯონ ბოდკინ ადამსს მკვლელობის ყველა ბრალდება მოეხსნა და მხოლოდ წვრილმან თაღლითობაში დაადანაშაულეს, ლიცენზია ჩამოართვეს და 2.400 გირვანქა სტერლინგით დააჯარიმეს. ყველაფერი ამით დასრულდა. ყოფილი ექიმი ისტორიაში დაბრუნდა, სახლი ნამდვილ ციხესიმაგრედ გადააქცია. ფანჯრები ჩარაზა და ყველა ოთახში ცეცხლჩაქრობის ინსახვდა, რადგან ეშინოდა, რომ მოსახლეობა ცეცხლს ნაუკიდებდა და ეს შიში უსაფუძვლო არ იყო. 1961 წელს ადამსს ლიცენზია დაუბრუნეს, მა-

გრამ მასთან მკურნალობის მსურველი არავინ აღმოჩნდა. ერთი წლის შემდეგ, ამერიკაში ემიგრირება გადაწყვიტა, თუმცა აშშ-ის მთავრობამ გასაგები მიზეზის გამო ქვეყანაში შესასვლელ ვიზაზე უარი უთხრა. ადამსის კარიერა განადგურდა, სამაგიეროდ, კიდევ დიდხანს იცოცხლა, 1983 წელს 84 წლის ასაკში გარდაიცვალა და 403.000 გირვანქა სტერლინგი დატოვა.

მას შემდეგ სამყარომ კიდევ მრავალი მკვლეელი ექიმი იხილა. მაგალითად, ამერიკელმა ექიმმა — მაიკლ სვანგომ 60 პაციენტი მონამლა... 1998 წელს ბრიტანელმა ექიმმა — ჰაროლდ შიპმანმა კეტლინ გრანდი საიქიოს გაისტუმრა, ანდერძი გააყალბა და მემკვიდრეობით 386.000 გირვანქა სტერლინგი მიითვისა, მაგრამ ვერ განსაზღვრა, რომ მემკვიდრეთა შორის ძლიერი იურისტებიც იყვნენ... გამოძიებამ დაადგინა, რომ ექიმმა პრეპარატების სასიკვდილო დოზა მინიმუმ, 15 ადამიანს მისცა და მათ ქონებას დაეპატრონა. ჰაროლდ შიპმანი დიდი ბრიტანე-



ექიმ ადამსს მსოფლიოში საუკეთესო სამსახური ჰქონდა. ორი გარდაცვლილი ანვიანტისგან ორი „როლს-როისი“ დაიწა

თის ტერიტორიაზე პირველი ექიმი იყო, რომელიც წინასწარ განზრახული მკვლელობის ბრალდებით გასამართლდა. 2000 წელს მას საზუდავი პატიმრობა მიესაჯა; სულ მალე კი პატიმარმა საკანში თავი ჩამოიხრჩო. ასე დასრულდა დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი მკვლეელი ექიმის სიცოცხლე, რომელმაც პაციენტის ქონების მითვისება მოინდომა...

მოამზადა ნატო მანჯავიძემ



რაზე ოცნებობს ქობულათელი მავპელი

ამ ზაფხულს დასასრობად განწირული დედა-შვილის გადარჩენის სცენა საკუთარი თვალით ვიხილე. იმ დღეს საოცრად ლელავდა ზღვა (ივლისის ბოლოს, ქობულეთში ზღვა გამუდმებით ლელავდა). ორდღიანი წვიმის შემდეგ, როგორც კი მზემ გამოანათა, დამსვენებლებით აივსო სანაპირო. ერთი შავგვრემანი გოგონა (ასე, 8-9 წლის) თამამად შევარდა აქაფებულ ტალღებში, უკან დედაც მიჰყვა, სომხები იყვნენ. ისინი ხელიხელჩაკიდებულები ზღვის ტალღებზე ენ. ჰიდრომასაჟს იღებდნენ და ტალღებზე ისე ადი-ჩამოდიოდნენ, ეტყობოდათ, ძალიან მოსწონდათ წყალში „ლივლივი“. უეცრად დიდი ტალღა წამოვიდა, დედა-შვილს ზემოდან გადაეველო და სანამ წყლიდან თავს ამოყოფდნენ, მეორე ტალღამაც მოუსწრო. დედის საშინელი კივილი გაისმა, გოგონას უხმობდა, ბავშვი კი აღარ ჩანდა. ყველანი შეგშფოთდით, წამოვიშალეთ. მომატებულმა ლელვამ დედაც ჩაითრა, ფეხზე ვეღარ დგებოდა. აღელვებულ ზღვაში შესვლასა და მათ დახმარებას ვერაფერ ბედავდა. მოულოდნელად, ერთი ახალგაზრდა სირბილით გამოექანა და ზღვაში შევარდა — ჯერ ქალი გამოიყვანა. ვილაცხებმა წამოიძახეს, — ეგ ბიჭი მაშველიაო. ყველანი გაირინდნენ. მაშველმა ცოტა ხანში წყლიდან გოგონაც გამოიყვანა. ნაპირზე მანვე ჩაუტარა პირველადი დახმარება. გოგონას ბევრი წყალი ჰქონდა ნაცლაპი. ბავშვის დედა სომხურ-რუსულ-ქართულად ლოცვად იღვრებოდა. ამ საოცარი ფაქტის შემდეგ მაშველთან გასაუბრება დავაპირე. იგი ქობულეთში მცხოვრები, 34 წლის ბიორბი ბოპოტიძე აღმოჩნდა.

მარინა გავუნაშვილი

— დიდი ხანია მაშველი ხართ?
— არა, წელს ოფიციალურად დავიწყე მაშველად მუშაობა, თუმცა აქ ყველა ადგილობრივი მცხოვრები მაშველია. აბა, როგორ გაგიძლებს გული, ადამიანის დახმარებას უყურო და გაჭირვებულს არ დაეხმარო?! არადა, ზღვაზე, ყოველ წელს ხდება უბედურება. ყველაზე ხშირად ის იხრჩობა, ვინც ცურვა იცის. არც წყლის გადამეტებული შიში ვარგა და არც ნამეტანი სითამამე. ის, ვინც ცურვა არ იცის, ფსკერზე ფეხს რომ ვეღარ იკიდებს, იბნევა და შიშით გული უსკდება.
— წელს დაგნიწყათ მაშველად მუშაობა. ადრე რას საქმიანობდით?



არც წყლის გადამეტებული შიში ვარგა და არც ნამეტანი სითამამე

— ადრე ავეჯს ვამზადებდი, მაგრამ ბევრი შეკვეთა არ იყო და თავი დავანებე. 3 შვილი მყავს და ოჯახი რამით ხომ უნდა ვარჩინო?! შარშან ცოლთან ერთად, საკონდიტრო საცხობი დავიქირავეთ (მეუღლეს ნამცხვრების ცხობა ეხერხება), საქმე კარგად აენყო, მაგრამ მერე მესამე შვილი შეგვეძინა. მეუღლე თოთო ბავშვს ხომ ვერ დატოვებდა?! ამიტომ, წელს ეგ ბიზნესი არ გამოგვივიდა. ყველაფერი, რასაც ხელს მოჰკიდებ, მოკლევადიანია, რადგან აქ, ზღვისპირეთში, მხოლოდ ზაფხულში შეიძლება ფულის შოვნა. ამიტომაც არის, რომ აქაურები ზაფხულობით ცდილობენ, ყველაფრიდან ფული „გამოწერონ“.
— მაგალითად?
— მოხარშული სიმინდის, ხილის, თხილისა და სხვა ტკბილეულის გაყიდვა ნაპირზე უკვე კარგად ნაცადი ხერხია. მართალია, ყოველი სეზონის დაწყებისას მუნიციპალიტეტი ახალ-ახალ აკრძალვას აწესებს, მაგრამ სიამოვნებს დამსვენებელს ეს ცხელი სიმინდი და მოკალი... ზოგიერთი გადაიცვამს კლოუნის ტანსაცმელს და ბავშვებთან ერთ ლარად სურათს იღებს, ბევრი სამკაულით ვაჭრობს; პონით გასეირნება პატარებს ძალიან მოსწონთ და რამდენიმე შეიძინა



წელს ოფიციალურად დავიწყე მაშველად მუშაობა

კიდევ ჯუჯა ცხენი, ეტლში შეება და ბიზნესიც გამოუვიდა. ველოსიპედებსაც ყიდულობენ და ნ ლარად აქირავენ. ვისაც ბილიარდის ან მაგიდის ჩოგბურთის დაფები აქვს, სანაპიროზე გამოაქვს... ერთი სიტყვით, ყველაფრიდან შოულობენ ფულს. ზაფხულში თუ არ მოაგროვებს რაღაც თანხა, მერე ძალიან გაუჭირდებათ. სახლსაც ვაქირავენ, აბა, მართო მაშველობით ვერ ვარჩენ ოჯახს. საოფლიდანაც გვაქვს პატარა შემოსავალი — მანდარინს, თხილს და სიმინდს ვყიდით... ბევრს ჰგონია, ვინც ზღვისპირეთში ცხოვრობს, იმას არაფერი უჭირს. ცდებიან. შემოდგომასა და ზამთარში თანხა (ოთახების გაქირავებით დაგროვილი) ნელ-ნელა იღევა და გაზაფხულიდან მძიმე პერიოდი გვიდგება. არადა, ახალი სეზონისთვისაც ხომ უნდა მოვემზადოთ. აქ ნესტი იცის. თუ არ შევარემოტეთ სახლები, ისე არ გვეყოლება მუდმივი კლიენტი.
— მაშველებს ხელფასი რამდენი გაქვთ?
— 480 ლარი გვაქვს, მაგრამ ხელზე 385-ს ვიღებთ.
— სამუშაო რთული და საბასუსხისმგებლოა, ხელფასი კი მთლად შესაფერისი არ გქონიათ. რამხელა მონაკვეთი გაბარათ?
— ქობულეთში სულ 23 მაშველი ვართ და თითოს 12-კილომეტრიანი მონაკვეთი გვაქვს ჩაბარებული.
— წელს დაფიქირდა უბედური შემთხვევა?
— ღვთის წყალობით — არა, მაგრამ დღევანდელი შემთხვევის მსგავსი უკვე რამდენჯერმე მოხდა. როცა ლელვაა, დამსვენებლებს ვაფრთხილებთ, რომ ზღვაში არ შევიდნენ. 2 ბალზე კი კატეგორიულად ვკრძალავთ



ზღვაში შესვლას.

— მოგწონთ თქვენი ახლანდელი საქმე?

— როგორ შეიძლება, არ მომწონდეს, მე ხომ ადამიანის სიცოცხლეს ვდარაჯობ! იმდენი მლოცავს, ზოგჯერ თავი დევგმირი მგონია!

— ცურვა როდის ისწავლეთ?

— მამამ მასწავლა, 7 წლის ასაკიდან ვცურავ. ზღვა ძალიან მიყვარს. ალბათ დიდი სახლი რომ მარტონ სხვაგან და კარგი ხელფასიც დამინიშნონ, დიდხანს ვერ გავერდები, აქაურობის გარეშე ვერ გავძლებ. ალბათ არ იცით, რომ ქობულეთის 16-კილომეტრიანი ზოლი წითელ ნიგში შეიტანეს, როგორც უნიკალური რეგიონი მთელ ევროპაში...

— მინც რითაა უნიკალური?


— ქალაქის უკანა მხარეს ჭაობია, რომელშიც იშვიათი ჯიშის კოლხური წყალმცენარეები იზრდება. ზღვისა და ჭაობის წყალი რომ ერთმანეთს გასაოცარ მიკროკლიმატს ქმნის, სწორედ ესაა, რომ უხდება გულ-სისხლძარღვებითა და ჩიყვით დაავადებულებს. 2 წლის წინ გერმანელი და ამერიკელი მეცნიერები იყვნენ ჩამოსულები, საფუძვლიანად გამოიკვლიეს ქობულეთის ეს ადგილი და აღფრთოვანებულები დარჩნენ. გაცუბულები მიეჩვენებოდათ მათ, როცა ჭაობის ტალახი ამოიღეს და ჭამა დაიწყეს. ცერა თითით გვაჩვენებდნენ, — ძალიან სასარგებლოა და თქვენც მიირთვითო. თურმე იმ წყალმცენარეების ნეშომპალა სასარგებლოა იმითვის, ვისაც კუჭნაწლავი, სახსრები ანუ ხეხებს ან მარილების დაგროვება აქვს. ერთი სიტყვით, მეამაყება, რომ ქობულეთელი ვარ. მიჭირს, ბევრსაც ვწვალობ, მაგრამ მინც აქ მიჩვევნი ყოფნა.

— თვეზოაც შეგიძლიათ თავი მოინონოთ, არა? ამბობენ, შავი ზღვის თვეზი განსაკუთრებით გემრიელია...

— ჯერ იმას გეტყვით, რომ მდინარეები — ჩაქვი და კინტრიში სავსეა კალმასითა და ორაგულით. რაც შეეხება ზღვის თევზებს, მართლაც უგემრიელესია. „ბარაბულკა“ იგივე ხონთქარაა; ის ძალიან ჰყვარებია თურქეთის ხონთქარს. მეორენაირად დაუთხანსაც ეძახიან. ჩვენი ზღვა სავსეა — კამბალით, თართით, სკუმბრიით, კეფალით, სარღანით ანუ გველთევზით, კარჩხანით, ღორჯოთი... ქობულეთს იმის ნახევარი ყურადღება თუ მიაქცევს, როგორსაც ბათუმს აქცევენ, დამიჯერეთ, ამაზე უკეთესი საკურორტო ქალაქი შავიზღვისპირეთში მეორე არ იქნება.

საძინებელი დაქოქილი ავტომობილი და ინჟინერ-მუსიკოსის აზრები

დავით ლაპიაშვილი, ერთი შეხედვით, სხვა ადამიანებისგან არაფრით განსხვავდება, 64 წლისაა, მეუღლე, 2 შვილი და 4 შვილიშვილი ჰყავს. პროფესიით ინჟინერ-პედაგოგია, მაგრამ ახლა პენსიაშია და ახალგაზრდებს ავტომობილის მართვის წესებს შინ ასწავლის... ბატონო დავითი სხვებისგან საკუთარი წარსულითა და განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევა. მან რკინის მილებისა და თუნუქისგან ავტომობილი საკუთარი ხელით ააწყო, თანაც — მეცხრე სართულზე, საძინებელ ოთახში. მიუხედავად იმისა, რომ მისი შვილი ჩემი კოლეგაა და მამამისის შესახებ წინასწარ მიაგმო რალა-ცრალაცები, ინტერვიუს ჩანერისას საკმაოდ ბევრი სახლზე შევიტყვევ რესპონდენტს ვარკეთილში ვენეცე. ის მრავალსართულიანი კორპუსის ეზოში სამხედრო ფორმაში ჩაცმული დამხვდა; მითხრა, — ვიდრე ავტომობილს გაჩვენებთ, მინდა, ძალიან ლამაზი ადგილი გაჩვენოთ და ავტოფარენის გვერდით მოწყობილ პატარა, ულამაზეს ბაღში შემოიღვა. ხეხილსა და ყვავილებს შორის დაგებული ვინრო ქვაფენილი გავიარეთ და ხის მორებისგან გამოკვეთილ სკამებზე ჩამოფეხეთ. როგორც გაირკვა, ბატონო დავითს ეს ულამაზესი ბაღიც საკუთარი ხელით მოუწყვია და გაულამაზებია...



1942 წელს გამოშვებული ამერიკული „ვილისის“ მოდელია

სათუნა პასპურიძე

— ბატონო დავით, სამხედრო ფორმით რატომ დამხვდით?

— თადარიგის მაიორი ვარ. ეს ტანსაცმელი ხშირად მაცვია, არმიაში მუშაობისას შევეჩვიე, ძალიან პრაქტიკულია.

— ინჟინერს არმიაში რა გინდოდა?

— ამ სამსახურში შემთხვევით მოხვედი... პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში პრორექტორი გახლდით (თუ არ ვცდები, 1992 წელი იყო) და ერთხელაც, ქუჩაში ჩემი ძმაცაყი, 1-ელი ბატალიონის მეთაური — პეტრე ტალახაძე შემხვდა და მითხრა, რომ სამხედრო ნაწილში მასწავლებელი სჭირდებოდათ. უარი არ მითქვამს, არმიაში გამოვცხადდი და აღმზრდელით დარგვი მეთაურის მოადგილედ დამნიშნეს. 10 წელი ვიმსახურე, ამასობაში, აფხაზეთის ომიც მოვიარე.

— ჯარისკაცებს რას ასწავლიდით?

— ნერა-კითხვას...
— რას ამბობთ, ბატონო დავით?!
— გიკვირთ, არა? იმ პერიოდში

ჯარისკაცების დიდმა ნაწილმა ნერა-კითხვა მართლა არ იცოდა. არმიაში ოფიცრების კი არა, ლარები ხალხის შვილები მიდიოდნენ. აბა, სხვა ვინ წავიდოდა? პოლკოვნიკმა ყურაშვილმა პირდაპირ მითხრა, — დავით, ამათ ჯერ ნერა-კითხვა ასწავლე და დანარჩენზე მერე ელაპარაკეო...

— სამხედრო საქმეში როგორ ერკვეოდნენ?

— დიდად ვერც სამხედრო საქმეში ერკვეოდნენ. იმ პერიოდში არმია ახალი ჩამოყალიბებული იყო და არანაირი გამოცდილება არ გვექონდა. ისე, არტილერისტები კი კარგები იყვნენ. ალბათ იმიტომ, რომ ამ მხრივ რალაც გამოცდილება მაინც გვექონდა (ალბათ იცით, „პლენაროზე“ არტილერისტების სპეციალური სასწავლებელი რომ იყო).

— ჯარისკაცებს ნერა-კითხვის შემდეგ რა ასწავლეთ?

— ფსიქოლოგია. ჯარისკაცისთვის ეს საგანი ძალზე მნიშვნელოვანია, საკუთარი თავისა და ემოციების მართვა უნდა იცოდეს.

— აფხაზეთის ომში მათთან ერთად წახვედით?



— კი, აბა, როგორ!.. სულ 2 კვირა მოგვიწია ფრონტზე ყოფნამ, მაგრამ შემძლია ვთქვა, რომ ტყუილად არ მინვალია...

— **მხოლოდ 2 კვირა რატომ?**

— არ ვიცი, როდესაც ბრძანება მოგვივიდა, მაშინ წავედი. იქიდანაც ბრძანების მიღების შემდეგ დავბრუნდი. ისე, მაინც ვიცოდი, რომ წაგებულ ომში მივდიოდით. მე კი არა, ყველამ ვიცოდით, რომ ამ ომს ვერ მოვიგებდით...

— **მაშინ რატომ წახვედი?**

— ბრძანებას დავემორჩილე. გარდა ამისა, ჯარისკაცებისთვის მაგალითი ხომ უნდა მიგვეცა!



ავტომობილს მხოლოდ საბურავები და მრავალ აქვს ქარხნული

— **არმიაში მუშაობის ნოსტალგია ხომ არ გაქვთ?**

— ძალიან დიდი ნოსტალგია მაქვს. უზომოდ მიყვარდა ეს სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ ნახევრად მშვიდობა ვიყავით და ხელფასსაც 4 თვეში ერთხელ გვაძლევდნენ, მაინც მენატრება არმიაში გატარებული წლები. დილის 6 საათზე ვდგებოდი და თოვლში, წვიმასა თუ სიცხეში, ვარკეთილიდან „ვორონცოვამდე“ ფეხით მივდიოდი. იმ პერიოდში ტრანსპორტი თითქმის არ დადიოდა.

— **ავტომობილის ხელით აწყობა ამიტომ გადაწყვიტეთ?**

— არა. რაც თავი მახსოვს, ავტომობილის აწყობა სულ მინდოდა, მაგრამ ამისთვის ვერასდროს ვიცლიდი. ერთ დღესაც გადაწყვიტე, ამ საქმისთვის მიმეხედა. ჩემს ოთახში ჩუმიად ამოვიტანე ჯერ რკინები, მერე თუნუქის ნაჭრები და ნელ-ნელა მუშაობა დავიწყე. ჩემი მეუღლე თავიდან კინაღამ გაგიჟდა, — რას აგროვებ ამ რკინებს, რა ჯანდაბად გინდაო? ბევრი ვინვალე, ბევრი ლამე თეთრად

გავატენე და გამომივიდა, ავტომობილი პირველად ჩემს საძინებელში დავექოქე.

— **საძინებლიდან გარეთ როგორ გაიტანეთ?**

— დავშალე და ეზოში თავიდან ავანწყე. გუჯარ ყურაშვილმა ჩემი მანქანა რომ ნახა, გაგიჟდა, ისე მოეწონა. 20 ლიტრი ბენზინი მომცა. მაშინ საწვავი ძალიან ჭირდა და 20 ლიტრი ბენზინი დიდი საჩუქარი იყო...

— **ავტომობილის ყველა დეტალი თქვენი ხელითაა დამზადებული?**

— დიას, მხოლოდ საბურავები და ძრავაა ქარხნული.

— **რა მარკისაა თქვენი ავტომობილი?**

— 1942 წელს გამოშვებული ამერიკული „ვილისის“ მოდელია. ძალიან მიყვარს ეს მარკა.

— **რამდენ ლიტრ საწვავს წვავს?**

— ბევრს არ წვავს. 100 კილომეტრში 7-8 ლიტრი უნდა.

— **სხვა ავტომობილის აწყობა აღარ გიცდიათ?**

— არა, რას ამბობთ, ამან მთელი ჩემი ენერჯია და ნერვები შეინირა.

— **როგორც ვიცი, 2 ვაჟი გაყვით. მუშაობაში არ გახმარებოდნენ?**

— ვის ეცალა ჩემთვის?! აჩი, რომელიც თქვენი კოლეგაა, ძმავეცებთან ერთად შემოვიდოდა, იტყოდა, — აი, ჩვენ რა მაგარ მანქანას ვაკეთებთო! — და წავიდოდა...

— **ავტომობილის ყიდვის მსურველი ხომ არ გამოჩნდა?**

— უამრავი... რამდენჯერმე „მერსედესში“ მივცლიდნენ, თან ფულსაც მიმატებდნენ, მაგრამ ვერ შეველიე.

— **მოძრაობის წესებს დიდი ხანია, ასწავლით?**

— კი, რაც არმიიდან გამათავისუფლეს, ამ საქმეს მოვიცილე ხელი. სხვათა შორის, ძალიან მომწონს...

— **გოგონები უფრო კარგი მონაფეხები არიან თუ ბიჭები?**

— ასე ვერ ვიტყვი. თეორიულ მასალას გოგონები უკეთ სწავლობენ, პრაქტიკას — ბიჭები.

— **თავად თუ დაგირღვევიათ მოძრაობის წესები ან ავტოავარიაში თუ მოყოლილხართ?**

— მოძრაობის წესს იშვიათად ვარღვევ ერთხელ ავტოავარიაშიც მოვყევი, მაგრამ ეს ძალიან ადრე იყო — მაშინ, როდესაც ფაბრიკაში ვმუშაობდი.

— **ფაბრიკაში როდისღა მუშაობდით?**

— ვიდრე უმაღლეს სასწავლებელში ჩავაბარებდი, „ჩულებების ცეხში“ ვმუშაობდი, ოსტატი გახლდით, 16 დაზგა მეზარა...

— **იქ როგორ მოხვედით?**

— ჩემი პირველი პროფესია მუსიკოსობა იყო. დედაჩემის წყალობით, ხელოვნების ამ დარგს ბავშვობიდანვე დავეუფლე. სკოლა რომ დავამთავრე, 3 წელი ესტრადაზე ვუკრავდი. მერე რუსულ ჯარში წავედი. უკან რომ დავბრუნდი, ბიძაჩემმა მითხრა, — მუსიკოსობით ვერაფერს მიაღწევო და რომელიღაც სამხედრო ნაწილის საამქროში მიმიყვანა, სადაც რადიაციის სანინაალმდეგო ხელსაწყობებს არემონტებდნენ. რომ მივიხედ-მოვიხედე, იქაურობა ძალიან არ მომეწონა, ყველა ბებერი იყო. იქიდან მეორე დღესვე უკანმოუხედავად გამოვიქეცი. ჩემი მეზობელი გოგონა წინდების სანარმოში მუშაობდა და იმას გაყევი. საშინელი ადგილი იყო — ერთ უზარმაზარ ოთახში 100 დაზგა იდგა და ასივე ტრიალებდა; ისე ცხელოდა, სუნთქვა ჭირდა, მაგრამ მაინც დავრჩი. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ იქ უამრავი ახალგაზრდა გოგონა მუშაობდა. მეორე წელს სარემონტო განყოფილების უფროსი გახდი, ფულიც გამიჩნდა. ერთ წელიწადში მანქანა ვიყიდე. ასე ბედნიერად და უზრუნველად ვცხოვრობდი, ვიდრე არ გამომიცხადეს, — უნდა ისწავლო.

— **ვინ გამოგიცხადათ?**

— საამქროს ხელმძღვანელობამ. მაშინ ასეთი დევიზი იყო — „ახალგაზრდა კომუნისტებო, ისწავლეთ!“ თავიდან კი უარი განვაცხადე სწავლაზე, მაგრამ მითხრეს, — თუ არ ისწავლი, სამსახურიდან დაგიტოვებთო. სხვა რა გზა მქონდა?! ექვსთვიანი კურსის შემდეგ გამოცდები ჩავაბარე და პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩავირიცხე, რომელიც „ნიტელ დიპლომზე“ დავამთავრე. მუშაობაც იქვე გავაგრძელე. ნელ-ნელა მანინაურებდნენ და ბოლოს, პრორექტორიც გახდი. ამ თანამდებობაზე სულ 3 წელი ვიმუშავე და მერე როგორც უკვე გითხარით, არმიაში წავედი.

— **ბატონო დავით, კიდევ რაიმე ნიჭი ხომ არ გაქვთ, რომლის შესახებაც ჯერ არაფერი გითქვამთ?**

— სიყვარულის დიდი ნიჭი მაქვს (იღიმის)...

— **წარმატებებს გისურვებთ.**



იღბლიანი და უიღბლო მოთაგაზაები

მოულოდნელად გამდიდრებული სვანის თავადასავალი

აზარტული თამაშის მოყვარული ბევრი ადამიანი მინახავს, მაგრამ მათი უმეტესობა, როგორც ამბობენ, „შარში ეხვევა“ სოლმე და ზოგი ამას თავის უიღბლობას მიანერს, ზოგიც — „მაზაეშიკებს“ ადანაშაულებს, რომელთა მიერ დაგებული მხეში ცხადია, საკუთარი სურვილით ეხვევიან. ჩემს ერთ-ერთ რესპონდენტს მამის აზარტულობის გამო ბევრი ტკივილისა და დამცირების გადატანა მოუხდა, მეორეს სიცოცხლე დედამ გაუმნარა, მესამეს — ჯერ მშობელმა აურია ცხოვრება, მერე კი თავადვე გახდა აზარტული — ოღონდ, თვითონ იშვიათად ატეხდა, უმეტეს შემთხვევაში, სხვების „გაფცქვნიტ“ იყო დაკავებული...



ლიკა ქავაიძე

**„ფული ჯანდაბას, ჰარში ჯანის სახელიც დაჰარბა“
ბია:**

— თამამად შემძლია ვთქვა, რომ იყო დრო, როცა ჩემი ბევრს შურდა, რადგანაც მატერიალურად ძლიერი ოჯახიშვილი ვიყავი, მაგრამ ერთ დღესაც ყველაფერი მამაჩემის უთაგბლობის გამო დავკარგეთ. ვიცოდით, რომ ის კაზინოებში „დაძვრებოდა“, ფულს ქარს ატანდა და თავადაც ხვდებოდა, რომ შეიძლებოდა, მის აზარტულობას ცუდ შედეგამდე მივეყვანეთ, მაგრამ ცდუნება ვერაფრით დაძლია და არა მარტო საკუთარი თავი დაღუპა, არამედ ჩვენ, ოჯახის წევრებიც მინურში საცხოვრებლად გაგვიმეტა.

— ანუ ყველაფერი წააგო?

— საკუთარი თავის გარდა, მართლაც, ყველაფერი წააგო. თურმე იმ დასაწვავ კაზინოში, სადაც ის ძალიან ხშირად დადიოდა, ერთი ნაშა „კრუპიე“ ჰყავდათ. იმ ქალის ხათრით და თავისი აზარტულობის წყალობით, ლამის ჭკუიდან შეიშალა და გონს მხოლოდ მაშინ მოეგო, როცა ახლობლები მშრალზე

დაგვტოვა, სასახლიდან გამოგყარა და ერთოთახიან სოროში შეგყვარა. ახლა კი მისტირის თავის სიმდიდრეს, მაგრამ ტირილს ვისთვის რა მოუტანია, მამა რომ ააშენოს? ფული ჯანდაბას, ყველაზე მეტად იმის გამო მწყდება გული, რომ კარგი კაცის სახელიც დაკარგა და აღარავინ ენდობა, მისი დასაქმებისგან ყველა თავს იკავებს.

— აბა, ვინ არჩენს თქვენს ოჯახს?

— დედა, რომელიც იძულებული გახდა, სამუშაოდ საბერძნეთში გადახვენილიყო. სანყალი ქალი ვილაცას უვლის, რათა მე და ჩემს ძმას გვასწავლოს, ჩაგვაცვას, მამა კი მხარეთმობეა წამოწოლილი და დღეებს მხოლოდ წუნუნსა და ტირილში ატარებს.

— შენ სტუდენტი ხარ?

— დიას. იურიდიულზე ვსწავლობ, მეორე კურსის სტუდენტი ვარ. გვიჭირს ცხოვრება, მით უმეტეს, დედის გარეშე, რომლის სიტბოსა და სიყვარულს მხოლოდ ტელეფონიდან თუ შევიგრძნობთ... მამას იმასაც ვსაყვედურობთ, დედას რომ დაგვაშორა, მას კი მხოლოდ ის აღარდებს, აზარტულობის ჭიას რომ ვეღარ იკმაყოფილებს... სხვათა შორის, დედას გამოგზავნილი

ფულებით რამდენჯერმე კაზინოში შეიპარა. ეს რომ გავიგე, იმ დღეს ლამის, ხელით შევეხე საკუთარ მშობელს. ახლა მას ფულს აღარ ვანდობ. მირჩევენია, საჭირო ნივთები თავად ვუყიდო...

— თავად არასდროს გაგჩენია ტოტალიზატორში ან კაზინოში შესვლის სურვილი?

— სურვილი შეიძლება, მქონია, მაგრამ ამ სურვილების მოთოკვაც შემძლია.

„ჩვენი ოჯახი დედის წყალობით „აყირავდა“

ბია, 18 წლის:

— ჰმ, ზოგი კაცებს საყვედურობს, — ტოტალიზატორში ნუ შედიხართო, ჩვენი ოჯახი კი დედის წყალობით „აყირავდა“. საქმე ის არის, რომ ის ყოველთვის ძალიან აზარტული იყო და რასაც ჩაიფიქრებდა, ყველაფერი უნდა განეხორციელებინა. უკვე სამი შვილის დედამ კი ლატარიის ბილეთების ყიდვა დაიწყო, — ფული უნდა მოვიგოო. თავად უმუშევარს, მამა აფინანსებდა. როცა მიხვდა, რომ ვერაფერსაც ვერ იგებდა და შეიძლებოდა, ბევრი ფულის მოგების სურვილი წლების განმავლობაში ვერ დაეკმაყოფილებინა, ტოტალიზატორში დაიწყო სიარული — კვირაში სამი დღე მაინც მიდიოდა.

— მამამ ამის შესახებ იცოდა?

— არა, არ იცოდა.

— ტოტალიზატორში სათამაშო ფული საიდან მოჰქონდა?

— მამა ფულს პროდუქტის საყიდლად რომ აძლევდა, იქიდან „ტეხავდა“.

— ტოტალიზატორში სიარულისკენ ვინმემ ხომ არ უბიძგა?

— ბიძა მყავს, რომელიც ასეთ მყველფელ დაწესებულებებს ეფანება. ჰოდა, როცა დედამ გაიგო, რომ მისმა ძმამ ლარად თუ 2 ლარად 1.800 ლარამდე მოიგო, სიხარულისგან ლამის, ჭკუიდან შეიშალა, მერე კი აიკვიატა: სწორედ ტოტალიზატორია ის დაწესებულება, სადაც გამიმართლებსო და ძმასთან ერთად, ბილეთების შევსება დაიწყო. თავიდან ჩვენ, შვილებსაც გვიმაღავდა ამ ყველაფერს, მაგრამ მერე, როცა მე და ჩემს და-ძმას მასში ეჭვი შეგვეპარა, როცა ვიფიქრეთ, რომ საყვარელი ჰყავდა, შემდეგ კი



ეს პირშიც მივახალეთ, გადაირია, ისტერიკები მოგვიწყო და აღიარა, რომ ტოტალიზატორს გაუფანდა.

— მან ოცნება აიხდინა?

— დამცინით? გამდიდრებას ვინ ჩივის, როცა რაც გვქონდა, ისიც კი დაგვაკარგვინა და ბოლოს, ოჯახიც თავზე დაენგრა... ის ხან იგებდა, ხან — აგებდა. ერთხელ მართლა გაუმართლა და სადღაც 2.000 ლარამდე მოიგო. ამან გამბედაობა შემატა და იმ დღესვე, მამას სიმართლეში გამოუტყდა. მამამ ლანძღვა-გინება არ დააკლო, მაგრამ ვინაიდან მიხვდა, რომ მისი ყვირილი წყლის ნაყვას ჰგავდა, გიჟი ნებას მიუშვა და დედამაც საბოლოოდ აინყვიტა...

მამას არ ვამტყუნებ იმაში, რომ ოჯახი დაანგრია. მართალია, ცოლს მისთვის არასდროს უღალატია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ არც სადილს გვიმზადებდა, არც ვახშამს, არც რეცხვა ადარდებდა, არც უთოობა და არც სახლის დალაგებით იკლავდა თავს. ბოლო დროს სულ ტოტალიზატორში იჯდა, ლუდს სვამდა და კაცებთან ერთად სიგარეტს ასევე კაცივით აბოლებდა. მამამ ცოლის ასეთი საქციელი ვერ აიტანა და შეილებს გვითხრა: მიყვარს, მაგრამ უნდა დავშორდე, თქვენ კი



მეუღლესაც სთხოვა, — ოჯახს ნუ დაანგრევ. ვეცდები, გამოვსწორდეო, მაგრამ ჩვენ შუსტად ვიცოდით, რომ პირობის შემსრულებელი არ იყო

არჩევანი თავადვე გააკეთეთ — თუ გინდათ, ჩემთან იცხოვრეთ, რითიც მერწმუნეთ, ძალიან გამაბედნიერებთ, მაგრამ თუ დედასთან ცხოვრებას აირჩევთ, არც ამის გამო გისაყვედურებთო. მე და ჩემი დამა მამასთან გადავბარგდით იმ იმედით, რომ გვეგონა, ჩვენი ამ ნაბიჯის შემდეგ დედა გონს მოეგებოდა. არ გვეგონა, ტოტალიზატორში შევილებსაც თუ გაგვცვლიდა. მართალია, გვეხვეწა, არ მიმეტოვოთო და მეუღლესაც სთხოვა, — ოჯახს ნუ დაანგრევ. ვეცდები, გამოვსწორდეო, მაგრამ ჩვენ შუსტად ვიცოდით, რომ პირობის შემსრულებელი არ იყო.

— იქნებ ჯობდა, მისთვის ერთი შანსი მიგვცათ?

— ასეთი შანსი ბევრჯერ ჰქონდა, მაგრამ ყურით არ გაიბარტყუნა. ხომ გითხარით, საოცრად აზარტულია, ფულის მოგების მანია ჰქონდა... მოკლედ, რალა ბევრი გავაგრძელო, ოჯახის დანგრევიდან ცოტა ხანში მას ძმასთან ერთად, ცხადია, მოგების იმედით „მაზა-ემჩიკებთან“ 50-ათასლარიანი მაზი დაუდგია და წაუგია. ამდენი ფული საიდან უნდა მოეტანა გაღლებილ-გაუბედურებულ კაცს ან უსაქმურ, კაცად ქცეულ ქალს? ჰოდა, ჩვენი ბინა გაუყიდათ... დედას ამ ყველაფერმა ჭკუა ვერ ასწავლა. ახლა და-ძმა ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს; ისინი მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, თუ სად ან როგორ იშოვონ სათამაშოდ საჭირო ფული. წარმოდგენა არა მაქვს, ამას როგორ ახერხებენ, მაგრამ შუსტად ვიცი, ერთ-ერთი ტოტალიზატორის მუდმივი კლიენტები არიან.

— დედას ხშირად ნახულობთ?

— ჩემი და-ძმა და მამა — არა, მაგრამ მე მის სანახავად მივდივარ ხოლმე. უნდა გითხრათ, რომ ჩვენი ყოველი შეხვედრა ჩხუბით სრულდება, რადგან მისგან მოვითხოვ, გამოსწორდე, მას კი არაფრის შეცვლა არ სურს. უფრო მეტიც, ხშირად „მემუქრება“: ერთ დღესაც ბევრ ფულს მოვიგებ და მერე არა მარტო შენ, არამედ შენი და-ძმა და ჩემი ძვირფასი მეუღლეც შემეხვეწებით, რომ თქვენთან ერთად ვიცხოვრო. ასე მგონია, მართლა შეიშალა...

— ასეთი რამ მართლა რომ მოხდეს ანუ რომ გაუმართლოს და ვთქვათ, მილიონი მოიგოს...

— (მანყვეტიანებს) ჩვენ მისი მილიონები არაფერში გვჭირდება. მან ოცნება რომ აიხდინოს, მერე შესაძლოა, მის ნახვაზე მეც კი უარი ვთქვა...

„პოლიციამ მახეში გააბა და ციხეში მიარეს თავი“

სპანი, 19 წლის:

— მამაჩემი დღე და ღამე კაზინოში „დარბოდა“ და თამაშობდა. დედა აფრთხილებდა, — იქ ნუ დადიხარ, თორემ გავკოტრდებით, ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდებაო, მაგრამ როცა მამას მოგებულ ი თანხა მოჰქონდა, სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა და ქმარს ქება-დიდებას ასხამდა. ერთხელ მამამ მთელი ქონება წააგო — სახლიც გასაყიდი გაუხდა, მანქანაც, ავეჯიც, ჭურჭელიც, წიგნებიც, მერე კი სმა დაიწყო; ამ ყველაფრის ფონზე დედას ნევროზი დაემართა. მოკლედ, საშინელ დღეში ჩავვარდი (ცნობისათვის, დედისერთა ვარ). არ ვიცოდი, ასეთი მშობლების პატრონს რა უნდა მექნა? სამსახური ვეძებე, მაგრამ ვერ ვიშოვე. მერე ძალაუნებურად, ქუჩაში დავიწყე „ბირჟაობა“ და „მაზაემჩიკებს“ „ჩავუსასტავდი“. მათ თავიანთ რიგებში იოლად მიმიღეს და მასწავლეს, თუ როგორ უნდა გამეფცქენა ხალხი: აზარტით დაავადებულეებზე ჯერ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ვახდენდით, მერე კი ვყვლიფდით. ჰოდა, ამ ხელობის წყალობით იმდენი ფული მოვიგე, რომ გამდიდრდი — ჯერ ბინა ვიყიდე, მერე ავტომობილიც შევიძინე და შეყვარებულის მშობლებიც ფულით მოვისყიდე, მაგრამ ქარის მოტანილი სიმდიდრე სულ მალე, ქარს გავატანე...

— ახლა არ მითხრა, რომ „მაზაემჩიკობას“ შეეშვი და თავად გახდი მათი მსხვერპლი.

— არა, ასეთი დებილიც არა ვარ. უბრალოდ, პოლიციამ მახეში გააბა და ციხეში მიკრეს თავი. იქიდან რომ გამოვეყვანეთ, მშობლებმა ჩემ მიერ დაგროვილი ქონება გაყიდ-გამოყიდეს და ციხიდან დამიხსნეს. ასე რომ, მხოლოდ ცოლი შემრჩა, ისიც — ცოტა ხნით...

— რას გულისხმობ?

— ციხიდან 2 თვის გამოსული ვიყავი, როცა ცოლმა მიმატოვა, მისმა ძვირფასმა მშობლებმა კი



სულ ნაძირალა, თაღლითი და ნაციხარი მეძახეს ოდესღაც საამაყო სიძეს.

— ჯერ პატარა ხარ, მაგრამ თავს ბევრი რამ გადაგხდენია — რა თქმა უნდა, თუ არ მატყუებ.

— ჩემს ნათქვამში ეჭვი რატომ გეპარება? დავიჯერო, „მაზავშიკობით“ გამდიდრებული ნათესავი არ გყავს? თუ არა და, ამ საქმის დიდოსტატებით გაუბედურებული ახლობელი მაინც გეყოლება და თუ მას დაელაპარაკები, მიხვდები, რომ ჩემს მოულოდნელ გამდიდრება-გაღატაკებაში გასაკვირი არაფერია. ცუდი ისაა, რომ ისევე მალე გამფცქვენიეს (ოღონდ — სამართალდამცველებმა), როგორ სწრაფადაც გავმდიდრდი. გული მხოლოდ იმიტომ მწყდება, რომ შემეძლო, გავჩერებულიყავი, დაგროვილი ქონება შემერგო, მაგრამ მეტის მოგება მიწოდდა...

— ახლა რას აპირებ?

— რა ვიცი, რაიმე საქმეს გამოვძებნი... ისე, ახალი „ლოვე“ მყავს, რომელიც ინტერნეტის მეშვეობით გავიციანი და მალე ოჯახსაც შევქმნით.

— წარმატებებს გისურვებ!

— გამადლოებ, ეს ნამდვილად მჭირდება.

„მაზავშიკობა“ საქმის დაჯერა ეგობათან გარიგების ბოლოფასია“

ნიკა, 18 წლის:

— ტოტალიზატორში თამაში მეც მიყვარს, მაგრამ იმდენს არასდროს ვდებ, რომ ამის გამო ჩემი ოჯახი დავაზარალო. ხან ერთლარინ ბილეთს ვწერ, ხან — ხუთლარინას.

— და რამდენად ხშირად იგებ?

— უკვე ორი წელია, აქტიური მოთამაშე ვარ და სხვათა შორის, ძალიან ბევრჯერ მომიგია. ერთხელ 1.000 ლარამდეც მოვიგე, მაგრამ მას მერე ამდენი თანხა ვერაფრით „ავაგდე“. ბედს არ ვუჩივი, ჯიბის ფულის „გაკეთებას“ ყოველთვის ვახერხებ.

— „მაზავშიკობთან“ არასდროს გქონია ურთიერთობა?

— ვინაიდან ასაკით პატარა ვარ, ჩემთან ურთიერთობას თავადვე გაუბიან. ისე, რომც შემომთავაზონ, მათთან საქმეს არ დავიჭერ — ეს ეშმაკთან გარიგების ტოლფასი იქნება, მე კი მორწმუნე ვარ.

„როგორ მოვიპოვო უილი თავიდან...“

უცნობი, 68 წლის:

„ჩემი შვილი უკვე 40 წლისაა, მაგრამ ისევ გასათხოვარია. ვინაიდან მას ვერც მაჭანკლობით ვუშველე და არც შელოცვებმა გაჭრა, ახლა თქვენ გთხოვთ დახმარებას. ალბათ ბევრი იტყვის, — ეს გამოჩერჩეტებული მოხუცი ვინლაა, ამ თინეიჯერულ მარაქაფში გარევა რომ გადაწყვიტაო? მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და თქვენ მიერ სხვებისთვის მიცემული რჩევებიც ძალიან მომწონს. ასე მგონია, მხოლოდ ახალგაზრდული ტვინი თუ დაეხმარება ჩემს გოგოს, რათა ბედს ეწიოს.

არ გეგონოთ, რომ უხასიათო და უშნოა. პირიქით, ბიჭებს მასზე თვალი რჩებოდათ, მაგრამ კომპლექსებითაა სავსე (ასე გავზარდე, რადგან მეგონა, ასე იყო საჭირო) და კაცთან დალაპარაკებასაც კი გაუბოდა ხოლმე. მინდა, ერთი ამბავი გავისხურო: ჩვენთან მისი ხელის სათხოვნელად ბიჭი სამეგრელოდან ჩამოვიდა. ცნობისათვის, ჩვენ თბილისში ვცხოვრობთ. მაშინ ლელა 32 წლის იყო. მართალია, ბიჭს არ იცნობდა, მაგრამ იმ კაცს ჰყავდა ნანახი და როგორც ამბობდა, — ჩემი გოგო ძალიანაც მოსწონდა. ჰოდა, როგორც კი ეს ამბავი გაიგო, ლელამ ყვირილი ამიტყა: ხომ არ გაგიყუდი, ვინ ჩემი საქმრო? აქ არავინ მოვიდეს, თორემ ფანჯრიდან გადავხტებიო! ვიფიქრე, ახლა ჭირვეულობს, თორემ საქმე საქმეზე რომ მიდგება, უცხო ადამიანების მოერიდება და გაჩერდება-მეთქი. ჰოდა, ამ იმედით მივიღე სტუმრები, მან კი, როგორც კი „საქმრო“ დაინახა, ფანჯრის რაფაზე შეხტა და იყვირა: აქედან ყველანი გაეთრიეთ, თუ არ გინდათ, რომ ჩემი სიკვდილის ცოდვა თქვენს კისერზე იყოსო. მართალია, კომპლექსიანი და მორიდებულია, მაგრამ თუ გაგიყუდა, მტრისაა... ალბათ მკითხავთ, იმ ბიჭმა და მისმა ამაღამ რა ქნაო? რა ქნეს და თქვეს: ეს გოგო გიჟი ყოფილაო და ისე გაიქცნენ, საჩუქრების უკან წაღებაც არ გახსენებიათ.


მოკლედ, ასეა თუ ისე, ლელას ბევრი ისეთი შემთხვევა ჰქონდა, როცა შეეძლო, გათხოვილიყო, მაგრამ ამას ყოველთვის გაუბოდა, მე კი ვერ ვხვდები, ასე რისი ეშინია? მეუბნება: ადამიანი, რომელსაც ცოლად გავყვები, ჯერ მე უნდა შემეყვარდესო, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია — როგორ უნდა შეუყვარდეს ვინმე, როცა ახლოს მიკარების უფლებასაც არავის აძლევს? იქნებ, მიშველოთ და მირჩიოთ, როგორ მოვიყვანო შვილი ჭკუაზე და როგორ მოვიშორო თავიდან?..“

„ჩემი შეყვარებული ლიპიანი და მელოტია“

ნაკა, 16 წლის:

„გამარჯობა. თქვენი რჩევა მჭირდება. მიყვარს ადამიანი, რომელსაც ნაკლი აქვს — ლიპიანი და მელოტია, მაგრამ რა ვქნა, ის ჩემი სიყვარულია და ასე მგონია, მის გარდა ვერავის შევიყვარებ. გია 22 წლის გახლავთ და მას ჩემი ოჯახის წევრები ინუნებენ. უფრო მეტიც, დები და დედა დამცინიან: ასეთი ქვაბ-ტაფა სად იშოვეო (საცოდავს ხან ქვაბს ეძახიან, ხანაც — თავში ტაფაჩარტყმულს). მეუბნებიან: იცოდე, მას რომ გაჰყვე, ცხოვრებაში ხმას არ გაცემთ, ასეთი მახინჯი სიძე ჩვენს ოჯახში ვერ შემოვაო. რა ვიცი, არა მგონია, გია მახინჯი იყო. ამქვეყნად ბევრი ლიპიანი და მელოტია, მაგრამ ამის გამო მათ მახინჯებად მიიჩნევენ?.. სხვათა შორის, ჩემს მამიკოსაც აღარა აქვს თმა თავზე, მაგრამ დედას ის სიცოცხლეზე მეტად უყვარს. ამას რომ ვეუბნები, მპასუხობს: როცა გავყევი, მამაშენი ოქროსქოჩრიანი ბიჭი იყო, ახლა გამელოტდა და რა ვქნა, ხომ არ გადავაგდე ან გამოვცლიო?.. მიშველეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? გიას დაკარგვას ვერ ავიტან. P.S. ჩემების ნათქვამი „ლოვეს“ ყურამდეც მივიდა და გადაირია. მეუბნება: ასეთი ხალხის დანათესავებაზე ნამდვილად არ ვოცნებობ. ჰოდა, ან შენ დააყენე ოჯახში „პალაუენი“, რათა ასეთი რამ მეორედ აღარ თქვან, ან დავეშორდებითო...“

P.S. მაშ ასე, თუ უცნობისა და ნაკას წერილების ნაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენ დახმარების იმედი აქვთ.



სამყარო

ნოვოროსიისკის ბანკის გაპარცვის საოცარი ამბავი

1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ, როდესაც რუსეთში „ნითლებსა“ და „თეთრებს“ შორის დაუნდობელმა დაპირისპირებამ იფეთქა, კრიმინალებმა და ათასი ჯურის გაიძვრამაც ცხადია, თავი ნამოყო და ხელის მოსათობად დაპირისპირებულ ბანაკებს მიეტმანა. „ნითელ“ და „თეთრ“ ტერორთან ერთად, კრიმინალთა თარეშმაც მთელ ყოფილ იმპერიაში განუზომელი მასშტაბები მიიღო. სიტუაცია ძალზე დაიძაბა ისეთ ეთნიკურად ჭრელ რეგიონში, როგორც ჩრდილო კავკასია — ადგილობრივ ხალხებს ერთმანეთთანაც და რუსებთანაც მეტად დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ და ამიტომაც, ანარქიამ ამ რეგიონს სულ მოუთავა ხელი.

მინილ ლაპაძე

1918 წლის შემოდგომაზე, ჩრდილო კავკასიის შავიზღვისპირეთი „ნითლების“ ხელში აღმოჩნდა. 1-ელ დეკემბერს კი, ქ. ნოვოროსიისკში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ყველაფერს ბოლშევიკები დაეპატრონენ. მაშინ ქალაქის ნავსადგურში ბაზირებული იყო საიმპერიო ფლოტის ნაწილი — შავიზღვისპირეთის ფლოტი. მეზღვაურთა უმეტესობა ბოლშევიკებს თანაუგრძობდა, ხოლო ხელმძღვანელობა კი „თეთრ მოძრაობასა“ და მის მეთაურებს, უპირველეს ყოვლისა კი გენერალ ანტონ დენიკინს. ამიტომ ნავსადგურში მყოფ გემებზე თითქმის ყოველდღე ხელჩართული ბრძოლები იმართებოდა. „ნითლები“ მეზღვაურებს გარედან უჭერდნენ მხარს და გემის კაპიტნებს ერთიმეორის მიყოლებით სჯიდნენ; მათ ნაცვლად, მეზღვაურები ახალ მეთაურებს თავიანთი წრიდან ირჩევდნენ.

ნოვოროსიისკის ნავსადგურში, რეიდზე იდგა ხომალდი „წმიდა გიორგიც“ — მისი ეკიპაჟი 40-მდე მეზღვაურისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ ბათუმის ოლ-

ქის გონიოსა და ლიმან-მაკრიალის საბოქაულოს მკვიდრი ლაზებიც. ისინი ფლოტში კონტრაქტის საფუძველზე მსახურობდნენ, რადგანაც მეფის რუსეთში მუსლიმანებს, როგორც ნესი, სამხედრო სამსახურში არ იწვევდნენ. შესაბამისად, კონტრაქტის პირობების დარღვევის შემთხვევაში, ლაზებს ხმელეთზე გადასვლის უფლება ეძლეოდათ. ნოვოროსიისკში რომ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ყველაფერი აირია, მათ ბათუმში დაბრუნება მართლაც მოინადინეს, მაგრამ ორი მიზეზის გამო გაძნელდა — სამგზავრო ფული არ ჰქონდათ და „ნითლები“ ხელფასის გადახდაზე უარს ეუბნებოდნენ.



„წმიდა გიორგიზე“ სულ ხუთი ლაზი მსახურობდა — სარფელი ოსმან მემიშოლი, ლიმანელი ზაბით ომეროლი, მაკრიალელი იბრაჰიმ კოხოლი, გონიოელი ჰუსეინ დემირჯიოლი და მესქიოფუტელი რესულ მანელოლი. ხუთივენი ლოცმანები იყვნენ და მთელი შავიზღვისპირეთი ხელისგულივით იცოდნენ. ამასთან, პოლიტიკა საერთოდ არ აინტერესებდათ და პროპაგანდის მიუხედავად, არც „ნითლების“ მხარე ეკავათ და არც „თეთრებისა“, მაგრამ სწორედ ამის გამო მეზღვაურებშიცა და მეთაურობაშიც ეჭვს იწვევდნენ — მეზღვაურები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ლაზები „თეთრებისკენ“ იყვნენ, მეთაურებს კი ისინი „ნითლების“ ხალხი ეგონათ. აქედან გამომდინარე, ლაზ ლოცმანებს პრობლემები არ ელევოდათ და იძულებულნი იყვნენ, იარაღი ძილშიც თან ჰქონოდათ.

„ბიჭებო, ჩვენ ახლა მგლებს ხროვაში ვართ... ამიტომაც, წყნარად ვერ ვიქნებით, რალაც უნდა ვილონოთ, უკან დაბრუნება მოვახერხოთ, თორემ აქ ისე დავიხოცებით, ჩვენს ამბავს ლაზეთში ვერავინ გაიგებს!“ — უთხრა ერთ საღამოს კაიუტაში შეკრებილ ამხანაგებს ოსმან მემიშოლი, რომელიც ასაკით ყველაზე უფროსი იყო. მისი აზრით, ხუთივენი დალაშქრებულნი დალოდებოდნენ და გემიდან ნავით გაქცეული იყვნენ. თუმცა უფულოობა კვლავ პრობლემად რჩებოდა; მით უმეტეს, აფხაზეთშიც (საითაც გაქცევას აპირებდნენ), ვითარება უალრესად დაძაბული იყო: „შენ რას გვირჩევ, მგლებს გავქცეთ და დათვებს ჩავუვარდეთ პირში?! თუ

ხომალდ „წმიდა გიორგიზე“ მყოფ ლაზ ლოცმანთა ჯგუფი ბათუმში დაბრუნების შემდგომ. 1919 წლის ფოტო

ნავალთ, პირდაპირ ლაზეთისკენ უნდა წავიდეთ, თორემ აფხაზეთში წასვლა ზღაპარია!“ — შეეკამათა ოსმანს ზაბით ომეროლი. „აბა, რაღა უნდა ვენათ?“ — იკითხა რესულ მანელოლიმ, რომელიც ხუთეულიმ ყველაზე ახალგაზრდა იყო. ლაზეთმა დიდხანს იდავეს, მაგრამ სახეირო ვერაფერი მოიფიქრეს.

მეორე დღეს, ნავსადგურში რესულ მანელოლის ერთი ძველი ნაცნობი — ფოთელი ანარქისტ-ტერორისტი, ვინმე პოლიკარპე თევზაძე შეხვდა. ურთიერთმოკითხვის შემდეგ მანელოლიმ თევზაძეს შესჩივლა, ლაზეთში დაბრუნება გვინდაო და სხვათა შორის ჰკითხა, ხომ არ შეგიძლია, ცოტა ფული რომ გვასესხო. „ფული არც მე მაქვს, მაგრამ შემძლია გითხრათ, როგორ იშოვოთ,“ — მიუგო პასუხად თევზაძემ. რაღა თქმა უნდა, რესული ამით დაინტერესდა. პოლიკარპემ იგი იქვე, დუქანში შეიყვანა და ყველაფერი დეტალურად აუხსნა: „მოკლედ, ძალიან მაგარი საქმეა... ხუთშაბათს, 13 დეკემბერს აქ, ბანკისთვის დიდ ფულს ჩამოიტანენ და ჩვენი ამოცანა კი ისაა, რომ ის ფული უცებვე გავაქროთ!“ — უთხრა პოლიკარპე თევზაძემ რესულ მანელოლის და შესთავაზა, რომ ანარქისტ-ტერორისტებთან ერთად, ბანკი გაეძარცვათ. ლაზი ცოტათი კი შეყოყმანდა, მაგრამ მოგვიანებით, ამხანაგებს მანაც ყველაფერი გადასცა.

ალსანიშნავია, რომ პოლიკარპე თევზაძეს დანარჩენი ლაზეთიც კარგად იცნობდნენ, რადგანაც ის ბათუმის ნავსადგურში ადრე მტვირთავად მუშაობდა და მთელ ქალაქში ცნობილი იყო, როგორც ქალების ცნობილი მუსუსი და აფერების ოსტატი; თუმცა 1905 წელს თევზაძე რევოლუციურ მოძრაობაში ჩაება, ანარქიზმისა და ტერორიზმის თეორეტიკოსი გახდა და ამ სფეროშიც დიდად გაითქვა სახელი. მასზე ამბობდნენ, რომ რამდენიმე ცნობილ „ექსში“ (ასე ეძახდნენ მაშინ რევოლუციის მიზნებისთვის თანხის უკანონო გზით მოპოვებას — ექსპროპრიაციას) მონაწილეობდა და ჟანდარმერიაც კი ვერაფერს უხერხებდა. პოლიკარპე თევზაძეს მართლაც ეძებდნენ, მაგრამ 1908 წლის გაზაფხულამდე მისი დაჭერა ვერავინ შეძლო; ბოლოს დაიჭირეს და 8 წელი კატორღა მიუსაჯეს. პოლიკარპემ კატორღაში 3 წელიწადი გაატარა და გამოიქცა. არც ფოთში, არც ბათუმში აღარ დაბრუნებულა — პარტიული ამხანაგების დახმარებით, ტუაფსეში დასახლდა.

ჩრდილო კავკასიის ზღვისპირეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების

შემდეგ, როცა ბოლშევიკებმა იდეურ მონინალმდეგებს შეუტყეს, თევზაძემ და მისმა ამფსონებმა საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტეს, მაგრამ საამისოდ ფინანსები არ ჰყოფნიდათ და ბანკის გაძარცვაც მაშინ მოიფიქრეს. ისინი სულ სამი იყვნენ, ხოლო ნოვოროსიისკის საიმპერიო ბანკს, სადაც შავიზღვისპირეთის ფლოტისათვის განკუთვნილი თანხები ინახებოდა, ყუბანელ წითელ კაზაკთა ოცეული იცავდა. ასე რომ, პოლიკარპე თევზაძეს და მის ამხანაგებს მხოლოდ თავიანთ ძალებზე დაყრდნობა არ შეეძლოთ. სწორედ ამ დროს ნახა თევზაძემ რესულ მანელოლი და მიხვდა, რომ ამ საქმეში ლაზეთს ვერავინ შეეძრებოდა.

1918 წლის 12 დეკემბერს, ნოვოროსიისკის ნავსადგურთან ახლოს მდებარე დუქან „ზოლოტოე კოლცოში“ ლაზეთი პოლიკარპე თევზაძეს და მის ერთ-ერთ ამფსონს — კაზაკ ვოდონოსოვს შეხვდნენ. საქმეში მონაწილეობაზე ხუთივე თანახმა იყო, ოღონდ მოითხოვდნენ, რომ ნაძარცვი თანაბრად გაყოფილიყო და ზედმეტი წილი არავის აეღო: „კაზაკების განეიტრალებას და სეიფის გატყვევასაც ჩვენს თავზე ვიღებთ, მაგრამ ფული თანაბრად უნდა გაიყოს!“ — მტკიცედ თქვა ოსმან მემიშოლიმ. ამაზე თევზაძესა და ვოდონოსოვს პროტესტი არ გამოუთქვამთ და ამიტომაც, სულ იოლად მორიგდნენ. ვოდონოსოვმა ლაზეთს ძარცვის საკმაოდ ორიგინალური გეგმა გააცნო — ადამიანის სიმაღლის, ხის დიდი ყუთი უნდა გაეკეთებინათ, რომელშიც იარაღსაც ჩააწყობდნენ და ერთ-ერთი მძარცველიც ჩაძვრებოდა. დანარჩენები, რომლებსაც უბრალო მტვირთავებად უნდა გაესაღებინათ თავი, პოლიკარპე თევზაძისა და მისი ამფსონების მეთაურობით (ისინი კაზაკურ ჩოხებში უნდა ყოფილიყვნენ ჩაცმულნი), ყუთს ბანკში — პირდაპირ სეიფის ოთახში შეიტანდნენ და იქვე გახსნიდნენ. მერე, იარაღს ხელთ იგდებდნენ და ბანკის მომსახურე პერსონალს დახოცავდნენ. გეგმა ყველას მოეწონა, მაგრამ რესულ მანელოლიმ მანაც იკითხა — ბანკის დაცვას რაღა მოუხერხოთო. „გ მე მომანდეთ... ჯერ ისეთი რუსი არ მიხახავს, არაყს რომ არ სვამდეს!“ — მედიდურად თქვა პოლიკარპე თევზაძემ. ამის გაგონებაზე ყველამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ ბანკი მეორე დღესვე „გაეტანათ“.

მართლაც, 1918 წლის 13 დეკემბერს, დღის 14:00 საათზე, ნოვოროსიისკის ყოფილ საიმპერიო, იმხანად კი უკვე „სახალხო“ გამოცხადებულ



პოლიკარპე თევზაძე 1918 წელს. გამოძიების მიერ ამოღებული ფოტოსურათი

ბანკს შავი ეტლი მიუახლოვდა, რომელზეც წითელი ალაში აღმართათ, კოფოზე კი, მეეტლის გვერდით, პოლიკარპე თევზაძე გამოჩიშულიყო, კაზაკური ჩოხითა და წითელლენტის ბოხით. ბანკის მცველი კაზაკები მის დანახვაზე „სმენაზე“ დადგნენ და სამხედრო წესით მიესალმნენ, შემდეგ კი საბუთები მოითხოვეს. პოლიკარპემ მათ თავი ვლადიმირ ილიჩ ლენინის პირად შიკრიკად გააცნო და შესაბამისი დოკუმენტიც აჩვენა. მასზე გარკვევით აჩნდა ბოლშევიკების ლიდერის ხელმოწერა, მაგრამ ისე იყო გაცრეცილი, რომ კაზაკებმა ვერაფერი ამოკითხეს: „პირდაპირ პეტროგრადიდან მოვდივარ და გზაში იმდენი რამ გადამხდა, მიკვირს კიდეც, აქამდე როგორ მოვალნიე... სხვათა შორის, მე თქვენთვის საჩუქარიც მაქვს — პირადად ლენინისაგან!“ — უთხრა კაზაკებს პოლიკარპემ და თან, უზარმაზარი ყუთის გვერდით ჩადებულ ოცლიტრიან ბოცაზე მიუთითა.

ერთი სიტყვით, შემდეგ ყველაფერი გეგმის მიხედვით განხორციელდა: კაზაკებმა ბოცას ხელი დაავლეს და იქვე მიმალვა დაუპირეს, მაგრამ მეეტლემ წააქეზა: რაღას უცდით, ბიჭებო, ლენინის საჩუქარი ახლავე დააგემოვნეთო და მათაც თავპატყვი არც დაუდვიათ, ისე ჩაუსხდნენ ბანგარეულ არაყს. პირველი სადღეგრძელო, რა თქმა უნდა, ლენინისა შეისვა. ამ



დროს ბანკში ოთხმა მტვირთავმა, პოლიკარზე თევზადის ხელმძღვანელობით, უზარმაზარი ყუთი შეიტანა. თევზაქემ ბანკის დირექტორს — ვინმე სიდოროვს აუხსნა, რომ ყუთში ოქროს ზო-

საბჭოში გაიქცა. იქიდან რამდენიმე წითელარმიელთან და კომისართან ერთად დაბრუნდა, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო.

სამშვიდობოს გასულმა მძარცველებმა, ეტლი ნოვოროსიისკის ერთ-ერთ პატარა გარეუბანში მიაგდეს, იქვე გამოიცვალეს ტანსაცმელიც და გზა ანაპისკენ გააგრძელეს; როგორც შემდგომში გამოირკვა, მათ ჩერქეზი თავადი, ვინმე მეჰმედიდაროვი უწევდა დახმარებას. მანვე გაუშვა ისინი ანაპაში, იქიდან ბორანიტ ყირიმში რომ გადასულიყვნენ. ყირიმი იმხანად „თეთრი მოძრაობის“ ხელთ იყო და შესაბამისად, „წითლები“ უკვე ვერ მისწვდებოდნენ. მოკლედ, ანაპიდან ყირიმში ნაძარცვი ფული და ძვირფასეულობა სიმინდის ტომრებით გადაიტანეს. მერე, პოლიკარზე თევზაქემ ფეოდოსიის ყველაზე კეთილმოწყობილ სასტუმროში იქირავა ნომრები და ნარმატებაც ქართული წესით — ორდღიანი ქეიფით აღნიშნა. სხვათა შორის, ნაძარცვი არც გაუყვიათ, ისე შეთანხმდნენ, რომ ბათუმისკენ ერთად გაემგზავრებოდნენ. „გადავწყვიტე, საქართველოში საერთოდ აღარ ჩავიდე... სტამბოლში მინდა წასვლა. ამბობენ, იქ ხეებს ფოთლების ნაცვლად, ოქროს მონეტები ასხიათ!“ — ხუმრობდა პოლიკარზე თევზაქე და თან ლაზებს ღვინოს აძალბებდა. მათაც ბევრი თხოვნა არ სჭირდებოდათ — სიხარულისგან ფრთაშესხმულთ, არც კი გახსენებიათ, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა.

მეორე დღეს, თავ-თავიანთ ნომრებში მძინარე ლაზები, მოულოდნელად, სასტუმროს მფლობელმა, დილაადრიან უბოდიშოდ გააღვიძა და საფასურის გადახდა მოსთხოვა. ოსმან მემიშოლიმ, როგორც ყველაზე უფროსმა, მფლობელს განუცხადა, რომ ფული პოლიკარზე თევზაქეს ჰქონდა და საფასურიც, შესაბამისად, მას უნდა გადაეხადა: „ეგ კაცი ნუწელ წავიდა და მითხრა, რომ ფულს თქვენ გადაიხდიდით! ახლა კი ან ფული მოიკითათ, ან არადა, ჩემთან უფასოდ მოგინევთ მუშაობა, სანამ საფასურის თანხას არ ამოვიღებ!“ — დამუქრა მათ სასტუმროს მფლობელი. ლაზებს გაკვირვებისა და სიბრაზისაგან კინალამ გულები დაუსკდათ, თუმცა თავს ზემოთ ძალა აღარ იყო და ბედს დამორჩილდნენ — ოთხი თვე უფასოდ იმუშავეს იმ სასტუმროში და მერე რის ვაი-ვაგალხით, სასწაულებრივად მოახერხეს ლაზეთში დაბრუნება.

ნოვოროსიისკის ყოფილი საიმპერიო ბანკის შენობა 1918 წელს



დები ენყო და პირდაპირ სეიფის ოთახში უნდა შეეტანათ. სიდოროვი მოთხოვნას დაემორჩილა და სეიფის ოთახი სტუმრებს თავადვე გაუღო; ასე გასინჯეთ, ყუთის გადატანაშიც კი მიემშველა მათ. პოლიკარზე ყუთი შუა ოთახში დაადგმევინა და ჩაქუჩითა და სატყეხით გახსნა. უეცრად, ელვის უსწრაფესად, მტვირთავთა ხელში „მაუზერებმა“ იელვა, მერე გასროლაც გაისმა და შუბლგახვრეტილი სიდოროვი გულაღმა გადავარდა. ყუთიდან გადმოსულმა ოსმან მემიშოლიმ კი რამდენიმე გასროლით, სეიფების საკეტები დააცალა.


მძარცველებმა სულ რაღაც საათნახევარში, თითქმის მთელი ბანკი დააცარიელეს და ხელთ იგდეს საკმაოდ სოლიდური თანხა — ნახევარ მილიონზე მეტი ოქროს მანეთი, აგრეთვე, 12 ათასი მანეთის ძვირფასეულობაც. დირექტორ სიდოროვის გარდა მოკლეს ორი მოლარე — ჩერტკოვი და ივანოვი, სეიფების სპეციალისტი საშა პრეობრაჟენსკი და ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გამოვიდნენ გარეთ, სადაც ათ მცველ კაზაკს პირდაპირ სუფრაზევე ჩამოსძინებოდა. ადგილობრივი დროით 15:45 საათზე, შავი ეტლი ბანკის ეზოდან გავიდა და თვალს მიეფარა, ხოლო 16:00 საათზე ბანკში კაზაკთა მეორე ცვლა მივიდა. ცვლის უფროსმა, პავლე ნესტერენკომ თვალებს არ დაუჯერა, როცა ყველაფერი ცხადად დაინახა და მაშინვე

ნად „თეთრი მოძრაობის“ ხელთ იყო და შესაბამისად, „წითლები“ უკვე ვერ მისწვდებოდნენ. მოკლედ, ანაპიდან ყირიმში ნაძარცვი ფული და ძვირფასეულობა სიმინდის ტომრებით გადაიტანეს. მერე, პოლიკარზე თევზაქემ ფეოდოსიის ყველაზე კეთილმოწყობილ სასტუმროში იქირავა ნომრები და ნარმატებაც ქართული წესით — ორდღიანი ქეიფით აღნიშნა. სხვათა შორის, ნაძარცვი არც გაუყვიათ, ისე შეთანხმდნენ, რომ ბათუმისკენ ერთად გაემგზავრებოდნენ. „გადავწყვიტე, საქართველოში საერთოდ აღარ ჩავიდე... სტამბოლში მინდა წასვლა. ამბობენ, იქ ხეებს ფოთლების ნაცვლად, ოქროს მონეტები ასხიათ!“ — ხუმრობდა პოლიკარზე თევზაქე და თან ლაზებს ღვინოს აძალბებდა. მათაც ბევრი თხოვნა არ სჭირდებოდათ — სიხარულისგან ფრთაშესხმულთ, არც კი გახსენებიათ, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა.

სასტუმროდან ფულთან ერთად აორთქლებული პოლიკარზე თევზაქე და მისი ორი ამხანაგი კი ქერჩში ერთ თევზსაჭერ გემზე დასდნენ. გემი სტამბოლისაკენ მიდიოდა და სამეულსაც არაფრის შიში არ ჰქონდა, მაგრამ ზღვაში გასვლისთანავე, შტორმი დაიწყო და სრულიად მოულოდნელად, კაპიტანი იძულებული გახდა, თავი დროებით, ნოვოროსიისკის ნავსადგურისთვის შეეფარებინა. პოლიკარზე თევზაქემ ეს ყველაფერი მაშინ შეიტყო, როცა კაიუტაში თავს წითელარმიელები დაადგნენ და ხელბორკილი დაადვეს. პოლიკარზე წინა დღის ნაქეიფარი გახლდათ და შტორმის ამბავიც არ იცოდა; დილით ადრე, მან ფული იუნგას მისცა და არყის მოტანა უბრძანა. გემი უკვე ნავსადგურში იდგა, არაყი კი არსად აღმოჩნდა; ამიტომ, იუნგა ნაპირზე გადავიდა და იქ, უახლოეს დუქანში შევიდა. სრულიად შემთხვევით, იმ დუქანში ადგილობრივი მილიციის უფროსიც იყო.

გამყიდველს ხურდა არ ჰქონდა და მსხერი კუპიურის დაშლა სწორედ მილიციის უფროსს სთხოვა. ერთი სიტყვით, სწორედ ასე გაიხსნა ეს საქმე.

პოლიკარზე თევზაქე, თავის ორ ამფსონთან ერთად, ცხადად, დააპატიმრეს. ისინი ნოვოროსიისკის წითელმა ტრიბუნალმა გაასამართლა და თევზაქეს ჩამოხრჩობა, იმ ორს კი ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



სომალდი „წმიდა გიორგი“



ნიკა ძალაშია — „ვიქვის“ პარსკვლავი, რომელსაც დისკოთეკები არ იზიდავს

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ ნიკა ძალაშიას გასულ სეზონში პოლონეთის საფეხბურთო ექსტრაკლასში (უმაღლესი ლიგა) მართლაც შთამბეჭდავი დებიუტი ჰქონდა. 19 წლის ქართველმა ფეხბურთელმა ლოდის „ვიქვის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი მალევე დაიმკვიდრა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერად იქცა. ნიკამ მიმდინარე სეზონიც „რინანად“ დაიწყო, რასაც ისიც ადასტურებს, რომ პოლონურ ისტაბლიშმენტის ვერსიით, ტურის სიმბოლურ ნაკრებში ორჯერ მოხვდა. პოლონურ გამოცემას — lodz.gazeta.pl ახალგაზრდა ქართველის წარმატება არ გამოორჩენია და მას ვრცელი სტატია მიუძღვნა.

ლაშა თაბაგარი

ლომში ჩატარებული პირველივე მატჩის შემდეგ, გულშემამტკივრების საყვარელი ფეხბურთელი გახდა. ის მხოლოდ 19 წლისაა და „ვიქვი“ მისი საზღვარგარეთული კარიერის პირველი გუნდია, სადაც ძირითად შემადგენლობაში თამაში უწევს. დიდ ვარსკვლავებსაც კი თვეები სჭირდებათ, რომ თუნდაც პოლონეთის დონის საფეხბურთო ლიგაში, რომელიც ევროპულ გრანდებს არ მიეკუთვნება, სახელი მოიხვეჭონ. ძალაშიას ორი თამაში დასჭირდა, ლიგაში რომ ცნობილი გამხდარიყო — „კორონასთან“ მატჩში ფანტასტიკური გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი გააკეთა. ორი კვირის წინ კი გოლი ეროცლაველთა კარშიც შეაგდო. შემთხვევითი არ არის, რომ თავის დროზე მან მოსკოვის ცსკა-ს სელექციონერები დააინტერესა — კლუბის, რომელმაც 2005 წელს უფას თასი მოიპოვა და ფეხბურთელებში ათეულობით მილიონ ევროს იხდის.

„მათ ჭაბუკთა ნაკრებში შემამჩნიეს და შემდეგ საქართველოში ჩამოვიდნენ ჩემი თამაშის სანახავად. დაასკენეს, რომ გამოვადგებოდი და მეც დავთანხმდი. მოსკოვში ჩასვლის შემდეგ ცსკა-ს პირველ გუნდთან ერთად შეკრებაზე წავედი,“ — იხსენებს ძალაშია.

ეს 2010 წელს მოხდა — საქართველო-რუსეთის ომიდან ორი წლის შემდეგ. ნიკას არ შეშინებია მოსკოვში გადასვლის, მიუხედავად იმისა,

რომ იქაურ ნაციონალისტებს კავკასიელები არ მოსწონთ. „მოსკოვში ყველა შოვინისტი როდია. პირადად მე, რუსეთში ასეთები არ შემხვედრიან. თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი. ომი? ეს პოლიტიკაა, რომელიც არ მაინტერესებს“, — ამბობს ნიკა. თუმცა კარგად ახსოვს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დროს პოლონეთმა მის სამშობლოს მხარი დაუჭირა.

ამბიციური ფეხბურთელი უნდა შეჰგუებოდა, რომ ცსკა-ს პირველ გუნდში თამაში არ მოუწევდა. „ჩემს პოზიციაზე ბევრი ფეხბურთელი იყო, რომლებიც ძალიან მაღალ დონეზე თამაშობდნენ“, — ობიექტურად აფასებს რეალობას ქართველი.

ის სათადარიგო შემადგენლობაში თამაშობდა, სადაც ერთი წელი გაატარა. ბედნიერი არ ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ იმაზე მეტი თანხა გამოიიშუშავა, ვიდრე საქართველოში იღებდა. „გადაწყვიტე, რომ 19 წლის ასაკში უკვე ძირითად შემადგენლობაში უნდა მეთამაშა“, — განაცხადა ძალაშიამ.

მისმა მენეჯერმა, ალექსანდრე რეხვიაშვილმა (საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი) ახალი კლუბის ძებნა დაიწყო. რეხვიაშვილს კარგი კონტაქტები აქვს პოლონეთში და კოლეგამ, ლუკაშ ბუძინსკიმ „ვიქვი“ ურჩია. იანვარში ძალაშიამ ტესტ-მატჩი ჩაატარა და გუნდის ან უკვე ყოფილ მთავარ მწვრთნელს, შჩესლავ მინხევიჩს თავი მოაწონა. ამის შემდეგ, ძალაშიას (სატრანსფერო უფლებები ზუგდიდის „ბაიას“ ეკუთვნის) იჯარით აყვანის გადაწყვეტილება სწრაფად მიიღეს. ხელშეკრულების თანახმად, „ვიქვის“ სხვა გუნდებთან შედარებით, ნიკას კონტრაქტის 300.000 ევროდ გამოსყიდვის უპირატესი უფლება აქვს. დღესდღეობით, „ვიქვის“ ხელმძღვანელობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, ეს თანხა რომ მოიძიოს, რადგან მალე 19 წლის ქართველი შესაძლოა, უფრო ძვირი ღირდეს.

ნიკა არჩევანს არ ნანობს: „რუსულსა და პოლონურ ლიგებს შორის ძალიან დიდი განსხვავება არ არის. გარდა ამისა, გუნდს ერთგული გულშემამტკივრები ჰყავს, რომელთა გულისთვის თამაში ნამდვილად ღირს“.



მისი დიდი კოზირია — ტექნიკა, რომელიც ქართველებს თანდაყოლილი აქვთ. ფეხბურთი მისი ბედი იყო, რადგან მამაც ფეხბურთელი ჰყავდა.

„მოგვიანებით ის მწვრთნელი გახდა და მეც მავარჯიშებდა. ბავშვობაში ჩემი სათამაშო ბურთი იყო. მამამ ყველაზე მეტი მასწავლა“, — ხაზი გაუსვა სიამაყით აღნიშნა „ვიქვის“ ნახევარმცველმა.

პოლონეთი მას ძალიან მოსწონს — კარგი ხალხი, კარგად ორგანიზებული კლუბი, გუნდში არსებული კარგი ატმოსფერო. ის ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსულებს — ლიტველ დარვიდას შერნასსა და ლატვიელ მინდაუგას პანკას დაუმეგობრდა. მათთან რუსულად ურთიერთობს, რაც უფრო უადვილდება.

ორივე ენა სკოლაში ისწავლა. განათლება საშუალო სკოლაში მიიღო, მაგრამ მიღწეულზე გაჩერებას არ აპირებს. „სწავლისთვის დრო არ მაქვს“, — გულახდილად თქვა ნიკამ, რომელსაც, უფროსი ძმის მსგავსად, უნივერსიტეტში ჩაბარება სურს.

„ვიქვის“ 19 წლის მოთამაშე ამბობს, რომ დისკოთეკები და ლამის კლუბები არ იზიდავს. მას ურჩევნია, თავისუფალი დრო ფეხბურთელებსა და მეგობრების წრეში გაატაროს. არ მალავს, რომ დასავლეთ ევროპის რომელიმე ცნობილ კლუბში თამაშზე ოცნებობს. „პოლონური უფრო ახლოსაა“ — იხუმრა ძალაშიამ, რომელსაც ლონდონის „არსენალში“ თამაში ესიზმრება...



ანტიდუპლიკატი

გზაში საკითხავი კოლაჟი

ქპლერელი თქუი იჯანიძე

1. ამადგო მოდილიანი ეროვნებით ებრაელი იყო.
2. სესილია თაყაიშვილს მთავარი როლი არასდროს უთამაშია.
3. ლოტოსის ყვავილი ვიეტნამის სახელმწიფო სიმბოლოდ მიიჩნევა.
4. მსოფლიოს მასშტაბით ქალაქებში 50 მილიონი მტრედი ბინადრობს.
5. ინდოელი ფიზიკოსი, შაჰინდრანატ ბოზე ნობელის პრემიის ლაურეატი იყო.
6. გოდერძი ჩოხელს 17 სრული და მოკლემეტრაჟიანი ფილმი აქვს გადაღებული.
7. კუნძული გრენლანდია დანიის პარლამენტში ორი ადგილით არის წარმოდგენილი.
8. მიჰრაბი სალოცავი ნიშია მეჩეთის იმ კედელში, რომელიც მექის მხარეს მდებარეობს.
9. კანფეტების მოყვარულ ინგლისის დედოფალ ელისაბედ I-ს სავალალო დღეში ჰქონდა კბილები.
10. უღელს ხშირად ტყემლის ხისგან აკეთებდნენ. გამძლე იყო და ხარკამეჩს ავი თვალისგან იცავდა.
11. პარიზში, მონმარტრზე არსებობს ე.წ. სიყვარულის კედელი, რომელზეც მსოფლიოს 311 ენაზე აწერია: „მე შენ მიყვარხარ“.
12. პოლონეთისა და ამერიკის შვერტებული შტატების სახალხო გმირის, თადეუშ კოსტიუშკოს მამა ბელორუსი გახლდათ, დედა — უკრაინელი.
13. „საშინელება თელების ქუჩაზე“ ჯონი დეპის პირველი ფილმი იყო. აქედან აღებული ჰონორარი ჯონი დეპმა მთლიანად სამსახიობო გაკვეთილებში დახარჯა.
14. „სანყენია, რომ პირდაპირ თვლებით ვერ ვხატავთ! რამდენი რამე იკარგება თვალსა და ხელს შუა!“, — ამბობდა გერმანელი მწერალი გოტჰოლდ ლესინგი.
15. სცენაზე გასვლამდე, ავი თვალისგან დასაცავად, რამაზ ჩხიკვაძე ხტებოდა და კულისებში ჩამოკიდებულ რკინის ნიღაბს ურტყამდა ხელს.
16. „იმისათვის, რომ წინ იყურო, წელში უნდა გასწორდე. წელში მოხრილი ადამიანი




უნივერსალური რესეპტები ძაღლების აღსადგენად

როგორ მოვახერხოთ ძაღლების მოზილიზება და დაკარგული ენერჯის დროულად აღდგენა? გთავაზობთ რჩევებს, რომლებიც თავის სწრაფად მონესრიგებაში დაგეხმარებათ.

თუ მთელი დამე თვალის ვერ მოხუჭეთ, მხოლოდ დილით ჩატვლინათ, წინ კი დაძაბული სამუშაო დღე გელით, ძაღლების აღსადგენად:

- მიიღეთ კონტრასტული შხაპი;
- მიირთვიეთ 1 ს/კ თავლი და დალიეთ ცივი წყალი;
- 3-4 წუთის განმავლობაში ივარცხნეთ თმა;
- იპოვეთ კვირისტავთან პატარა ჩალრმავება და ცერა თითით 1-2 წუთის განმავლობაში იზილეთ;
- სამსახურში მისვლისთანავე სავარძელში ჩაჯექით, მაგრად დახუჭეთ თვალები, ორივე ხელის თითები გადააჯვარედინეთ და სხეული დაჭიმეთ.



როცა მნიშვნელოვანი სამსახურებრივი შეხვედრა გელით:

- ყინულით ან ცივი წყალში დასველებული ხელსახოცით კარგად დაიზილეთ კისრისა და ყელის მიდამოები — ასეთი ქმედებით, ყურადღების უკეთ კონცენტრირებას შეძლებთ;
- რამდენჯერმე მოხარეთ და გაშალეთ თითები — უკეთ განწყობით სამუშაოდ;

როცა უსიამოვნო შეხვედრა გელით:

დაიმასხოვრეთ, რომ ამ დროს ძაღზე მნიშვნელოვანია ენერგეტიკული თავდაცვა. საუბრის დროს, ხელეები და ფეხები გადააჯვარედინეთ და არავითარ შემთხვევაში არ უყუროთ თანამოსაუბრეს თვალებში.

როდესაც შინაგანად აფორიექებული ხართ:

- დასამშვიდებლად ცივი წყალი დალიეთ;
- 1-2 წუთის განმავლობაში ისრისეთ ჯერ ყურის ბიბილოები, შემდეგ — ნიჟარები; ბოლოს კი კისერი დაიზილეთ.

თუკი სამუშაო დღის ბოლოს თავს გამოფიტულად გრძნობთ, შინ კი თქვენს ყურადღებას და სითბოს მონატრებული ოჯახის ნეჭრები გელიან:

- ჩამოირეცხეთ მთელი დღის უარყოფითი ემოციები კონტრასტული შხაპის დახმარებით;
- 5 წუთით მაინც წამოწექით, დახუჭეთ თვალები და ეცადეთ, არაფერზე იფიქროთ;
- რამდენჯერმე მოხარეთ და გაშალეთ თითები, რაც ყურადღების კონცენტრირებაში დაგეხმარებათ;
- რამდენჯერმე დახუჭეთ და გაახილეთ თვალები.

დაბოლოს: არასდროს დაიძინოთ ვინმეზე ნაწყენმა ან ნაჩხუბარმა. თუ დამნაშავე ხართ, ყოველთვის დროულად მოიხადეთ ბოდიში. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ მშვიდად დაძინებას.



ბრჯიშები სხის კანის ბასამკბრიგებლად

პირველი ნაოჭების გაჩენისთანავე კოსმეტიკურ საშუალებებთან ერთად კანის გასამკვრივებლად სპეციალურ მარტივ ვარჯიშებს თუ მიმართავთ, შედეგი გაცილებით ეფექტიანი და ხანგრძლივი იქნება. ეს ვარჯიშები განსაკუთრებით შედეგიანია, როცა კანი კოსმეტიკური საშუალებებით გადაღლილი და მოდუნებულია. თანაც ამ ვარჯიშების უპირატესობა ისიც არის, რომ მათი შესრულება ნებისმიერ დროსა და ადგილასაა შესაძლებელი.

ტუჩების ვარჯიში

დადებით სწორად, იყურეთ პირ-დაპირ, პირი დამუნეთ. გაიღიმეთ, რაც შეიძლება ფართოდ, ოღონდ ისე, რომ ბაგეები ერთმანეთს არ დააცილოთ. გაჩერდით ასე 5 წამი, შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ტუჩები მოკუმეთ და წინ წამოსწიეთ, თითქმის ვინმეს კოცნით. ამ მდგომარეობაში 5 წამი გაჩერდით და საწყის მდგომარეობას დაუბრუნდით. გაიმეორეთ 10-ჯერ.



ყელისა და ღაბაბისთვის

დაჯექით სწორად, თავი უკან გადასწიეთ და წერს ახედეთ. პირი დამუნეთ და ყბა ისე ამოძრავეთ, თითქოს კეც ლეჭავთ. მაშინვე იგრძნობთ, რა ინტენსიურად მუშაობს ყელისა და ნიკაპის კუნთები. ვარჯიში შეასრულეთ 20-ჯერ.

ლოყებისთვის

პირი მოკუმეთ, ლოყები ჯერ შესწიეთ, შემდეგ კი გამოზერეთ. ორივე მდგომარეობაში, 10-10 წამი გაჩერდით. ვარჯიში 10-ჯერ გაიმეორეთ.

ქუთუთებისათვის

დაჯექით გამართულად და ისე, რომ თავი არ ამოძრაოთ, გაიხედეთ პირდაპირ, შემდეგ მალლა, დაბლა, მარჯვნივ და მარცხნივ გაიმეორეთ 10-ჯერ.

შუბლისთვის

რაც შეიძლება ძლიერად შეყარეთ წარბები, შემდეგ მალლა აზიდეთ და თვალები ფართოდ გაახილეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ.

ბრინჯის სალათა

მასალად საჭირო:

- 60 გ ბრინჯი;
- 30 გ ვაშლი;
- ნახევარი კილო პომიდორი;
- ნახევარი კილო კიტრი;
- ოსრახუში, კამა, მარილი, შავი პილილი — გემოვნებით.

მომზადების წესი:

მოხარშეთ ბრინჯი და გადაიტანეთ თუშფალანგზე (წყლისგან ბოლომდე უნდა დანრიტოს). შემდეგ შეურიეთ წვრილად დაჭრილი ოსრახუში, კამა, მარილი და შავი პილილი. ვაშლი და პომიდორი დაჭერით წვრილად, კიტრი კი — მოგრძო ნაჭრებად. ბრინჯი გადაიტანეთ სასალათე თასზე, გვერდებიდან მოუწყვეთ პომიდორი, ვაშლი და კიტრი. სუფრაზე მიტანის წინ არაჟანი მოასხით.



ანტილაკანანი

გზაში საკითხავი კოლექი

ქეპლერელი თქუი ივანიძე

თავისუფლად ვერასოდეს ისუნთქებს“, — ამბობდა მარტინ ლუთერ კინგი.

17. „რაგინდ სასიამოვნოდ, მსატივრულად და საინტერესოდ უნდა იყოს დამზადებული ფარანი, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა ანათებდეს“, — ამბობდა ონორე დე ბალზაკი.


18. კოტე მახარაძემ ერთი მსახიობის თეატრში სპექტაკლი „ილია ჭავჭავაძე“, აკაკი ბაქრაძის ბროშურის მიხედვით დადგა. ამ დადგმაზე იგი წყნეთში, მთელი ზაფხულის განმავლობაში მუშაობდა.

19. „მუსიკაში, როგორც ჭადრაკში, დედოფალი, ანუ მელოდია, უძლიერესია, მაგრამ გადაწყვეტი მნიშვნელობა მაინც მეფეს — ჰარმონიას აქვს“, — ამბობდა კომპოზიტორი რობერტ შუმანი.

20. რამას ერთგული ცოლი, სიტა, მეუღლის იდეალია ინდურ მითოლოგიაში. ეს მშვენიერი და თვინიერი ქალი ქმრის ერთგული დარჩა მაშინაც კი, როცა ლალატი დაჰპრალდა და დემონთა მეფესთან, რავანასთან კავშირი დასწამეს. რამამ მოითხოვა მისი გამოცდა ცეცხლით, ორდალის წესით: თუ ცეცხლიდან უვნებელი გამოვიდოდა, გამართლდებოდა. ცეცხლის ღმერთმა სიტა უვნებლად გაატარა თავის მრისხანე სტიქიაში და ქალს ყველა ღირსება დაუბრუნდა.

21. „მიუხედავად იმისა, რომ ლონგესი დიდი და ღრმა ტბა არის (ზოგიერთ ადგილას მისი სიღრმე 240 მეტრს აღწევს), ურჩხული-პლენიოზავრი „ნესი“ აქ ვერ იცოცხლებდა, რადგან თევზი, რომლითაც იგი იკვებება, ტბაში ძალზე ცოტაა“, — ამტკიცებენ მეცნიერები, რომლებმაც ლონგესში მოხინაღრე თევზების რაოდენობა ექოლოკატორის დახმარებით განსაზღვრეს.

22. მოლიერის შემოქმედებას საქართველოში XIX საუკუნეში გაეცნენ. ფრანგი დრამატურგის „სკაპენის ოინები“ აკაკი წერეთელმა თარგმნა სათაურით — „სკაპენის ცულლუტობა“. 1880 წელს გორის თეატრში არვიცაშვილის თარგმანის მიხედვით დაიდგა მოლიერის „ტუნნი“. სპექტაკლს სახელად „კრიჟანგი“ ერქვა.





„თაგაში მიყვარს“

ნიგნებთან „მეგობრობა“ სათავგადასავლო უან-რის ლიტერატურით დაიწყო; მერე დეტექტივებით დაინტერესდა; წლების შემდეგ რომანებმა გაიტაცა და მთელი ფრანგული (და არა მხოლოდ) ლიტერატურა გადაიკითხა. ახლა ყველაზე ხშირად პუბლიცისტიკას ეცნობა. „ერუდიტის“ სტუმარი ჟურნალისტი დიანა ტრაპაიძე გახლავთ.

ცხოვრება ნიგნის გმირებთან ერთად მწარლის გამოგონილ საგყაროში

თაგუნა კვინიკაძე

პრეამბულის მაგიერ

— დიანა, ნიგნის საკითხავად დროის გამონახვას ახერხებ?

— შვილი რომ შემეძინა, 3-4 წელი ძველებურად აქტიურად ვეღარ ვკითხულობდი და ამას ძალიან განვიცდიდი. ბოლო პერიოდში უცხოეთში ვიყავი, რამდენიმე სემინარს დავესწარი. იქ მეტი თავისუფალი დრო მქონდა და ნიგნებისკენ შემობრუნება მოვახერხე. რამდენიმე კარგ ნაწარმოებს გავეცანი.

— პირველი ნიგნი, რომელმაც შენზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა, რომელი იყო?

— „ბიძია თომას ქოხი“. ბავშვობაში ნიგნებს ვიზუალურად, ყდით ვიმახსოვრებდი. ახლა, როცა ქობულეთში, ჩემს მშობლიურ სახლში ჩავდივარ, შემიძლია ყდის მიხედვით გითხრა, რომელ თაროზე რომელი ნიგნი დევს. მერე მახსენდება ის ემოცია, რომელიც იმ ნიგნის წაკითხვისას მქონდა.

— წასაკითხი ლიტერატურა ავტორის მიხედვით აგირჩევია?

— რა თქმა უნდა. ერთი პერიოდი ფრანსუა საგაზე ვგიჟდებოდი. ქართველი ავტორებიდან ნაირა გელაშვილის მოთხრობები მიყვარს.

— მესიერება როგორი გაქვს?

— ზოგიერთი კარგად მახსოვს, ზოგიერთი მავინყდება. მშურს ჩემი მეგობრების, რომლებსაც შეუძლიათ, ნიგნებიდან ციტატები ზეპირად თქვან.

— ინტელექტუალური თამაშები გიყვარს?

— ზოგადად, თამაში მიყვარს.

— ნიგნი მოგიპარავს?

— არასდროს. როცა ნიგნს ვკითხულობ, მისი გმირების სამყაროში ვცხოვრობ; იმას ვხედავ, რაც იქ ხდება და განვიცდი. ვიცი, ესა თუ ის პერსონაჟი როგორ გამოიყურება, ძალიან მიყვარს წაკითხული ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმის ყურება. ჩემსა და რეჟისორის ხედვას შორის შედარებას ვახდენ. ახლახან წავიკითხე მარკესის „სიყვარული ჟამიანობის დროს“. ვიცი, რომ ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმი გადაღებული და მისი ნახვა მაინტერესებს.

— სტატისტიკამ დაამტკიცა, რომ ისინი დღეში 920 კითხვას სვამენ. ვინ არიან ისინი?

— რომელიმე პროფესიის წარმომადგენლებზეა ლაპარაკი?

— არა. ისინი ყველაზე ცნობისმოყვარენი არიან.

— ბავშვები. ასეა?

— დიას. რაფიელ ერისთავის რომელ ცნობილ



ფრანს უნდა გაზეთმა „დროებამ“ მეთერთმეტე მცნება?

— ვერ ვიხსენებ.

— „როგორც...“

— (მანყვეტილებს) „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

— „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვჩა მამაპაპათაგან — მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუბატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას“. — ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებში ვკითხულობთ ამ სიტყვებს?

— ზუსტად არ მახსოვს.

— „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის მიერ კაზლოვითგან „შეშლილის“ თარგმანზედა“. ვინ არის ფილმ „გიორგი სააკაძის რეჟისორი“?

— მიხეილ ჭიაურელი.

— ვინ ასრულებს პაატა სააკაძის როლს ბავშვობაში?

— არ ვიცი.

— მერაბ კოკოჩაშვილი. უნგრეთის ერთ-ერთი ქალაქის არქივში იპოვეს 200 წლის წინანდელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც ქალაქის ზოგიერთ მცხოვრებს უნდა გადაეხადა ეწ. ბოლის გადასახადი. ეს თანხა სახანძრო სამსახურის შესანახავად გამოიყენებოდა. ვის ახდევინებდნენ ამ გადასახადს?

— არ ვიცი, ალბათ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახლში ბუხარი ჰქონდათ.

— ცდები, ამ გადასახადს მწველ ადამიანებს ახდევინებდნენ.

— მართლა? აბა, ეს როგორ ვერ უნდა გამომეცნო?

— ყველას კარგად გვახსოვს ფრთიანი გამონათქვამი: „რელიგია — ეს ხალხისთვის ოპოზია“. რომელი სიტყვით შეცვალა სიტყვა რელიგია ამერიკელმა პრეზიდენტმა ნიქსონმა?

— არ ვიცი.

— შენთვის ეს სიტყვა ძალიან ნაცნობია. მასთან შენი პროფესია გაკავშირებდა.

— დავიბენი.

— ტელევიზია. შენთვის რა არის „ოპოზია“?

— ჩემი სპეციალობა — ის საქმე, რომელსაც ახლა ვემსახურები.

— „საერთო სენია კაცთა — მიცვალებულებს იმდაც აქებენ ხშირად, რომ ცოცხალთ მიაყენონ



ჩრდილი“; „ამქვეყნად არც რაინდია ისეთი, რომელსაც რისამე წინაშე შიში არ ეგრძნოს ოდესმე, არცთუ ბრძენია სადმე, ერთხელ მაინც სისულელე არ ეთქვას“.

— რომელი ქართველი კლასიკოსია ამ სიტყვების ავტორი?

— კონსტანტინე გამსახურდია. „დიდოსტატის მარჯვენაში“ წერს.

— ეს სრულტე საკმაოდ გრძელია და განიერიც, მაგრამ მას ხშირად ინგლისის არხს უწოდებენ. რომელია ეს სრულტე?

— იქნებ მინიშნება მითხრა.
— ის ჩრდილოეთის ზღვასა და ატლანტის ოკეანეს აერთებს. მის ქვეშ გაყვანილია მსოფლიოში სიგრძით მეორე სარკინიგზო გვირაბი, საფრანგეთსა და ინგლისს შორის.

— ლა-მანში.

— „როგორ არ მინდა, ძლიერო სენო,/ ლექსში ქართულად რომ მოგიხსენო/ როგორ არ მინდა, ჩემს სიჭაბუკეს/ დააჩნდეს შენი შავი ჩრდილები/ ეს რა უშრეტი ცეცხლით დამბუგე,/ პირს მარიდებენ ქალიშვილები!“ — რომელი პოეტია ამ სიტყვების ავტორი?

— ვერ გეტყვი.

— ლადო ასათიანი. რა წარმოიშობა წვიმის წვეთებში სინათლის სხივების გარდატეხისა და დაშლის შედეგად?

— ცისარტყელა.

— რომელი მთების პატივსაცემად ეწოდა მთამსვლელობას ალპინიზმი?

— ალპების.

— კამათლის მოპირდაპირე მხარეებზე ამოტიფრულ ნერტილთა ჯგამი ერთი და იგივეა. რამდენია იგი?

— არ ვიცი.

— 7. როგორ დგას 25 ბავშვი. მერამდენე ბავშვი დგას შუაში?

— მე-13.

— „ჟურნალისტი — მენაგვეა, რომელიც ცოცხის მაგივრად კალამს ხმარობს“. ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?

— არ ვიცი.

— ნაპოლეონ ბონაპარტე. ეთანხმები?

— ნაწილობრივ ეთანხმები.

— ინდოეთი, ავღანეთი, კამბოჯა, კორეა. ჩამოთვლილთაგან რომელ ქვეყანაში არ არის განვითარებული სარკინიგზო ტრანსპორტი?

— ავღანეთში.

— ჟორჟ სიმენონი — კომისარი მეგრე; არტურ კონან დოილი — შერლოკ ჰოლმსი... რომელი ლიტერატურული გმირი უკავშირდება აგათა კრისტის სახელს?

— ერკიულ პუარო.

— რა გვარია მიხეილ ჯავახიშვილის პერსონაჟი — მარგო?

— ყაფლანიშვილი.

— რომელი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ცნობილი კურორტები, ნიცა და კანი?

— ხმელთაშუა ზღვის.

— რომელი ფრინველი დებს კვერცხს სხვის ბუდეში?

— გუგული.

— რომელი ცხოველი ზრუნავს თავის ნაშიერზე ყველაზე დიდხანს — დათვი, კატა თუ სპილო?

— დათვი, არა?

— ცდები, პატარა სპილო დედასთან თითქმის 10 წლის მანძილზე რჩება. ვინ არის ავტორი მემორიალი-სა — „კიდევაც დაიზრდებიან“?

— მერაბ ბერძენიშვილი.

— ტრადიციისამებრ, რა ნიშანს იძლევიან საკვამუროდან ტაძარში შეკეტილი კარდინალები პაპის არჩევის ნიშნად?

— თეთრ ბოლს უშვებენ.

— პლატონი აღნიშნავდა: სპარტელები სიტყვაძუნწი ადამიანები არიან, ათენელებს შორის უფრო მეტი ლაპარაკის მოყვარული ადამიანის ნახვა შეიძლებაო. რას უწოდებდნენ ასეთ ადამიანებს?

— ორატორებს?

— მაშინ ასეთ ადამიანებს ფილოლოგებს უწოდებდნენ. რა თანამდებობა ჰქონდათ ძველ შეიარაღებულ ძალებში ადამიანებს, რომლებსაც მკერდზე თუთიყუში ჰქონდათ ამოტიფრული?

— (ფიქრობს) ალბათ, რაღაც ამბავს გადასცემდნენ.

— ისინი თარჯიმნები იყვნენ. რას ეძახდნენ ახალდაქორწინებულებს მთიულეთში?

— არ ვიცი.

— ასალყოილი. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, მაცხოვრის მიერ დაწესებულია 7 საიდუმლოება. შეგიძლია, დამისახელო?

— ნათლისღება, სინანული, მირონცხება, ზიარება, მღვდლობა, ზეთის კურთხევა და ქორწინება.

— შიშს სისტემის რომელი პლანეტა ანდომებს ლერძის გარშემო შემობრუნებას ყველაზე მეტ დროს?

— არ ვიცი, მაგრამ ვენერას ვიტყვი...

— გამოიცანი. ის ყველაზე დიდი სახელმწიფოა; თითქმის მთელი კონტინენტი უკავია. ტერიტორიის დიდი ნაწილი ზღვის დონიდან 300 მეტრზე დაბლაა და მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მხრიდან წყლები აკრავს, მაინც ყველაზე მშრალ კონტინენტად მიიჩნევა. დაასახელე ეს სახელმწიფო.

— ავსტრალია.

— ის 1899 წელს, ნეაპოლში დაიბადა. ნამოიზარდა თუ არა, ბედის საძიებლად ნუიორკში გაემგზავრა. მალე კრიმინალურმა სამყარომ ჩაითრია. თავიდან ერთ-ერთ ადგილობრივ ბანდაში „დამხმარე ბიჭად“ იყო, მაგრამ მისი ნიჭი მალე შეამჩნიეს და კვალიფიკაცია შეუცვალეს. 1929 წელს მას იარაღის ტარებისთვის 10 თვე მიუსაჯეს. ციხეში შეუზღუდავი უფლებებით სარგებლობდა. მეორედ ბრალი გადასახადების გადაუხდელობისთვის წაუყენეს. მან 12 ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვა შეძლო, მაგრამ მსაჯულები პროცესის წინააღმდეგ შეუცვალეს და 11-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ის სრულ იზოლაციაში ჩვეულებრივი ტუსაღის პირობებში იმყოფებოდა. მგონი არ უნდა გაგიჭირდეს გამოცნობა, ვისზეა ლაპარაკი?

— ალ კაპონეზე.

— წარმოშობით რომელი ქვეყნიდან არიან ბოშები?

— ზუსტად არ ვიცი.

— ინდოეთიდან. ვინ დაწერა „რევიზორი“ და „მკვდარი სულები“?

— გოგოლმა.

— დაბოლოს, დაასრულე დოსტოევსკის ცნობილი გამონათქვამი: „თუ გინდათ, კარგად გაიცნოთ ადამიანი, მიაქციეთ ყურადღება არა იმას, თუ როგორ ლაპარაკობს იგი, როგორ ტირის, ან როგორ აღეღებებს კეთილშობილი იდეები. დააკვირდით მას, როდესაც ის...“
— „...როდესაც ის იცინის“.



ჯვარი, რომელზეც მაცხოვარმა კაცობრიობის ცოდვები აღსოცა

27 სექტემბერს წმინდა ეკლესია ჯვართამაღლებას დღესასწაულობს. ამ დღეს იპოვეს ცხოველმყოფელი ჯვარი, რომელზეც მაცხოვარმა კაცობრიობის ცოდვები აღსოცა... იმ დრომდე, ვიდრე მაცხოვარი ჯვარცმით იხსნიდა კაცობრიობას, ჯვარცმა — ჯვარზე გაკვრით დასჯა ყველაზე სამარცხვინო და მტკივნეული სასჯელი იყო. ჯვარზე გაკვრით ყველაზე მძიმე დამნაშავეებს სჯიდნენ. მაცხოვრის წინააღმდეგ აღძრულმა ფარისევლებმა და სჯულის მეცნიერებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ განკაცებული უფალი სწორედ ამ უკიდურესად დამამცირებელი სასჯელით დაესაჯათ. უფალმა ყველაზე მტკივნეული და მძიმე სასჯელი იტვირთა კაცობრიობის ხსნისთვის. მან უკიდურესი ტანჯვა იტვირთა საკუთარ თავზე — ბაგაში შობით დაიწყო და ჯვარცმით დაასრულა. ჯვრის ტკივილები დაითმინა და ჯვარი გამარჯვების სიმბოლოდ და იარაღად აქცია.

შორანა მერაპილაძე

რატომ იწოდება ჯვარი ცხოველმყოფელ ძალად?

რაკი სწორედ ხის ძელისგან შექმნილ ჯვარზე აღესრულა კაცობრიობის ხსნა, მისი მეშვეობით მოგვენიჭა მარადიული ცხოვრების — სულის ცხოვნების, ადამის ცოდვის შედგებად დაკარგული ღმერთთან ერთობისა და სამოთხეში მყოფობის, სასუფეველის მოპოვების შესაძლებლობა. იგია ნიშანი ჩვენი ცხოვრების ანუ ცხოვრებისა. ამიტომაც იწოდება ცხოველმყოფელ, ცხოვრების მომცემელ ძელად.

კონა უფლის ცხოველმყოფელი ჯვრისა

მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ უფლის ჯვარი, მასთან ერთად ჯვარცმული ავაზაკების ჯვრებთან ერთად იქვე მიყარეს. შემდგომში წარმართმა იმპერატორმა, ადრიანემ მინით დააფარვინა გოლგოთა და უფლის დაფვლის ადგილი. ხელოვნურად შექმნილ ბორცვზე კი წარმართული ბომონი ააგებინა, ჯვარცმული ქრისტეს მიმდევრების ხსოვნიდან საუფაძოდ რომ აღმოეფხვრა იმ წმინდა ადგილების ხსოვნა, სადაც კაცთა მოდგმის ხსნისთვის ეწო უფალი ჩვენი იესო ქრისტე. მართლაც, დროთა განმავლობაში მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სინმინდევების ხსოვნა მივიწყებას მიეცა...

რომის წარმართი იმპერატორები სამი საუკუნის მანძილზე სასტიკად დევნიდნენ და აწამებდნენ ქრისტეს მიმდევრებს. რომის იმპერატორთაგან კონსტანტინე დიდი (306-337 წ.წ.) იყო პირველი, რომელმაც ქრისტეანთა დევნა შეწყვიტა და ქრისტეანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. სწორედ კონსტანტინე დიდის სახელს უკავშირ-

დება უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის აღმოჩენაც. ყოველივე ამას წინ უძღოდა მის ცხოვრებაში მომხდარი სასწაული: ერთხელ, როდესაც კონსტანტინე რომის იმპერიის ტახტზე თვითნებურად ასული მაქსცენსუსის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, ზეცაში ჯვარი გამოჩნდა წარწერით: „ამით სძლეე“, ლამით კი თავად უფალი გამოეცხადა ჯვრით ხელში და აუწყა: „გააკეთე მსგავსი ამისა და უბრძანე, რაზემელება წინ გაიძღოლონ, მაშინ მთელ შენს მტრებს სძლეე“. იმპერატორი უფლის ნებას დაჰყვა და მიუხედავად ჯვრის სიმცირისა, დაამარცხა მაქსცენსუსი. ეს მოხდა 312 წლის 28 ოქტომბერს. სწორედ ამის შემდეგ გამოსცა პირველი ვერდიქტი ქრისტიანთა დევნის შეწყვეტის შესახებ და ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

მეფე კონსტანტინემ კიდევ ორგზის სძლია მტერს ჯვრის ძალით და როდესაც საბოლოოდ ირწმუნა ჯვრის ცხოველმყოფელობა, უფლის პატიოსანი ჯვრის პოვნა განიზრახა, რომელზეც უფალი ეწო. ამ მიზნით იერუსალიმში წარგზავნა დედამისი — ელენე დედოფალი, თან პატრიარქ მაკართან წერილი გაატანა, სადაც იმპერატორი პატრიარქს სთხოვდა, ხელი შეეწყო დედოფლისთვის ამ წმინდა საქმეში. იერუსალიმში ჩასვლისთანავე ელენე დედოფალმა იხმო წარჩინებული იუდეველნი და სთხოვა, ჯვრის ადგილსამყოფელი გაეზილათ, თუმცა უშედეგოდ. როდესაც ელენე დედოფალი მათ სიკვდილით დაემუქრა, იუდეველებმა იგი ერთ მსცოვან იუდეველთან — იუდასთან მიიყვანეს და უთხრეს, რომ მას შეეძლო იყვნებინა დედოფლისთვის ის, რასაც ეძებდა, რადგან წარჩინებული წინასწარმეტყველის ძე იყო.

თავიდან იუდა არ ისურვა ეჩვენებინა ადგილი, სადაც დაფლული იყო მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვარი. მაშინ დედოფლის ბრძანებით ღრმა თხრილში ჩააგდეს. რამდენიმე დღის შემდეგ, იუდა გატყდა და ჯვრის ადგილსამყოფელი გაამხილა. მან დედოფალი ელენე ქვისა და მინის დიდ ბორცვთან მიიყვანა, რომელზეც წარმართული ტაძარი იყო აგებული. დედოფლის ბრძანებით, საკერპო დაანგრეს და მართლაც აღმოაჩინეს უფლის სამარხი და გოლგოთა, შორიასლოს კი სამი ჯვარი იპოვეს. იქვე იყო პილატეს დავალებით გაკეთებული დაფა, სამეწოვანი წარწერით — „იუდეველთა მეფე“ და უფლის სამსჭვალენი. იმის გასარკვევად, ამ სამიდან რომელი იყო ჯვარი, რომელზეც მაცხოვარი ეწო კაცთა ხსნისთვის, სამივე მათგანი რიგრიგობით შეახეს მიცვალებულს, რომელსაც იმ დროს დასაჯრძალავად მიასვენებდნენ. ცხოველმყოფელი ჯვრის შეხებისას მიცვალებული გაცოცხლდა. დედოფალმა და მისმა მსლელებმა თაყვანი სცეს უფლის პატიოსან ჯვარს. სივინროვის გამო უამრავმა ადამიანმა ვერ შეძლო ჯვართან მიახლება და პატრიარქ მაკარს სთხოვეს, სინმინდე ამაღლებინა, რათა შორიდან მაინც დაენახათ და პატივი მიეგოთ მისთვის. იერუსალიმის პატრიარქმა და სამღვდელოებამ ჯვარი ამაღლებულ ადგილას აღმართეს. ხალხი კი ღალადებდა — „უფალო შეგვიწყალებ!“ ეს საზეიმო მოვლენა 326 წელს მოხდა.

პატიოსანი ჯვრის ამაღლების დღესასწაული თავისი არსით სწორედ აქედან იღებს სათავეს, ხოლო პირველად, მსოფლიო ამაღლება პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრისა 335 წლის 14 (ძველი სტილით) სექტემბერს, ალდგომის ტაძრის დასრულების შემდეგ იდღესასწაულეს. ალდგომის ტაძარი კი აიგო მოციქულთა სწორის — კონსტანტინე დიდის ბრძანებით, იერუსალიმში, ქრისტეს დიდებული აღდგომის სადიდებლად, რომელიც თავის კედლებში გოლგოთასაც მოიცავს და უფლის საფლავსაც. ტაძარი ათი წლის განმავლობაში შენდებოდა. 335 წლის 13 სექტემბერს (ძველი სტილი, ახალი სტილით კი 26 სექტემბერს) ქრისტიანულად იკურთხა. მისი კურთხევიდან მეორე დღეს დაანესეს დღესასწაული უფლის პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის მსოფლიო ამაღლებისა, რო-



მელსაც მართლმადიდებელი ეკლესია დღემდე 27 სექტემბერს დღესასწაულობს.

იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მოვილოცავთ ელენე დედოფლის სამლოცველოსაც. ის საკმაოდ მოზრდილი, გუმბათოვანი ნაგებობაა და ნახევრად კლდეშია გამოკვეთილი. ერთ-ერთ კუთხეში დგას ქვის სკამი, რომელზეც მჯდარა ელენე დედოფალი მამინ, როდესაც უფლის პატიოსანი ჯვრის აღმოსაჩენად სამუშაოები მიმდინარეობდა... ელენე დედოფლის სამლოცველოდან კიბით ჩავდივართ ჯვრის აღმოჩენის სამლოცველოში, სადაც იქნა ნაპოვნი „ძელი ცხოველი“ და სამსჭვალნი მაცხოვრისა, ასევე — ფიცარი სამეწოვანი წარწერით და ორი ჯვარი, რომელზეც უფალთან ერთად ჯვარცმული ავაზაკები იყვნენ გაკრულნი. სამლოცველო კლდეშია ნაკვეთი და ამჟამად მისი მარჯვენა ნაწილი მართლმადიდებლებს ეკუთვნის, მარცხენა — კათოლიკეებს.

რა ბაღი ანათ უფლის ცხოველყოფალ ჯვარსა და სამსჭვალას?

ძელი ცხოველის აღმოჩენის შემდეგ, ელენე დედოფალმა ჯვრის ნაწილი და სამსჭვალები თავისთან შეინახა, ხოლო ჯვარი ვერცხლის კიდობანში ჩადო და პატრიარქს გადასცა შესანახად, მომავალი თაობებისთვის; მეფე კონსტანტინემ ელენე დედოფლის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებული ცხოველყოფელი ძელის ნაწილი ოქროს კიდობანში ჩაასვენა. უფლის სამსჭვალთაგან ერთი, სამშობლოში მომავალ ელენე დედოფალს ადრიატიკის ზღვაში ჩაუგდია, ძლიერი ქარიშხლისა და ღელვის დასამშვიდებლად; მეორე — კონსტანტინე დიდმა თავის მუზარადში ჩააქრა; მესამე — თავისი ცხენის აღვირში ლაგამს მიაჭედა, რათა აღსრულებულიყო წინასწარმეტყველება ზაქარიასი: „მას დღესა შინა იყოს აღვირსა შორის ცხენისასა წმიდაი უფლისაი“; მეოთხე სამსჭვალი კი ელენე დედოფალმა შესანახად გადასცა თავის უახლოეს მრჩეველს, რომელიც შემდგომში კონსტანტინე დიდს ასალმოქცეული ქართველთა მეფის — მირიანისთვის გამოუგზავნია საჩუქრად. შემდგომში მეორე სამსჭვალიც საქართველოში მოხვედრილა. ამჟამად ერთ-ერთი სამსჭვალი საქართველოს საპატრიარქოში ინახება, მეორე — XVII საუკუნეში არჩილ მეფემ რუსეთში წაიღო, მანგლელი მიტროპოლიტის მიტრასთან ერთად. სამსჭვალი მიტრაში იყო ჩაკერებული.

ცხოველყოფელი ძელის ისტორია ისტორია

ცხოველყოფელი ძელის ისტორია სათავეს ძველი აღთქმის პერიოდი-



დან იღებს. ძველი აღთქმის თანახმად, წმინდა და მართალი ცხოვრებით მცხოვრები ლოთი, რომელიც ყველაზე გარყვნილ და ცოდვიან ქალაქ სოდომში ცხოვრობდა, ერთხელ საშინელ ცოდვაში ჩავარდა. სინანულით შეპყრობილმა ლოთმა ღვთის სათნო აბრაამს სთხოვა, მისი სული უფლისთვის შეევედრებინა. აბრაამმა სამი ხმელი ტოტი მისცა და უთხრა: დარგე ეს ტოტები გვერდიგვერდ და ყოველდღე მორწყე. თუ განედლება და აყვავდება, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ღმერთმა გაპატია. ლოთი ასეც მოიქცა. ტოტების მოსარწყავად მიმავალს, გზად ყოველდღე ხვდებოდა უცნობი მგზავრი, რომელიც წყალს სთხოვდა. ლოთიც აწვდიდა დოქს, რადგან წინაპართაგან იცოდა, რომ მშვიერი უნდა დაეპურებინა და მწყურვალისთვის წყალი მიეწოდებინა. უცნობი მგზავრი დოქს ცლიდა და ცარიელი დოქილ რჩებოდა ხელში. ბოლოს, ლოთმა ცრემლებით მორწყო ხმელი ტოტები, შემდეგ აბრაამთან წავიდა და ყოველივე აუწყა. აბრაამმა ორი ტოტი აირღო, გადააჯვარედინა, დოქის პირზე დაადო, ლოთს გაუწოდა და უთხრა: როდესაც გზად მიმავალს კვლავ შეგხვდება უცნობი მგზავრი, ასე მიანოდეთ. ჯვრის დანახვაზე მგზავრი ყვირილით განემორა ლოთს. როგორც შემდეგ აბრაამმა აუხსნა, უცნობი მგზავრის სახით წინ დემონი ხვდებოდა, რომელიც

ჯვრის გამოსახულებამ დააფრთხო. სამი წლის შემდეგ ლოთის მიერ დარგული ხმელი ტოტები განედლდა, ერთმანეთს შეეზარდა და ერთ ხედ აღმოცენდა. მოგვიანებით, სწორედ ამ ხისგან გაკეთებულ ძელზე მიაამსჭვალეს მაცხოვარი, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის დროს სოლომონის ტაძართან ჩამავალ ნაკადულზე იყო ხიდად გადებული: სოლომონის — ანუ იერუსალიმის ტაძრის აგებისას ხე მოჭრეს და სამშენებლო მასალად გამოყენებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ გაურკვეველი მიზეზის გამო, აღარ გამოუყენებიათ და ტაძრის კედელთან დაუგდიათ. გამოხდა ხანი და მისგან ხიდი ააგეს, ტაძრის მახლობლად გამავალ ნაკადულზე გადასასვლელად. ამ ხიდით ათასწლეულების მანძილზე სარგებლობდნენ ადამიანები. ხე მტვრითა და ტალახით დაიფარა. უფლის ჯვარცმის დროს სწორედ ამ ხისგან გააკეთეს ჯვარი, რათა უკიდურესად დაეცირებინათ მხსნელი კაცობრიობისა... იესო ქრისტემ ჯვარზე აიტანა კაცთა ბინიერებანი და წარხოცა ისინი.

27 სექტემბერს ეკლესია უფლის ჯვართან დაკავშირებულ კიდევ ერთ მოვლენას იხსენიებს — ცხოველყოფელი ჯვრის თოთხმეტწლიანი ტყვეობიდან დაბრუნებას: იმპერატორ ფოკას დროს (601-610, სპარსეთის მეფე ხოსრო მეორემ ბიზანტიის მხედრობა დაამარცხა და თან წაიღო უფლის ჯვარიც. სინმინდე თოთხმეტი წლის მანძილზე უმჯულოთა ხელში — სპარსთა ტყვეობაში იმყოფებოდა. შემდგომ, იმპერატორმა ჰერაკლემ (610-641) ღვთის შეწევნით დაამარცხა ხოსრო მეორე და საზავო ხელშეკრულება დადო მის ძესთან, სიროესთან. ამის შემდეგ უფლის ცხოველყოფელი ჯვარი კვლავ ბიზანტიაში დაბრუნდა.

მესიის ჯვარი საღვთსაწაულოდ შეაბრძანეს იერუსალიმში. იმპერატორი ჰერაკლე სამეფო გვირგვინითა და პორფირით მიაბრძანებდა სინმინდეს აღდგომის ტაძრისკენ. გვერდით მიჰყვებოდა პატრიარქი ზაქარია. უეცრად იმპერატორი შედგა და გზის გაგრძელებას ვეღარ ახერხებდა. მას პატრიარქმა აუხსნა, რომ უფლის ანგელოზი ელობებოდა წინ, რადგან ეს გზა მაცხოვარმა უკიდურესი სიმდაბლით განვლო. მამინ იმპერატორი სამეფო შესაპოსლისგან განიმოსა, უბრალო სამოსი ჩაიცვა და ამის შემდეგ დაუბრკოლებლად შეაბრძანა სინმინდე აღდგომის ტაძარში.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიძეშვილი

პასუხობთ მკითხველთა შაკითხვებს

დღეს რუბრიკა „ჯანმრთელობას“ დავინწყებთ რედაქციაში შემოსული შეკითხვებით. კითხვებზე პასუხების გაცემისას კი ვინელმძღვანელებთ თამარ მამაცაშვილის წიგნით — „შეკითხვა ექიმს“, სადაც თავმოყრილია საკმაოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საზოგადოებისთვის აქტუალურ, სამედიცინო საკითხებზე. ამ წიგნის ყიდვა შესაძლებელია წიგნის მაღაზიებში.



1. ცხვირიდან გამომდის შავი ფერის, ჭვარტლისმაგვარი გამონადენი. რა არის ეს და როგორ უნდა ვიმკურნალო?

ზუსტი დიაგნოზის დასმა მხოლოდ ანალიზის საფუძველზე შეიძლება, მაგრამ სავარაუდოა, რომ ასეთი გამონადენის მიზეზი სოკო ასპერგილუსია. ცხვირში სოკოს შეღწევის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება კბილები იყოს. როდესაც არხის არასწორი დაბუნის შედეგად ცხვირის დანამატ ღრუში აღწევს საბუნე პასტა, რომელიც თუთიას შეიცავს, იგი ხელს უწყობს სოკოვანი ინფექციის განვითარებას, რადგან სოკოს თუთია „უყვარს“. დაავადება მკვეთრად პროგრესირებს დაქვეითებული იმუნიტეტის მქონე ადამიანებში, რომლებიც ექიმთან არ მიდიან და ანტიბიოტიკებით თვითმკურნალობას მიმართავენ. ამიტომ, მნიშვნელოვანია სწორი მკურნალობის დროული დაწყება. მკურნალობის კურსი მოიცავს გამორეცხვებს, თანამედროვე სოკოს საწინააღმდეგო

პრეპარატების მიღებასა და იმუნოკორექციას.

2. ჩემს მოხუცებულ დედას ანუხებს ქავილი მთელ ტანზე. უკვე ერთი წელია, ვერაფრით ვშველით. ქავილი უფრო ღამით უძლიერდება. რითი ვუშველოთ?

უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოირიცხოს კანის პათოლოგია. უნდა გითხრათ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს საკმაოდ გახშირდა კანის პარაზიტული პათოლოგიები — კერძოდ მუნი, რომელსაც ახასიათებს სწორედ ღამით ქავილი. ასევე უნდა გამოირიცხოს ალერგიული დაავადებები, რომლებიც აგრეთვე გახშირებულია. ქავილი ახასიათებს სისხლში შაქრის დონის მატებასაც. ამიტომ, გირჩევთ, ჩაუტაროთ დედას სათანადო გამოკვლევა. თუ ქავილის გამომწვევი კონკრეტული პათოლოგიის დიაგნოზი არ დგინდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ დედათქვენს აქვს ე.წ. მოხუცებულთა ქავილი, რომელიც დაკავშირებულია მოხუცებულის ორგანიზმში საჭმლის მომნელებელი ფერმენტ-

ების დეფიციტთან და მონელების პროცესების დარღვევასთან. მისი პროფილაქტიკის მიზნით ხანში შესულ ადამიანებს საჭმლის მონელების მოსაწესრიგებლად, პერიოდულად ენიშნებათ ფერმენტული პრეპარატები (მაგალითად, ფესტალი, მეზიმფორტე და სხვა), აგრეთვე გააქტიურებული ნახშირი მეტეორიზმის (გაზების დაგროვების) მოსახსნელად.

რჩევები თავბრუსხვევისას

თუ თავბრუ პირველად დაგვხვიათ, პანიკას ნუ მიეცემით. ყველაფერს სჯობს, წამოწვეთ, რომ არ წაიქცეთ, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანი ხშირად კარგავს წონასწორობას.

უმჯობესია, ზურგზე დანჯეთ, ხოლო თავი, მხრები და კისერი თავისუფლად გედოთ ბალიშზე. ასეთ მდგომარეობაში უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა და ხერხემლის არტერიათა მიჭყლეტაც გამოირიცხვება.

შეტევისას სცადეთ, მზერა უმოძრაო საგანზე შეაჩეროთ. შექანებისას უმჯობესია, თვალები დახუჭოთ.

გაიზომეთ არტერიული წნევა. მხოლოდ მისი მაჩვენებლის დაზუსტების შემდეგ მიიღეთ სათანადო პრეპარატი. თუ წნევა მაღალია, დასწიეთ, ხოლო თუ მეტისმეტად დაბალია, შეგიძლიათ, ყავა ან მაგარი ჩაი დალიოთ.

ერიდეთ თავის აქეთ-იქით ტრიალს.

გააღეთ ფანჯრები და შენობა გაანიავეთ.

კვების წესი
თავბრუსხვევისადმი მიდრეკილი ადამიანები ფოსფორით მდიდარ საკვებს უნდა მიირთმევენ. ამიტომ გაიმდიდრეთ მენიუ თევზითა და კვერცხით.

მარგებელია ბოლოკი, კიტრი, ნუში, ბარდა და კაკალი.

სათანადო ოდენობის კალიუმი და მაგნიუმი რომ მიიღოთ, მიირთვით ამ მიკროელემენტებით მდიდარი საკვები: წინიბურა, შვრია, სოია, ლობიო, ბარდა, გარგარი, ასკილი, ქიშიში, სტაფილო, ბადრიჯანი, ხახვი, ოხრახუში და თხილი.

ორგანიზმს ყოველდღიურად სჭირდება ცოცხალი პოლიუჯერი ცხიმოვანი მჟავები, მცენარეული (მზესუმზირას, სიმინდის) ზეთების სახით. ყველას ზეთისუნის ზეთი სჯობს.

შეზღუდეთ მარილი. მისი მაღალი შემცველობა ორგანიზმში წყალს აკავებს, ეს კი, თავის მხრივ, შიგნითა ყურის ფუნქციებს არღვევს.



დღეში 1 გ-ზე მეტს ნუ მიიღებთ (დახლოებით ამაღენ მარილს შეიცავს ერთი ჩიზბურგერი).

შეზღუდეთ ყავა და უარი თქვით თამბაქოზე — ისინი ზრდის მოძრაობისადმი ორგანიზმის მგრძობელობას. თუ ყავის გარეშე გაძლება გიჭირთ, დღეში 1 ან 2 პატარა ფინჯანს დასჯერდით.

ვარგი იქნება, თუ ბალახეულ ჩაიზე გადახვალთ.

უარი თქვით ალკოჰოლზე. თავბრუსხვევისადმი მიდრეკილ ადამიანებს ძლიერი შეტევისთვის მისი ზომიერი მიღებაც ჰყოფნით.

დროულად მიღით აქიზთან, თუ:

უმიზეზო, ძლიერი თავბრუსხვევა ხშირად განუხებთ;

თუ თავბრუსხვევას თან ახლავს ყურებში ხმაური ან სმენის უცარი დაკარგვა;

თუ უეცრად, მკვეთრად გაგიუარესდათ მხედველობა ან თვალებში „გაგაიორდათ“;

თუ ამ ყველაფერს თან ძლიერი თავის ტკივილი ერთვის.

მედიკამენტური უსაფრთხოება

მხედველობაში მიიღეთ, რომ ზოგიერთ სამკურნალო საშუალებას შეუძლია, თავბრუსხვევა გამოიწვიოს, უპირატესად:

სედაციურ და დამამშვიდებელ პრეპარატებს — ვერონალს, ლუმინალს, ნიტრაზეპამს, ნოზეპამს;

ტრანკვილიზატორებს — სედუქსენს, ელენიუმს;

ანტიჰისტამინურ პრეპარატებს — დიმედროლს, ტავეგილს, სუპრასტინს.

ასეთივე უკუეფექტი ახასიათებს გაცივების საწინააღმდეგო ჩაის — კოლდრექსს.

ეცადეთ, რომელიმე ამ პრეპარატის მიღების შემდეგ შინიდან არ გახვიდეთ. უკიდურეს შემთხვევაში, ნუ მიუჯდებით საჭეს, ნურც ისეთ ავტომექანიზმთან იმუშავებთ, რომელთან ურთიერთობაც ყურადღების ძლიერ კონცენტრაციას მოითხოვს.

დღის გამაჯანსაღებელი რეჟიმი

გამოუძინებლობა თქვენი მტერია. ამიტომ იძინეთ, რამდენსაც ორგანიზმი გთხოვთ.

დაიწყეთ დილის ვარჯიში.

თანდათან შეზღუდეთ გონებრივი და ემოციური დატვირთვა.

ისეირნეთ დღეში 2-3 საათს.

ნუ უყურებთ ტელევიზორს დღეში 1,5-2 საათზე მეტხანს.

მისდეთ სპორტს. მცდარია შეხედულება, თითქოს თავბრუსხვევისკენ მიდრეკილ ადამიანებს ფიზიკური დატვირთვა ეკრძალებათ. უბრალოდ, უნდა ერიდოთ ორგანიზმის ძლიერ გადაძაბვას, ძალისმიერ ვარჯიშს ტრენაჟორებზე, თორემ ველოსიპედით სეირნობა, მოძრაობითი თამაშები,

მაგიდის ჩოგბურთი, ყველაზე მეტად კი — ცურვა, თქვენი ჯანმრთელობისთვის ზედგამოჭრილია.

სამკურნალო მასაჟი და ფიზიოთერაპია

შესანიშნავია ელექტროფორეზი, ნეკლის პროცედურები — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ნერვულ სისტემას ასტიმულირებს. მთელი ორგანიზმის უწყვეტი მართვის სანაცვლოდ მუდმივ ვარჯიშს მოითხოვს.

P.S. პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 5(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

მსოფლიოს მიზეზი უმიზეზოებში
მიზეზი უმიზეზოებშია!

ურნალ „რეაქციანტთან“ ერთად
წაიკითხო ყოველი - უკეთესად იქნები!

26 საჭაფავარი - ზოგი №36
მთხრობალი - ორანიო ქირობა

ფასი ... 2 ლარი!!!

3 ობტოვარი
ტომი №37 - ელბარ ალან პო

უკვე გამოსული ზოგები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში.




სიბლუსი

სიბლუსი — იგივეა, რას ვაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

ვაპირებ ცხოვრებას



ვაპირებ ცხოვრებას, სანამ ცოცხალი ვარ,
ვაზროვნებ სანამ და მკლავშია ც ღონე მაქვს,
რამდენი ხანია, რამდენი ხანია,
ყოველდღე, ყოველწამს ვაპირებ ცხოვრებას!

ვაპირებ ცხოვრებას და აღარ დამადგა
საშველი, – თადარიგს თავი ვერ გავართვი,
შაქარყინულივით თითებში ჩამადნა
ბავშვობის სიტყბო და სიმნიფის ლაზათი.

ვეღარ გავიხარე, ვეღარ გავიოცე,
ვერ გავამაისე ხანმოკლე აპრილი,
ვერ გადავაქციე ცხოვრებად – სიცოცხლე
და ცის ქვეშ ვერ ვნახე საჩემო ადგილი!...

ო, ღმერთო! როდემდე,
როდემდე... როდემდე...
გაღიან დღენი და მგონია, ვბერდები,
გაუხარებელი ყიყინით მომდევნ
აუცხადებელი ჩემი იმედები...

და ისევ – ლოდინი, და ისევ – მზადება
და გული ცივდება – ჩამქრალი საყირე...
სიცოცხლე თავდება! სიცოცხლე თავდება!
მე კი სულ ცხოვრების დაწყებას ვაპირებ!

მინილ კვლიძიძე

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამომცემული
ქართული ენის
განმარტავითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით
შემდგენილი თეატრ ივანოძე

ა

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-37, 2011

მაჩიტა — მრავალწლოვანი ბალახო-
ვანი მცენარე, აქვს თეთრი ფესვი,
რომელსაც ჭამენ.

მაჩიტელა — იგივეა, რაც მაჩიტა.

მაცილი (კუთხ.) — ეშმაკი, მაცდური.

მანავართი — მეტეორის ძუძუს
დაავადება — სარძევე ჯირკვლის
ანთება.

მანაქი — მრავალწლოვანი ველური
პარკოსანი მცენარე, შხამიანია.

მანაწური — ქვევრის რეცხვის დროს
შიგ ჩარჩენილი წყლის ამოსამშრალე-
ბელი ჩვარი.

მანვევარი (ძვ.) — იგივეა, რაც მო-
პატიჟე.

მანიერი — ნოყიერი, ყუათიანი.

მაქახელა (ძვ. კუთხ.) — კაჟიანი თოფი.

მაჭიკი — იგივეა, რაც დვრიტა
(საყველე რძის შესადეღებელი მასა-
ლა, რომელსაც იღებენ ჩვილი მცობ-
ნავი საქონლის კუჭიდან).

მაჭკატი — პატარა ლავაში, ერობო-
ში (ან ცხვრის ქონში) შემწვარი (იციან
ხეცურეთსა და თუშეთში).

მაზა — ხორბლის უძველესი სახეო-
ბა, შემორჩენილია მხოლოდ საქარ-
თველოში (რაჭა-ლეჩხუმში). თავთავი
აქვს ფხიანი, მკვრივი და ადვილად
მტვრევადი.

მაზეში — სვანეთში: უფროსი, ხე-
ლმძღვანელი.

მახლას! (საუბ.) — შორისდებული,
გამოხატავს დანაწებას — რას იზამ!
რა გაეწყობა! აფსუს!

მახობელი — ყანის ერთწლოვანი
სარეველა ბალახი, პურს აძლევს
მოლურჯო ფერს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



„ოტია საქმის კასი იყო, არც თავად გილატაბდა საქმეში და არც უნ გაპატიებდა ღალატს“

...ღალატი რომ არ აკადრა, სწორედ ამიტომ უთამადა რეზო ჭეიშვილმა ცოტა ხნის წინ მეგობრის სახელზე გაშლილ ქელეხის სუფრას: „ოტიას შვილებმა მთხოვეს, თავად გადაუნყვებიათ ასე, თორემ იმდენად სუსტად ვგრძნობდი თავს, დაღვეის კი არა, ლაპარაკის თავიც არ მქონდა, მაგრამ სუფრასთან 500 კაცზე მეტი იყო შეკრებილი და ვერ ვაკადრე უარი ვერც მის შვილებს და პირველ რიგში — ოტიას ხსოვნას“...

ლი“, რომელიც სხვათა შორის, ძალიან კარგი გამოვიდა. იქიდან დაიწყო ჩვენი ნაცნობობა. მერე ძალიან დავახლოვდით. აი, ის ბუხარი (მიმითითებს) ჩემს სამუშაო კაბინეტში, მისი აშენებულია და ოტიას სახელზეა. სულ რაღაცას აკეთებდა, უყვარდა საქმით თავის

ინა ჯაყელი

— სათქმელი და მოსაგონარი ბევრი გექნებათ, ბატონო რეზო, სად გაიცანით და როგორ დაიწყო თქვენი მეგობრობა?

— თბილისში ვმუშაობდი მაშინ, კინოსტუდიაში და იქ მოვიდა ოტია. სხვათა შორის, ჩემზე საკმაოდ უცნაური შთაბეჭდილება მოახდინა. იჯდა ჩვენი ხელმძღვანელის — მიშა მგალობლიშვილის კაბინეტში და მართლა არავის ჰგავდა არც გარეგნობით, არც ქცევით და არც სიტყვა-პასუხით. თქვენ რომ იცნობთ, იმ ოტიასთან არაფერი ჰქონდა საერთო. მოგვიანებით შეიქმნა ცნობილი იმიჯი — სვანური ქუდით, დიდი მუნდშუკით და ყალიონით. არტისტი იყო ბუნებით და თავისი ნიღაბი გაიკეთა...

— ვითომ ნამდვილი სახის და მალვას ცდილობდა?!

— ხანდახან იყო ნამდვილი (ელიმება ბატონ რეზოს. — ავტ.)... საერთოდ კი, როგორც ყველა დიდი და ჭეშმარიტი ხელოვანი, არც ის ყოფილა ბოლომდე გახსნილი და



მართლა არავის ჰგავდა არც გარეგნობით, არც ქცევით და არც სიტყვა-პასუხით

ადვილად ამოსაცნობი. გითხარით უკვე, არტისტული ბუნება ჰქონდა, მაგრამ პირველ რიგში, მწერალი იყო...

— თქვენი დაახლოება როდის მოხდა?

— ერთხელ, მასთან სახლში, აივანზე ვიყავით. ვილაც უნდა მოსულიყო და ფოტო ერთად უნდა გადაგვეღო. სწავლება დამიწყო: — ასე დაჯექი, იქით არ გაიხედო, აპარატს პირდაპირ არ შეხედო... შევეპასუხე: 30 წელია კინოში ვარ და რას მასწავლი-მეთქი?!. სხვათა შორის, კამათი არ უყვარდა. ჩხუბზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია და სხვა თუ აუშარდებოდა უაზროდ, გაეცლებოდა, აგრძნობინებდა — შენთვის არ მოვცდებო. უყვარდა რომ უსმენდნენ და მით უფრო, თუ სწორად უგებდნენ ნათქვამს...

— კინოსტუდიაში რატომ მოვიდა?

— მაშინ ნანა მჭედლიშვილი ფილმს იღებდა მისი მოთხრობის მიხედვით — „ჩქარი მატარებე-

მოწონება და არ იყო ის კაცი, ჩვენსავით უსაქმურობას მისცემოდა — ისე, მე და ნოდარი რომ ვიყავით (ელიმება ბატონ რეზოს და ჩვენთან ერთად მყოფ ოჯახის სტუმარ ქალბატონს — ნელი ბაზაძე-გოდუაძეს მიმართავს, რომელიც იმ ნოდარის და ბრძანდება, ნიგნი რომ მიუძღვნა რეზო ჭეიშვილმა, რომლის მიხედვითაც მოგვიანებით ფილმი — „ჩემი მეგობარი ნოდარი“ გადაიღეს. — ავტ.). საქმის კაცი იყო, არ უყვარდა უსაქმობა და უსაქმურობა... დღემდე ერთ რამეს ვერ ვპატიობ: თავს ყოველთვის უვლიდა და წლების განმავლობაში ყალიონი არ გაუგდია ხელიდან — დღე და ღამე ეწეოდა... ყალიონზე გამახსენდა — ერთხელ, სადღაც ვქეიფობდით და განსხვავებული სასმისები მოვითხოვეთ: მე ლამპის შუშა ავიღე, ვილაცამ კეცი მოისურვა. იორამ ქემერტელიძემ ოტიას წინა დღით წაართვა მუნდშუკი — სამახსოვროდ მექნებაო. ოტია ეხვეწა: —



სულ რაღაცას აკეთებდა, უყვარდა საქმით თავის მოწონება



რად გინდა ეგ ძველი და ჩემი ნალირჯნი, ახალს მოგცემო, მაგრამ იორამმა იუარა: — ახალს ძველის ფასი არ ექნებაო... ჰოდა, აილო იმანაც ეს გაუწმენდავი, ნიკოტინით სავსე მუნდშტუკი, ჩაყო ღვინით სავსე თასში და ამოხვრიპა ღვინო ნიკოტინთან ერთად. იმის მერე მალე კიბოთი დაავადდა და ასე მგონია, ნიკოტინი რომ ყლაპა ღვინოსთან ერთად, იმან გაუჩინა გაუჩინარი...

— ბატონო ოტია როგორი იყო ქეიფში, სუფრასთან?

— თამადობა უყვარდა და გამოსდიოდა კიდევაც, ბევრს ლაპარაკობდა და ცოტას სვამდა... სხვას არ აცლიდა ლაპარაკს (ელიმება ბატონ რეზოს. — ავტ.)

— გაბრაზება თუ იცოდა, როცა არ უსმენდნენ?

— არა, ამ მხრივ დამთმობი იყო და ხომ გითხარით, სხვასაც რომ დაეწყო ხმამაღალი ლაპარაკი, არ აჰყვებოდა...

— მისი პირველი წიგნი როგორ გახსოვთ?

— პირველი მისი დაბეჭდილი რომანი — „ვარსკვლავთცვენა“ გახლდათ. ერთდროულად გამოიცა ოტიას ეს წიგნი, ნოდარ დუმბაძის — „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და ჩემი — „ჩემი მეგობარი ნოდარი“. პოპულარობაც ერთად მოვიდა...



პირველ რიგში, ქვეყანას დააკლდა თავისი სიბრძნით, სიგყვით, კალმით და ჩვენს დაგვიწყვიტა გული

— თავად როგორი რეაქცია ჰქონდა პირველ წიგნზე?

— ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ გაუხარდებოდა, რა თქმა უნდა. ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ წიგნი გამოსვლისთანავე პოპულარული გახდა. მერე მისი ნაწარმოებების

მიხედვით ფილმების გადაღებაც დაიწყო. კინოსტუდიაშიც დაფასებულ იყო — ორჯერ რეჟისორმა აბესაძემ გადაიღო (საკმაოდ კარგმა რე-

ში სუფრა გაიშალა. იმ დროს ვილაც იქაურმა გლენმა ამოიარა და ეზო გადმოჭრა (იქ არ გველოდა და როგორც ჩანს, გზა შეიმოკლა).

მოგვიანებით შეიქმნა ცნობილი იმიჯი – სვანური ქუდით, დიდი მუნდშტუკით და ყალიონით. არბისბი იყო ბუნებით და თავისი ნიღაბი გაიხატა...

ჟისორმა), სხვებმაც. თუმცა, ასე მგონია, მეტადაც შეიძლებოდა მისი კინოში გადაღება...

— ამბობდა: გლენი ვარ, უბრალოდ ვცხოვრობ და ასევე უბრალოდ ვწერ, არაფერს ვიგონებო...

— თავმდაბლობა იცოდა, მაგრამ არც საკუთარი თავის ფასი ეშლებოდა (ისევ ელიმება ბატონ რეზოს და თვალეში ემჩნევა, წარსულის რომელიღაც მოგონებას ეფერება. — ავტ.)...

— უხაროდა ალბათ, რომ დიდ მწერლად აღიარებდნენ...

— ეს ვის არ უხარია? და ოტია რატომ იქნებოდა გამონაკლისი. ყველა სახელით იცნობს, დიდი მწერალი რომ არ ყოფილიყო, ეს ასე კი არ იქნებოდა.

— ისეთ ამბებს თუ გაიხსენებთ, რაზეც არსად დაწერილა და მკითხველისთვის სიახლე იქნება?!

— მე ჯერ არსად მომიყოლია ეს ამბავი: ერთხელ, იორამ ქემერტელიცემ თავის სოფელში (ჭიათურასთან ახლოს) წაგვიყვანა. მეც და ოტიასაც მაშინ „ნივა“ გვყავდა. ცალ-ცალკე ხომ არ წავიდოდით, ერთ მანქანაში ჩავსხედით. ოტიამ მითხრა: — აქედან მე დავჯდები საქვსთან და იქიდან — შენო! — გამირიგდა. — აქედანაც შენ დაჯექი და იქიდანაც, ღვინოს მაინც არ დაღვე-მეთქი... სოფელში რომ ჩავედით, ოტიამ ეზოს შეხედა, მოიარა ყველა კუთხე-კუნჭული. დაათვალიერა, სად რა იყო მოსაკრეფი, გასასხლავი... ამასობაში ეზო-

ვანის ნერგი მოჰქონდა. ოტიამ ის ნერგი გამოართვა, გახედა მზეზე და რალაცაზე მიუთითა, — ესენი ნაჭერიო. მოკლედ, დაარიგა, როგორ უნდა დაერგო და ესარებინა. სხვათა შორის, მეც მაშინ ვისწავლე, როგორ უნდა გამეხარებინა ვანი... წავიდა ის კაცი. ქეიფი გავაგრძელებ. არ გასულა ბევრი დრო და უკან მობრუნდა, ერთი დიდი ბოცით ღვინო მოიტანა. — რა არის ეს, კაცოო?! — არ მოეწონა ოტიას და უსაყვედურა, რადგან იცოდა, ბოლომდე დავლევდით და დავთვრებოდით. — რა არის, ბატონო ოტია და თქვენ რომ მასწავლეთ ვენახის დარგვა, ისე დავრგე ზუსტად. მოისხა, დაგწერე, დავაყენე და აგერ ქექ მოგართვით დასაგემოვნებლად... მოკლედ, აგრძნობინა — თქვენზე არანაკლებ ვიცი ეგ საქმეო...

— ეწყინა?

— არა, გულიანად გაიცინა: ა, ასეთი პირდაპირი კაცები მიყვარს მეო! — მოეწონა მოსწრებული პასუხი და შეიძლება, ამის შესახებ თვითონაც აქვს სადმე დაწერილი... ის ამბავიც კარგად მახსოვს, ამ ბუხარს რომ მიშენებდა: ერთი მამაჩემის ნაქონი ჩაქუჩი მქონდა, თავიც და ტარიც ორივე რკინის ჰქონდა. ოტიამ იმ ჩაქუჩს ხელი რომ მოჰკიდა, არ მოეწონა, რკინა სიძველისგან დაგრეხილი იყო. ზუსტად არ ვიცი, რამ გააღიზიანა და ჩაქუჩი ფანჯრიდან ეზოში მოისროლა. როგორც წესი, 2 კაცი მუშაობდა და 5 ვუყურებდით... როგორც იყო, დაამთავრეს ბუხრის გაკეთება და ოტია ხელის დასაბანად გავიდა. გონერი ჭეიშვილს დაუთხარა, მისი ხელსაწყოები ყუთში ჩაელაგებინა. ავიღე ის გადაადგებული ჩაქუჩი და ხუმრობით ისიც მის ხელსაწყოებს გავაყოლე... კარგა ხნის შემდეგ ვკითხე: — ის ჩაქუჩი შენ ხომ არ გაგყოლია-მეთქი?! — რაა არა, ჩემი ხელ-



საწყობების ყუთში ჩოუდვია ვინცხას და ახლა ხელიდან არ ვაგდებ, ძაან კაი გამევიდა, ჩარხზე გავასწორე რკინა და ნამეტანი ივარგაო... მე კი მეგონა, გავაბრაზებდი და ხუმრობას რომ მისვდებოდა, გვერდზე მოისროდა. არადა, ის ჩაქუჩი ახლაც მის სახლშია. მისი „ნაჩუქარი“ ბუხარი კი ჩემი სახლის განუყოფელი ნაწილი და ბედნიერი წარსულის სახსოვარია...

— ძალიან დაგაკლდათ ალბათ...

— პირველ რიგში, ქვეყანას დააკლდა თავისი სიბრძნით, სიტყვით, კალმით და ჩვენც დაგვწყვიტა გული. ის ისევე დააკლდა ქართულ მწერლობას, როგორც თავის დროზე, ნოდარ დუმბაძე... უყვარდა ხალხს, კითხულობდნენ. რამდენჯერაც უნდა დაიბეჭდოს მისი წიგნი, გაიყიდება.

— რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ, რომ ჟურნალ „გზასთან“ ერთად მისი ექვსტომეული გამოვა, რომელსაც „ჩემი რჩეული“ შექვია?

— შეიძლება ითქვას, რომ ოტია იოსელიანი ქართველი კლასიკოსი

მწერლების სიაშია შესული და მისი წიგნის გამოცემა ყოველთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება. ჟურნალი „გზა“ რომ დიდ საქმეს აკეთებს, მართლა ღირებულ წიგნებს გამოსცემს, ეს ფაქტია. ამ გამოცემლობამ ადამიანები წიგნს დაუბრუნა. ამის შესახებ ადრეც მითქვამს. მადლობა თქვენც და ყველას, ვინც მწერლობას და მწერალს დააფასებს.

სხვათა შორის, ოტია კარგი პოეტიც იყო. ცოტა ხნის წინ გადავიკითხე მისი ლექსები და თითქოს თავიდან აღმოვაჩინე, როგორც პოეტი. კარგი იქნება, თუ მის პროზასთან ერთად, პოეზიაც დაიბეჭდება.

— გამდლობთ თბილი და საინტერესო მოგონებებისთვის...

— მადლობა თქვენ, რომ არ გვივინყებთ...

P.S. ცოტა ხნის წინ, გამომცემლობა „პალიტრა L“-მა რეზო ჭეიშვილის ახალი წიგნი — „ახალი



ის ისევე დააკლდა ქართულ მწერლობას, როგორც თავის დროზე ნოდარ დუმბაძე

კურუ“ გამოსცა. ის წიგნი ბატონმა რეზომ თავის ავტოგრაფთან ერთად, გვაჩუქა და იქიდან ნაწყვეტებიც წაგვიკითხა თავისი უჩვეულოდ ღულუნა, განუმეორებელი ხმით. გარინდულები ვუსმენდით და საოცრად ბედნიერი და ამაყი ვიყავი: ის დღე კეთილ მოგონებად გამყვება ცხოვრების ბოლომდე, რადგანაც დიდი მწერლის სამუშაო კაბინეტში 2 საათი გავატარე, მის გვერდით ვიყავი და მის სამყაროს ვეზიარე...

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო ქარუსელთან“ ერთად, დიდძალი ქართველების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

მაღე გამოვა:

- 22 მეფე ერეკლე II
- 23 პეტრე მელიქიშვილი
- 24 გიორგი ბრწყინვალე
- 25 ნოდარ დუმბაძე
- 26 ნიკო ნიკოლაძე
- 27 იაკობ გოგებაშვილი
- 28 მიხეილ მესხი
- 29 ექვთიმე თაყაიშვილი და სხვა დიდი ქართველები

ნაგო ვარნაძე

ნაგო ვარნაძე 21

მეფე ერეკლე II 22

23-დან 30 საქებამბრამდე

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)

შემდეგი

გამოქანდილი აღამიანების ბიოგრაფია
წიგნების სერია ბავშვებისთვის

საბავშვო ჟურნალი „ქარუსელი“ №1, №2, №3, №4, №5, №6, №7, №8, №9, №10, №11, №12, №13, №14, №15, №16, №17, №18, №19, №20. შპს „ბავშვთა ბიოგრაფიის წიგნების გამომცემლობა“



ურჯუპი

ურჯუპი — ურნმუნო, ულმერთო, დაუნდობელი, შეუბრალებელი

(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი)

დსანაწყისი იხ. „გზა“ №31-37

რუსუდან გერიქი

„თახელობაც ამას ჰქვია!“ — კინალამ ხმამალა ნამოიძხა ამირეჯიბმა. შემდეგ მაგნიტოფონის ფირი გადაახვია და ის ადგილი მოძებნა, სადაც გამომძიებლის მიერ რამდენჯერმე შებრუნებულ კითხვაზე, საძინებლის კარი ნამდვილად მოხურული იყო თუ არაო, რატი დაბეჯითებით პასუხობდა, — კარგად მახსოვს, რომ მოხურული იყოო.

— არ გეჩვენება, რომ მახსოვრობაში ცოტა უცნაური ჩავარდნები გაქვს? — ჰკითხა შემდეგ გამომძიებელმა.

— კიდევ ერთხელ გიგეორებთ, რომ შეეშალა-მეთქი! — უკვე საგრძნობლად ანერვიულდა უმცროსი ილურიძე. — არ შეიძლება, რამე შეემშალოს? ანდა, სულაც დამავინწყდეს?

— როგორ არა, — მშვიდად მიუგო გამომძიებელმა, — სხვათა შორის, მარტო ეს ფაქტი კი არა, ისიც დაგავინწყდა, რომ სისხლის შეფები შენს ქვედა საცვალსა და მაისურზეც დარჩა და მერე ორივე მაიას გაარეცხვიენე.

— ეს არ დამვიწყნია.

— ფიცია მნამს, ბოლო მაკვირვებსო. მაშ, შენს ჩვენებებში რატომ არ არის დაფიქსირებული?

— იმიტომ, რომ საჭიროდ არ მივიჩნიე. ხომ შეიძლებოდა, ტანსაცმე-

ლი სისხლით მაშინ დამსვროდა, როცა მამას გადასაფარებელი გადავხადე...

— კმარა! — ხელის აწევით შეაჩერა გამომძიებელმა რატი და ყველა დოკუმენტი საქალაქდემში დააბრუნა. — უკვე ისედაც ნათელია ყველაფერი...

— სულაც არა! — სკამიდან წამოხტა რატი. — ყველაფერი, რაც ახლა მითხარით და რის დამტკიცებასაც ცდილობთ, აბსოლუტური სისულელეა! მეტიც, ამ ფაქტების სხვანაირად ახსნა შემიძლია! დიახ! ნუ გგონიათ, რომ ვიღაც ცხვირმოუხსოცავთან გაქვთ საქმე!

— ვინ გითხრა, რომ ასე მგონია? — ხმისთვის ოდნავაც კი არ აუნეგია, ისე ჰკითხა მდგომარეობიდან გამოსულ ახალგაზრდას ამირეჯიბმა. — პირიქით, ოჯახის წევრების მკვლე-

ლობისთვის ზედმეტად გულმოდგინედაც კი მოემზადე: დას თავაშვებულობა დასწამე, მამას — სიგჟე... იურიდიულ ლიტერატურასაც საფუძვლიანად გაეცანი. შენს აგარაკზე ბევრი ასეთი წიგნი აღმოვაჩინეთ. ერთ-ერთ მათგანში — „სისხლის სამართლის კოდექსში“ კი ის ადგილი იყო მონიშნული, სადაც სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახება ლაპარაკი. სხვათა შორის, ის დღე, როცა შენი მშობლების საქმე შეწყდა, შენს ძმაცაც ლომიძესთან ერთად, რესტორანში აღნიშნე და გაუთავებლად გაიძახოდი, — რა კარგია ცხოვრება, როცა ფულიც გაქვს და თავისუფლებაცო. ასე არ იყო?

— არ მახსოვს... — კბილებში ავად გამოცრა რატიმ.

— სამაგიეროდ, ეს კარგად ახსოვს შენს ნაცნობ გოგონას, ვინმე ლელა რჩეულიშვილს.

— მაშინ ჩათვალეთ, რომ მთვრალი ვიყავი და რალაცას ვბოდავდი...

— დაფუშვათ, ასე იყო, მაგრამ იმავე საღამოს, იმავე რჩეულიშვილს ისიც ხომ განუცხადე, რომ მხოლოდ ის მკვლელი თუ ჩავარდება, ვისაც ერთი დანაშაულის შემდეგ, მეორის ჩადენის შეეშინდებო. ცოლს კი ერთხელ გამოუტყედი, რომ თუ დამჭირდა, მთელ ქალაქს გადავცხრილავ, რადგან კაცის მოკვლა ჩემთვის არაფერიო.

— ეს მხოლოდ სიტყვებია!

— რატომღა მხოლოდ სიტყვები? განა, მკვლელი არა ჩადინე?

— ღმერთო! — საფეთქლებზე ხელები გაშეშებით მიიჭირა რატიმ. — როგორ გაგაგებინოთ, რომ ეს მე არ ჩამიდენია! დაფიქრდით, რას მოვი-

გებდი მშობლების მოკვლით, როცა როგორც მატერიალურად, ისე, სხვათა შორის, მორალურადაც, მთლიანად მათზე ვიყავი დამოკიდებული? ასეც რომ არ ყოფილიყო, მე ხომ ისინი ძალიან მიყვარდა, მაკუნაზე კი საერთოდ სული მელეოდა. თუ ჩემი არ გჯერათ, ჩვენი ოჯახის ახლობლებს ჰკითხეთ.

— უკვე ვკითხე და აღმოჩნდა, რომ მათ სულ სხვა რამეს ეუბნებოდით.

— მაინც რას?

— მაგალითად, მამაშენზე ამბობდი, საშინელი გაუმადლარიო.

— ეს რომელმა იდიოტმა გითხრა?

— დედაშენის დეიდამ. მანვე გვითხრა, რომ მშობელ დედას ქათამს ეძახდი. ამბობდი, რომ იმდენად უბირი დედაცაცია, სიტყვა „უტირების“ მნიშვნელობაც კი არ იცის და, საერთოდ, ჩემი მშობლები ბრიყვი და უტვინო მემჩანები არიან, რომლებთანაც სულიერად არაფერი მაკავშირებსო...

— დედაშენის დეიდას ბებრული მარაზმი კი არ სჭირს, მგონი, უკვე ჭკუიდან შეიშალა და მის სიტყვებს როგორ ენდობო?

— დაფუშვათ, მაგრამ შენს მშობლებზე იმავეს მამიდაშენსა და შენს მეგობრებთან რატომ ამბობდი? გინდა, ყველა ამ ადამიანის ჩვენებები წაგიკითხო?

— არა! — იყვირა ახალგაზრდამ. — არაფრის გაგონება აღარ მინდა! ყველანი შურიანები არიან, ყველანი!..

— უკეთესად არც ერთადერთ დას მოიხსენიებდი, — კვლავ აუღელვებლად განაგრძო ამირეჯიბმა, — მაგალითად, მის გაუჩინარებამდე, 3 დღით ადრე, ასეთი რამ თქვი: „მაკა ერთი ტუტუცი ბავშვია. სანყენია, რომ მასთან მთელი იმ ქონების გაყოფა მომიწევს, მშობლებისგან რომ დავგვრჩება“.

— ვინ გითხრა ეს? — სიბრაზისგან სახე დაემანჭა რატის.

— შენმა ერთ-ერთმა ძმაცაცმა — თემო გოლეთიანმა.

— გოლეთიანი ტყუის! — შეყვირა უმცროსმა ილურიძემ. — ვერაფრით მაპატიო, რომ მის შეყვარებულს მოვეწონე. ამის გამო შემიძულა და ცილსაც ამიტომ მწამებს.

— ვითომ? განა ეს ის გოლეთიანი არ არის, შენს ოჯახში დატრიალებული უბედურების შემდეგ გვერდიდან რომ არ მოგცილებია? ისე, კი გაუვირდა თურმე, მშობლები ისე რომ დაკრძალე, ერთი ცრემლიც კი არ გადმოგიგდია...

— ცრემლი დედაკაცების საქმეა!.. არ მახსოვს, ბოლოს როდის ვიტირე.



მგონი, ბავშვობაშიც კი იშვიათად ვტიროდი...

— არა, ყმანვილო, — შეაწყვეტინა რატის ამირეჯიბმა, — ბავშვობაში ბევრს ტიროდი, ზოგჯერ კი მოთქვამდი კიდევ.

— რალაც არ მახსენდება...

— შეიძლება, თვითონ არ გახსოვდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, მაშიდაშენს ახსოვს ყველაფერი.

— რა ყველაფერი?

— თუნდაც ის, 6 წლისა დედამ და მამიდან ზღვაზე როგორ წაგიყვანეს დასასვენებლად...

— ეგ მეც მახსოვს. მერე?

— წასვლის წინ, მამაშენმა დედაშენს შენთვის საყიდელი კანფეტებისა და ნაყინის ფული ცალკე მისცა. მამიდაშენის თქმით, დედაშენმა ის ფული მართლა მარტო შენ დაგახარჯა, მაგრამ ამის გაგება არაფრით გინდოდა და ღრიალებდი, ჩემი ფული მომეცით, თორემ ყველას დაგხოცავთო...

— რა სისულელეა... — ცივად გაველიმა რატის. — მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, ამით რის დამტკიცება გასურთ? იმის ხომ არა, რომ ბავშვობაში გაბრაზებულმა, დიდობაში ახლობლები დაგხოცე და, თანაც, რალაც გროშებისთვის?

— რატომ გროშებისთვის?.. მამაშენის ამჟამინდელი ქონება საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. მარტო აგარაკი რად ღირს! მართლა, რამდენი მოსთხოვე მასში ლობჯანიძეს?

— ვი-ის? — თითქოს ეს გვარი პირველად გაიგონაო, ისე ჩავეითხა უმცროსი ილურიძე გამომძიებელს.

— ვინმე ვასილ ლობჯანიძეს, რომელსაც შენი აგარაკის ყიდვა უნდოდა. თუ არც ეს მოხდარა?

— მოხდა, — გამომწვევად წარმოთქვა რატიმ, — საკუთარი აგარაკის გაყიდვის უფლებაც აღარ მაქვს?

— აგარაკი მარტო შენ კი არა, შენს დასაც ეკუთვნოდა. ის ხომ შენი მშობლების ისეთივე მემკვიდრე იყო, როგორიც — შენ.

— ჩემი და არასრულწლოვანი იყო და მისი მემკვიდრეობა მე მომიწევდა...

— დაუშვათ... მაგრამ მაშინ იმ ფულის ხელში ჩაგდებას რატომ ცდილობდი, რომელიც შენმა მშობლებმა მაკას სახელზე შეიტანეს ბანკში და რომლის ხელის ხლებაც გოგონას სრულწლოვანებამდე არ შეიძლებოდა? გამოდის, კარგად იცოდი, რომ მაკა მკვდარი იყო და ხელს აღარაფერი შეგიშლიდა...

— როგორც ჩანს, საფუძვლიანად გიქეჩიათ ჩემი ცხოვრება... — ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ამოღერდა რატიმ. — და დასკვნით, რომ

პატარა და ანგარიშიანი ადამიანი ვარ, ხომ?

— პატარა-მეთქი, არ მითქვამს, — შენიშნა ამირეჯიბმა, — გეგმები ძალიან დიდი და მასშტაბური გქონდა, მაგრამ ყველაფერს მართლაც ანგარიშსა და ანგარებაზე აგებდი. აი, თუნდაც შენი ეს „მარგალიტი“ რად ღირს: „სიყვარულით ოჯახის შექმნა იდეალისტების მონაწილეობით. ცოლი კარიერის გასაკეთებლად უნდა შეერთო, იმიტომ, რომ კარიერა დამოუკიდებლობასა და ძალაუფლებას შეგძენს. დამოუკიდებლობა და ძალაუფლება კი ფულს მოგიტანს“, — კიდევ ერთი ადგილი მოიხმო ამირეჯიბმა რატის დღიურიდან და ნათქვამს მისივე საყვარელი სიტყვები „უმ კუმო“ დაურთო...

— თუ ასე იყო, მაშ, მაია რატომ მოვიყვანე ცოლად?.. ის ხომ არც მდიდარია და არც გავლენიანი მშობლები ჰყავს, რომ კარიერის გაკეთებაში დამხმარებოდნენ?

— მაია შენი პრორექტორის შვილი, უფრო სწორად კი — უკანონო შვილი გეგონა.

— რა სისულელეა? — თავი ნერვიულად გაიქინა რატიმ. — ყოველთვის ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი ჭორი იყო.

— თუ ასეა, მაშინ ამ გოგონას ცოლად მოყვანა იმის შიშმა გადაგანწყვეტინა, რომ სიმართლე არ ეთქვა.

— სიმართლე?

— შენი მშობლების დაღუპვის ღამეს სინამდვილეში რაც მოხდა... მაიას, მასზე გავლენის დაკარგვის შიშით, გვერდიდან აღარ იცილებდი. ის ხომ ერთადერთი მოწმე იყო, ვინც შენს ალიბის ადასტურებდა. ახლა კი ისევე მაიას დახმარებით გაირკვა, რომ სროლის დროს ერთად არ ყოფილხართ — ანუ ალიბი აღარ გაქვს. ასე რომ, უკვე ყველა სამხილთა და ფაქტით დასტურდება, რომ საკუთარი დისა და მშობლების მკვლეელი თავადვე ხარ.

— არც იოცნებოთ! — კბილებში ავად გამოცრა უმცროსმა ილურიძემ. — ამას არასოდეს ვაღიარებ, არასოდეს!

მართლაც, ყველა შემდგომი დაკითხვის დროს რატი დანაშაულს კატეგორიულად უარყოფდა. მაია მოსიძესთან დაპირისპირების დროს გამომძიებლე-

ბი განსაკუთრებით გააოგნა იმ თავხედობამ, რომლითაც უმცროსი ილურიძე ცოლს სიცრუეში ადანაშაულებდა და „ექვიან ავადმყოფსა“ და „ბოროტ შურისმაძიებელს“ უწოდებდა. ბოლოს გოგონამ აძენ ცილისწამებას ველარ გაუძლო და აქვითინდა.

რატი ილურიძის ნათესავეებისა და ახლობლების უმეტესობამ ვერაფრით დაიჯერა, რომ მას ასეთი საშინელების ჩადენა შეეძლო. თუმცა რამდენიმე ისეთი ადამიანიც გამოჩნდა, ვისაც ეს ოდნავადაც არ გაჰკვირვებია. მათ შორის იყო რატის ერთ-ერთი სკოლის დროინდელი მეგობარი, რომელსაც საკუთარი თვალთ შიშინდა ნანახი, 12 წლის რატიმ როგორ მხეცურად მოკლა და შემდეგ გაატყავა კიდევ მანანალა ძალი. ისიც გაირკვა, რომ უმცროსი ილურიძე მარტო ცხოველებს კი არა, ხშირად ადამიანებსაც სადისტურად ექცეოდა. თავის ნაცნობ-მეგობრებს დატენილ თოფს უმიზნებდა და მათი დამფრთხალი სახეების შემხედვარე, ბოროტად ხარხარებდა. ერთხელ კი ერთ ნაცნობ გოგონას ტყვია თავს ზემოთაც გადაუტარა. ბავშვობიდანვე აგროვებდა ძველებურ დანებსა და ხანჯლებს, სკოლის დამთავრების შემდეგ კი მამამ მონადირის დანა და სანადირო თოფიც აჩუქა.

— რამდენადაც ვიცი, მშობლებს იარაღით შენი ასეთი არაჯანსაღი გატაცება დიდად არ ადარდებდათ, — უთხრა რატის ამირეჯიბმა ერთ-ერთი დაკითხვისას.



რებდა. ერთხელ კი ერთ ნაცნობ გოგონას ტყვია თავს ზემოთაც გადაუტარა. ბავშვობიდანვე აგროვებდა ძველებურ დანებსა და ხანჯლებს, სკოლის დამთავრების შემდეგ კი მამამ მონადირის დანა და სანადირო თოფიც აჩუქა.

— რამდენადაც ვიცი, მშობლებს იარაღით შენი ასეთი არაჯანსაღი გატაცება დიდად არ ადარდებდათ, — უთხრა რატის ამირეჯიბმა ერთ-ერთი დაკითხვისას.



— არ მესმის, რა იყო სადარდებელი? — იქით შეუბრუნა მას კითხვა უცროსმა ილურიძემ. — ყველა ნორმალურ მამაკაცს ბავშვობიდანვე უყვარს იარაღი. არ მითხრათ ახლა, რომ ბავშვობაში ომობანა არ გითამაშიათ და მტერი ერთხელ მაინც არ გაგიგორებიათ.

„ეს ნებისმიერს მართლა თვალის დაუხამხამებლად გააგორებს“, — გაიფიქრა უცნაურად თვალბანთებული ახალგაზრდის შემხედვარე გამომძიებელმა. ერთ გვიან საღამოს კი ამირეჯიბს იზოლატორიდან დაურეკეს და შეატყობინეს, რომ რატი ილურიძემ თანამესაკნის მოგუდვა სცადა, ამის გამო მისი ცალკე საკანში მოთავსება მოგვიხდა, სადაც უკვე თავის მოკვლა დააპირაო.

— თავის მოკვლა? — გაუკვირდა გამომძიებელს.

— დიახ, თავის ჩამოხრჩობა სცადა, — უპასუხა მას იზოლატორის უფროსმა, — თეთრეული დახია და ყულფი ისე გააკეთა. კიდევ კარგი, ზედამხედველი გაფრთხილებული მყავდა, რომ მის საკანში ხშირ-ხშირად შეეხედა და, ამიტომაც, დროზე მიუსწრო.

ამ, ცოტა არ იყოს, უცნაური ზარის შემდეგ ამირეჯიბმა დაძინება ვერაფრით შეძლო. „რატი ილურიძე და თავის მოკვლა?... — უკვირდა მას. — დაუჯერებელია... ნამდვილად სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე...“

ამირეჯიბმა რატი მეორე დღესვე დაიბარა დასაკითხად. ახალგაზრდას სახეზე თანამესაკნესთან ბრძოლის აშკარა კვალი დამჩნეოდა: მარჯვენა თვალი ჩალურჯებული, ქვედა ტუჩი გახეთქილი და ხელები დაკანრული ჰქონდა. „მაგრად უომია ბიჭს, — გაიფიქრა გამომძიებელმა, — მაგრამ ჩანს, არც თანამესაკნი იყო ჯაბანი“. თუმცა ამირეჯიბი ამაზე მეტად რატის მშვიდმა, თითქმის ნეტარმა გამოხედვამ დააფიქრა და ის იყო, პირველი კითხვა უნდა დაესვა, რომ ახალგაზრდამ დაასწო:

— მკაც და დედ-მამაც მე დავხოცე...

ამ სრულიად მოულოდნელმა აღიარებამ ამირეჯიბი ისე გააოგნა, რომ ერთხანს, ხმის ამოღებაც კი ვეღარ შეძლო, მაგრამ თავი ხელში მალევე აიყვანა, მაგნიტოფონი ჩართო და ახალგაზრდას თვალი თვალში გაუყარა:

— როდის და რატომ გაგიჩნდა საკუთარი ახლობლების დახოცვის სურვილი და როგორ გააკეთე ეს?

— ზუსტად იმის თქმა, თუ განზრახვა როდის გამიჩნდა, გამიჭირდე-

ბა, — მშვიდად დაიწყო ილურიძემ, — ჩემს გენიალურ იდეამდე საკმაოდ დიდხანს, მთელი 3 წელი მივდიოდი...

„დინყო... — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — ეს არამზადა კიდევ რაღაც სიურპრიზს გვიმზადებს...“

— საბოლოოდ კი მისი — ჩემს იდეაზე მოგახსენებთ — განხორციელებისთვის მზად ამ ზაფხულს აღმოვჩნდი...

— მოიცა! — ხელის აწევით შეაჩერა რატი გამომძიებელმა. — რა იდეაზე ლაპარაკობ?

— ასე უცბად ვერ აგისხნით...

— არსად მეჩქარება.

— კი, ბატონო, მაშინ მისმინეთ... დარწმუნებული ვარ, რომ ეს იდეა მთელ სამყაროს გადაატრიალებს! გადაიხედება — მედიცინაში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, ისტორიაში დაგროვებული ცოდნა და ბევრი რამ შეიცვლება, გადაფასდება. სხვათა შორის, ჩემი იდეის არსი სპეციალურ წერილში უნდა ჩამოვყალიბო და მეცნიერებათა აკადემიას გადავუგზავნო.

— მანამდე იქნებ უფრო გასაგებად ამიხსნა, თუ რა კავშირი აქვს შენს, როგორც აშბობ, გენიალურ იდეას ადამიანების მკვლელობასთან? — დაინტერესდა გამომძიებელი.

— პირდაპირი, — მშვიდად მიუგო რატიმ, — ის ბოლომდე ხსნის, თუ რატომ მოვიშორე და და მშობლები.

„როგორც ჩანს, სწორედ ეს არის სიურპრიზი“, — გაიფიქრა ამირეჯიბმა.

— არ ვიცი, ამას რამდენად გაიგებთ, — განაგრძო უმცროსმა ილურიძემ და, თან, ჭერს ისე ახედა, თითქოს ვერ გადაეწყვიტა, ღირდა კი საკუთარი გენიალური იდეის ისეთი უბრალო მოკვდავისთვის გაზიარება, როგორც მის წინ მჯდარი გამომძიებელი იყო, — ეს ძალზე სპეციფიკური სფეროა...

— ყველანაირად შევეცდები, რომ გავიგო, — დააიწყა იგი ამირეჯიბმა.

— რა არის, იცით? — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ განაგრძო რატიმ.

— მივედი ჭეშმარიტებამდე, რომელიც ჩემამდე დიდი ხნის წინ უნდა აღმოეჩინათ და გაეთავისებინათ. ძალიან რომ არ დაგვალათ, ვეცდები, მოკლედ აგისხნათ. მიმჩნია, რომ ადამიანთა მოდგმა უსარგებლო ინდივიდებით არის დამძიმებული. მეტიც, მათი არსებობა მარტო უსარგებლო კი არა, მავნებელიც კია. როგორც კი ადამიანი თავის ძირითად ფუნქციას შეასრულებს ანუ შთამომავლობას შექმნის, მისი, როგორც მშობლის ორგა-

ნიზმი სრულიად უსარგებლო ხდება და „სცენიდან“ სასწრაფოდ უნდა ჩამოვიდეს.

— ანუ ხანში შესულებსა და მოხუცებს სიცოცხლის უფლება აღარ აქვთ? — დააზუსტა უმცროსი ილურიძის ნათქვამი გამომძიებელმა.

— დიახ, სწორედ ასეა. სხვათა შორის, დაუკვირდით ცხოველთა სამყაროს, რა შესანიშნავადაა იქ ეს პრობლემა გადაჭრილი: როგორც კი ინდივიდი შვილოსნობის პროცესს ასრულებს, მაშინვე კვდება და მთავარი ევოლუციური და ევოლუციური აზრიც სწორედ ამაშია; ახლა ვნახოთ, ადამიანებში როგორაა საქმე? თუ ადრე, დაახლოებით 200-300 წლის წინ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებელი იმ ასაკზე ნაკლები იყო, როცა ადამიანის ორგანიზმი შვილოსნობის ფუნქციას წყვეტდა, ახლა ის მნიშვნელოვნად მეტიც კია. ცივილიზებულ ქვეყნებში მამაკაცები და ქალები სამოცდაათ წელზე მეტსაც კი ცოცხლობენ. ეს მაშინ, როცა ძირითადი მატერიალური ფასეულობები, ვთქვათ, ფული და უძრავ-მოძრავი ქონება კი არა, რეალური ძალაუფლებაც სწორედ მათ ხელშია მოქცეული... არადა, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ ადამიანების ანუ ჩვენი მშობლებისა და ბებია-ბაბუების შეხედულებები, მათი შვილებისა და შვილიშვილების ანუ ჩვენს შეხედულებებზე ბევრად კონსერვატიულია. შეხედულებები — შეხედულებებად და მათ ხომ ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა და კიდევ რამდენი სხვა რამ სჭირდებათ?! შესაბამისად, საზოგადოებისთვის ეს უზარმაზარი ტვირთი და სერიოზული საზრუნავია. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ამ ადამიანების არსებობა იმდენად ამუხრუჭებს პროგრესს, რომ ამას უკვე მარტო ფულითა და სხვა მატერიალური დანახარჯებითაც ვეღარ გაზომავ. არანაკლები საშინელებაა ისიც, რომ მათი ასაკობრივი მაჩვენებელიც სულ უფრო მატულობს. და თუ მომავალშიც ასე გაგრძელდა, საზოგადოების განვითარება საგრძნობლად შენელებდა... გასაგებად გიხსნით? — ჰკითხა უცბად გამომძიებელს როლში შესულმა რატიმ.

— საცხებით, — თავი დაუქნია მას ამირეჯიბმა.

— როგორც წელან გითხარით, — განაგრძო ახალგაზრდამ, — ცხოველთა სამყაროში იმ თაობების „სცენიდან“ ჩამოსვლა, რომლებმაც ასე ვთქვათ, თავიანთი დრო უკვე მოჭამეს, გენეტიკურ კოდშია ჩადებული — ანუ: შეასრულე შენი ფუნქცია — მოკვდი.



მაგრამ ის, რასაც ცხოველებში ბუნება არეგულირებს, ადამიანებმა ცივი გონების კარნახით უნდა გავაკეთოთ. წარმოგიდგინათ, რამდენად კარდინალურად შეცვლის ყველაფერს ის, რასაც მე კაცობრიობას ვთავაზობ? ისტორიული თვალსაზრისით ეს ნამდვილი რევოლუცია იქნება! თანაც — ყველგან და ყველაფერში! შედეგად, მსოფლიო გიგანტური ნაბიჯებით წავა წინ და არნახულად განვითარდება.

„ნამდვილად ბოდავს, — გაიფიქრა ამირეჯიბმა, — არა მგონია, მართლა ასე ფიქრობდეს. ეს ალბათ, უფრო სულიერი ავადმყოფობის სიმულაციის უნიჭო მცდელობაა, მაგრამ იქნებ მართლა გიჟია?“

— არ იფიქროთ, რომ ჩემი დასკვნები მეცნიერულ საფუძველს იყოს მოკლებული, — განაგრძო რატიმ, — დამიჯერეთ, გერონტოლოგია ანუ მეცნიერება სიბერის შესახებ, საკმაოდ საფუძვლიანად მაქვს შესწავლილი. ასევე დიდი დახმარება გამინია ადამიანის ასაკობრივი ფიზიოლოგიის შესწავლის საკითხით დაკავებული ცნობილი მეცნიერების ნაშრომებზე. მართალია, ეს მეცნიერები, როგორც წესი, ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემაზე მუშაობენ, მაგრამ პირადად მე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამის გაკეთება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმიტომ, რომ ამით ჩვენ სწორედ იმ ტოტს მოვჭრით, რომელზეც ვსხედვართ...

ამ სიტყვების შემდეგ რატი დადუმდა.

— ანუ შენ თუ დაგიჯერეთ, გამოდის, რომ გარკვეული ასაკის მიღწევის შემდეგ, ადამიანები უნდა დაეზოცოთ, არა? — ჰკითხა მას ამირეჯიბმა.

— სამწუხაროდ, სწორად ვერ გამოიგეთ, — თავი დანანებით გადააქნია ახალგაზრდამ, — მე საკითხის არსი, მთავარი პრინციპი ჩამოგიყალიბეთ. ადამიანს აუცილებლად უნდა დაეზოცოს რუნით უნარი, რომელიც მან ევოლუციის პროცესში დაკარგა და ეს, გენური ინჟინერიის დღევანდელი განვითარების პირობებში, სავსებით შესაძლებელია. სხვათა შორის, პირადად მე, ამ იდეის ხორცშესხმა ჩემით და ჩემი ოჯახით უკვე დავიწყე...

— შენით კი არა, შენი დისა და მშობლების სიცოცხლის ხელყოფით... — გაანწყვეტინა ახალგაზრდას ამირეჯიბმა, — დარწმუნებული ვარ, თავის მოკვლა მხოლოდ იმიტომ სცადე, უფრო სწორად კი გაითამაშე, რომ იცოდი, ზედამხედველი მოგისწრებდა და ამის ნებას არ მოგცემდა.

— დიას, — თავი მორჩილად დაუქნია გამოძიებელს ახალგაზრდამ, — მაგრამ არც სხვისი მოკვლაა მთლად ადვილი საქმე.

— რა თქმა უნდა, — რატის დასივებულ ცხვირპირს თვალი აღმაცერად შეაფლო ამირეჯიბმა.

— ჩემი თანამესაჯნის მოკვლის მცდელობაზე კი არა, ჩემს დასა და მშობლებზე მოგახსენებთ... — გამოძიებლის მხერა არ გამოჰპარვია უმცროსი ილურიძეს. — ალბათ, უკვე თავადაც ხვდებით, ამ ნაბიჯის გადადგმას რამხელა გამბედაობა სჭირდება. რა თქმა უნდა, ჩემი მეთოდი უხეში და საკმაოდ მიუღებელია, უფრო სწორად, დღესაა მიუღებელი, თორემ ხვალ ეს საკითხი ზედმიწევნით ჰუმანური გზითაც კი სულ ადვილად გადაწყდება.

— მაინც როგორ? — დაინტერესდა გამოძიებელი.

— გენური ინჟინერიის ყველაზე თანამედროვე მიღწევების დახმარებით, ინდივიდი გარედან ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, თავისით მოკვდება. სხვათა შორის, ჩემი იდეა, ყველაფერთან ერთად, ღრმად ჰუმანურიცაა. სიბერე ხომ სხვა არაფერია, თუ არა ავადმყოფობა და ტანჯვა, რაც მართო ინდივიდისთვის კი არა, მის გარშემო მყოფთათვისაც ძნელი ასატანია. განა არ სჯობს, ადამიანი ამ ქვეყნიდან ყოველგვარი ტანჯვისა და დაუძლეულების გარეშე წავიდეს?

— ვინ როდის და როგორ უნდა წავიდეს ამ ქვეყნიდან, ამას მხოლოდ ღმერთი წყვეტს! ჰოდა, აბა, რა გასაკვირია, თუ საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ავადმყოფობით ჯერ არცთუ ისე დამძიმებული მშობლების დროულად დახოცვა გადავწყვიტე? — რატის თითქოს, გამოძიებლის სიტყვები არ გაუგონიაო. — დის მოკვლაზე რაღას იტყვი? ის ხომ ჯერ ბავშვი და ალბათ, სრულიად ჯანმრთელიც იყო?

რატიმ გამოძიებლის კითხვას ისევე წაუყრუა, მაგრამ ამირეჯიბი არ მოეშვა და კითხვაც ხაზგასმით გაუმეორა.

— რალაც ვერ ვარ კარგად... — სახეზე აკანკალებული ხელი ჩამოისვა რატიმ. — ალბათ, დავილაღე...

— არა, უბრალოდ, ჩემს ბოლო კითხვაზე პასუხი არ გაქვს, — შენიშ-

ნა გამოძიებელმა, — ამიტომ, ჯობს, სისულელეებს მორჩე და გასაგებად ამისნა, დანაშაულის ჩადენის გეგმა როდის და რატომ გაგიჩნდა?



— მგონი, სავსებით გასაგებად აგიხსენით, რომ ამას დანაშაულად არ მივიჩნევ.

— კარგი. როდის მიხვდი, რომ შენი „გენიალური“ იდეის ხორცშესხმელად მზად იყავი?

— აგვისტოს დასაწყისში. უშუალო განხორციელებას კი ჯერ კიდევ მაკას მოკვლამდე შევუდექი.

— უშუალო განხორციელებაში რას გულისხმობ?

— მაკას მოკვლამდე 4 დღით ადრე, ჩვენი აგარაკის სარდაფში კარგა მოზრდილი ორმო ამოვთხარე.

— ამის შესახებ შენმა მშობლებმა თუ იცოდნენ?

— არა.

— რომ გაეგოთ, რას ეტყოდით, რისთვის ამოვთხარეო?

— დედაჩემი სარდაფში არ ჩადიოდა, მამაჩემს კი ვეტყოდი, ამას ქვევრების ჩასაყრელად ვაკეთებ-მეთქი.

— დაგიჯერებდა?

— დამიჯერებდა რომელია? ოღონდ კი მუშისთვის ფული არ გადაეხადა და მე გავწყვიტე ნელში... მერე შესაფერისი დღევ დადგა და როგორც კი დედა ქალაქში გავიგულე, მამა კი მეორე სართულზე ავიდა დასაძინებლად, მაკა სარდაფში ჩავიტყუე და...

— და რა?

— სიცოცხლეს გამოვასალმე...

— შემდეგ?

— რომ დავწმუნდი, აღარ სუნთქავდა, ორმოში ჩავანვინე, ლეპტოპი და წინასწარ გათიშული მობილურიც

გაგრძელება იხ. გვ. 77



სვეტა კვარაცხელია
ნაწარმოებზე თქვენი
შთაბეჭდილება შეგიძლიათ
გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №23-37

მოულოდნელად ვიგრძენი, რომ მარტო დავრჩი. თვალები გავახილვე და მიმოვიხედე... ლადო ჩემგან მოშორებით იდგა. იმდენად ვიყავი მისი ალერსის სურვილით შეპყრობილი, ასე მოულოდნელად რომ გამერიდა, ვერ შევეგუე, მაგრამ მისკენ ნაბიჯის გადადგმაც ვერ გავბედე...

— რომ იცოდე, რა ლამაზი ხარ ამწუთას, — ისეთი ხმით ამოთქვა, სიამოვნებისაგან ლამის გული წამივიდა.

ჩემდა უნებურად, წამნამები უაზროდ ავასამხამე, რადგან რალაცის შიში ვიგრძენი. მოულოდნელად თვალწინ მარიამის სახემ გამიელვა და იმწამსვე გამოვფხიზლდი. როგორც ჩანს, მე მეფერებოდა და ჩემ მაგივრად ის წარმოიდგინა თავის მკლავებში. აბა, ასე რატომ მითხრა? ჩემი სილამაზე ვინ გაიგონა? თანაც ასეთი ტონით, ასეთი ხმით რომ მეუბნება... მე ხომ სულაც არ ვარ ლამაზი. რა ვიცი, რატომღაც, ასე მგონია. ყოველ შემთხვევაში, ისეთი ლამაზი წამდვილად არ ვარ, ასეთი გრძნობით მითხრას მამაკაცმა, თანაც ვინ? თავად „სალმა კლდემ“, რომლისთვისაც მხოლოდ დაქირავებული მოსამსახურე ვარ და სხვა არავინ!

ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მოულოდნელად უდაბნოს ცხელი ქვიშიდან ამიტაცეს და აისბერგზე შემომსვეს... თითქოს ნემსებით დამიჩხვლიტეს მთელი სხეული, მკერდში კი გაუსაძლისი ტკივილი ვიგრძენი მისი ნათქვამის გამო. მომეჩვენა, რომ დამცინოდა, რომ ვნებიანად ნათქვამი მისი სიტყვების უკან ირონია მოიხიზნებოდა.

არადა, უკვე ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ დამცინოდა. ერთი საათის წინ მის სახლში ისეთი ლამაზი და მომხიბვლელი ქალი იმყოფებოდა, რომლის მსგავსი მგონი, არც მენახა ცხოვრებაში და რომელთანაც მთელი საღამო სიცილ-ხარხარსა და ქეიფში გაატარა. მერე თავისი ძმა დაათრო და ისე გაერთო მარიამთან ფლირტით, არც შეუმჩნევია, საცოდავი პაატა როგორ დაბორიანებდა სახლში უგზო-უკვლოდ, უგონო მდგომარეობაში მყოფი ოთახს ველარ აგნებდა. პანტერასავით მოქნილი ქალის გვერდით მე იმდენად უსუსური ვჩანდი, არც ერთ ჭკუათამყოფელ მამაკაცს არ გაუჩნდებოდა სურვილი, ჩემზე გაეცვალა იგი...

თანდათან მოვდიოდი გონს და ვფხიზლდებოდი. ღმერთო ჩემო, რა მემართება! შევიშალე ალბათ, გადავედი ჭკუიდან! ასეთ რამეზე რომ მივდივარ, რაზე ვფიქრობ? რა სირცხვილია! თან, მე კი არ გამოვერკვიე პირველად, არამედ ლადო... თითქოს მაგრძნობინა, ხომ ხედავ, რამხელა გავლენა მაქვს შენზე, რასაც მოვიისურვებ, იმას გაკეთებინებო.

ამ ფიქრებისგან ლანწები შემეფაკლა. საშინლად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი. სასოწარკვეთილმა სახე ხელისგულებით დავიფარე, თან ვნატრობდი, ნეტავ მიხვდეს, რაც მჭირს და მალე წავიდოდეს აქედან-

მეთქი, მაგრამ ლადო წასვლას არ ჩქარობდა.

— თუ შეიძლება, დამტოვეთ! — ამოვიხავლე, როცა მივხვდი, რომ არ მიდიოდა.

მისი ნაბიჯების ხმა გავიგონე თვალებზე ხელუბარებულმა და რომ მეგონა, კარისკენ მიდიოდა, უცრად ვიგრძენი, როგორ დამადო ხელები მხრებზე, თან ისე მომიჭირა, რომ ადგილიდან დაძვრა ვერ შევძელი.

— ანა, შემომხედე! — მომთხოვნ კილოთი მითხრა.

ჯიუტად გავაქნიე თავი.

— არა! — ჩურჩულით ვთქვი და თავის ქნევა განვაგრძე. საკმარისი იყო, შემეხედა, რომ ჩემს სახეზე ყველაფერს ამოიკითხავდა.

მაინც არ მომეშვა. მაჯებში ჩამავლო თითები და მაინც ჩამომაღებინა ხელები სახიდან. ველარ ვენინალმდეგებოდი. ვიცოდი, ამას აზრი არ ჰქონდა. არ ვიცი, რა შინაგანი ძალა მენეოდა მისკენ, რომ ყველაფერში ასე ვემორჩილებოდი.

— არა კი არა, კი! — ნიკაპი ამინა და მაიძულა, მისთვის პირდაპირ თვალებში შემეხედა...

და მან მოასწრო დაენახა ის, რაც სურდა, დაენახა:

— გავარვარებულვივით ხარ, მთელი სხეული გიხურს... ასეა?

— რატომ მეუბნებით ამას, რა გინდათ ჩემგან? — ტირილნარევი ხმით წარმოვთქვი.

— რატომ გუუბნები? რა ვიცი, მეგონა, შენთვის ადვილი გასაგები იქნებოდა ეს...

— არ მესმის თქვენი...

— უფრო გასაგებად გინდა გითხრა? კარგი, გეტყვი... მე მინდა, ჩემი საყვარელი გახდე.

მისი ნათქვამი ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა... მისი სიტყვები თითქოს ჰაერში დაეკიდა, მე კი... მე მხოლოდ იმას ვცდილობდი, სუნთქვაშეკრულს თავისუფლად ამომესუნთქა. თითქოს ჰაერის განუსაზღვრელი ნაკადი მცემდა სახეში და სუნთქვას მიშლიდა, თითქოს უფსკრულისკენ მივექანებოდი და არ ვიცოდი, სად დამთავრდებოდა ეს ფრენა, რომელ კლდეს მივეჯახებოდი ან რომელ ლოდს დავასკდებოდი სასიკვდილოდ განწირული... ამ შეგრძნებას დასასრული არ ჰქონდა. ვერ გეტყვით, რა იყო ეს, როგორი განცდა! ვიცი მხოლოდ ის, რომ უარესი აქამდე არასდროს განმიცდია. ხელები მთელი ძალით მოვმუშტე, უფრო და უფრო ვკრავდი თითებს, ლამის კანში ჩამივიდა ფრჩხილები,



თან გაოგნებული მივჩერებოდი.

ლადოს წამითაც არ დასტყობია არც ალღელება, არც შეცდუნება, არც დაბნევა. ისეთი სახით მიყურებდა, თითქოს პარკში გასეირნება შემოე- თავაზებინოს.

მეგონა, ეს ყველაფერი მომესმა. კი არ მეგონა, დარწმუნებული ვი- ყავი ამაში. იქნებ თავად მსურდა მსგავსი სიტყვების მოსმენა და ისე გავიგონე, როგორც მინდოდა? ნუ- თუ შეიძლება ქალს ამგვარი რამ დაემართოს?

— უკაცრავად?... ვერ მივხვდი, რას მეუბნებით... — ჩემი ეჭვების გადა- მოწმება ვცადე.

— შენ ყველაფერს მშვენივრად მიხვდი, ანა... მაგრამ მაინც გაგიმე- ორეო. მინდა, ჩემი საყვარელი გახ- დე.

რალაც უცნაური კვნესა აღმო- ხდა, თავად რომ გამიკვირდა, ისე- თი ხმით და მოსალოდნელმა საში- ნელმა წინათგრძობამ ამკანკალა.

— ხომ არ გაგიჟდით, — ამასო- ბაში ხმა ჩამეხრინნა, ჩემივე ნათ- ქვამი ძლივს მესმოდა. მინდოდა, ჩა- მხეველებინა, იქნებ დამწმენდოდა ხმა, მაგრამ ვერც ეს გაბედე, — ეს რა ხუმრობაა... ყოველთვის ასე ხუმ- რობთ მოსამსახურებთან? სიმარ- თლე გითხრათ, ჩემთვის სულერთია, ხუმრობაა თუ სიგიჟე. არც ერთ ვა- რიანტში ამ უაზრობის განხილვას არ ვაპირებ, ეს აქედანვე იცოდეთ! და საერთოდ, როგორ ბედავთ ასე- თი რამის თქმას, მე თქვენ ვინ გგონივართ? — თან- დათან მემატებოდა ძალა, რადგან სიბრაზე უფრო და უფრო მომერია.

— ეს სიგიჟე არ არის, არც უაზრობაა. მე სრუ- ლიად სერიოზულად გთა- ვაზობ და პასუხს ველოდე- ბი ჩემს წინადადებაზე...

ერთხანს დამუნჯებული- ვით მივაჩერდი. იმდენად შოკში ვიყავი, მართლა ჩა- მივარდა ენა. თავი სიბ- მარში მეგონა და მსურდა, რაც შეიძლება, მალე დამ- თავრებულყო ეს კოშმა- რი... მაგრამ არა, ჩემდა სამ- ნუხაროდ, ის, რაც იმწუ- თას ხდებოდა, მწარე რეა- ლობა გახლდათ. სხვა გზა არ მქონდა, პასუხი უნდა გამეცა, სხვანაირად ვერ მო- ვიშორებდი თავიდან.

— რადგან სრულიად სე- რიოზულად მეუბნებით ამას, მეც სრულიად სერი-

ოზულად გაცემთ პასუხს... არა! — მივახალე და ისე ამაცხცახა, მუხ- ლები მომეკვეთა. თვითონ არ მეს- მოდა ჩემი თავის. რას ვუცდიდი? მაშინვე უნდა შემექცია მისთვის ზურგი და ცხვირწინ მიმეჯახუნე- ბინა კარი, აქ კი არ უნდა ვმდგარი- ყავი და მისი ბოდვები კი არ მო- მესმინა, — მინდა, რომ ახლავე გახ- ვიდეთ ჩემი ოთახიდან და მარტო დამტოვოთ! — ვცდილობდი, რაც შეიძლება, კატეგორიულად გამომ- სვლოდა, მაგრამ ისე ვკანკალებდი, თითქოს ციებ-ციხლება შემეყარა.

— ზედმეტად პირდაპირი ვარ? იქნებ გინდოდა, შორიდან მომე- ვლო ჩემი სათქმელისთვის? — სრუ- ლიად მშვიდად შემეკითხა და არც უფიქრია, ადგილიდან დაძრულიყო, არსადაც არ აპირებდა წასვლას.

— გგონიათ, ისეთი ადვილი შე- საცდენი ვარ, რომ არც მოერიდეთ ჩემთან ასეთი რამის თქმას? თავში აზრად როგორ მოგივიდათ, რომ ასეთ უხამს წინადადებაზე დავთან- ხმდებოდი? თქვენი აზრით, ყვე- ლას ვუგორდები ლოგინში, ვისაც ჩემთან სექსი მოესურვება? — გან- რისხებულმა თვალები დავაკვეცი, — ეს ხომ... ეს... ეს... — ვერაფრით ვიპოვე სიტყვა, რომელიც მის შე- მოთავაზებას ზუსტად დაახასიათებ- და.

— ჩათვალე, რომ ეს გარიგებაა, — თქვა უეცრად, — მე სულაც არ მიმაჩნისარ შენ ადვილად დასაპ-

ყრობ ქალად. ჩვენ, უბრალოდ, ფი- ზიკურად გვიზიდავს ერთმანეთი... და სულ ახლახან დავამტკიცეთ ეს, სრულიად მარტივად.

— არა მგონია, ის, რაც წელან მოხდა, არგუმენტი იყოს, რათა თქვენს წინადადებას დავთანხმდე...

— მაგრამ შენ ხომ ვერ უარყოფ, რომ ეს ნამდვილად ასეა. ჩვენს სხე- ულებს ერთმანეთი მოსწონთ, ეს ფაქ- ტია, რომელსაც ვერ გავექცევით, — ჩიხში მომამწყვდია.

მიხვდით, რომ მარცხი განვიცადე და ყრუდ დავიკვნესე. ისე ვლელავ- დი, რომ გააზრების უნარი არ მქონ- და, როგორ დამეცვა თავი, ლადო კი პირიქით, ისე მშვიდად იყო, შემ- შურდა მისი. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მისთვის ეს მარ- თლაც საქმიანი წინადადება იყო და სხვა არაფერი.

— იცი? მე შემეძლო ძალიან ად- ვილად მიმეღწია ჩემი მიზნისთვის, ძალზე იოლად ამესრულებინა გუ- ლისწადილი, — შეპარვით გააგრძე- ლა, — რამდენიმე წუთის წინ უპ- რობლემოდ შემეძლო შენი აი, ამ სანოლზე წაწვენა და საქმის ბო- ლომდე მიყვანა, რომ მომედომები- ნა. ხომ მართალი ვარ? ასე არ არის? ტყუილად ნუ შეეცდები ამის უარ- ყოფას, ეს არ წარმოადგენს შენ- თვის არანაირ საიდუმლოს. მაგრამ ასე არ მინდა. ჩემი სურვილია, შენი ნებით წამოხვიდე ამაზე, შენი ფე- ხით მიხვიდე სანოლამდე და შენი სურვილით მომიწვე გვერდით. ეს გარიგება ჩვენ ორივეს გვაძლევს ხელს, ჩვენ ორივე მივი- ლებთ იმას, რაც გვსურს. ამიტომაც მზად ვარ, ახ- ლა შენი მოთხოვნები მო- ვისმინო.

— მოთხოვნები? — ექოსავით გავიმორე, ჯერ კიდევ ვერ დამეჯერებინ- ნა, რომ ეს ყოველივე ჩემს თავს ხდებოდა.

— ჰო. შენც ხომ გაქვს რალაც სურვილები, ოც- ნებები... მთხოვე, რაც გსურს, მზად ვარ, ყვე- ლაფერი შეგისრულო.

— სამწუხაროდ, არ მაქვს ასეთი ოცნება... არაფრის მიღება არ მსურს ისე ძლიერად, რომ ამის გამო თქვენს შემო- თავაზებას დავთანხმდე, — მე თვითონ გავოცდი, ისეთი მშვიდი ხმით ვუ- პასუხე.





— იქნებ ღირს, დაფიქრდე? — თვალბმობოჭუტულმა გამოხედა.

— არა! — მტკიცედ მივუგე და ჯიუტად გავუყარე თვალი თვალში. ახლა მთავარი იყო, არ გავტეხილიყავი, გამეძლო ამ გამოცდისთვის და არ დავნებებოდი ადვილად მის შემპარავად დაჟინებულ მოთხოვნას. არადა, აშკარა იყო, ჩემი სხეული სიხარულით „მოანერდა ხელს“ ამ გარიგებას და ღმერთმა უწყის, რა სისულელეს ჩავიდენდი ამ შემთხვევაში, — ღამე მშვიდობისა, ბატონო ლადო.

— კარგი, ანა... წავალ მე... როცა მზად იქნები თანხმობის სათქმელად, გამაგებინე, — ისე მითხრა, თითქოს მისთვის მოსაფიქრებლად დრო მეტხოვოს და ისე გავიდა, რომ არ დამემშვიდობა.

— არ ვაპირებ, გადავიფიქრო, — მივაძახე მიმავალს და როგორც კი ოთახიდან გავიდა, კარს ვეცი, გასაღებით ჩაკვეტე და ძალაგამოცლილი სანოლზე დავკეცი.

ღმერთო ჩემო! ეს რა დღე მქონდა! ჯერ მარიამისგან შეურაცხყოფა, მერე ის სამარცხვინო სცენა პაატასთან, ახლა ლადოს „თავდასხმა“... ალბათ ჭკუიდან შევიშლები! რა დაემართა ამ კაცს? რამ მოუფრინა თავში? ჩემ გარდა ვერავინ ნახა ლოგინში ჩასაგორებლად? თუ ზედმეტი გარჯა არ დასჭირდება? ბარემ აქ ვყავარ, გვერდით ოთახში? და როცა მოუნდება, მაშინ დამიძახებს და ისიამოვნებს? რატომ ჰგონია, რომ ასე ადვილად დამიყოლივებს? ნუთუ მსუბუქი ყოფაქცევის ქალის შთაბეჭდილებას ვტოვებ? იქნებ იგრძნო, რაც მემართებოდა მის დანახვაზე? იქნებ ჩემი ფიქრების ნაკითხვა მოახერხა?

რა სულელი ვარ! მე კი მეგონა, მასში ადამიანურმა გრძნობებმა გაიღვიძა და კეთილშობილი გახდა! მთელი ეს საუბრები ვასიკოზე, მისი ეს „დათბილული“ გაღიმებები, ვითომ თავისი საქციელის მონანიება... სიურპრიზი მომიწყო ბიჭმა!!! ყველაფერი ფარსი ყოფილა თურმე!

რა ეგონა, თუ კეთილი ბიძის როლს გაითამაშებდა, გავიქცეოდი და სანოლში ჩავუხტებოდი?

უფრო და უფრო მიპყრობდა განრისხება, გული კი ისე მიცემდა, ყოველი მისი დარტყმა სხეულს მიზანზარებდა თითქოს. ყველგან ვგრძნობდი გულისცემას — მკერდში, ყელში, მუცელში, თავში, ფეხებშიც კი...

ხვალ როგორ შევხედო? როგორ უნდა მომიბრუნდეს გული მასზე?

ეგ დონჟუანი, ეგა! მოუნდა ჩემთან გორაობა! ამის გაფიქრება და უეცრად გავირინდე. რა მემართება? ასე რა მაფორიაქებს? რატომ განვიცდი ასე მტკივნეულად მის შემოთავაზებას? ფაქტია, შიგნით, სულის სიღრმეში რალაც უცნაური ხდება... რაღაც მანუხებს... ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს მე შევთავაზე ლადოს გარიგება და ახლა იმაზე ვდარდობდი, რით დამთავრდებოდა ეს ყველაფერი. თუკი ამ ბრძოლის მოგება მინდა, ზუსტად ისე უნდა ვიფიქრო და მოვიქცე, როგორც „სალი კლდე“ ფიქრობს და იქცევა. თუკი მისი წინადადება მართლაც საქმიანი გარიგებაა, მაშინ არ ღირს პანიკაში ჩავარდნა. ამით საკუთარ ნერვულ სისტემას დიდ ზიანს მივაცყენებ. ისედაც არ მივარგა ნერვები ბოლო ხანს.

მოიცა, მოიცა! ასე არ ივარგებს! კარგად უნდა გავიაზრო სიტუაცია და გავანალიზო მისი პოზიციები!

მოდი, თავიდან დავიწყოთ. რა მოხდა ისეთი, რაც მიუღებელია ჩემთვის? მან, უბრალოდ, საყვარლობა შემომთავაზა, მეტი ხომ არაფერი? ეს ჩვეულებრივი ამბავია, მამაკაცს გვერდით ჰყავს ქალი, რომლის „დათრევა“, მისი აზრით, არცთუ ისე ძნელია და სცადა. თან სრულიად გულლიად, გახსნილად და გულწრფელად გამოთქვა თავისი სურვილი. ეგ იყო და ეგ! თანაც, არც არაფერი დაუძალებია. პირიქით, საპასუხოდ, შენი მოთხოვნებიც წამომიყენეო, მითხრა. მე კი უარი ვუთხარი. ყველაფერი ცივილიზებულად მოხდა. და ამას გარიგება ჰქვია. ნერვული ხითხითი ამიტყდა. სულაც არ ვაპირებ, მისი სათამაშო გავხდე და ვერავინ მაიძულებს, მივიღო ლადოს წინადადება. ჰოდა, თუკი კიდევ ერთხელ დააპირებს ამის შესხენებას, კიდევ ერთხელ მივახლი ცხვირ-პირში უარს. იქნებ ამის მერე მაინც შემეშვას? თუ არა და, დამითხოვს სამსახურიდან, გამათავისუფლებს და ეგ იქნება. ადრე თუ გვიან, ეს მაინც მოსალოდნელი იყო. ამიტომ ახლა არ ღირს ამ ყველაფერზე თავის მტვრევა, ოხვრა და ვაი-ვიში. მოსახდენი მოხდება, თანაც, გული მიგრძნობს, ძალიან მალე! ან ასე გადაწყდება ჩემი ამ სახლში ყოფნა-არყოფნის საკითხი, ან ისე!

სადღაც, გამთენიისას წამართვა ძილმა თავი...

დილით, რომ გამეღვიძა, თავად გამიკვირდა, ისეთი დამშვიდებული ვიყავი. ნუხანდელი ნერვიულობის

კვალიც არ დამჩნეოდა. არც პანიკაში ვიყავი ჩავარდნილი და არც სინანულის გრძნობა მანუხებდა. ერთადერთი, რაც მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ის იყო, რომ ლადოს დაგებულ ხაფანგში არ გავბმულიყავი. ამისთვის მთავარია, რაც შეიძლება, თავი ავარიდო მასთან პირისპირ შეხვედრას, მით უმეტეს, მარტო დარჩენას და თუ მაინცდამაინც წინ შევეფეთები, ძალიან მშვიდად უნდა ავუარო გვერდი, აღელვება არ უნდა დამეტყოს. მაქსიმალურად გულგრილი სახე უნდა მივიღო.

— ისეთი შეუვალი ვიქნები, როგორც სალი კლდე! — ხმაბალა შევეუძახე საკუთარ თავს და ჩემსავე შედარებაზე გამეცინა.

გამიხარდა კიდევ, ასეთი თავდაჯერებული რომ ვიყავი. ნიშნის მოგებით გავუცინე ჩემს ორეულს და კარი გამოვალე. მე კი ვიცინოდი გულში, მაგრამ ძალზე ნაადრევი აღმოჩნდა ჩემი სიხარული. პირველი მწარე გამოცდა პირდაპირ ჩემი საძინებლის ზღურბლთან მელოდა თურმე! როგორც კი გარეთ გამოვედი, პირდაპირ ლადოს შევეჯახე. თითქოს ჩასაფრებელი იყოო, ისე ამესვეტა წინ! ცივი მზერა მესროლა. შემცბარმა უზარმაზარი ნერწყვი ძლივძლივობით გადავაგორე ყელში, თავს ძალა დავატანე და მივესალმე. მან თავი დამიქნია და ამით დამთავრდა ჩვენი შეხვედრა. ცოტათი მოვითქვი სული. კიდევ კარგი, რამე არ მითხრა. ერთი სიტყვითაც კი არ უხსენებია თავისი უხამსი შემოთავაზების ამბავი. ის კი არა, ხმაც არ ამოუღია, ჩვეულებრივად იქცეოდა და ძალზე მშვიდად გამოიყურებოდა, თითქოს ნუხანდელი ღამე არც ყოფილა! ამან, ცოტა არ იყოს, დამაზნია. ერთი ნუთით ისიც კი გავიფიქრე, ეს ყველაფერი ხომ არ მომელანდა ან მესიზმრა-მეთქი. იქნებ გასული ღამე მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო და სხვა არაფერი? თუმცა...

ვერც მოვასწარი ბოლომდე ყველაფერი ამის გაფიქრება, რომ მისი დაჟინებული მზერა ვიგრძენი. ვიგრძენი და მივხვდი, რომ არაფერიც არ მეჩვენებოდა, არც არაფერი დამსიზმრებია და მით უმეტეს, არავითარი ფანტაზიის ნაყოფი არ ყოფილა ნუხანდელი კოშმარი. ეს ყველაფერი სინამდვილეში მოხდა! და ეს ყველაფერი სიმართლე იყო! ის უბრალოდ, ელოდა. ჩასაფრებული გახლდათ. თვალი ავარიდე და ისეთი სახე მივიღე, თითქოს საუზმის მომზადებით ვიყავი გართული.



— ანა, მგონი, დაგენვა „ალადი-კები“, — ამ დროს ლევანი შემოვი-და სამზარეულოში და შორიდან და-მიძახა, — რაზე ფიქრობ, გოგო?

— არა, არ დამწვია, — ჩავი-დუღლუნე ჩემთვის და ზურგი ამენვა, რადგან ლადოს მზერას ჯერ კი-დევე ვგრძნობდი, თან ფიქრებთანაც მასთან ვიყავი.

რა მოხდება, თუკი „სალ კლდეს“ ჩემი უა-რი არ დააკმაყოფი-ლებს? რომ ვერ შეე-გუოს ამას, მერე? აი, სწორედ მაშინ დაინ-ყება შენი ჯოჯოხეთუ-რი ცხოვრება, პატარა სულელი! — გამოვუ-ტანე განაჩენი ჩემს თავს.



იმ დღიდან ლადომ ტაქტიკა ცოტათი შეცვალა. მე ვიტყვოდი, მსუბუქად. ვასიკომ შეიძინა ისეთი ბიძა, როგორზეც მხოლოდ თუ იოცნებებდა. ბავშვი დღედაღამ ლადოზე ლაპარაკობდა. თუ სახლში იყო, გამუდმებით უკან დასდევდა, ელაპარაკებოდა, ეთამაშებოდა, თავის ნახატებს უჩვენებდა... ისიც სიამოვნებით მეგობრობდა ძმისშვილ-თან. ისეთი თბილი და მოსიყვარულე გახდა, უცხოს რომ შეეხედა, მა-მა-შვილი ეგონებოდა. სიმართლე რომ ვთქვა, მოსვენება დაეკარგე. არ ვი-ცი, რა იყო ეს — მშურდა მათი ურთიერთობის თუ ეგოიზმმა გა-დამძალა... ბიჭუნას სიყვარული თითქოს ლადოსკენ უფრო გადაიხარა... მეჩვენებოდა, თუ მართლა ასე იყო, ვასიკოს ლადოსთან უფრო უხარო-და ყოფნა, ვიდრე ჩემთან. როცა ბიძამისი შინ არ იყო, სულ მასზე მელაპარაკებოდა. ლამის დავიზუბი-რე მისი მონაყოლი ამბები. აშკარა იყო, ლადო დასახულ მიზანს ნელ-ნელა აღწევდა. თუ მის წინადადე-ბას არ მივიღებდი, ბავშვს თანდა-თან ჩამომამოშორებდა. ამან სერიო-ზულად შემამინა. გავუძლებდი კი მის ზენოლას? არადა, გარედან ვე-რავე ვერაფერს შეატყობდა. მეც ვერ ვიტყვოდი, რომ რამეს მაძალე-ბდა ან ზენოლას ახორციელებდა ჩემ-ზე. ამას უბრალოდ, ვგრძნობდი, თო-რემ სიტყვით ერთხელაც არ უხსე-ნებია ის საბედისწერო ღამე. ვგრძნობდი იმას, რომ ზურგიდან ცდილობდა ჩემში შემოღწევას, ვა-სიკოს მეშვეობით. ვცდილობდი, მის

მეთოდებს არ აველელებინე, მაგ-რამ რაც დრო გადიოდა, მით უფ-რო მიპყრობდა პანიკა.

ერთი კვირის თავზე ისე დავიძა-ბე და იმდენად შებოჭილად ვიგ-

რძენი თავი, თითქმის ვნატრობდი, შეესენებინა ჩემთვის თავისი გა-რიგების შესახებ. მანუხებდა ის, რომ არაფერს ამბობდა, არაფერს იმჩინე-და. არადა, მინდოდა, კვლავ ნამო-ენყო ამ თემაზე საუბარი, რომ ერ-თხელ და საბოლოოდ გამერკვია მას-თან ურთიერთობა და მეთქვა, რომ მის წინადადებას არასდროს დავ-თანხმდებოდი.

პარალელურად, ჩემს თავს არ ვუტყ-ვებოდი, მაგრამ მეორე მესთან ჭი-დილიც კი მქონდა. განა რა მოხდე-ბოდა, რომ მიმელო მისი შემოთავა-ზება? დიდი ამბავი, ერთით მეტი საყვარელი მეყოლებოდა თუ ერთი ნაკლები! საშუა, რა, ქმარი იყო ჩე-მი, თუ რა? ამ შემთხვევაში მასთან უფრო გამართლებული იქნებოდა ურთიერთობა — ლადო ხომ უცო-ლო იყო, საშუას კი ცოლიც ჰყავდა და შვილებიც. რა ჯობდა? ძველ საყვარელს დავბრუნებოდი თუ ახალ-თან გამება ახალი რომანი? აი, აქ ვიჭედებოდი. აქ იწყებოდა მსჯე-ლობის ყველაზე მტკივნეული ნაწი-ლი, რადგან ლადოსთან ხანგრძლი-ვი ურთიერთობის იმედი არ მქონ-და. საშუა გამეცა სადღაც ორ თვე-ში და ეს რას მიზამს? ერთი-ორ-ჯერ მოისიყვარულეს ჩემთან, თავის სურვილს დაიკმაყოფილებს და უყარე მერე კაკალი! ბურთივით მო-მისვრის აქედან, როგორც კი მოყვი-რდება!

დღეები გადიოდა. ლადო კი, თითქოს ჩემს ჯიბრზე, ხმას არ იღებდა. ჩემი დაძაბულობა კი უფრო და უფ-

რო მატულობდა. უკვე ვნატრობდი, დროზე დამთავრებულყო ჩემი ტან-ჯვა და საკუთარ ბინას დავბრუნე-ბოდი, ჩემს ერთადერთ თავშესაფარს, ყველაზე საიმედო ნავსაყუდელს, სა-დაც არავინ მომიშლიდა ნერვებს, არავინ გამანერ-ვიულებდა. ამწუთას ჩე-მი პატარა სახლი იყო ჩემი ერთადერთი მაშვე-ლი რგოლი. ახლა მხო-ლოდ იქ შემეძლო ჩემი გრძნობები და ფიქრები წესრიგში მომეყვანა. ნე-ტავ დროზე გამოვიდო-დეს როზა! მაშინ მაინც შევძლებ მშვიდად ცხოვ-რების გაგრძელებას. სა-ღამოობით ჩემს ბუნაგ-ში დავბრუნდები და და-ძაბულობაც თავისთავად მომეხსნება. ეს სახლი კი თითქოს მახრჩობს, მა-შინაც კი, როცა ოჯახის

უფროსი შინ არ იმყოფება. ერთადერთი, რაც იმ პერიოდში შევებას მგვრიდა, პარკში გასეირნე-ბა იყო. საღამოობით, როცა ლადო ჯერ კიდევ სამსახურში იმყოფებო-და, ლევანს ვთხოვდი, ნავეყვანეთ მე და ვასიკო სასეირნოდ. ისიც სიამოვნებით გვთანხმდებოდა, ჩაგ-ვისვამდა მანქანაში და მივდიო-დით.

იმ დღესაც ასე მოვიქეცი. ლე-ვანს ვუთხარი, წავიდეთ და გავისე-ირნოთ-მეთქი, ლადო არც ამჯერად იყო სახლში. ცოტაოდენი საგზალი გავამზადე, ვასიკოს წაქცაყუნება უყ-ვარდა სუფთა ჰაერზე, პატარა კა-ლათაში ჩავდე მისი საყვარელი „იყი-ლიყოები“, სამი ნაჭერი ნამცხვარი და ის იყო, ეზოდან გასვლას ვაპი-რებდი, რომ ბიჭუნა გაქრა. დავუძა-ხე, ხმა არ გამცა. მის ოთახში შევე-დი, ვერც იქ ვიპოვე. არც სამზარე-ულოში აღმოჩნდა. შიშმა შემიპყრო! ვაითუ, დაიკარგა ბავშვი!

— ლევან, ვასიკო არ გინახავს? — მივვარდი მანქანასთან მოფუს-ფუსე ლევანს.

— მე მგონი, ლადოს კაბინეტშია, — მშვიდად მომიგო.

— აუ, ოღონდ ეგ არა! — შეე-ყვირე გაღიზიანებულმა, რადგან ვი-ცოდი ვასიკოს ამბავი, აუცილებ-ლად რაღაცას გააფუჭებდა. არადა, ბიძამისის იმდენი საქმიანი ქაღალ-დი და დოკუმენტი ეწყო მაგიდაზე, რომელიმე რომ გამქრალიყო ან და-ზიანებულიყო, გაგვაციმიბრებდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზას ვნიღლები

საზაფხულო ამბავი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა. მიხარია, ზაფხულის თავგადასავლები რომ გაქვთ. მე კი მოსაყოლიც არაფერი მაქვს, მთელი ზაფხული თბილისში გავატარე და სამსახურს სულ 1-2-ჯერ თუ გავცდი, როცა მეგობრებთან ერთად მცხეთა „დავლაშქრე“, უფრო სწორად — მცხეთის რესტორანი. ჰოდა, სულ ეგაა ჩემი საზაფხულო თავგადასავალი. ამიტომ, ვინაიდან და რადგანაც სალაპარაკო არაფერი მაქვს, ჯობს ისევ თქვენი ამბავი გავაცნოთ მკითხველებს.

მაღალი და დაბალი

„გამარჯობა. დიდი ხანია ვკითხულობ „გზას“ და მხოლოდ ახლა გამიჩნდა სურვილი, მომენერა. ჩემი ამბავი ზამთარში დაიწყო: ერთხელ ჩემს დას შეყვარებულის სანახავად გავყვევი. ჩემი და ქმარს გაცილებულია და უჩემოდ არ უშვებს დედა არსად. მის შეყვარებულს ძმაკაცი ახლდა. იმას ძან მოვეწონე. მე მაშინ არაფერს ვგრძნობდი. მეორე დღესაც ვნახე და უკვე ნომერი გამომართვა — მოგწერო, მითხრა. ვუთხარი, სამესიჯო არ მაქვს-მეთქი და სალამოს ჩემს ტელეფონზე 300 SMS ჩაირიცხა. მთელი ღამე ვმესიჯობდით მე და დათო. მესამე დღეს სიყვარული ამისხნა. მე ვუთხარი, დავფიქრდები-მეთქი და უარის თქმა გადაწყვიტე მხოლოდ იმიტომ, რომ სიმაღლით ტოლები ვართ, მე კი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა მიყვარს და არაა ლამაზი, ბიჭი ჩემზე დაბალი რომ არის-მეთქი (ისედაც მაღალი ვარ). ბევრს ეცადა ჩემთან დაახლოებას, მაგრამ ხელს ვკრავდი. ცოტა ხანს მაინც ვმესიჯობდით და მერე გავწყვიტე ურთიერთობა. კარგადაც გამოვლანძღე და მორჩა. „ოდნოში“ ვნახულობდი და ერთიანებს ვუწერდი. მერე იქაც აღარ შევსულვარ. მთელი ზამთარი და გაზაფხული არც შევხმანებებვართ ერთმანეთს. ახლა კი ივლისში ვნახე. მაშინაც ჩემს დას გავყვევი. იმ დღეს დათოს ბოდიში მოვუხადე. მან მიიღო ჩემი ბოდიში. მერე ისევ დავიმატე „ოდ-

ნოში“ და ვეხმანებოდით ერთმანეთს. ახალა, 24 აგვისტოს კი იტალიაში წავიდა — იქ სწავლობს. ძალიან დამწყდა გული. მას არ ჰყავს შეყვარებული, მე კი უარი ვუთხარი. დათო მენატრება, მაგრამ არ შემოდის „ოდნოში“, რომ მივწერო — არ მცალია აქ შემოსასვლელადო, მითხრა. ვერ გავიგე, რატომ მენატრება. მგონი მიყვარდა. მან მითხრა, დროს მოგცემ, დაგელოდებიო... მიჩიჩიეთ რამე. რა მემართება? ნინასნარ მაღლობა. CRAZY GIRL15“.

„ჯიქანზე გიცანი!“

„გასულ ზაფხულს ისეთი ამბავი მოხდა, რომლის მოყოლასაც აქ არ ვაპირებდი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ზოგიერთ აზროვნებაშელახულს სხვანაირად არ გაეგო და ორმეტრიანი კუდები არ გამოევა, მაგრამ ისეთი თემაა, სხვა გზა არ დამიტოვებ... რას გვიშვრება ეს მარი ჯაფარიძე, რა! მოკლედ, ბევრს

აღარ ვიტლიკინებ და ამბავს იმით დავიწყებ, რომ ერთი გონებაჩამორჩენილი, თავგასული ბიჭი გადამეკიდა. მე მასთან მიმონერა არ ვისურვე, ამან უფრო გააგიჟა და ჩემს შემბას აქტიურად ცდილობდა. უკვე ყელში მქონდა ამოსული მისი უაზრო მესიჯები. როცა ტკბილი სიტყვებით ვერაფერს გახდა, იერიშზე გადმოვიდა და როგორც მამაკაცებს სჩვევიათ, ჩემით გართობა გადანყვიტა (ჰმ!). ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ტვინი გამიბზურდა, გინდა თუ არა, გამომწვევი ფოტოები გადაიღე და გამომიგზავნეო (ჰმ!). პასუხის გაცემა რომ არ ვიკადრე, ცხელ გულზე მომახალა, უმაგრესად მაინტერესებს, როგორი მკერდი გაქვს და მაჩვენეო. აქ კი ვიკადრე და პასუხი გავეცი — შენ რომ არ დაგესიზმრება და არ გინახავს, ისეთი მკერდი მაქვს-მეთქი. ჩემმა ნათქვამმა დააინტრიგა და გაასმაგებელი აქტიურობით შეეცადა ჩემს დათანხმებას, თუმცა მისთვის ნამეტნავად აუღებელი ციხესიმაგრე აღმოვჩნდი



ნო მოჭიღებ სკელ ხელს
შიშველ სადენს — შესადლოს,
დაყანგელს



და 1 კვირის განმავლობაში ჩემთან ამ თემაზე სიტყვა არ დაცდენია, შემდეგ კი ისევ შეუდგა ჩემს „ტვინზე თამაშს“, ზემოთ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ჰოდა, მეც უარი აღარ მიტყვამს. შეპირებისამებრ, მკერდის სურათი გავუგზავნე, მაგრამ არა — ჩემი... ჩემი ძროხის რძით სავსე ჯიქნის ფოტო გავუგზავნე. თან მივწერე, დარწმუნებული ვარ, ასეთი სავსე მკერდი ქალზე ჯერ არ გინახავს-მეთქი. როგორც თქვენ არ გიპასუხიათ ახლა ჩემთვის, ისე მას აღარ გაუცია პასუხი. მეც შევეშვი. რამდენიმე დღის შემდეგ მეზობელმა, მაკამ მთხოვა, პაემანზე წამყვილო. გაყვივი. კაფეში დავესხედით. კარგა ხნის შემდეგ, მაკამ შეყვარებული გვიყვება ამბავს, რომელიც დარწმუნებული ვარ, ჩემზე არანაკლებ გაგაკვირვებთ: ადრე მე და ჩემმა ძმაცაცებმა ერთი გოგო გავიცანით, ვთხოვეთ, მკერდის სურათი გამოგზავნა და იცით, რა ქნა? ძროხის ჯიქანი გამოგვიგზავნა; იმდენი ვიცინეთ, კინალამ გავიგუდეთო. — ლაპარაკი დამთავრებული არ ჰქონდა, მაკა გადაბჟირდა. აი, მე კი სახეზე მკვდრის ფერი მედო და გაოცებისგან მეტყველების უნარიც კი დავკარგე, რამდენიმე წამით. მერე გამახსენდა, რომ მაკამ რამდენჯერმე ზარი გაუშვა ჩემი ნომრიდან შეყვარებულს, აინტერესებდა, პასუხს თუ დაუბრუნებდა და აი, შედეგიც... რა თქმა უნდა, არაფერი შევიმჩინე, წამოსვლისას კი იმ ბიჭს ვუთხარი: ისე როგორ უნდა მოკვდე, იმ ძროხის ჯიქანი „რეალშიც“ რომ არ ნახომეთქი და თვალი ჩაუფუკარი. ა, ასე იყო აგი ამბავი. განძის მაძიებლის მაძიებელი“.

აწკაპნილი

„სიყვარული მაშინ არის კარგი, როცა გრძნობა ორმხრივია და შეყვარებულებს უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის, როცა ეჭვიანობის სა-

ბაბს არ აძლევენ ერთმანეთს და ცდილობენ, ერთურთი გააბედნიერონ... მართლაც ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა ჰქონდათ ჩემს მეგობარ სალოს და მის შეყვარებულს, რომელიც გასულ ზაფხულს, ზღვაზე გაიცნო. უნდა ვალიარო, სალოს ბევრ ბიჭთან ჰქონდა ურთიერთობა და ბევრიც მაშინვე მიუტოვებია, როცა მასში ინტერესს აღარ იწვევდა. ის ისეთ ბიჭზე ოცნებობდა, რომელიც მისთვის მიუწვდომელი იქნებოდა (მეგონა, მხოლოდ ბიჭებს მოსწონდათ მიუწვდომელი „პაკლონიკები“) და ერთი სიტყვის თქმაზე ფეხქვეშ არ გაეგებოდა. მისთვის ბევრჯერ მიტყვამს, ბიჭებს რომ ასე უსულგულოდ ექცევიან და იყენებ, ერთხელ შენც მოგექცევიან მსგავსად და მერე ისწავლი ჭკუას-მეთქი, მაგრამ საპასუხოდ მისგან, მხოლოდ დაცინვას ვიღებდი. სალომემ მამუკა რომ გაიცნო, თავიდანვე სცადა მისი გასულელება, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, რადგან მამუკა მასზე არანაკლებ ნაგლი აღმოჩნდა და სალომეს მისაღმების ღირსადაც არ მიიჩნევდა... აი, ეს კი აღარ მოსწონდა გოგოს და მასზე გულმოსული, ჩემთან იოხებდა გულს და მის ლანძღვაში ხდებოდა სული. ერთ დღესაც მამუკა სანათესავოსთან ერთად იყო ზღვაზე, მათ სალომეც შეუერთდა და გასეირნება გადაწყვიტეს, შემდეგ კი კაფეში დასხდნენ და გვიანობამდე მოიხილნენ. ამ მხიარულებაში დროც მალე გაიპარა და ღამის პირველ საათზე დაიშალნენ. სალომე დედამისთან იყო შეთანხმებული, მეგობართან დავრჩებო, მაგრამ რადგან გვიანი იყო, დაქალი აღარ შეაწუხა, თან დრო იხელთა და მამუკას უთხრა: — ამ შუალამისას ვეღარსად წავალ, ჩემთან იყავიო. მამუკა ნამუსზე შეაგდო და რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, სალომეს გასეირნება შესთავაზა. სე-

ირნობაში 2 საათიც მოახლოვდა. მამუკა დილით ადრინად იყო სამუშაოზე წასასვლელი და მანქანაში დაძინება გადაწყვიტეს. სიბნელომ თავისი ქნა და სალომესა და მამუკას ერთმანეთთან ჩახუტების სურვილი გაუჩინა. განსაკუთრებით სალომეს კლავდა მისი სიახლოვის სურვილი, მაგრამ ნურას უკაცრავად... უკანა სავარძელზე, სალომეს კალთაში თავჩადებული, გემრიელად მოკალათდა ეს ჩვენი (ნუ, ვისიცაა) მამუკა და ღრმა ძილს მიეცა. აბა, სალომეს რა დააძინებდა? მთელი ღამე გაათენა, მისი ყურებით ტკბებოდა, თან ნერვები ეშლებოდა, ასე როგორ შეუძლია დაძინება, როცა მის გვერდით ვარო... დილით, მამუკამ სალომე სახლში მიაცილა, თვითონ კი სამსახურში წავიდა. შუადღისას სალომემ აღფრთოვანებულმა დამირეკა და ეს ამბავი სულ სიცილ-ტირილით მიაშრო. — მისი სუნთქვა პირდაპირ მუცელზე მეცემოდა და გულს მიჩქროლებდაო, თან ისიც დაამატა სინანულით, ქალად არ აღმიქვამს, თორემ რატომ დაიძინაო? ჩემი ეჭვები გავუმხილო და ვუთხარი, რომ მამუკაზე შეყვარებული იყო. ჩემი სიტყვების სიმართლეში კი იმანაც დამარწმუნა, რომ მან ჩემს ნათქვამს დუმილით უპასუხა... სალომემ და მამუკამ ნელ-ნელა ააწყვეს ურთიერთობა, მაგრამ უცებ გაირკვა, რომ ადრე სალომე მამუკას ნათესავის შეყვარებული ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არანაირი ურთიერთობა აღარ იყო, მამუკამ მასზე გული აიცრუა და მიახალა, ჩემი ნათესავის ყოფილ შეყვარებულთან რა პონტში უნდა ვიყოო? მეორე დღეს კი სალომეთი გართობა განიზრახა... თავბრუ დაახვია, თავი შეაყვარა, მაგრამ სალომე თუ სერიოზულ ურთიერთობაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს, მამუკა მაშინვე ეუბნებოდა, ჩემი ნათესავის შეყვარებულს ვერ შევიყვარებო. საბოლოოდ კი ეს ჩვენი ბიჭი „აინკაპნა“ და გასული ზაფხულივით გაქრა მისი ცხოვრებიდან. სალომე დღემდე ვერ ივიწყებს. ამ ყველაფერს ერთი კარგი მხარე მაინც აქვს — სალომემ ჭკუა ისწავლა და სხვების გრძნობებზე თამაშს გადაეჩვია. ლუნა“.

ნამღვრილი ძველი
წმინდასაღვთო ძველებს



ოცნებაში გაცვლილი
სიყვარული

„ყოველდღიური ერთფეროვნებითა და ყოფითი პრობლემებით დალ-



ლილი ვიყავი, როცა ვიგრძენი, რომ ფეხებში ძალა გამომეცალა და სადაცაა, წავიქცეოდი. გარეთ საშინლად ცხელოდა, ასფალტი დუღდა და ამ ყველაფერს უამრავი ადამიანის ოფლის სურნელი ემატებოდა. ესკალატორის მოაჯირს დავეყრდენი, მერე ირგვლივ სიბნელე ჩამონვა და შემინებული, მეტროში არ გავიშლართო-მეთქი, კიბეზე ჩამოვჯექი... NEXT STATION, „ეს რაღას გაჩხირულა აქ“... — უამრავი მსგავსი ფრაზა, ნაბიჯების ხმა, და ტანისამოსის ფერი ირეოდა ჩემს გონებაში და ვხედავდი რა კიბის დასასრულს, მეშინოდა, ვაითუ ვერ ავდგე-მეთქი... — ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება, — თმა ამიჩეჩა ჩემთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა და წამით გვერდით მომიჯდა, ლოყაზე მაკოცა და გაქრა... ავედექი, მინდოდა დავწეოდი, სახელი მეკითხა, მადლობა მეთქვა, გამეცნო! ორი წუთის წინ თუ ძალაგამოცლილი და მოთენთილი ვიყავი, ახლა ისეთ ადრენალინსა და შინაგან მღვდლარებას ვგრძნობდი... მეტროს კარის მიღმა დავლანდე... ძალიან ღია ფერის, ღრუბელივით კანი ჰქონდა, გრძელ, ყველაზე ლამაზ და ქალურ კისერს მოკლედ შეჭრილი თმა უფრო მეტ სინაზეს მატებდა... მოგრძო ცხვირი და გამორჩეული ჩაცმის სტილი კი, რომელსაც აქსესუარებით ერწყმოდა ზურგზე მოკიდებული გიტარა, ბოლო წვეთი იყო, ჩემი აღფრთოვანებისთვის. „შემდეგი სადგური — „თავისუფლების მოედანი“ — ჩამესმა ყურში ამქვეყნად ყველაზე ცივი ხმა და ჩემი „ოცნების ქალიც“ მინისქვეშეთში გაუჩინარდა... არ ვიცოდი არც მისი საცხოვრებელი ადგილი, ტელეფონის ნომერი, სახელი და გვარიც კი, მაგრამ... დარწმუნებული ვიყავი, „თავისუფლების მოედანი“ მისი მისამართი იყო... ბანალურია, მაგრამ მომდევნო 3 დღე სწორედ ზემოსხენებულ მეტროსადგურში გავატარე. არ ჩანდა! არ ვიცი რატომ, მაგრამ გული მტკიოდა... ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს დავკარგე ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებდი. ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც დანყებადე გაწყვიტე... „ქუჩაში ერთხელ, ნაცნობმა ქარმა“... შორიდან მომესმა მინისქვეშა გადასასვლელში, მორიგი, უშედეგოდ ჩავლილი დღის ბოლოს... „მე მომიტანა სურნელი თმების“ — ნავილილინე ჩემდა გასაკვირად და

გიტარიანი გოგონასკენ წავედი... მუქი, თამბაქოსფერი კაბა ეცვა, მოკლე, ძველი სტილის... 80-იანი წლებიდან „გადმოსულს“ ჰგავდა, დიდი გიტარა ეჭირა ხელში და ისე „საყვარლად“ უკრავდა თავისი ნაზი, მოცუტეული თითებით... „ისევ და ისევ, მე ვფიქრობ შენზე და შენი თმების ოკეანეზე“... ამომხედა... ასე გავიცანი ამქვეყნად ყველაზე გამორჩეული პიროვნება... უშნო და ყველაზე ლამაზი, ბოროტი და უკეთილშობილესი, კახა და მონაზონი, ნიჭიერი და უინტელექტო... ჩემთვის ყველაფერი იყო, რაღაც ახალი, განსაკუთრებული დაინყო ჩემს ცხოვრებაში და მიხაროდა. ბედნიერი ვიყავი!.. — მე გიო მქვია-მეთქი, ვითხარი. თავი დახარა და მე — დოროთეაო, მიპასუხა. უამრავი საერთო აღმოგვაჩნდა... გემოვნებაც იდენტური, მაგრამ რაღაც საკითხებში რადიკალურად განსხვავებული. მუსიკა, ლიტერატურული ნაწარმოებები, მისაბაძი ადამიანები, ქვეყნებისადმი ინტერესი... ყველაფერი ერთნაირი გვექონდა... — ჩემი აზრით, როცა ადამიანთან ხარ, როცა მასთან სერიოზულ ურთიერთობას აპირებ, ბოლომდე უნდა ასიამოვნო, ბოლომდე მისი იყო, სხვისკენ გახედვა რომ არ მოუხდესო, — საოცრად ნაღვლიანი გამოხედვა ჰქონდა, ამ სიტყვების წარმოთქმისას... ხელი მოვხვიე და ჩავეხუტე... კალთაში ჩამიჯდა (გასაოცარი გრძნობა იყო), თმა ამიჩეჩა, თვალეებში ჩამხედა და მაკოცა... ძალიან ცივი, მარმარილოსავით ტუჩები ჰქონდა. რაღაც — არაამქვეყნიური... ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა გიზიდავს და მოგწონსო, მკითხა უცერად და მეც გაკვირვება ვერ დავმალე — ასეთ ამაღლევებელ მომენტში რა ქვეყნებზე და პატრიოტიზმზე ლაპარაკი აუტყდა-მეთქი? — მე იაპონია, — დაინყო, —

იმიტომ, რომ იაპონელებს ბუნებისა და ყველანაირი ცოცხალი ქმნილების მიმართ თავისებური, ფილოსოფიური დამოკიდებულება აქვთ, იმიტომ, რომ მხოლოდ იაპონელებს შეუძლიათ ყველაზე ყოველთვის და ყველაფერში ჰარმონია იპოვონო. ისე გატაცებითა და აღფრთოვანებით ლაპარაკობდა, შემეშინდა... მერე, სრულიად მოულოდნელად, მაისური გაიხადა და თვალეებში შემომხედა... ვუყურებდი მის მოშიშვლებულ მეკრდს და... ასეთ დროს ყველა ნორმალურ კაცს სექსი მოუხდებოდა, მე — არა! მეც გავიხადე. მაკოცა, ვაკოცე! რაღაც ამოუხსნელი სდებოდა ჩემს თავს! მომწონდა იმ ლაბირინთში სიარული, რომელსაც ბოლო არ უჩანდა... უეცრად მისი ნათქვამი — „როცა გიყვარს, ბოლომდე მისი ხარ“ გამახსენდა და სასიამოვნო ჟრუანტელმა დამიარა ტანში... იმ საღამოს დოროთეა ჩემი გახდა... სახლში მივაცილე, ფეხის წვერებზე აინია, ცხვირზე ვაკოცე და კარგა ხანს ვუყურე, როგორი ჰაეროვანი ნაბიჯებით იტოვებდა უკან დერეფანს... ისე ნაზი იყო მისი სიარულის მანერა, იფიქრებდით, მის ნაბიჯებსა და იატაკს შორისაა მოქცეული მთელი სამყარო... სახლში მისულმა „კომპი“ ჩავრთე და „ფეისბუკი“ გავხსენი. მისი წერილი დამხვდა: „იაპონია ჩემი ოცნებაა! პატარაობიდან მინდოდა მასთან „ჩახუტება“... შანსი მაქვს, 21 წლის ასაკში ავიხდინო ნატვრა, ხელი შევხანო. ჩემო გიო, ერთი წამითაც რომ მეპარებოდეს ეჭვი შენში, ის არ მოხდებოდა, რაც მოხდა — სული გაგინანილე. იქ, მეტროში მივხვდი, რომ „ის“ იყავი... იცი, იაპონიაში ალუბლის ყვავილობის სეზონი ულამაზეს პერიოდად მიიჩნევა. საკურას ყვავილობა, ზაფხულის დადგომასთან ერთად, ახალი სიცოცხლის დასაწყისია. წელს ალუბლის ხეების ყვავილობა დაგვიანდა, მაგრამ მაინც აყვავდა.



ქმნისა და ყველანაირი ცოცხალი ქმნილების მიმართ თავისებური, ფილოსოფიური დამოკიდებულება აქვთ, იმიტომ, რომ მხოლოდ იაპონელებს შეუძლიათ ყველაზე ყოველთვის და ყველაფერში ჰარმონია იპოვონო.



ალუბლის ხეები ყოველთვის აყვავდება, სანამ იარსებებენ ადამიანები, რომლებიც სხვების სიცოცხლის გადასარჩენად წავლენ სულ პირდაპირ, სამყაროს დასასრულამდე... მე ჩვეულებრივი არ ვარ, არც შენ... ამიტომ მივდივარ... ვიცი, ძნელია, მაგრამ არ მისცე თავს ჩემი მონატრების უფლება... თუ მაინც გაგახსენდი, მიდი ჩემთან, სახლში, აიღე ალესანდრო ბარიკოს „აბრეშუმი“, წაიკითხე და იქ მიპოვი... სიყვარულით, შენი დოროთეა“. მეორედ, მესამედ, მეასედ წავიკითხე... თითქოს ცხოვრების რაღაც ეტაპი დამთავრდაო, ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით ვიყავი, უპანროდ, უსულოდ დარჩენილი. მეზინოდა, ვადანამაშულებდი, მეზიზღებოდა და სწორედ მაშინ მივხვდი, როგორ მყვარებია... „შენ როგორ მოიქცეოდი მის ადგილზე?“ ვკითხე ჩემს მეორე „მეს“. „ანალოგიურად“, — მიპასუხა მან! P.S. როცა სიტუაცია გავანალიზებ, დავწყნარდი და ყველაფერი ავწონდავწონე, მივხვდი, სწორად მოიქცა... ეყო ნებისყოფა და ოცნებას გაუცვალა ჩემი თავი... P.P.S. მარ, ამ ზაფხულს უამრავი საინტერესო, მხიარული და „საგზაჯინალები“ ამბავი შემემთხვა, მაგრამ ეს მოვლენა ჩემი ცხოვრების რაღაც ეტაპია, რაღაცის დასასრული და გადაფასებების დასაწყისი... არ დამცინოთ, მაგრამ დღესაც, როცა ქარი უბერავს, დორას თმის ოკეანესავით ნაზი სურნელი მოაქვს ჩემთან, შორეული იაპონიიდან... რუისპირი (რედ)“.

სხვისი ქმარი

„თემას გადავხედე და გასული ზაფხული ამბის მოყოლა გადავწყვიტე. მოკლედ, გასულ ზაფხულს ერთ ზღვისპირა ქალაქში ვისვენებდი, მთელ ჩემს „სასტავთან“ ერთად. მიყვარდა ერთი ბიჭი, რომლის გარეშეც არ შემიძლო... თუმცა, ცალმხრივად მიყვარდა, ის ზედაც არ მიყურებდა. ჰოდა, მეგონა, რომ არასდროს არავინ ასე ძალიან არ შემიყვარებოდა. ერთ დღესაც ჩემს პა-

ტარა კურორტზე მენვია დეიდაშვილი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა, ცოტა არ იყოს, თავში აქვს ავარდნილი, მისთვის ყველაფერი სულერთია. ჩემს ძმაცაცებს „ერთი ლამის“ ქალი ეგონათ, ისე იქცეოდა. ჩემს მეგობრებს ძალიან დაუახლოვდა, განსაკუთრებით — ბიჭებს. ერთ დღეს ანას ტელეფონის ზარმა გამაღვიძა. ძლივძლივობით ავიღე ყურმილი, რადგან ანა ოთახში არ იყო. ყურმილი რომ ავიღე, უცებ გავშეშდი, ისეთი ლამაზი ხმა ჰქონდა ვიღაცას, რომ მეტი არ შეიძლებოდა. მერე გამოველაპარაკე. ძალიან უშუალო ტიპი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, ჩემი დეიდაშვილის „ლოვე“ ყოფილა. ძალიან დაფუხვლოვდით, დაგმეგობრდით, ვსაუბრობდით ყველაფერზე. ერთმანეთი ძალიან მოგვწონდა. ერთ დღეს კი გვითხრა, რომ ჩვენთან ჩამოდიოდა. როცა ჩამოვიდა, მე და ანა მის შესახებ ვთქვამდით. იქ მისული შოკში ვიყავი. უსიმპათიურესი ტიპი აღმოჩნდა. სურათში კი მყავდა ნანახი, მაგრამ არ მეგონა, ასეთი „სიმპო“ თუ იყო. იმ დღეს თვალი არ მოუცილებია, სულ მე მიყურებდა. ამით ცოტათი შევწუხდი, თუმცა გულის სიღრმეში მსიამოვნებდა. იმ საღამოს ლუკამ დამირეკა და შეხვედრა მთხოვა, მაგრამ ძალიან გვიან იყო და მის სანახავად წასვლას ვერ შევძლებდი. ამიტომ ვთხოვე, სათქმელი „ტელეთი“ ეთქვა. შევხვდეთ და შენს ტუჩებზე ერთხელ მაინც მაკოცინეო. ეს რომ მითხრა, გავგიჟდი, ცოფები ვყარე. როგორც ჩანს, მეც ანასნაირი ვეგონე, ყოველ გამველეთან რომ ზასაობს. იმ საღამოს ძალიან დავითრგუნე.

დილით ისევე დამირეკა და შეხვედრა მთხოვა. დავთანხმდი, რომ მიმხვედრებინა, მე სხვანაირი ადამიანი ვიყავი. რამდენიმე დღის განმავლობაში ერთმანეთს ჩუმად ვურეკავდით, ანას რომ არ ვაგეო. ერთ საღამოს ვნახე, ანა როგორ კოცნიდა ჩემს ძმაცაცს. ამაზე ძალიან გავწინერვიულდი. მივხვდი, რომ ლუკას ღირსი არ იყო. ლუკას დავურეკე და ყველაფერი ვუამბე. გადიოდა დღეები, კვირები და ერთ დღესაც გა-

ვაცნობიერე, რომ ლუკა მიყვარდა მთელი არსებით — ისე, როგორც არავინ ამ ქვეყანაზე. ეს ანასაც ვუთხარი. ტირილი დაიწყო და მითხრა, მე ლუკას ღირსი არ ვარ, მას შენნაირი გოგო სჭირდებაო. ის არ იყო ჩვენი ურთიერთობის წინააღმდეგი. მართლა მთელი გულით გვიყვარდა ერთმანეთი. ერთ საღამოს კი პირდაპირ ტელეფონით მთხოვა ცოლობა, მე კი უარი ვუთხარი. არ შემეძლო ამის გაკეთება, რადგან ჯერ კიდევ პატარა ვიყავი. ლუკამ ჩვეული რომანტიზმით წამიკითხა ლექსი და ტელეფონი გათიშა. სამუდამოდ დამემშვიდობა — ეგონა, რომ არ მიყვარდა და ამიტომ ვუთხარი ცოლობაზე უარი. ერთმანეთს დავშორდით, რამდენიმე თვეში კი ვიღაც გოგომ მომწერა, რომ ლუკას საცოლე იყო. მერე ისიც მომწერა, რომ ნიშნობა ჰქონდათ. ეტყობა, იმ გოგომ ჩემზე ყველაფერი იცოდა და ამიტომ მწერდა, მე კი არაფერს ვპასუხობდი. რამდენიმე თვეში დაქორწინდნენ. მთელი ღამეები ვტიროდი. ისე ცუდად გავხდი, ექიმმა დამამშვიდებლები დამინიშნა. ამის გადატანა ძალიან გამიჭირდა. მას შემდეგ ორი წელი გავიდა, თუმცა ერთ დღეს სოციალური ქსელის ერთ-ერთ საიტზე წერილი მომივიდა. ლუკა მწერდა, რომ ჩემი ნახვა უნდოდა. 2 წლის განმავლობაში პირველად შემეხმინა. უარი ვუთხარი, მან კი ის ლექსი მომწერა, რომელიც ჩვენი დამშვიდობების წინ წამიკითხა. მას შემდეგ ლუკას არ მოუწერია. ალბათ მუდამ გვეყვარება ერთმანეთი, მაგრამ ერთად ვერასდროს ვიქნებით, რადგან ის უკვე სხვისია, მე კი სიკვდილის ბოლომდე ვერ შევივსებ იმ სიცარიელეს, რომელიც მისმა წასვლამ დამიტოვა. ახლა სულ მარტო ვარ, მას შემდეგ არავისთან მქონია ურთიერთობა და არც მინდა, რადგან ვიცი, ასე ვერასდროს ვერავის შევიყვარებ. ის თავიდანვე არ იყო ჩემი და ალბათ უფალმა ასე ინება, რომ არც მერე ყოფილიყო ჩემთან. სიყვარულით, თქვენი სფინქსა“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება
 — „აკრძალული სიყვარული“.
 ამბები შეგიძლიათ
 გამოგზავნოთ მესიჯებით
 ტელეფონის ნომერზე:
 5.77.45.68.61
 ან მომწეროთ ელფოსტაზე:
 marorita77@yahoo.com

ყურადღება! თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზაჯინალებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოზე უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



„ნუ შეიძულავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ქურთია“

„გზის“ №36-ში დაიბეჭდა რუსთავის მესიჟი. იგი გვწერდა, რომ მის შვილს შეუყვარდა გოგო, რომელიც კომპიუტერით გაიცნო. თურმე შეყვარებულმა ბიჭს მხოლოდ რამდენიმეწლიანი ურთიერთობის შემდეგ გაუმხილა, ქართველი არა ვარო. ის მართლმადიდებელი ქურთი აღმოჩნდა და სხვათა შორის, მისი ოჯახის წევრებიც ქრისტიანული წესით ყოფილან მონათლულები. „რა თქმა უნდა, როცა მისი წარმომავლობის შესახებ გავიგეთ, ოჯახის წევრებმა ჩემს შვილს ვთხოვეთ, — შეეშვი, სხვა მოძებნეთო. თითქოს დაგვიჯერა და დაშორდნენ კიდეც, მაგრამ ახლა გავიგეთ, რომ ისინი ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად ისევ ხვდებიან. თქვენი აზრი მაინტერესებს: როგორ მოიქცეოდით ჩემს ადგილას? სიმართლე გითხრათ, პირადად მე, მათი ამბავი უკვე ღმერთს მივანდევ ვატყობ, ერთმანეთი ძალიან უყვართ და არ მინდა, ამ საქმეში ცუდად ჩავერიო და წლების შემდეგ შვილმა მისაყვედუროს: რას მერჩოდ, სიყვარული რატომ დამაკარგვინეო?“

„მათ გამო სიციხესლასა დაუფიქრებლად დავთმობდი“

WANDERER:

„ჩემი აზრი ასეთია: მერე რა, რომ ქურთია. მთავარი ისაა, რომ მათ ერთმანეთი უყვართ და თქვენი შვილის შეყვარებული მართლმადიდებელია“.

SAILORBEE:

„რა როგორ უნდა მოიქცეო აბა, რა კითხვებს სვამ? შვილისთვის თავად არ გინდა ბედნიერება და რა რჩევებს ითხოვ? ის გოგო ქრისტიანიც რომ არ იყოს, რა უფლება გაქვს, შვილის არჩევანში უნებურად რომ ერევი? ჩემი აზრით, მას მხარი უნდა დაუჭირო. P.S. ყველაზე მეტად იმას ვერ ვიტან, სხვა ეროვნების ადამიანის დისკრიმინაციას რომ ცდილობენ, მით უმეტეს, ქურთებისას, რადგან ბევრი ისეთი ქურთი მეგობარი მყავს, ვის გამოც სიცოცხლესაც დაუფიქრებლად დავთმობდი! და კიდევ, ადამიანების ასე, ეროვნების მიხედვით დაყოფა შეუურაცხველია, მით უმეტეს, რომ ქართველები სხვებზე მალე არ ვდგავართ — ქურთებს კარგად თუ გაიცნობთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით“.

ქატი:

„კარგად მოქცეულხარ, მათ საქმეში რომ არ ჩაერიე და შვილს გული არ ატკინე. თუ გინდა, ბედნიერი იყოს, უფლება მიეცი, ისე მოიქცეს, როგორც თავად სურს. დამიჯერე, წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარი სიყვარულია!“

უცნობი:

„შენს ადგილას შვილს და იმ გოგოს დავაშორებდი, რადგან მგონია, რომ სხვადასხვა ეროვნების ადამიანები ერთმანეთს ვერ შეეწყობიან. ბოლოს და ბოლოს, ქურთებს სხვა-

ნაირი ტრადიციები აქვთ, ჩვენ — სხვანაირი“.

მილანა:

„თქვენმა „უქმემმა“ დედაჩემი გამახსენა. ბებიას არ უნდოდა რუსი რძალი, მაგრამ მამამ მაინც თავისი გაიტანა და ახლა ერთად არიან. მათ ხელი რომ შეუშალოთ, შეიძლება, მომავალში სანანებელი გაგიხდეთ. წარმატებები!“

ლუზა:

„წესით, ჩვენზე უკეთ უნდა იცოდეთ, რომ რელიგიის გამო წყვილის დაშორება არ ღირს, მაგრამ თუ ამას ნუხდით, თქვენი შვილის „ლოვე“ ხომ ქრისტიანულად მონათლული აღმოჩნდა? ჰოდა, არ მესმის, სხვა რა პრობლემა გაქვთ? თუ ერთმანეთი უყვართ, მათ შორის ნუ ჩადებთ. ღმერთი თქვენცენ!“

კასო:

„მთავარი ისაა, რომ ის გოგონაც და მისი ოჯახის წევრებიც მართლმადიდებლები არიან, მისმა წარმომავლობამ კი არა მგონია, შეყვარებულების ურთიერთობაზე ცუდი გავლენა მოახდინოს. მერე რა, რომ ქურთებისგან განსხვავებული ტრადიცია გაქვს — იქ, სადაც სიყვარულია, ყველაფერი ასატანი ხდება. მისი წარმომავლობა არც თქვენს ოჯახს დასავამს დალს. შეიძლება, რაღაც პერიოდის შემდეგ ქორიკანები თქვენს ბედს შენატროდნენ კიდეც — ეს რა კარგი რძალი შემოუვიდა ოჯახშიო. P.S. ბევრი ისეთი დედამთილ-მამამთილი მინახავს, რომელიც ქართველ რძალს აგინებს და ამბობს: ნეტავ ჩემს შვილს უცხოელი მოეყვანაო. წარმატებებს ვუსურვებ თქვენს შვილსა და მომავალ რძალს!“

ბუსა:

„რა მნიშვნელობა აქვს, რა წარ-

მომავლობისაა, მთავარი ხომ სარწმუნოება და სიყვარულია! შვილს მასთან ურთიერთობას ნუ დაუშლი, თორემ მის ცხოვრებას დაღს დაასვამ და მერე ეს სანანებელი გექნება. ჯობს დაელაპარაკო და ჩუმად შეხვედრის ნაცვლად, წყვილს ნორმალური ურთიერთობის უფლება მისცე. წარმატებები!“

TOLQER:

„ქართველებს ერთი ცუდი ჩვევა გაქვს: პედანტიზმი გვახასიათებს იმაზე მეტად, ვიდრე საჭიროა. სიმართლე გითხრა, ამ სიტუაციაში პრობლემას ვერ ვხედავ. მთავარია, ის მართლმადიდებელია და თქვენი შვილი უყვარს. ხალხის აზრი რაში გაინტერესებს, მთავარი ხომ შვილის მომავალია? ხალხი ბევრ რამეს იტყვის, მაგრამ გავა დრო და თქვენი ახალი ოჯახის წევრის წარმომავლობა აღარავის ემახსოვრება. თუკი შვილს მომავალს გაუნადგურებთ, მერე მშვიდად იქნებით? მიეცით არჩევანის გაკეთების საშუალება“.

უცნობი:

„კარგად მოქცეულხართ, შვილისა და საძმოს ურთიერთობა ბედს რომ მიანდევთ. მერწმუნეთ, მყარი ოჯახის შექმნა სხვადასხვა ეროვნების მქონე წყვილსაც შეუძლია. მაგალითად, დედაჩემი ებრაელია, მაგრამ ქართველებს შესანიშნავად გაუგო და უკვე 40 წელია, მეუღლესთან ერთად ბედნიერად ცხოვრობს. თქვენს შვილსაც ბედნიერებას და წარმატებას ვუსურვებ!“

ბაცვაცუნა:

„მეტი პრობლემა არ გაქვს? არ მესმის, ამაში გასაგიჟებელი რა არის? თუ ერთმანეთი უყვართ, დალოცე. დაე, ბედნიერები იყვნენ. ხალხო, რომელი საუკუნეა, როგორ იქცევი?“

MURDERESS:

„თუ ატყობ, რომ ერთმანეთი უყვართ, ნუ შეიძულავთ გოგოს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა ეროვნებისაა. თანაც, მართლმადიდებელი ქრისტიანი ყოფილა და პრობლემას ვერ ვხედავ. თქვენი ახირების გამო შვილს თავს ნუ შეაძულავთ“.

მისის ფორტუნა:

„როცა მათ შორის ასეთი სიყვარულია, როცა რელიგიური მრწამსი აღარ წარმოადგენს პრობლემას, არ მესმის, მათ რატომღა უნდა შეუშალოთ ხელი? გნამდეთ, ამ ახალგაზრდების მიერ შექმნილი ოჯახი მყარი და ბედნიერი იქნება!“



„ამქვეყნად არაფერი იმალება...“

„შენც რაღაც გაუჩალიჩა, მერე ჯი დააბანბაჟ“

„გზის“ №36-ში დაიბეჭდა ტანა 21-ის მქოფი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „მე და ჩემს შეყვარებულს უკვე 2 წელია, სექსი გვაქვს. ცოტა ხნის წინ ამის შესახებ ჩემმა ნათესავმა გაიგო, რომელიც საქართველოში დამკვიდრებული „ტრადიციის“ მიხედვით, ჩემთან ცხოვრობს და აქ სწავლობს (აბა, როგორ ეკადრებოდა ქუთაისში დარჩენა). ჰოდა, მას მერე, რაც ეს ამბავი გაიგო, მაშანტაჟებს. ვიცი, მამამ ჩემი საიდუმლო რომ გაიგოს, ძალიან ცუდი რეაქცია ექნება და ამიტომაც, მე და ბექა შანტაჟისტს ყველაფერს ვუჩურულებთ, ოღონდ კი ჩვენი საიდუმლო არ გათქვას. ამ ყველაფრის გაძლება აღარ შემიძლია. მირჩიეთ, როგორ მოვიშორო ნათესავი?..“

MURDERESS:

„საინტერესოა, შენი საიდუმლო ნათესავს რატომ გაანდევ ან რატომ უთმობ ყველაფერს? მიდი და შენც დაემუქრე: ენას კბილს თუ არ დააჭერ, იქ დაბრუნება მოგიწევს, საიდანაც ჩამოხვედი-თქო; ან არა და, შენც დააშანტაჟე. არა მგონია, წმინდანი იყოს.“

ლანა:

„21 წლის გოგოს თავში ტვინის ნატამალიც არ გაქვს? ნათესავის დასანახავად შეყვარებულს როგორ ჩაუგორდი ლოგინში ან საერთოდ, სად გიჩქარებოდა? ღირსი ხარ, იმ ბიჭმა გიხმაროს და მერე მიგაგდოს. ისე, სალოლ, მაგარი ნათესავი გყოლია. და კიდევ, მაინტერესებს, შენი მშობლები შენთან არ ცხოვრობენ? არ გრცხვენია, კაცი შინ რომ აგყავდა? ღირსი ხარ, ერთხელაც ნათესავმა კი არა, დედ-მამამ შემოგისწროს და ჭკუა გასწავლოს.“

პირო 555:

„შეყვარებულს დაელაპარაკე. გირჩევ, თუ ჯერ დაქორწინებას არ აპირებთ, მაშინ შენს ოჯახში მოვიდეს და დაგნიშნოს. ჰოდა, მერწმუნე, ამის შემდეგ შანტაჟისტიც დაგანებებთ თავს. აბა, შენ იცი.“

გაცხადება:

„ამქვეყნად რომ არაფერი იმალება, ამაზე ადრე უნდა გეფიქრა და თუ რაღაცას აკეთებ, ამისი არც უნდა გემინოდეს.“

TOLQER:

„სანამ ნაბიჯს გადადგამ, კარგად

უნდა დაფიქრდე — დავიჯერო, ებარავინ გასწავლა? იცოდი, რომ შენი ასეთი საქციელი მამას არ მოეწონებოდა, მაგრამ მაინც გააკეთე, არა? ჰოდა, დაე, გტანჯოს ნათესავმა. P.S. თუ ერთმანეთი ასე გიყვართ, დაქორწინდით და ვერავინ ველარაფერს ვე-



ლარ დაგიშლით. ისე არ გამიგო, თითქოს შენს ნათესავს ვიცავდე, უბრალოდ, ის შენზე ჭკვიანი აღმოჩნდა და სიტუაციას სათავისოდ იყენებს!“

აბტი:

„შენი „ლოვესი“ მშურს! აბა, ჩემი შეყვარებული კოცნის უფლებასაც არ მძღვეს, შენ კი თურმე, მას იოლად დანებდი. ალბათ დიდი ხანია, რაც ურთიერთობა გაქვთ, თორემ ახალი დაწყებული რომ გქონდეთ, უფრო ფრთხილად იქნებოდით. რა ვიცი, რა გირჩიო. მგონი, ამ სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს: ან უნდა დაშორდეთ, ან ცოლად უნდა მოგიყვანოს. სხვანაირად იმ ნათესავს ვერაფრით მოიშორებ თავიდან.“

SAILORBEE:

„ან ეგ შანტაჟისტი „დააღუღეთ“ და სადმე დამარხეთ, ან ეგ 2-წლიანი ურთიერთობა ქორწინებით დააგვირგინეთ და პრობლემაც გადაიჭრება.“

ლევან წურწუშია:

„რამდენი წლის ხარ, ამდენს რომ ბედავ? ნეტავ, იმ ნათესავმა ჩაგიშვას და მამამ ტყავის ფეხსაცმლით გცემოს...“

ლიპი ანგალი:

„ვაიმე, გადაჯიშებული ხარ? შეყ-

ვარებულს სექსი კი არა, დაქორწინება უნდა სთხოვო. მაინტერესებს, რას გეტყვის. გოგო, აზრზე მოდი. P.S. იმისიც კი მრცხვენია, ამას რომ გწერ...“

ლუნა:

„ვერ დაგიძლავ — შენი საქციელი ძალიან არ მომეწონა, მაგრამ არც ნათესავს აქვს უფლება, შენს ცხოვრებაში ჩაერიოს. არ ვიცი, სწორ რჩევას გაძლევ თუ არა, მაგრამ მაინც გეტყვი: მას გულახდილად დაელაპარაკე და სთხოვე, შეგეშვას; თუ ამ ყველაფერმა არ გაჭრა, ადექი და შენც რაღაც გაუჩალიჩე, მერე კი დააშანტაჟე. ვინ იცის, იქნებ რაღაც გამოვიდეს... ღმერთი გფარავდეს.“

თიკ:

„ჩემი აზრით, რაიმე ჭკუის სასწავლებელი უნდა გაუჩალიჩო. შეიძლება ეს არასწორი საქციელია, მაგრამ ვინაიდან ბინძური თამაში წამოიწყო, შენც მოგიწევს მისი წესებით თამაში. წარსულიდან რაიმე ამოუქექე, რათა ანკესზე წამოეგოს და შენი შანტაჟის შეეშინდეს. მგონი, ეს გაჭრის.“

უცნობი:

„თუ იცოდი, რომ მამას ასეთი რეაქცია ექნებოდა, მსგავსი რამ არ უნდა გაგეკეთებინა. თუმცა რას ვამბობ — როცა ქალს ვინმე უყვარდება, მისთვის ხომ მშობლები მეორეხარისხოვანი ხდებიან. ჩემი აზრით, ის შანტაჟისტი არაფრის გამკეთებელი არაა, უბრალოდ, შენი პანიკით სარგებლობს. შენს ადგილას, იმ კეთილისმსურველ ნათესავს თმით ვითრევდი. უმაღურია! შენთან დასახლდა და კიდევ გამანტაჟებს? რა გახდა ეს კაცთან ურთიერთობა — გინდა და წვეხარ! მთავარი ისაა, რომ იმ ბიჭთან სიყვარული გაკავშირებს.“

ბაკო 22:

„ჯერ ერთი, თქვენ უკვე საყვარელები გქვიათ და მეორეც, ამ სიტუაციიდან 2 გამოსავალი არსებობს: ან ცოლად უნდა მოგიყვანოს და ამ გზით შანტაჟს თავს დააღწევთ, ან კიდევ, მამას თავად უნდა უთხრა სიმართლე.“

WANDERER:

„გათხოვდი და ეგ თქვენი შანტაჟიორიც მოკეტავს, მაგრამ თუ მაინც არ გაჩუმდა, მშობლები უკვე გათხოვილს ვერაფერს გისაყვედურებენ, ვეღარ გიყვირებენ :)). P.S. გათხოვდი და ქორწინლიც დამპატიჟე.“



მოხილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენ მესიჯი „მოხილი-ზასიაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ გრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მისიჯის ფასი 50 თეთრი

ქაღაბი



1. გავიცნობ 42-52 წლამდე ასაკის, სიმპათიურ, თავისუფალ მამაკაცს, სერიოზული ურთიერთობისთვის. უნდა იყოს კარგი ხასიათის, თბილი, კეთილი და მეოჯახე. მატერიალურად ძლიერი. 39 წლის.

2. გამომეხმაროს სერიოზული, სიმპათიური, დამოუკიდებელი მამაკაცი, მხოლოდ ოჯახის შექმნის პერსპექტივით. ვარ ასეთივე მონაცემების, 42 წლის, ბინით, ბავშვით. მარი.

3. „გზა“ №37, მე-13 მესიჯის ავტორს მიეცით ჩემი ნომერი, გთხოვთ.

4. ვარ 39 წლის, შავგვრემანი, გამხდარი, ბინიანი ქალბატონი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის, წესიერ, ყურადღებიან კაცს, თუნდაც ქვრივს.

5. გთხოვთ, მომცეთ 37-ე ნომრის მე-6 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

6. გთხოვთ, მომცეთ 36-ე ნომრის მე-16 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი. გმადლობთ.

7. 37-ე ნომრის მე-13 სმს-ის ავტორმა დამიმესიჯოს ან მას მიეცით ჩემი ნომერი.

8. გთხოვთ, მომცეთ 27-ე მესიჯის ავტორის ნომერი.

9. ვარ 39 წლის, შავგვრემანი, გამხდარი, ბინით უზრუნველყოფილი მანდილოსანი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 50 წლამდე ასაკის მამაკაცს. არასერიოზულები ნუ გამომეხმარებთ.



მამაკაცი

10. მინდა გავიცნო 23-26 წლამდე ასაკის, ნორმალური, პატიოსანი, ქალიშვილი გოგო, ოჯახის შექმნის მიზნით. თუნდაც — სოფლელი. ვარ 29 წლის, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ზვიადი.

11. მარ, გთხოვ, მეორე ნომრის პირველი მესიჯის ავტორის ნომერი მომწეროთ.

12. სალაში გოგონებო, ვარ მარტო და თქვენ სულ არ გენაღვლებათ. დამიმესიჯეთ, ფიცს ვდებ, არ ინანებთ. ნიანგები ნუ შეწუხდებით.

13. ვარ 23 წლის, სიმპათიური, თბი-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოხილი-ზასიისთვის“ გამოსავლენილი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრიბილი, არ გამოქვეყნდება!

ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h

ლისში მარტო მცხოვრები ბიჭი. გავიცნობ 19-დან 25 წლამდე ასაკის, ჭკვიან და სერიოზულ გოგოს, სამეგობროდ.

14. გავიცნობ 23-დან 30 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ დასაქმებული და უზრუნველყოფილი.

15. გავიცნობ ერთგულ და მოსიყვარულე გოგონას, 25-დან 32 წლამდე, სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 35 წლის, სიმპათიური, განათლებული და განონასწორებული მამაკაცი.

16. გავიცნობ 20-29 წლამდე ასაკის, არამსუქან, 169-175 სმ სიმაღლის გოგონებს. ვარ 18 წლის, 184 სმ სიმაღლის, მშვენიერ ტანზე.

17. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №27, მე-3 მესიჯის ავტორის ნომერი.

18. მინდა გავიცნო 30 წლის ზემოთ ქალბატონი, რომელსაც სურს ოჯახი, ატარებს წმინდა სულს! დამირეკეთ ან დამიმესიჯეთ დღის მეორე ნახევარში! ფრიდონი.



სსპალასპა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? ცოტა აგრილდა და ალბათ ამოისუნთქეთ. ველოდებით, იქნებ რამე სიახლე იყოს, ბევრია შეპირებული და იქნებ ერთმა მაინც გააკეთოს რამე. ჩემი პანია ხარ... საბას დაბადების დღეს გვინვედა შემოსვლა, მაგრამ ორშაბათია და მე ვერ მოვახერხებ. ამიტომ ხუთში შემოვალთ და არ ინერვიულო. რაღაც, იმედიანად ვარ და არ ვიცი, რატომ. არ ინერვიულო, დე, ყველაფერი კარგად იქნება. შენ გვერ-



დით ვართ, ერთად გავუძლოთ გასაჭირს და მერე ყველაფერი კარგად იქნება. საბა და ნინო კარგად არიან, მაიმუნობს ის საძაგელი და არის ასე... ამას წინათ ჩვენი ლევანი იყო მოსულელი, ბესო სკაიპში შემოვიდა და ისე სვამდნენ, თან შენზე ლაპარაკობდნენ. ბებია კი დაგვიბერდა, მგონი, ნაქცეულა ლილოში და მუხლი აქვს ჩაღურჯებული. ხუთშაბათს, 22-ში შევდივართ ბადრისთან და გავიგებ, როგორაა. მაგის საქმეზე (ახალი ადვოკატის აყვანა რომ მიხდოდა, მე და შენ რომ ვიყავით გვიან საღამოს წასული, ასაკოვან კაცთან) გამომძიებელი იყო შესული, მეც დაბარებული ვარ ამ დღეებში და ვნახოთ, რა იქნება. დედუცი, გეფერები, მიყვარხარ, ღმერთი გფარავდეს. მაგის საქმეზე ყველა შინაურისგან. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალეხს. დედა.

• ბაცაცო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ღვთის წყალობას. ჩვენ ყველაფერს ვცდილობთ. ვნახოთ, რა გამოვა. ისე, ჩვენ კარგად ვართ. იქიდან არანაირი პასუხი არ არის, არც კარგი, არც — ცუდი. ირაკლიმ ჩააბარა, თან ზემოთაც დადის და ყველაფრის საქმის კურსშია. მე მგონი, იქაც სასიკეთოდ წავიდა საქმე. ნიკაც ძალიან მესმარება. სანდრი სულ გახსენებს. დედაშენი სუპერაქტიურია. გულო.

• მამ, ხომ ხარ კარგად? ხომ იცი, ყველას მიყვარხარ! ნუ ნერვიულობ, რადგან ყველაფერი კარგად იქნება. შენი შოშია.

• ერთმანეთი ძალიან გავამწარეთ ორივემ, მაგრამ გული ვერ გვიცინებდა. თითოეული შენთვის მოყენებული ტკივილი ჩემს გულსაც სტკიოდა.

• აკა ამბობს, მე აკა ვარ, მამა — იკაო. მე ვეუბნები, ორივე ირაკლი ხართ-მეთქი, მაგრამ თვითონ ვერ ამბობს. ჩვენზე ერთი წამით არ იდარდო, გთხოვ, შენს თავს გაუფრთხილდი. ყოჩაღად იყავი, ჩემი ხათრით თავს აჯობე. ხომ გეუბნებოდი, აღმართს ყოველთვის დაღმართი მოჰყვება და ერთი დრო არავის შერჩება-მეთქი? რეალიზაცია თუ ვერ ვცვლით, ისეთი მივიღოთ, როგორც არის. გთხოვ, როცა დარდი მოგანწვება, ეს სიტყვები გაიხსენე. ჩემთვის ყველაფერი ხარ და არ მინდა, დათრგუნვილს გხედავდე. მიყვარხარ. შენი თამუნა. ხუთშაბათამდე.

• დათო, ძალიან მიყვარხარ და უზომოდ მენატრება შენი მოფერება და ტკბილი სიტყვები. ველოდები ჩვენს შესხვედრას. შენ არ ჰგავხარ სხვას. არაფერზე ინერვიულო. ქალი.

• ეგ ტკივილი მაშინ დაგვიამდებდა, როცა ჩაგიკოცინე მაგ გულმკერდს. მე ტკივილი არ მიმიღია, უბრალოდ, არ მიხდოდა ბუცას დავარგვა და იმიტომ

გავებრახდი. იფრთხილე, ლამაზო.

• ჯოტი, არ ინერვიულო, ბედისწერას ვერ ასცდება კაცი. მე შენი იმედით ვცხოვრობ. ყოველი დღე შენთვის მითენდება. გამაგრდი, უნდა გაძლიერდე. უფალი გფარავდეს. უენა.

• ალექო, ძალიან მიყვარხარ. ყველას ძალიან გვენატრები. გნამდეს, ყველაფერი კარგად იქნება. ილოცე! გკოცნი! გფარავდეს უფალი და ღვთისმშობელი! გვიყვარხარ! ქეთინო მაიიდა.

• 3.198გი, ნეტავ როგორ ხარ? ძალიან აგვაფორიაქა იმან, რომ არ დარეკე. ნეტავ, რამე ხომ არ გიჭირს უფრო მეტად? რაღაც, არეული ვარ საშინლად, ამ დღეებში. ნახვისას გეტყვი. თანხის ჩარიცხვაც დამიგვიანდა ერთი დღით. ისეთი რიგი იყო პენსიების გამო ბანკის ყველა ფილიალში, რომ სალარომდე ვერ მივედი. პარასკევს მოვახერხე. აქ ვართ რა, რაუნდა ვქნათ. ველოდებით იმედის თვალით მომავალ თვეებს, იქნებ რაიმე იქნეს სასიკეთო. უშენოდ ცხოვრება მიჭირს, საშინლად ვნერვიულობ. თავს გაუფრთხილდი, რამდენადაც ეს შეიძლება. აქეთ არ გვიჯავრო, როგორღაც ვართ და ვუძლებთ ამ ტკივილს. იქნებ მალე დასრულდეს ეს კოშმარი. ძალიან მენატრები, მიყვარხარ და მოუთმენლად გელი. თეე.

• 3.198გი, საბამ და ნიკომ მოგიკითხეს, თათრის გიო იყო მოსული და იმანაც იკითხა შენი ამბავი. ჩემი მოუწონებელი ტკივილი გახდი ბუუს, გკოცნი. ძალიან მიყვარხარ. თეე.

• განშორება მიჭირს, მაგრამ ჩემი გამგზავრება აუცილებელია. მაი, წამოდი, ჩვენ ხომ უერთმანეთოდ დავიტანჯებით. მიყვარხარ.

• მაი, ჩემმა წასვლამ არ დაგჩაგროს, მიყვარხარ, მალე დაგიბრუნდება. მაიკოს გაუფრთხილდი. გკოცნი.

• თეე, გენაცვალე, შენი საჩუქარი მივიღე კახასგან, მადლობა დიდი, სტუმრები მყავდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველას ვუთხარი, არაფერს ვაკეთებ-მეთქი, ეკო იყო, შენი და ჩემი დები, მამუკა და კახა 1-ელ საათზე წავიდნენ, სულ შენზე ვსაუბრობდით, ყველა შენს მოლოდინშია, ძალიან ლამაზია ჩვენი სახლი, სავსეა ყვავილებით, თუმცა ძალიან მიხდოდა, მათ შორის ერთი შენი მორთმეული ყოფილიყო, მაგრამ არა უშავს, ეს დღეები მალე დამთავრდება, თეე... დღეში ალბათ 10 მესიჯს მარტო მე გიგზავნი. არ კითხულობენ, არ იდარდო არაფერზე, ყველა კარგად გყავს, მენატრები, ჩემო ცხოვრებაზე, უზომოდ მენატრები. წუხელ დამესიზმრე და ძალიან ბედნიერს გამომეღვიძა. გიკოცნი ლამაზ თვალეხს, ჩემო იმედო, გელოდები ჩემო ერთადერთო, მე შენ მიყვარხარ, არ დავიღლები არასოდეს.

სანდრიმ საჩუქარი მომართვა და ძალიან გამახარა. აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი, სანდრის ძალიან ენატრები. მინდა, ჯანმრთელად იყო, ესეც გაივლის და დადგება ბედნიერი დღეები. გაკოცე და გიხუტებ გულში. ბუტია.

• თეე, შენი ბიჭები ყოჩაღად არიან, ყველაფერი რიგზეა სამსახურში, ნინა და მამუკა ხშირად ამოდიან ჩემთან, ეკოც სულ აქაა, ყველა ჩვენ გვერდითაა, არ დამეღალაო, შენი მოთმინებისა და გამძლეობის იმედით მეც ქვად ვიქეცი, არაფერი აღარ გამაკვირვებს ჩემო, ამ ცხოვრებაში. მე ძლიერი ვარ იქ, სადაც შენ არ ხარ, შენ რომ დამიბრუნდები, ისეც გაბუტულ გოგოდ გადავიქცევი. შენ რომ ძალიან გიყვარდა, ისეთად. გელოდები, გელოდები, შენი ღიმილი მინდა თეე, მე შენ მიყვარხარ! ბუტია.

• თათო, სის, გილოცავ ავიაციის დღეს. სლავასაც მივულოცე. ჩვენ ქობულეთში ვართ. შენი წერილი მივიღეთ, ჩვენც გამოგიგზავნეთ, უკვე 3-ჯერ. თანხას ყოველ ხუთშაბათს გირიცხავ. ციცო.

• მაი, ჩემმა წასვლამ არ დაგჩაგროს. მიყვარხარ, მალე დაგიბრუნდება. მაიკოს გაუფრთხილდი. გკოცნი.

• მიყვარხარ და ამ სიყვარულს ვანაცვალე. არ ვნახობ, შენ ხომ ჩემი სიცოცხლე ხარ. ალი.

• ბედისწერა არ არსებობს. მივიღე შენი წერილი. ყველაფერი გადავეცი. იცის, რომ კურსში ვარ. ჩემგანაც იცის გვერდზე.

• სიღნაღის მერე ევროპა გველოდება. მინდა, მთელი სამყარო გაჩუქო. მიყვარხარ. ალი.

• ვიკარგები. ჩემს განზომილებაში მარტო ვარ. უშენოდ. მარტო. ეჰ... დრო თითქოს ცდილობს, გამახსნოს ჩემი წარსული. მე კი ამ დროს ვახსენებ მის მომავალს. JONNY'S GIRL. X.O.

• დათი, დედას სიხარული, როგორ ხარ? მე ფიქრითა და ოცნებით სულ შენთან ვარ, იცოდე, მარტო არა ხარ. ჩემთვის ძალიან მწარე იყო 28 აგვისტო უშენოდ. თავს გაუფრთხილდი. დე, გთხოვ, კარგად მოიქეცი, რომ კარგი დახასიათება მოგცენ და მალე გამოხვიდე. მთავარია, გული არ დაიბოლო. ღმერთი გვაფრთხილებს, ყველაზე მეტად დაიცავი შენი გულიო.

• ადამიანი მთელი სამყაროა, ზოგჯერ ყოველგვარ სამყაროზე უკეთესი, ამბობდა მოდილიანი. გრუზინკა, გულში ზიხარ. რუი, გრენე, ვიცი, კიდევ ბევრ შემოდგომას გაუძლებ. მარი კუ-სა.

• ი რ ა კ ლ ი, გამარჯობა. იქნებ ახლა ამის დრო არ არის, მაგრამ თუ არ გეტყვი, შემშლის ამაზე ფიქრი. შენ ძალიან, ძალიან ცუდად მომექეცი. არ აქვს არანაირი ახსნა ან გამარ-



თლება შენს საქციელს. იმის მერე, რასაც ნითელ პარასკევს შემპირდი, იმის მერე, როგორც მაშინ მთხოვდი პატივებს, შენგან საშინელი დაცინვაა ეს. არ ვიცი, რით დავიმსახურე ან რით დამავინწყებდი ასეთ რამეს, მაგრამ ახლა მარტო, უშენოდ დარჩენილ ისე მტანჯავს ათასი ეჭვი და ფიქრი, რომ ჯოჯოხეთში მგონია თავი. ეს არ უნდა გექნა, თუკი გულწრფელად გიყვარდი. შენ ყველაზე კარგად მოცნობ. იცოდა, რამხელა ტკივილს მომაცუნებდი ამით და მაინც იმივე გააკეთე. ეს მაფიქრებინებს, რომ არ გყვარებოვარ, შეყვარებული ადამიანი ზრუნავს თავის სიყვარულზე, ცდილობს, დაიცვას სხვისგან მოყენებული ტკივილისგან, და არა — თვითონ გაამწაროს და თან, როცა გიყვარს, ბუნებრივად გაქვს სურვილი, უერთგულო, რადგან ის გიყვარს მარტო და სხვასთან ყოფნაზე ფიქრიც გეზიზღება. ჰოდა, მითხარი, როგორ დავიჯერო, რომ გიყვარვარ? რა მოვუხერხო ამ ნამდვილად საფუძვლიან ეჭვებს? როგორც ყოველთვის, ახლაც გამოუსყიდველად, უბრალოდ უნდა გაპატიო, მე თუ მიყვარხარ, მაგრამ ნეტავ შენ თუ გააკეთებ რამეს, რომ ასეთი რამის პატიება დაიმსახურო? თან მერამდენედ? მე ჯერ მარტო ერთს გთხოვ: ილოცე ჩემთვის და თუ ნამდვილად გიყვარვარ, შენი ლოცვა ისეთი გულწრფელი იქნება, რომ ღმერთი შეისმენს, გაპატიებს და მეც დამეხმარება, რომ უშენობასთან ერთად ასეთი იმედგაცრუება, ასეთი საშინელი დამცირება, ლაღატი და ტყუილი გადავიტანო და როგორმე პატიება და დავიწყება შევძლო...

• იკა.ხ. მე შენი მონატრებით შევიშალე! ღრუბლებში შენს სახეს დავეძებ, ფოთლების შრიალში შენს ჩურჩულს ვუსმენ, მზის სხივები შენს მწველ კოცნას მახსენებს, ქარს შენი სურნელი მოაქვს ჩემთან, წვიმის წვეთები რომ ფანჯარაზე მიკაკუშებენ, მგონია, ისევ შენ მესვრი კენჭებს. ერთხელ მითხარი, სადაც უნდა წავიდე, ბოლოს მაინც შენს ფანჯრებთან ვბრუნდებიო. მეც მოთმინებით თუ მოუთმენლად ველოდები შენს დაბრუნებას. ალბათ უკვე მიხვდი, როგორ მიყვარხარ და მაინც გეტყვი: ვგიჟდები შენზე! ტომირანდა.

• 3.198 გი, შუალამეა, არ მეძინება და შენზე ვფიქრობ. ნეტავ, როგორ ხარ? საშინლად მარტოდ ვგრძნობ თავს და გაუსაძლისია უშენობა. მენატრები ბუუს, მიყვარხარ. გკოცნი. თეე.

• იკა, რავა ხარ? მაგრად მომენატრე, ჩვენი ჯგუფი დაიშალა. თითქმის ნახევარზე მეტი ბავშვები გადავიდნენ. ბიჭებიდან ლაშა და ვასკა დარჩნენ მარტო სდასუში.

• გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ მო-

ვიშორო ადამიანი, რომელიც ჩემზე გიჟდება. ვუთხარი, რომ არ მიყვარს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. თუ ვინმე გავიცანი, საქმეს ურჩევს. ELI CRAZI GIRL.

• იისფრით გაყვლითილი კაბარე გენატრება, ქალბატონო ლალი, არ შედიხარ, სცენა აღარ ზანზარებს, თუმცა იყავ ერთ დროს მისი თვალი... გილიმის ქმარი და... ამის განცდა ჰგავს ციდან წყალბობას ღმერთის, კალთაში ჩაგიდებს დალილი თავს და ეს ყველაფერია შენთვის. ;) მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• გაალო კარი და შემოვიდა, შემოჰყვა თამბაქოს სუნის, განდევნა სახლიდან დემონი და გაფანტა მიზეზი ჭმუნვის...

• გათანაგული სიყვარული გატყვევებს, სისხლისა და მჟავე ოფლის გემო, თუ გსურს ფეხქვეშ რომ გაგიგოვარდები, ინებე და ჩამობრძანდი ქვემოთ... გიყიჟინებს იღუმალი ზმანება, ნამდაუნუმ გამოდიხარ კარში, ბელეშა და ყვეყი სინამდვილე ილუზიას გაგიფანტავს ქარში... დიონისე სულში მაინც ზეიმობს და მაგ ტვინში ქორნილი აქვს ჰერას, არ მიყვარხარ, ორგეების გიჟო, მაგრამ სადღაც, შენი მაინც მჯერა! უშენობით განიმუხტა კაბარე, ვაზის ჯვარი მოგაგებებს როცა, დაუჩოქე, დაუჩოქე ლალი, დანყებულა სააღდგომო ლოცვა... მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• დუმილი მეტყველებს ასე იშვიათად, ღამე მეძახის და მივდევ, ცას მთვარე ყელზე ხალივით მიკვრია და ხალის საკოცნელად მიწვევს... ვარსკვლავი ზღვაში შესავით ერთობა და შესწავით მიყურებს წყლიდან, ღრუბელი შუბლზე თმასავით ეტყობა და თმების გადაწვევა მინდა... გამირბის, ნავარდობს, ნაზად ციმციმებს და სავსეა ქალური ვნებით, მერე ზღვის მკლავზე დადლილი იძინებს და მე ეჭვის კლანჭებში ვკვდები... სიჩუმე მეტყველებს ასე იშვიათად, სულაც ერთადედერთხელ იქნება, ცას მთვარე ყელზე ხალივით მიკვრია და მთვარეს საკოცნელად მივდევ. მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• გოჩა, უღრმესი მადლობა ჩემო კარგო, ღმერთი გფარავდეთ. გამახარე. ჩვენი ქართველო, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ! ნუგოპი, გაიხარე. მოკითხვა ნანი ბებოს. თქვენი ლუნა.

• ადრე მახსოვს, კაჭკაჭი ამესიჯებდა „გზაში“. მაგრად მომწონდა, სადაა და როგორ გრძნობს თავს? ეჰ, ადრე კარგი იყო „გზა“, ამ ახალმა თაობამ ნახანდინა ყველაფერი. :) მოხევე.

• ნუგოპი-ს მინდა მივმართო მეგობრული რჩევით: რადგან გისოსებს მიღმა ხარ, მეეჭვება, რომ ვინმე გამოგეხმაუროს სიყვარულისთვის. სამწუხაროდ, პატიმრებს ცუდად უყურებენ. მოხევე.

• აუ მარ, მაგრა მევასები. ნეტავი ბევრი გაზარდოს შენისთანები დედა-

მა. P.S. მეცოდები, ამდენი იდიოტის ხელში. მოხევე.

• ჭკუათამყოფელი ადამიანი დანანებით იტყვის შენი სმს-ის შემდეგ, რაც ცუდი ადამიანი ყოფილა ეს მემო და ალბათ მართალიც იქნება, რადგან არ დავიწყებ არაფრის ახსნას. მე — მემემ და შენ, ემიგრანტმაც კარგად ვიცით რეალური მიზეზი ამ ყველაფრის. მიზეზი სწორედაც შენი მცდელობაა, კახას მამებლობის და მე რომ ზუსტად მის საამებლად არ ვიქცეოდი, მაგიტომ გაიქცა ჩემგან. ასე რომ, მე გულის კარნახით ვურთიერთობდი შენთან. მოკლედ, ერთი მოთხოვნა მაქვს: ნუ დაკარგავთ დროს, ზურგს უკან ჩემზე საუბრით. მიხედვით თქვენს ურთიერთობებს და გაიხარეთ. არ ინერვიულოთ, უთქვენოდაც კავალ ფონს და იქნება ალვიდგინო, ასე შელახული იმიჯი. ჰმ! სასაცილოა, მეტი არაფერი. მემე.

• რომ არ გეგონო გამწარების გამო სანყალი, მიზეზი ჩემი გამწარების გეტყვი, რაც არის. მე ჩემზე შენი ცუდი აზრი კი არ მამწარებს, მამწარებს ის, რომ შენ გგონია, ის მე მამწარებს... ყველას, სრულიად კახასებრთა ოჯახის წარმომადგენლებს. არ უნდა იყოს გულდასანყვეტი ისეთი ადამიანის წასვლა შენგან, ვინც უარყოფითად არის განწყობილი და მარგალიტებიც რომც უგორო, მათში კენჭებს დანახავს, ვინც მცირეს არ მოგიტყვევებს და დაგაკისრებს ვალს ადამიანურობის არქონისას, არ უნდა გეტკინოს ის, ვინც ბენვს დაქვებს შენს თვალში. არ უნდა გეფიქრებოდეს, თუ ეგოცენტრიკულად ამიანებს კარგავ, მაგრამ ეს ოხერი გული, შენგან სეპარატისტული ორგანოდ გადაქცეული, თავისში იშენებს ტკივილის ბუდეს და ტკივილწარევად ფეთქავს ამ ყველაფრის გამო... მე მეცოდები შენ, ავეიობის ფესვზე ნახარებო ურთიერთობავე. მემე.

• ნუგოპი-ს მინდა მივმართო: პატიმართან უბედნიერესი ოჯახი? არ გენყინოს, მეგობრობა კი, მაგრამ მეეჭვება, ვინმე გაგეცნოს სხვა პონტში. ეს ჩემი აზრია. შეილთან დაკავშირებით ყოველივე კარგს გისურვებ, მალე თავისუფლებას და კარგი ოჯახის შექმნას. ღმერთი გფარავდეს. გზავნილებო, მიყვარხარო და გთხოვთ, ნურავინ წავა აქედან. თეთრო.

• დედაო ჩემო, სულზე უტკებესო! უიღბლო დროში, ჟამს უბედობის შენ გამაჩინე ამ ქვეყანაზე. მოხევე.

• მწვანე ჩინარი, მწვანე ჩინარი, ძენ-ნა ხახახა მეტად, ათას გოგოში ერთი გოგონა ჩემთვის ვიგულე ბედად. :) მოხევე.

• გრუზიკა, მესმის შენი და გეთანხმები, მართლაც, რომ გულია მთავარი, ნაომისნაირი ადამიანის გამო არ ღირს ნერვიულობა. მოხევე.

• ვუერთდები შენს მილოცვას, მეც



ახლახან მეყოლა პატარა. მართლა დიდი ბედნიერებაა შვილიყო. დედობა და მამობა ღმერთმა გამოაცდევინოს ყველას! მაცმაცუნა.

• დიდი ხანია, „გზავნილებს“ ვკითხულობ. ნაომი უსინდისოდ, ქართველ მანდილოსანს რომ არ შეეფერება, ისე იქცეოდა, მაგრამ ამ დონის გახრწნილი თუ იქნებოდა, რას წარმოვიდგენდი? მოხევე.

• გრუზინკას მსგავსად კიდეც ბევრი მგზავნელი გამოჩნდება, რომელიც ნაომის მიერ იმედგაცრუებულნი იქნებიან. მაგრამ გულს ნუ გაიტყვებ. ნაომ, ნეტავ, თუ არ გეშინია, ტყუილის?

• ლუნა, მე მიკვირს, რომ ვერ ხვდები, ნაომი შენთან ორმაგ თამაშს რომ თამაშობს. ალბათ გამოუცდელი ხარ, არა უშავს, მიხვდები ბოლოს და იმედია, გვიანი არ იქნება. გამცილებელი.

• ვაი... ნაომ, რა უტვინო ქალი ხარ, რომ იცოდე! თავიდანვე ვაკვირდები შენს მესიჯებს და გავიგე ყველაფერი, ვინ და რა ხარ, ისიც, ანტიფანი რომ ხარ. ასე რომ, მართლა ჩუ! გამცილებელი.

• ამ „მოზილი-ზაციაში“ საზიზღარი და გულისამრევი მესიჯები იბეჭდება. აღარ მინდა, „გზა“ გადავშალო. რა უბედურებაა ამ ციხის მესიჯები? არ მესმის.

• საღამო მშვიდობის, მარი. დიდი მადლობა მინდა გითხრათ ჟურნალ „გზის“ კოლექტივის იმისთვის, რომ ოტია იოსელიანზე სმირად წერთ.

• მარ, უსაყვარლესი ხარ. ლუნა, დაიკო, შენ კი უმაგრეს ამბებს წერ. მარ, ფოტოიანი „გზავნილები“ რატომ აღარაა? კარგი იყო. კლეოპატრას მოკითხვა.

• მაცმაცუნა, ყველამ თავის ნიკს მიხედოს! მთავარია, მე მომწონდეს ჩემი ნიკი და სხვისი აზრი სულ მკიდაია! ისე, ვერ გავიგე, აქ რისთვის ხარ? იმისთვის, რომ აქ მოსული ნიკები შეაფასო? თუ იმისთვის, რომ რუსთაველები ეძებო? შენს თავს მიხედე, რა! კაცუნა!

• ერთს რამეს გირჩევთ: ბიჭს არასდროს უთხრათ, რომ გიყვართ. მიუწვდომელი უნდა გახდეთ. ამით მისთვის სასურველი გახდებით. დამიჯერეთ. ELI CRAZY GIRL.

• სიზმრიდან გამოღვიძებულს ცრემლები თავისთავად ასკდებოდა აალებულ სახეს... ტკივილი კვლავ განმეორდა, უფრო მკაცრად. ისე, რომ ნაიარევი კარგა ხანს დამჩნეოდა სულსა და გონებას... ტუჩებზე მომდგარი ცრემლები უგზო-უკვლოდ აწვნილ თმას მისველებდა და სიმლაშეს აგებებდა... ლოგინიდან წამოჭრილმა შვება

ფანჯარასთან, ჰაერის ერთი ყლუპის ჩასუნთქვით ვპოვე, რომელსაც თან გაუთავებლად ცხელი ცრემლები მოჰყვა... ლოყებზე დამწვარმა ნაკვალევმა რეალობაში დამაბრუნა და კვლავ გამიცოცხლა ტკივილი იმ ადამიანის დაკარგვისა, რომელიც ჩემი სისხლი იყო. სისხლის დუღილმა გამახსენა მწარე დღეები, როცა სამუდამოდ ვეთხოვე-ბოდიით...

• შემორჩენილა მხოლოდ მოგონება და უსასრულოდ ნანატრი სიზმარი, რომელშიც მას ელი. არადა, თითქოს ყოველივე რეალურად იყო... თბილი ჩაკონება, მშობლიური სითბო და ყურში მწარედ ჩარჩენილი მისი სიტყვები: ჩვენ ვერასდროს ვიქნებით ერთად... ფეხის წვერებზე აწეული... სხეულს ჟრუანტელი ცივად დაჰპატრონებია... საბანში გახვეული ცდილობ, მარტობა გაიფერადო და გადაეშვა ჭრელი ფერებით მოხატულ სამყაროში... გაფითრებულ ხელზე სიცოცხლის ხაზებს ფერი დაუკარგავთ, სხეულს კი მსუბუქად ელამუნება მსუბუქი, თანაბარი სუნთქვა. ყველაფრისგან გათიშული გრძნობ სხეულის ძილისმომგვრელ სითბოს. ათასჯერ ნანახი და განცდილი ათასმეერთედ მეორდება. კანზე ნაგრძნობი სურნელი მხოლოდ წარსულია ხილული, უფრო სწორად, ფიქ-

სახელმძღვანელოები!

და სასკოლო საკანსელარიო საქონალი

„ბიბლუსის“ ყველას მატახიაში!

მათ შორის
ახალ ფილიალებშიც:

თბილისი - ვაჟა-ფშაველას 47
ქუთაისი - შავპაპის გამზირი 58
ლანჩხუთი - ჭოროხის 103

ფიქსირებულ ფასად!

ჩაიცოცხლე ჩივილი
ყველას იქნები

www.biblusi.ge ტელ: 2307 402



რი წარსულზე. ვერაფერს ცვლი და უბრალოდ, უფრო ხილდები, ტკივილით დაწყებულს, ვიდრე სიცილამდე.

• ისევ მუსიკა... ტკბილი ბგერების სიაში მონაწილეობა და ეფექტური სიხარული მარტოობის ჟამს... სწორედ რომ უმაღლესი დონის მუსიკა, სულით ხორცამდე მხოლოდ მარტოობის ჟამს შეგძირავს... მარია მოს...

• ჩემო თბილო და ტკბილო ემიგრანტო, შენმა მესიჯმა გული მატკინა, განსაკუთრებით მეწყინა შენი დის დაღუპვა, მიგრაციის გამო დედამამიშვილი რომ ვერც დაიტირე და ვერც გამოეთხოვე. ჩემო ძვირფასო, ეს დიდი ტკივილია, ღმერთმა მოგათმენინოს, შენს დას კი სასუფეველი დაუშკვიდროს, ან და მარადის. ახლა მემეს შესახებ: ჩემო ემი, მემე შენ გამაცანი, შენ გამოგზავნე ჩემთან ამხელა გზაზე. მე შენი პატივისცემა არასდროს დამავიწყდება. შენ და მემე ხომ მეგობრები ხართ. მემემ დაკარგა სამუშაო, შეიძლება იქ ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ იჩხუბეს ალბათ, მემე დაუმსახურებლად შეურაცხვეს, დაამცირეს, ახალგაზრდა გოგომ ვერ მოზომა ალბათ და სამსახურიდან თვითონ წამოვიდა. ჯერ ბავშვია. შეიძლება ისეთი რამე აკადრეს, რომ ვერ აიტანა. ამიტომ, ემი, მიუტყვე, აპატიე. შენ ხომ სულგრძელი ადამიანი ხარ. მე კი კარგი ამბავი ვიცი. ვიცი, შენც გაგიხარდება. ჩვენს მემეს სიყვარული ეწვია და სულ მალე გაგვიბედნიერდება. მისმა რჩეულმა ტელეფონით მაუწყა, რომ 25-ში 25 წლის ხდება, ოქროს დაბადების დღეს ვაპირებთ ნიშნობასაცო. სიძე ჩვენი ჟურნალი „გზის“ მგზავნილია. ძალიან გამიხარდა, ღმერთმა გააბედნიეროოოოთ!!! ჩემო ემი, წყენა დაივიწყე, მოვეფეროთ და სიხარულით სავსე დღეები ვუსურვოთ. P.S. მოუთმენლად ველი შენს ჩამოსვლას! ნანი დუმბაძე.

• ვიცი, ბევრი ვერ გამოიგებს და იტყვის, 17 წლის ბავშვისთვის რა დროს სიყვარულიაო, მაგრამ სიყვარულმა ასაკი არ იცის. მე პირველად და უკანასკნელად შემიყვარდა. ლიზი123.

• ძნელია როცა გიყვარს და იცი, რომ ეს სიყვარული აკრძალულია, მაგრამ მე მაინც მიყვარხარ. ჩემი ცხოვრება ხარ, უშენოდ არ მინდა ვიცოცხლო... ლიზი123.

• მენატრები, მიყვარხარ... მინდა ვიყვირო, მაგრამ არ შემიძლია... ლიზი123.

• ვინ თქვა, რომ სიყვარული ბედნიერებააო. სიყვარული მხოლოდ ტანჯვაა, ცრემლი, ტკივილი და იმედგაცრუება. აი, რა არის სიყვარული. ლიზი123.

• როცა სკოლაში დავდიოდი, სწავლის დაწყებისთანავე, მასწავლებელი ყოველთვის გვაძლევდა თემას — „როგორ გავატარეთ არდადეგები“. სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ

ფურცელზე ვწერდი, რა და როგორ უნდა გამეკეთებინა, როგორ უნდა დამესვენა, რადგან შემდეგ კარგი და საინტერესო თემა დამეწერა სკოლაში, მაგრამ რაც მწერა ფურცელზე, ვერაფერს ვასწრებდი... გავიზარდე და მივხვდი, რომ არა მარტო საზაფხულო არდადეგების, არამედ არაფრის დაგეგმვა არ ღირს... ეს ზაფხულიც ასე დაიწყო — არაფერი დამიგეგმავს. საერთოდ, ქალაქიდან გასვლას არ ვაპირებდი. დაწინიე სურათების ჩარჩოს კეთება, წერა და კითხვა — ჩემეული გართობა. მიმაჩნია, რომ საინტერესოდ გავიდა ის პერიოდი. თუმცა, რამდენჯერმე მომიწია ქალაქიდან გასვლა. ჩემს მშობლიურ მხარეს, ლაგოდეხს ვწვიე 2 ვკირით. ერთ საღამოს, როცა მოწყენილი ვიყავი და არ ვიცოდი რა მეკეთებინა, რადიო ჩავრთე. ჩემი საყვარელი რადიო — „ჰერეთი“. გამომართლა და ჩემს საყვარელ დიჯეი მაგდას მიჰყავდა სმს-მიძღვნები. უცებ გამახსენდა ჩემი საყვარელი მეგობარი, 9717. ვიცოდი, რომ ხშირად უსმენდა რადიოს და მეც გავაგზავნე სმს და დიდი სიყვარულით მოვიკითხე მიშკო. რამენაირად ხომ უნდა ვეცნე? ჰოდა, ჩემი ნიკი მივანერე ბოლოს... მადგამ რომ ნაიკითხა, ძალიან გაუხარდა, მომიკითხა თბილად, შემაქო... ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვერ ვფიქრებდი (ან რატომ არ უნდა მეფიქრა, არ ვიცი) თუ დიჯეი მაგდა „გზავნილებიდან“ მიცნობდა. ძალიან გამახარა და ამისთვის კიდევ ერთხელ დიდი მადლობა მას. სოფელში კარგად გავერთე. დავდიოდი მდინარეზე, მთაში და ა.შ. თბილისში დაბრუნების შემდეგ, თითქმის ყოველ კვირაში ვესწრებოდი პოეზიის საღამოებს. ზოგჯერ მე და ჩემი მეგობრებიც ვანყობდით. დამეთანხმებით ალბათ, რომ მეგობრებთან ერთად დასვენებას არაფერი სჯობს. მიმაჩნია, რომ ძალიან მრავალფეროვანი იყო ჩემი ზაფხული... აქვე მინდა მივგაერთო ქართველს: ძალიან გამახარა თქვენმა წერილმა, დიდი პატივია ჩემთვის ასეთი სიტყვები. არ ვიცი რა დაგინეროთ, სიტყვები არ მყოფნის. უბრალოდ, გისურვებთ მალე ქვეყანაში დაბრუნებას, უფალი გფარავდეთ. მეც მუამყავთ თქვენისთანა ქართველები, რომლებსაც გენში აქვთ საქართველოსა და ქართველების სიყვარული, სწამთ და აღიდეგენ უფალს... პატივისცემით, ლაკვასტი.

• ასეთი შეგრძნება არასდროს მქონია, შეყვარებული დიდი ხანია ვარ, მაგრამ ეს რამდენიმე დღეა, გული სხვანაირად აჩქარდა, ღმერთი მფარველობს ჩვენ სიყვარულს, თითქოს უფრო გავძლიერდით, მტრის შურიან შემოტევებს ღვთის წყალობით ვიგერიებთ, ენით ვერ აღვწერ, თუ რა ბედნიერებაა სიყვარული, ადამიანი, რომელიც ყოველ წამსა და წუთს გილამაზებს.

მერე რა, რომ ბრძოლა გვინებს, ჩვენ ხომ ერთად ვართ, ის ხომ ჩემია და მე — მისი, ის ხომ ერთადერთია, უდიდესი ბედნიერება და ძალაა, მაცოცხლებს მძაღლებინებს, ბევრი რამ ვისწავლეთ ერთად, აღარ გავახარებთ მტერს, უფლის გზაზე ვივლით და გავძლიერდებით, სულ ასე ძლიერად გვეყვარება ერთმანეთი. კი, მე მჯერა, რომ ასე იქნება, მე ყოველთვის ვიტყვი, რომ მე მან გამაცოცხლა და გამაბედნიერა, დღეს რატომ, ასე განსაკუთრებულად? იმიტომ, რომ გაძლიერდი და ბოროტს შევებრძოლე და კეთილი გავახარე. მე ბედნიერი ვარ. ბევრს არ დაავიწყდება, ყველგან მოჰყვებიან ჩვენზე. ღმერთო, დაიფარე სამუდამოდ ჩვენი სიყვარული და მოგვეცი ძალა, რათა შენს გზაზე ვიაროთ, დიდება შენდა, ამინ. ყველამ გაიგოს და იცოდეს, რომ ჩვენ ვერ მოგვერევა ვერანაირი ბოროტი, იმიტომ რომ ჩვენი სიყვარული წმინდა და ძლიერია. P.S. მე შენ სიცოცხლეზე მეტად მიყვარხარ და სულ მეყვარები ცოცხალსაც და მკვდარსაც. P.S.S. ჩვენ შევძლებთ, ერთმანეთს დანაპირები შევუსრულოთ. ბუცა.

• გრუზინკა, ჩემო კეთილო ადამიანო, ერთს გეტყვი: დაიკიდე და გაატარე ყველა ბოროტი და ცუდი ადამიანი და მისი აზრ-შეხედულებები, შენ და შენმა საყვარელმა ადამიანებმა ხომ იცით, შენ ვინ ხარ, შენ შენი კეთილი და ლამაზი გულით განაგრძე ცხოვრება, გააკეთე კარგი მთელი გულით და არა იმიტომ, რომ უკან დაგიბრუნდეს. ვინც ბოროტია, ის ისედაც საცოდავია, სანყალი, იმიტომ რომ არ უყვართ და არც უყვარს, ბედნიერი ხარ იმიტომ, რომ გიყვარს და უყვარხარ, ფული და სილამაზე არაფერია, დამიჯერე, გული და სინდისი უფრო მეტია. იყავი ისეთი, როგორც ხარ. უფალი არ მიგატოვებს იმიტომ, რომ შენ კარგი ხარ. გაატარე ცული, დაიმახლოვრე კარგი და უზასუზე კარგიმე. ბუცა.

• გამარჯობა. ახალი ვარ და მინდა, მეც თქვენთან გავხედ. მიმიღეთ თქვენს სასტავში გთხოვ, მარ. კახელკა.

• უნდა მოგიყვებო მკითხველსო, ჩემი ცხოვრების ამბავი, თუ როგორ მტანჯავა მე ცოლმა, ერთკვირა-ნახევრის მანძილზე. მე შევირთე ჩემი ცოლი თანხმობით და გარიგებით, ძალით არ წამიყვანია, რომ გაუშვათ თქვენ ეჭვს ხელი. ვცხოვრობდით ჩვენთვის ლამაზ ოჯახში და როცა გგსურდა ვსიამტკიცობდით, მერე კი უცბად ჭკუა შეიცვალა, რა ჯოჯოხეთმა ურყია ტვინი. მეუბნებოდა, ხშირ შემთხვევაში, მე აღარ მინდა შენი სახლკარი, უნდა წავიდე რომ ვინავარდო, ჩემმა გულმა რომ კარგად იხაროს. მე მას შევთხოვე, სად წასვალ ლალი, ახლა ლამეა, უბერავს ქარი, ქმარი, ოჯახი შენ აღარ გინდა? და დაეტიე, რად გვინდა შარი? ნავალ



თბილისში და იქ ვიცხოვრებ, მე იქ დავიჭერ საკუთარ ბინას, ნუკის გავანდობ ჩემს ჭირ-ვარამსა და იაც მომცემს დარიგებასა. აი, ძმობილო თუ რას ფიქრობდა, რომ ეთარეშნა მას რესტორნებში, ევლო ქუჩებში როგორც უნდოდა და მას პატრონი არვინ ჰყოლოდა. აი, ძმობილო როგორ დაშალა, ამ ჩემმა ცოლმა ეს ტკბილი კერა, თვით გაიმნარა ნუთისოფელი და მეც მიტანჯავს ახალგაზრდობას. სიმართლეს გეტყვით, ჩემო მკითხველო, არ ეკლდა იმას სულ არაფერი, ჩასაცემელიც და საჭმელ-სასმელიც, სულ ყველაფერი მას ბევრი ჰქონდა. მთელი დღე იწვავით დედაბერი, კატა ჰაერზეც არ გამოჰყავდა, თუ დღეში ერთხელ დააპურებდა, არ იყო მეტის გამკეთებელი. მე რესტორნიდან მოვედი, ღამინათვეი, უძილო, ავედი სახლში და ვნახე, ჩემი ცოლი წევს საწოლზე. მე ვუთხარი, ჩემო ლალი, ავად ხომ არა ხარ შენა, ჰო, ძალიან ცუდადა ვარ, რაღაცა გული მანუხებს. აბა, რაღა უნდა მეთქვა? ნამალი ხომ გაქვს, დალიე. კატაც იქვე, „ფეჩთანა“ წევს, გემრიელად მიყუჟულა. გენაცვალე, ჩემო კუნკულ, ადგომა არ შემიძლია, ნამალი კი აგერ არის, წყალი მომიტანე შენა. მიველ, წყალი მივუტანე, ნამალი დავალევი, ცოტა მაინც ჭამე რამე, ვუბნები მე ჩემს ცოლსა. აი, უყურეთ რა მოხდა? ეს ქალი ფეხზე ნამოხტა, დასწვდა მაგიდას მკლავებით, გაატოკ-გამოატოკა. ყოველი კაცი აიღეთ, რა გუნებაზე დადგება? მისი ეს საქციელი, გულზე წემსივით დამესვა. კაცური გული ვისაც აქვს, რა თქმა უნდა გაბრაზდება, სულ უბრალო ლაპარაკი მოგვივიდა ჩვენს ორთაგანს. მე მასზე ხელი ამეღოს? ვაჟკაცობასა ვფიცავარ, მისი ხასიათის მცოდნე, როგორ გავბედავდი ცემას. ვიცოდი ყვირილს ატეხდა, მთელ ქვეყანას შემეყრდა და პოლზე თავის რახუნით, ექიმიც მოუხდებოდა. და მერე ხალხი იტყოდა, შე საცოდავო ლალია, ეს რა დღეში ჩაუგდისხარ, შენსა ქმარსა კუნკულასა. იმ დროს სწორედ მაშიდაჩემიც, მოსულიყო ჩვენთანა, ამ ლაპარაკის მომსწრე, მაღლა სახლში ამოვიდა. მე მითხრა, შვილო დაწყნარდით, არაფრის აღარ გრცხვენიათ? ამ სიტყვის გაგონებაზე, ეს ქალი ისევ ნამოდგა. ჯერ ხომ ბალიში ესროლა, მერე მუთაქა ატაკა, და ისეთ სიტყვებით მიმართა, მისი თქმა მე მემწელება. განა რასმე დაგიმალავთ, სულ არაფერს ერთ გრამს არა, ასე პირდაპირ ვუყურებ, რა იღეთებს ატარებსა. იმ მომენტში მაშიდაჩემი, მე ძალიან მეხვეწება, შვილო თითი არ დაადო, თორემ ამასაც ის უნდა. აი, ამ დროს ჩემი ცოლი, ღირსი იყო მოკვლისა, მე ძალიან მოვითმინე, არ გამიცია მისთვის ხმა. გამოვიდა ნამოვიდა, აბა რაღა უნდა მეთქო, ბოდიშს ხომ არ მოვეუბნდი, გეხ-

ვენები, მოდი შინა. დარჩენილიყო იმ დღესა, მეჯვარესთანა ჩემსასა, მეორე დღისით ორივე მოვიდნენ ჩემთან სახლშია. ჩვენ მეჯვარემ დაგვარიგა, ის კი გაიძახის — არა! იასთან უნდა წავიდე, ჩამაცმევს ზალიკოსთანა. რაკი ვეღარ დავითანხმეთ, ჯოჯოხეთში გადავარდა: მე მოვედი დღეს შენთანა, ტანსაცმლის ნასაღებად. მე ხომ უარს არ ვეტყოდი, რად მინდოდა ტანსაცმელი, იმ ტანსაცმელთან ერთადა, მოუპარავს ბებუთიცა. მე გაერე ტაქსი ვიშოვნე და წავედი სიძებთან, ყველაფერი მოუყვი, რაც რომ იმ დღისით მომიხდა. ცოტა საჭმელიც შევჭამე, მთელი დღისა პურუჭმელმა, ავდექით და წამოვედით, ჩემს სიდედრთან გარდაბანში. მეგონა სიდედრს ვეტყოდი, ასეთი რამე მოგვიხდა, იმის მაგივრად, რომ ეთქვა, რა ამბავია? რა მოხდა? მან ფუი, კაცო! მომძახა, კინამ თვალში მომაფურთხა, შენისთანას ათს ვუშოვი, ჩემსა გოგოს, ლალიასა. აბა, რაღა უნდა მეთქვა, სიდედრიც რომ ამას გეტყვის, ქვისლმა მითხრა, არ მოსულა, ახ, ნეტავი სად იქნება? მე ვთქვი, ბათუმს წავიდოდა, სანავარდოდ იქ იქნება, მაშინვე ბათუმს წავედით, ლალია არც იქ აღმოჩნდა. ქობულეთიც მოვიარე, მაგრამ ვერსად ვერა ვნახე, თურმე ცოლი ახმეტაში ხვრინავს როგორც დეკუულა. მესამე დღისით მიბარებს, გამოძიებული გოგია. შევედი და ჩემი ცოლი, მაგიდასთან ზის სკამზედა. შენ ბებუთი რად გინდოდა, მეუბნება მე გოგია, კონსერვის გასახსნელადა მე ვხმარობდი მაგ დანასა. კონსერვისთვისა კი არა, შენ ცოლს დასდევდი დანითა, ძლივს გამოგასწრო ეზოდან, შიგ გულში უნდა ჩაეცა. ჩემს ცოლს მძინარას ეგონა, დანას ვეღარ ვიყიდდი, მეორე დღისით წავედი, დანა ვიყიდე ოთხპირა. ისეთი ვაჟკაცი შემირცხვენია, რომელმა კაცმაც ცოლს ხანჯლით სდიოს, მერე ის ხმალი ვეღარ დამალოს, რომ თავის ცოლმა ვეღარ იპოვოს. რა ვი-

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Gull გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მოზილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბოთ: Gull 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ყურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

ცოდი უბედურმა, შენ თუ ასე დამტანჯავდი, ჩემს ეზოს ვერ შელახავდი, თუნდ ოქროში მჯდარიყავი. შეიტანა საჩივარი, რომ გაყრა მინდა შენთანა, მამა-შვილს ერთად ვუთხარი, ნუ და-მინგრევეთ ოჯახს თქვენა. თორემ უსისხლოდ არ წავა, განშორების დღენი ჩვენი, გამოვასალმებ მაგასაც და მეც წავალ უკუნეთში. ჩემი ვედრება არ გაიგეს, ეს მათ ქაჯურად მიიღეს, სიმამრი გვერდზე ხითხითებს, იმას ტყუილად ჰგონია. რა იცოდა ჩემ სიმამრმა, თუ ჩემს რისკს ვავატარებდი, მათ ისიც კი არ იციან, რომ მე ცოლი არ მყოლია. დედიკოს სიტყვას გადაჰყავა, დედიკომ რომ წააქეზა, წამოდი, მე შეგინახავ, შვილო რად გინდა ქმარია! ყოფილა კიდეც შემთხვევა, რომ მისთვის წამომიკვრა, მაგრამ როგორც ზოგს ჰგონია, მე თოფით არ მიდგინია. ცოლი ერთში ორს რომ გეტყვის, მამ როგორ არ აღელდები, მისი მარტოცემა კი არა, კისრის დაჭრაც მოგინდება. შენ კი მშობლებმა დაგლუპეს, მე რად უნდა დამემდურო, შენ მათ რომ არ აპყოლოდი, ვიქნებოდით ბედნიერად. აი, მკითხველო თუ რას სჩადიან ჩვენი ქალები, ეს ჩვენი ცოლნი და თუ თქვენც მკაცრად არ მოიქცევით, ასე, ჩემსავით დაიტანჯებით. აი, ასეთი სიდედრ-სიმამრი, არ გაატაროთ თქვენს ეზო-კარში. თუ თქვენს ცოლებსაც წააქეზებენ, შენ აქ რა გინდა, წამოდი სახლში. ტანჯული ჩემი პატარა ცხოვრება, მოკლე პოემად დამინერია. კვირა-ნახევრის შეუღლებულნი, ისევ წამებით გავშორებულვართ. თუ არ გიყვარვარ, ხომ წინასწარ უნდა გამაფრთხილო. შენს ხმას ვერა ვცნობ! აბა, რად მინდა მარტო ვიუფი ცოლი, თუ ლამაზიც არ იქნება? ხომ უნდა დამე-ნახო?



გილოცავ!


- ქობულეთში, ჩემი მშობლიური სკოლის დირექციას, პედაგოგექტივის, ნაზი მასწავლებელს გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. მუდამ წარმატებით იარეთ. V-ე.
- ვულოცავ „გზის“ მკითხველებს „გზის“ ახალი ნომრის გამოცვლას. კენჭო.
- დაბადების დღეს გილოცავ, მაგდუ. მრავალს დაგასწროს უფალმა, ხუთშაბათს „გზაში“ და პარასკევს ისე მოგილოცავ. მიყვარხარ, შენი ტკბილი დაიკო, შოკოლადა.



ტაიმ-აუზი

ამერიკის პრეზიდენტთა უსწაურობანი

- ჯონ ქვინსი ადამსი ყოველ დღით მდინარე პოტომაკში შიშველი ბანაობდა. სამოსს იშვიათად ყიდულობდა და შეეძლო, ერ-



ჯორჯ ვაშინგტონი

თი პიჯაკი ათი წელი სცმოდა.

- ენდრიუ ჯექსონი ხშირად მონანილეობდა დუელში. ერთხელ, მკერდში დაჭრეს. ქირურგმა ტყვია ვერ ამოუღო და მთელი ცხოვრება ასე გაატარა.

- თომას ჯეფერსონმა თავად დაამზადა საფლავის ქვა და ეპიტაფიაც თავადვე წააწერა, მაგრამ არ მიუთითა, ამერიკის პრეზიდენტი რომ იყო.

- ჯორჯ ვაშინგტონს ჯირითი უყვარდა. მოითხოვდა, რომ ცხენი იდეალურად სუფთა ყოფილიყო. ცხოველს კბილებსაც კი უსინჯავდა.

- თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ, მარტინ ვან ბიურენმა მემუ-

არები დაწერა, სადაც თეთრ სახელში გატარებული დღეები აღწერა. მემუარებში ცოლი არასდროს უხსენებია.

- უილიამ ჰარისონის ინაუგურაციას (1841 წელი) ქარიანი დღე დაემთხვა. პრეზიდენტი გაცივდა, ფილტვების ანთება დაემართა და ერთ თვეში გარდაიცვალა.

- ჯონ ტაილერი მრავალშვილიანი მამა იყო. პირველმა ცოლმა 8 შვილი გაუჩინა; მეორემ — შვიდი. მეთუთმეტე შვილი 70 წლის ასაკში შეეძინა.

- ამერიკის ერთადერთი უცოლო პრეზიდენტი ჯეიმს ბიუკენანი იყო. ერთხელ დაინიშნა კიდევ, მაგრამ საცოლისგან დაქორწინებაზე უარი მიიღო და ცოტა ხანში გარდაიცვალა.

- აბრაამ ლინკოლნი შავ ცილინდრს ატარებდა, სადაც დოკუმენტებს ინახავდა.

- ენდრიუ ჯონსონს სკოლაში არასდროს უვლია. წერა-კითხვა მომავალმა ცოლმა, ელიზა მაქკარდელმა ასწავლა. პრეზიდენტს ყოველთვის საკუთარი ხელით შეკერილი სამოსი ეცვა.

- ულის გრანტი ყოველდღე 20

სიგარას ეწეოდა. პრეზიდენტი ყელის კიბოთი გარდაიცვალა.

- ჯეიმს გარფილდი პოლიგლოტი გახლდათ, შეეძლო ერთინური, მარცხენით კი ბერძნული ტექსტები ეწერა. პრეზიდენტმა ერთ დღეს თითი გაიჭრა, ინფექცია შეეჭრა და ცოტა ხანში გარდაიცვალა.

- ჩესტერ არტურს გარდერობში 100 ცალი შარვალი ჰქონდა.

- ბენჯამენ ჰარისონი ვერ იტანდა ნათურის შუქს და თეთრ სახელში ყოფნისას სანთლების ანთებას მოითხოვდა.

- ნადირობის დროს თეოდორ რუზველტმა დათვი და ბელი დაინდო. ამ ფაქტის აღსანიშნავად, ახალი სათამაშო — „დათუნია-თედი“ დაამზადეს, რომელსაც სახელი პრეზიდენტის პატივსაცემად დაარქვეს.

- უილიამ ტაფტი ამერიკის ყველაზე მსუქანი (136 კგ) პრეზიდენტი იყო. ახალი საბაზანო სპეციალურად მისთვის დაამზადეს, რადგან ძველში რამდენჯერმე გაიჭედა.

- უილიამ ჰარდინგი კვირაში ორჯერ პოკერს თამაშობდა. ერ-

თხელ „თეთრ სახელში“ არსებული ყველა ფაიფურის ჭურჭელი წააგო.

- პრეზიდენტობის პერიოდში ჰერბერტ გუვერმა 16 წიგნი დაწერა.


- ჰარი ტრუმენს თხა ჰყავდა, რომელიც თეთრი სახლის ეზოში ბალახობდა.

- ჯონ კენედი





დასაწყისი იხ. გვ. 56



ჯორჯ ბუში

ერთადერთი ბოისკაუტი იყო, რომელიც პრეზიდენტი გახდა.

• ლინდონ ჯონსონი თანამშრომლებს საჩუქრებით ანებივრებდა. პრეზიდენტი საუკეთესო საჩუქრად კბილის ელექტროჯაგარისს მიიჩნევდა. ჯონსონის ბიოგრაფიის ავტორმა პრეზიდენტთან მუშაობის 10 წლის მანძილზე 12 ელექტროჯაგარისი მიიღო.

• გადადგომის შემდეგ ჯიმი კარტერმა წიგნი The Hornet's Nest დაწერა.

• ჯორჯ ბუში-უფროსს ჩინური და მექსიკური სამზარეულო მოსწონდა.

• ბილ კლინტონის მოთხოვნით, მისი კატა — სოქსის პერსონალური ინტერნეტსაიტი შეიქმნა.

• ჯორჯ ბუში (უმცროსი) ლორაზე (ლორა ლეინ უელჩი ბუში) გაცნობიდან სამ თვეში დაქორწინდა.



აბრაამ ლინკოლნი

თან მივაყოლე... ეს უკვე იმისთვის გადაკეთე, მშობლებს რომ ეფიქრათ, მაკა შინიდან ნამდვილად გავიდა და მობილური ტელეფონი და ლეპტოპიც თან წაიღო... შემდეგ მინა მივაყარე და ზემოდან გულმოდგინედ გადავასწორე.

— იმ საღამოს თქვენმა მშობლებმა აგარაკზე ქალის თმის სარჭი იპოვეს...

— ის სარჭი ჩემი დის არ იყო, მაგრამ რაკი მშობლებმა იფიქრეს, მაკასიანო, მეც აღარაფერი მითქვამს, რადგან ეს კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ იმ დღეს მაკა შინიდან ნამდვილად გავიდა...

ამის შემდეგ ამირეჯიბი უფროსი ილუროძეების მკვლელობის დეტალების დაზუსტებაზე გადავიდა.

— ჩემი მშობლები ძალიან კერპული კაცები გამოდგნენ, — დაიწყო რატიმ.

— რას გულისხმობ?

— როგორ არ ვეცადე, მაგრამ თვითმკვლელობამდე ვერც ერთი ვერაფრით მივიყვანე. შოდა, მეც ავდექი და ორივე ჩემი ხელით გამოვასალე სიცოცხლეს.

— უფრო კონკრეტულად?

— მკვლელობის ღამეს დედაჩემს, რომელიც მაკას გაუჩინარების შემდეგ საძილე საშუალებების გარეშე საერთოდ ვეღარ იძინებდა, წამლის სამმაგი დოზა შევაპარე.

— მამას?

— მამას უამისოდაც მკვდარივით ეძინებოდა ხოლმე. მოკლედ, მას შემდეგ, რაც მშობლები დასაძინებლად მეორე სართულზე ავიდნენ, მე და მამამ ცოტა ხანს კიდევ ვილაპარაკეთ. შემდეგ ჩემთვის შუა ოთახში გაშალა ლოგინი, თვითონ კი ჩემს საძინებელში ავიდა. ცოტა შევიცადე და მეც ზემოთ ავედი. მშობლების ოთახიდან უკვე ფშვინვა ისმოდა. ერთხანს მაინც მივაყურადე და რომ დავრწმუნდი, ნამდვილად ეძინათ, მაიასთან შევედი. იმ ღამეს სიახლოვე გვექონდა.

— რაც სრულიად გამიზნულად გავკეთე.

— რა თქმა უნდა, საერთოდაც, ცხოვრებაში ყველაფერს გამიზნულად ვაკეთებ, — ცივად გაელიმა რატის, — მაიასთან დიდხანს არ დავრჩენილვარ. 4 ინყებოდა, მისგან რომ გამოვედი და მშობლების ოთახს მივუახლოვდი. ორივეს ისევ ტკბილად ეძინა. ოთახში ფეხაკრფით შევედი, კედლიდან იარაღი ჩამოვსენი და სასხლესს თოკი გამოვადი... პირველი გასროლით

მამა მოკვალი, შემდეგ დედა... მერე ცოტა შევიცადე და მაიასთან შემლილი სახით შევევადი... დანარჩენი კი უკვე უჩემოდაც კარგად იცით...

მას შემდეგ, რაც, ყველა ბოღვითი იდეის მიუხედავად, სასამართლო-ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ რატი ილურიძე მაინც შერაცხადად ცნო, გამომძიებელმა მას კიდევ ერთხელ ჰკითხა:

— იქნებ დროა, შენი დანაშაულის ჭეშმარიტი მიზეზი და მოტივი დაგვისახელო?

— უკვე უჩემოდაც შესანიშნავად იცით ყველაფერი, — უპასუხა მან, — ჩემს დღიურში, რომელიც ასე კარგად შეისწავლეთ, ყველა თქვენს კითხვაზე შეგიძლიათ პასუხის პოვნა.

— „ერთი სიცოცხლე მეორით იკვებება. შეჭამე სხვები, თორემ თვითონ შეგჭამენ“. ასეა, ხომ?

— ჭეშმარიტად!.. — მხოლოდ ტუჩის კუთხეებით გაელიმა რატის და თავისი დღიურიდან კიდევ ერთი გამოთქმა მოიხმო: — „სამყაროში მხოლოდ ძლიერები იმარჯვებენ...“

ყველაფრიდან ჩანდა, რომ უმცროსი ილურიძეს ნაყენებული ბრალდების აღიარების შემდეგაც კი ძალიან უჭირდა დამარცხებასთან ბოლომდე შეგუება.

— ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველაფერი ზუსტად მქონდა ჩაფიქრებული და, ერთი-ორი უმინიშნელო შეცდომა რომ არა, საბოლოო მიზანსაც მივანევი, — ცოტა არ იყოს, სევდიანი ხმით განუცხადა ამირეჯიბს.

— აი, ამაში კი ძალიან ცდები, — შეეპასუხა გამომძიებელი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ შენი ცხოვრებისეული მიზეზები საფუძველშივე მცდარი იყო, რისთვისაც შენმა მშობლებმა უკვე მწარედ ზღეს. ახლა კი შენი ჯერი დგება.

— ჩემი მშობლები რა შუაში არიან? — შუბლი შეიკრა რატიმ.

— შუაში კი არა, თავში არიან, რადგან ცუდად აღგზარდეს, რაც ძალიან სამწუხაროა. თუმცა კიდევ უფრო სამწუხარო მაინც ისაა, რომ შენ არც პირველი ხარ და ალბათ, არც უკანასკნელი იქნები... შენაირები მიზნის მისაღწევად, სიცოცხლის წინააღმდეგაც კი დაუფიქრებლად მიდიან...

სასამართლო რატი ვახტანგის ძე ილურიძეს საშუალო პატიმრობა მიუსაჯა...

დასასრული



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული მათხვალისათვის (პითხვაები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვაბისაჲს არ გაგაქვთ თვალი

1. რა ერქვა კაზანოვას?
2. დაასახელეთ ქვეყანა, სადაც ყველაზე დიდი რაოდენობით წვრთნიდნენ დელფინებს სამხედრო მიზნებისათვის.
3. რა არის ეგგენი პეტროსიანის თქმით, ყველაზე საიმედო კონტრაცეპტივი?
4. ვისი პირველი ცოლი იყო ავანგარდისტი მხატვარი სინტია პაუელი?
5. რა ბედი ენია კენედის მკვლელ ჰარლი ოსვალდს?
6. რისი სიმბოლო იყო ინდუსთა რელიგიაში სვასტიკა (ბოლოუნშტეხილი ჯვარი)?
7. ლეგენდარული რუსი მფრინავის, ვალერი ჩკალოვის მოკვლა არაერთგზის სცადეს გაგლენიანმა საბჭოთა მაღალჩინოსნებმა. ნადირობის მოყვარულ მფრინავს შინაგან საქმეთა სახალხო კომიტეტის სამმართველოში ერთხელ სახადირო ტყვიები აჩუქეს, რომლებიც ჩახმახის დაცემისას უმტყუნებდნენ, ხუთი წუთის შემდეგ კი თავისით ისროდნენ. რამ ისხნა ჩკალოვი?
8. „იმ ხუთი გრძნობიდან, რომლებიც ადამიანს აქვს, არსებობს მეექვსე გრძნობა, რომლის გარეშეც სხვა დანარჩენთა ფასი გახვრტილი გროშია“, — რის შესახებ ამბობდა ამას სომერსეტ მოემი?
9. რომელ საბავშვო მწერალს ეკუთვნის სიტყვები: „ბავშვს ის სცემს, ვისაც ბავშვობაში სცემდნენ და ეს დაწყველილი წრე ოდესღაც უნდა განწყდეს!“
10. დაასახელეთ ქართველი პოეტი, რომლის დედა მაკრინე ერთხელ შვილის ოთახში შესვლისას უცნაურ სცენას შესწრებია: პოეტი ფანჯარასთან იდგა და მზის სხივებს კოცნიდა.
11. დაასახელეთ იაპონელი რეჟისორი, რომელმაც „შესანიშნავი შვიდეულის“ ნახვის შემდეგ ამერიკელ რეჟისორ ჯონ სტერჯესს საჩუქრად სამურაის ხმალი გადასცა.

ანექდოტები



დავიღალე ამის დედაცო...

ახალი ამბები:

— ეკონომიკურმა კრიზისმა მოიარა მთელი ევროპა, ამერიკა, აზია, აფრიკა და მშობლიურ საქართველოში დაბრუნდა!

— ალო, ფსიქიატრიულია? ქმარი მყავს ცუდად!

— მაინც რა სჭირს?

— ამბობს, ორ დღეში მილიარდერი გახვდებაო. მოგიყვანოთ?

— ნუ იჩქარებთ, ქალბატონო, ორ დღეში მოიყვანეთ.

წინასწარმეტყველი სახლში დაბრუნდა:

— რა გვაქვს სადილად?

— ვითომ არ იცი...

ქმარი დილით დაბრუნდა სახლში. სახე პუდრით და პომადით აქვს მოსვრილი. ტანსაცმელზე კი წითური თმა აქვს...

— სად ეგდგი?!

— არ დამიჯერებ, ძვირფასო, მაგრამ კლოუნი გამომეკიდა და მთელი ღამე ვეჭიდავებოდი. ძლივს დავალწიე თავი!..

— ალო, ქალიშვილო, თქვენი განცხადება წავიკითხე „სიტყვა და საქმეში“. შეიძლება თქვენთან პაემანზე რომ მოვიდეთ?

— კი, ბატონო, შევხვდეთ, მაგრამ როგორ უნდა გიცნოთ?

— დაბალი ვარ, ლიპიანი, მელოტი, გაუპარსავი...

— უი, შე სასიკვდილე!.. თემური ხარ, ხოო?!



ექიმი ეკითხება პაციენტს: — თქვენი მაქსიმალური წონა რამდენი იყო?

— შარშან ასე, ას კილომდე ვინონიდი. წელს კი 120-კილომდე ავედი.

— მდაა... მინიმალური რამდენი იყო?

— 3 კილო და 800 გრამი.

— კარგი გამოგონებაა ეს უსაფრთხოების ქაშები. ადრე ინსპექტორი რომ გამაჩერებდა, გამოაღებდა თუ არა კარს, მაშინვე ბუხ... და ძირს ვვარდებოდი. ახლა, როგორი მთვრალიც უნდა ვიყო, სავარძელზე ქაშით ვარ ხოშიანად მიბმული...

— მე სტალინისტი ვარ!

— მე — ზვიადისტი!

— მე — მიშისტი!

— მე — იურისტი!

— იურა რომელია, მაღლაკელიძე?

ჯარში:

— ხვალეიდან ოთხჯერად კვებაზე გადავდივართ...

— ვაშაააა!

— ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი და კვირა!

განცხადება:

შევიძენთ თხილს. ცხრა ძმა.

სვანმა მობილური ტელეფონი დაამტვრია, მენიუში კუბდარი არ იყოო...

თაგვმა თხარა, თხარაო და მერე დააგდო ნიჩაბი და თქვა, —



აფთიაქში:
— ნახევარი ლიტრი სპირტი მომეცით.
— რეცეპტი გაქვთ?
— როგორ არა. ერთი კილოგრამი შაქარი, ნახევარი კილოგრამი ჭარხალი და 100 გრამი საფუარი.

მიტო მისოს ეუბნება:
— გავიგე, ძალზე პატარა გქონია.
— შენს ცოლს უთხარი, ენას კბილი დააჭიროს!

ავტობუსი გადაჭედო. ამოდის მოხუცი ქალი. ავტობუსში მჯდარი ბავშვი თანაგრძნობით ეკითხება:
— ბებო, ფხეები გტკივა?
— კი, შვილო, მტკივა.
— ბავშვობაში მოხუცებულებს ადგილს უთმობდი?
— კი, ვუთმობდი.
— ჰოდა, მაგიტომაც გტკივა.

— ხომ დამპირდი, სასჯელს გაგინახევრებო, რატომ მომატყუე?
— ეჩხუბება ნაზიკო ადვოკატს.
— რა გაყვირებს, ქალო?! მე რა უნდა მექნა — პროცესზე ხმა არ ამომალეზინე, სულ შენ ლაპარაკობდი!..

დიალოგი ავტობუსში:
— ახალგაზრდავ, უკვე მეოთხე გაჩერებაა, მესუტები!
— რა ვქნა?!
— ქენი რამე!

ორი გურული ერთმანეთს შესვდა:
— რაფერაა, ძამა, ქვეყნის საქმე?
— მაი არაა ჩემი საქმე!
— რაფერაა შენი საქმე?
— მაი არაა შენი საქმე!..

დირექტორი ეკითხება მდივანს:
— რამდენი ნულით იწერება მილიონი?
— 6 ნულით.
— ნახევარი მილიონი?
— 3 ნულით!

— ბრალდებულო ძაძამია, როგორ მიაყენეთ დაზარალებულს

შვიდი ჭრილობა?
— მომეცით დანა და გაჩვენებთ!

— მე შოტლანდიელი ვარ!
— შარვალი რომ გაცვია?
— ცისფერი შოტლანდიელი ვარ!

ბიჭიკია ეკითხება მაგრად ჩაზმანულ ჭიჭიკიას:
— ვისია, ბიჭო, მაი შარვალკოსტუმი?
— ვისია და პიერ კარდენის, — ამაყად ეუბნება ჭიჭიკია.
— რავა სულ ნათხოვარი უნდა გეცვას, შე უბედურო, — შეეცოდა ბიჭიკიას.

— რა ღირს თქვენი ძაღლი?
— 500 დოლარი.
— ერთგულია?
— ძალიან! უკვე მესუთედ ვყიდო.



გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მაითხვალისათვის (პასუხები)

1. ჯაკომო.
2. საბჭოთა კავშირი. სევასტოპოლის სამხედრო ბაზაზე მონინალმდევის გემებისა თუ წყალქვეშა ნავების გასანადგურებლად 700 დელფინი „კამიკაძე“ ჰყავდათ განვრთნილი.
3. ნაჯახი.
4. ჯონ ლენონის.
5. იგი სასამართლო დარბაზიდან გამოსვლისას ჯეკ რუბიმ მოკლა.
6. მარადიული წრებრუნვის, კვლავშობისა და ბედნიერების.
7. მფრინავი იმან იხსნა, რომ მოხუც და გამოცდილ მეტყველსთან ერთად ნადირობდა, რომელმაც ჩახმახის დაცემინების შემდეგ არც თავად დაუნწყო თოფს სინჯვა-წვალება და არც ჩკალოვს დაანება.
8. ფულის შესახებ.
9. ასტრიდ ლინდგრენი.
10. გალაკტიონ ტაბიძე.
11. „შვიდი სამურაის“ რეჟისორი აკირა კუროსავა.

რვანიფოსკო მანანა





ჰოროსკოპი

22-28 სექტემბერი

ვიწი



გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. მეტი ყურადღება დაუთმეთ შვილების განათლებას. კვირის ბოლოს მშობლები მოინახულებთ.

კუჩი



ჩაიტარეთ პროფილაქტიკური გამოკვლევა. დაისვენეთ და განმარტოვდით ბუნებაში. კვირის ბოლოს, ნათესავების დახმარებით, დიდი ხნის ვალს დაიბრუნებთ.

ჯიშვი



შეხვედრები და მგზავრობა გელით. ყურადღებით იყავით, არაფერი დაკარგოთ. შესაძლოა, ძველ შეყვარებულს შეხვდეთ და ურთიერთობა აღადგინოთ. მეგობრებთან კონფლიქტს მოერიდეთ.

კიჩხი



სამსახურში სასიამოვნო ცვლილებები გელით. ნუ ჩაერევით ნათესავების კონფლიქტში. გაგებრდება ხარჯი, რის გამოც შესაძლოა, ვალის აღებამ მოგინიოთ.

ღიმი



საქმიანი შეხვედრებისთვის წინასწარ მოემზადეთ. უქმეებზე ტყუილი დაპირებები არ გასცეთ და თავი შეიკავეთ მგზავრობისგან. დაასრულეთ ძველი საქმეები.

ქაღვი



ფინანსურ კრიზისში რომ არ აღმოჩნდეთ, კვირის ბოლოს ფული არც ისესხოთ და არც გაასესხოთ. მეტი ყურადღება და მზრუნველობა გამოიჩინეთ მშობლების მიმართ.

სასწი



თაობათა შორის კონფლიქტში არ ჩაერიოთ. ნვეულებზე სასიამოვნო დროს გაატარებთ. ძველ ნაცნობებს შეხვდებით და ახლებსაც გაიჩინებთ. საყვარელ ადამიანთან დაძაბულ ურთიერთობას მეგობრების დახმარებით განმუხტავთ.

მიწი



შეეცადეთ, ჭორებმა და უსიამოვნო ინფორმაციამ განწყობილება არ გაგიფუჭოთ. დაიცავით საკუთარი პოზიცია და ინტერესები. კვირას გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მშვიდღოსა



თუ მეგობრის დაკარგვა არ გსურთ, ფულს ნუ ასესხებთ. კარგი პერიოდია ხანგრძლივი მგზავრობისა და სწავლისთვის. კვირის ბოლოს საყვარელი ადამიანის მეგობრებთან მეტი დელიკატურობა გამოიჩინეთ.

ოხი



ნუ იქნებით ამბიციური. კვირის მეორე ნახევარი საოჯახო საქმეებს დაუთმეთ: გათავისუფლდით ძველი ნივთებისგან. უქმეებზე გადაწყვეტილებებს ნაჩქარევად ნუ მიიღებთ.

მეჩხი



საყვარელ ადამიანთან ურთიერთობას შუა კვირაში მოაგვარებთ. გარშემო მყოფებს დახმარებაზე უარს ნუ ეტყვიან. კარგი პერიოდია დოკუმენტების გასაფორმებლად.

თიფი



გაფრთხილდით, გააკონტროლეთ საკუთარი ქმედებები და სიტყვები, რომ მატერიალური და ფიზიკური ზიანი არ განიცადოთ.

ყავა და ადამიანის ხასიათი

ფსიქოლოგების აზრით, ადამიანის ხასიათს მარტოვად გამოიცნობთ, თუ იცით, რომელ ყავას ანიჭებს იგი უპირატესობას.

ესპრესო — შავი, ძლიერი ყავაა, რომელსაც ყავის აპარატში ამზადებენ.

ამ ყავას სვამენ კონსერვატორები, რეალისტები და ჯიუტი ადამიანები. ესპრესოს მოყვარულები უპირატესობას ანიჭებენ ელიტურ ავტომობილებს, მკაცრი სტილის სამოსს აცვიათ და კლასიკურ მუსიკას უსმენენ. შეგიძლიათ ესპრესოს მოყვარულთა იმედი გქონდეთ, რადგან ისინი პრინციპებს არასდროს უღალატებენ.

ლატე — რძისა და ყავის ნაზავია, ფინჯანში, რძის ქაფზე ბარმენებს სხვადასხვა ნახატი „გამოჰყავთ“.



ლატე იუმორის გრძობით დაჯილდოებულ ადამიანებს უყვართ. მოსწონთ ყურადღების ცენტრში ყოფნა. ნვეულები და მეგობრებთან ერთად მოლხენა.

კაპუჩინო — ესპრესოსა და რძის ნაზავი, რომელსაც გახეხილ შოკოლადსა და ჯავზს უმატებენ.

კაპუჩინო რომანტიკოსებისა და ტკბილეულის მოყვარულთა სასმელია. ამ ყავის მსმელი კეთილი და გულისხმიერია. დასვენება ზღვისპირა ქალაქებში უყვარს.

ამერიკანი — წყალში გახსნილი და ფილტრში გატარებული ესპრესო.

ამ ყავის მოყვარული ბოჰემური ცხოვრების სტილს მისდევს. მოსწონს სპორტული ავტოები, გემოვნებიან მუსიკას უსმენს, მიზანდასახული და წარმატებულია. საცხოვრებლად ქალაქის გარეუბანს ირჩევს, სადაც მეტი სიმშვიდეა.



ველური დღესასწაულები სივილიზებულ ქვეყნებში

იაპონიაში ყოველწლიურად, თებერვლის მესამე შაბათს, შიშველი მამაკაცების დღესასწაული იმართება. იგი პირველად 1200 წლის წინ აღნიშნეს. განწმენდის მიზნით, „ფუნდოშიში“ (წელსახვევი) და „ტაბიში“ (სანდლები) გამოწყობილი მამაკაცები გაყინულ წყალში ხტებიან. განწმენდის ცერემონიაში მონაწილე მამაკაცების ასაკი შეზღუდულია — 23-დან 43 წლამდე.

ნებრასკაში (აშშ) ქათმების დღე-

სასწაულში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობენ. ქუჩებში ქათმის კოსტიუმებში გამოწყობილი მამაკაცის ცეკვავენ. ადგილობრივი მხატვრები მსურველებს ქათმებს სხეულზე ახატავენ, სალამოს კი ქათმის ხორცის ჭამაში შეჯიბრება იმართება.

შოტლანდიის მთიან სოფელში, გლენფინანში კილტებში გამოწყობილი მამაკაცები ბადროს სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. დღესასწაულის სტუმრებს ტრადიციული შოტ-



ქათმების დღესასწაული

ლანდიური კერძებითა და სასმელებით უმასპინძლებიან.

ინდოეთში განემას დღესასწაულს (სპილოსთავიანი ინდური ღმერთი) 10 დღე აღნიშნავენ. ქუჩებსა და სახლებს განემას სტატუებით რთავენ, დღესასწაულის ბოლოს ღმერთის უზარმაზარ ფიგურას წყალში განბანენ.

დიდი მარხვის დაწყებამდე, ახალ ორლენში „განცხრომის სამშაბათს“ მართავენ.

შლიხერლაუფენი ავსტრიაში, დიდი მარხვის დაწყებამდე იმართება. ტიროლის ქუჩებში ნიღბებში გამოწყობილი ადამიანები დასეირნობენ. გამარჯვებულად ჩაითვლება ის, ვინც ყველაზე საშიში არსების ნიღაბსა და სამოსში იქნება გამოწყობილი.

გერევალი ნიგერიაში იმართება. ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი მამაკაცები ქალების ყურადღებას სარიტუალო ცეკვებით ცდილობენ. გამარჯვებულს იმ ქალით „ასაჩუქრებენ“, რომლის მოხიბვლასაც მამაკაცი ცდილობდა.



შეჯიბრება ბადროს სროლაში

იაპონური სენსაცია

sudoku

„გის“ თხა ნობელოვს გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

5	9	8	1	3	6	2	4	7
7	3	4	8	2	9	5	1	6
2	6	1	4	5	7	9	3	8
1	8	2	5	6	4	7	9	3
6	4	3	9	7	2	8	5	1
9	5	7	3	8	1	4	6	2
4	1	6	2	9	8	3	7	5
8	7	5	6	4	3	1	2	9
3	2	9	7	1	5	6	8	4
4	3	9	1	2	8	6	7	5
1	6	5	3	4	7	9	8	2
7	8	2	5	6	9	3	1	4
6	1	8	2	9	3	5	4	7
2	5	4	7	1	6	8	9	3
3	9	7	4	8	5	2	6	1
8	2	1	6	3	4	7	5	9
5	4	6	9	7	2	1	3	8
9	7	3	8	5	1	4	2	6
7	4	9	5	1	2	6	3	8
1	3	6	8	7	9	5	2	4
8	2	5	3	4	6	1	7	9
9	5	1	7	8	4	3	6	2
4	6	2	9	5	3	8	1	7
3	8	7	2	6	1	9	4	5
2	1	8	6	9	7	4	5	3
6	9	3	4	2	5	7	8	1
5	7	4	1	3	8	2	9	6

* მარტივი

	6	4					3	
8	2	4						
		1	8		6		2	
				4	3			
		3	6				1	4
			2			7		
		2					5	9
1	7							3
5	9	8						1



** საშუალო

4				7		1	5	
		1	8					9
5	6	8		1	9	4		7
		6				2	8	
	5		7			9		6
9			4			3		5
6	1		9		7			
		9		8				
		7			2			

*** რთული

	5	2			6			
9	3		5					7
6	8		1				4	2
	1	4		7				9
3		9		8	2			
2	9			6	3		1	
5			9				2	1
								6
	6	3			2	9		5

ყოველკუთხიონები



როდენი - წონაში დასაკლები უნიკალური საშუალება!

დაიკავი თვეში 9 კილოგრადი

შინი ღრმული მიღება თავიდან აგახილებთ წონაში გატაცებას

- ანორმულიად სავსე, ბუნებრივი ჰორმონები, დაზღვებული საფრთხის ქიმიკატი, ნახეილი თაფლი, მწვანე ჩაი და სანახეილო მსახეიება
- ხადს უხდის ნახეილადის სხივებში ბადესვდის
- ხადს უხეობს სხივების ბოლომდე დაწვას
- აუვიითებს მადის ნახეილის მომახეილის ფოხე
- ნოხამდე დაწყავს სიხეილის ჰოხომონი დახეილი
- ახეილიებს ჰორმონების სისხლში
- მოხანოხომიდან ბამოაუს ზადებეი სიოხე და მხეიება
- ანახეიებს სეჰეის მომადეხეი სისხეებს
- ბამოიხეივა უხეიბეიოხიოთი ლეიქის სხივებში ელსეიოხის ეიოს

როდენი



მოგვაკითხეთ მისამართზე:
თბილისი, რუსთაველის გამზ. №28
ან მიმართეთ
„პი ჰი სი“-ს, ავერსის სააფთიაქო ქსელს,
და ქალაქის სხვა აფთიაქებს.
დაგვიკავშირდით ტელ. ნომერზე
293 19 87; 230 97 52
მობ. 595308405;
e-mail - promoita@mail.ru
nikosanilt@mail.ge

მიღების წინ გაეანთი ინსტრუქცია. კვარდითი მოვლენების შესახებ ლაბორატორიის ინსტრუქციის მიხედვად მიმართეთ პირს



სახელო დეჰეი

არლიო "ზეილი" Fm 103.9

წარმოგიღებენთ საზოგადოებრივ თოქ-შოუს
"სახელო დეჰეი"

თამარ საბარეიშვილთან ერთად!

უოხეი ვინეხეივს
15:35 საათეი



ქარი ყველასთვის დია!

დასწრების მსურველები დაგვიკავშირდით :

© 2 14 95 95

ან მოგვწერეთ მისამართზე :

saxalxodarbazi@radiopalitra.ge

აწიხებთ ხეომსს?

ზოგი ჰეიეხი გთავაზობთ შიდა და გეიე კეიეხის ყველაზე დეი სეიევენს საქეიოველიში

- ბუნებრივი გეიეიეისა და მახეიეიეის ფიდეებს;
- ეიების საფეიეხეებს;
- ეეიეიეეეე ნანახეისა და დამინეიეეეე იატეეს!

მის: ა. ნეიეეეის გეიე. 115ა

ა. ნეიეეეის გეიე. 117

ტე: 577 200 700; 577 200 500;

235 80 00; 235 80 08

გთავაზობთ ნეიბსეიეიეი დიზაინის ბუნებრივი გეიეიეისა და მახეიეიეის ნეიეეეეების დამზადებებს


დაიეეეეეეი ხეომსი რეიეეეეეეი ეიეეეეეეი



www.ZODI.ge



„გამომცემლობა ჰალიბრა L“-ის ახალი წიგნები




ენტონი ბერჩესი
მექანიკური ფორთოხალი

ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 216 გვ
ფორმატი: 12X16.5
ყდა: რბილი

ამ წიგნში მოთხრობილია ამბავი ერთი მელომანი სადისკოსა, რომელიც ძალადობის ინსტინქტის ჩასახშობად გამოიზნული, არანაყოლებ სადისკოური მეცნიერული ექსპერიმენტის მსხვერპლი შეიქნა.

რეზო ჭეიშვილი ახალი ქუჩა



ფასი: 6.99

გვ. რაოდ.: 495 გვ.
ფორმატი: 14X20.5
ყდა: რბილი


„სიცილის სენს ურუ ჰქვია... ვაი იმას, ვისაც პირისპირ შეეყრება სიცილის ის ბაცილა! კვდება ის ადამიანი სიცილით, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით...“ – ამბობს რეზო ჭეიშვილი, რომელიც თავის წიგნში ბევრ იუმორისტულ მოთხრობასა და სკეტჩს გვთავაზობს, განსაკუთრებით კი ის ამბები გამოირჩევა, სადაც ავტორი უხადო ქეთისური იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებზე მოგვითხრობს.

ზვიგენი, რომელსაც სიღრმის ეზინოდა ჟირაფი, რომელსაც სიმაღლის ეზინოდა



ფასი: 11.99

გვ. რაოდ.: 16 გვ.
ფორმატი: 24.5X25
ყდა: ბალიშა



ამ სიურპრიზებით სასუე, მოძრავი ნახატებით განწყობილი წიგნების საშუალებით თქვენი პატარები გაიგებენ, თუ როგორ სძლია პატარა ჟირაფმა სიმაღლის, ხოლო პატარა ზვიგენმა სიღრმის შიშს და როგორ დაეხმარნენ მათ ამ შიშის დაძლევაში მეგობრები.

ქენგურუ ბასტერი



ფასი: 14.99

გვ. რაოდ.: 27 გვ.
ფორმატი: 21.7X21.2
ყდა: მაგარი

სპლიყვი ლიზი



შეიძინეთ წიგნის მაღაზიეში!

ამ უხავად ილუსტრირებულ წიგნებში, თქვენი პატარები წაიკითხავენ სპლიყვი ლიზისა და ქენგურუ ბასტერის სახალისო თავგადასავლებს.

მსოფლიო კულინარიის შედეგები

გაზეთ „კვირის პალიტრის“ კოლექცია

ფრანგული სამზარეულო
26 სექტემბრიდან - 3 ოქტომბრამდე



სპეციალური ფასი
10 ლარი
მხოლოდ
"კვირის პალიტრის"
მუიხველსთვის



შედეგი ნიგნები:

- 6. აპონური სამზარეულო
- 7. ავსტრიულ-გერმანული სამზარეულო
- 8. ქართული სამზარეულო

- 9. ანბული სამზარეულო
- 10. ბერძნული სამზარეულო
- ...და სხვები

უკვე გამოსული ტომები №1, №2, №3, №4 შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!